

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი

თათია ნაკაშიძე-მასხარაძე

უცხო ენის, როგორც მეორე ენის, სწავლება/სწავლის
მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ ასახვა უმაღლესი
სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებში

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
(სპეციალობა – განათლების დიდაქტიკა)

მეცნიერ ხელმძღვანელი
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ციალა მეგრელაძე

ბათუმი

2012

შესავალი-----	3
თავი I. უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების - „კულტურათა დიალოგის“ წვლილი (საგანმანათლებლო პროგრამებით აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევაში) -----	19
§ 1. „კულტურათა დიალოგის“ საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვის მიზანშეწონილობის პრობლემა-----	19
§ 2. უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების - „კულტურათა დიალოგის“ საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვის ფორმები-----	44
§ 3. „კულტურათა დიალოგის“ კომპეტენციები-----	53
3. 1. ზოგადი კომპეტენციები-----	57
3. 2. დარგობრივი კომპეტენციები-----	70
3. 3. ორიგინალური კომპეტენციები-----	77
თავი II. კულტურათა დიალოგის სასწავლო პროცესის მართვა და სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შეფასება -----	84
§ 1. სწავლება/სწავლის საკითხისათვის-----	84
§ 2. სტუდენტთა ცოდნის შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შერჩევა--	98
2. 1. პორტფოლიო როგორც სტუდენტის სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევის შეფასების ფორმა-----	117
§ 3. კვალიფიკაციის მიღწეული დონის დიაგნოსტიკისათვის თვითშეფასების მატრიცის გამოყენება-----	122
§ 4. „კულტურათა დიალოგის“ სასწავლო პროცესის მართვის ორგანიზაციის ფორმები-----	133
4.1. ლექციის მოდელი-----	133
4.2. მოდელი სემინარის დაგეგმვისათვის-----	140
4.3. ფრაგმენტები უცხოელთა გამოცდილებიდან-----	144
4.4. მოდელის და სილაბუსის ნიმუშები-----	148
თავი III. უმაღლესი სკოლის მასწავლებლის თვითეფექტურობის შეფასება --	155
§ 1. თვითეფექტურობა, როგორც ინოვაციური საქმიანობის ხარისხის განმსაზღვრელი -----	155
§ 2. თვითეფექტურობის ამაღლების საშუალებები-----	162
დასკვნები -----	167
ლიტერატურა -----	171

შესავალი

თემის აქტუალობა: უმაღლესი სკოლის მთავარი მიზანი – სტუდენტისათვის საუკეთესო, ხარისხიანი განათლების მიწოდება ხორციელდება განათლების ერთიანი ევროპული სივრცის შექმნის პირობებში. საზოგადოების ცვალებადი საჭიროებების, დასაქმების ამჟამინდელი და სამომავლო მოთხოვნების უზრუნველყოფისათვის შეიქმნა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, პროგრამები, პროექტები. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ევროსაბჭოს განათლების კომიტეტისა და უცხოური ენების განყოფილების მიერ შედგენილი „ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო“ (ევროსაბჭო 2001), რომლის მიზანია შექმნას კვალიფიკაციის განსაზღვრისათვის ენის ცოდნის საერთო ბაზა და ხელი შეუწყოს მასწავლებლების, პროგრამების შემდგენლების, სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაციებისა და ენების სწავლების ადმინისტრატორების შეთანხმებულ მოქმედებას.

ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო განსაზღვრავს ენის ფლობის სამ დონეს: A, B, C, რომლებიც სწავლების საფეხურების მიხედვით ექვს განშტოებად იყოფა: დაწყებითი სკოლა – A1 დონე, საბაზო და საშუალო საფეხური – A 2 დონე, XII კლასი და პროფესიული სკოლა – B1 დონე, ბაკალავრიატი – B2 დონე, მაგისტრატურა – C1 დონე, დოქტურანტურა – C2 დონე (აღნიშნული დონეები გათვალისწინებულია მათთვის, ვისთვისაც უცხო ენა ძირითადი სპეციალობაა, ხოლო იმათთვის, ვისთვისაც უცხო ენა მეორე ენაა, ეს დონეები ერთი მაჩვენებლით დაბლა იწევს).

უცხოური ენის სწავლება/სწავლისათვის ჩამოყალიბებულია ექვსი მიმართულება: მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა, სწავლის სწავლა, კულტურათა დიალოგი.

საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ერთ-ერთი ქვეყანა, აღიარებს და პატივს სცემს ევროსაბჭოს მიერ მიღებულ რეკომენდაციებს ყველა სფეროში, მათ შორის, განათლების სფეროშიც, განათლების ეროვნულ მიზნებში, აღნიშნულია, რომ უცხოური ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ერთიანი საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება, საკუთარი შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება.

საერთაშორისო კვლევების შედეგებით (2005) დამსაქმებლისა და დასაქმებული კურსდამთავრებულების შეფასებით, ყველაზე დიდი უპირატესობა მოიპოვა კომპეტენციამ „მეორე ენის ცოდნა“, რომელიც ქმნის პირობებს – გაიგო განსხვავებული კულტურა, მიიღო იგი ისეთი, როგორც არის. გაიხსნა მის მიმართ, მხოლოდ ისე, რომ არ მოსწყდეს საკუთარ კულტურულ ფესვებს. მეორე ენის ცოდნა აუცილებელი გახდა ყველა სპეციალობისათვის და ეს ასახვას პოულობს საგანმანათლებლო პროგრამებში.

საგანმანათლებლო პროგრამა – აღნიშნულია საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ (2005) - არის სასწავლო კურსების ან მოდულების ერთობლიობა: მიზნები, ამოცანები, შინაარსი, ცოდნის მოცულობა და უნარ-ჩვევების ხარისხიანი შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და მეთოდური უზრუნველყოფა, რომელიც სათანადო აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლადაა გამიზნული.

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვისა და განვითარების პრობლემები 2003 წელს ბერლინში გამართული კონფერენციიდან მოყოლებული, ევროპული უნივერსიტეტების ცენტრალური საზრუნავი გახდა. საკვანძო საკითხი აღმოჩნდა ტრადიციული, აკადემიური და პროფესიული ღირებულებებისა და მოთხოვნების ურთიერთმიმართება. განსხვავებული ვარიანტებიდან უპირატესობა მიენიჭა კომპეტენციებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებს საუნივერსიტეტო განათლებისა და კვალიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისობას. (www.bologna-berlin2003.de -2003 Berlin Summit on Higher Education <http://www.bologna-berlin2003.de>) კვალიფიკაციის მოთხოვნების განსაზღვრის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ბოლონიის პროცესის ფარგლებში (რომელიც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნისათვის ევროპის უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა მიერ დაიწყო 1999 წელს ბოლონიაში, (www.mes.gov.ge/uploads/Bologna/1%20boloniis%20deklaracia.pdf www.dfes.gov.uk/bologna www.ond.vlaanderen.be) (იტალია), საქართველო შეუერთდა 2005 წელს) ბერგერის სამიტზე (2005) მიღებული „კვალიფიკაციის ევროპული ჩარჩოს“ (EQF), რომლის საფუძველზე 2008 წელს შემუშავდა „საქართველოს აკადემიური უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“. (www.ganatileba.ge)

„ენების ერთიანი სარეკომენდაციო ჩარჩო“, „კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო“, „უმაღლესი აკადემიური განათლების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“ ერთმანეთთან შესაბამისობაშია და განსაზღვრავენ საგანმანათლებლო პროგრამებით მისაღწევი სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს სხვადასხვა საფეხურის დონეზე: უმაღლესი პროფესიული განათლება, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა.

საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის შედეგები და კომპეტენციების ფორმირება ხდება მასში შემავალი სასწავლო კურსის ან მოდულის საშუალებით. ამჟამად უმაღლეს სკოლებში სასწავლო კურსებისა და მოდულების შერჩევის, ჩანაცვლების რთული პროცესია. გაჩნდა პრობლემა რის მიხედვით, რატომ, რა უპირატესობით უნდა აისახოს ესა თუ ის სასწავლო კურსი ან მოდული საგანმანათლებლო პროგრამაში.

საგანმანათლებლო პროგრამებში იმ სპეციალობებისათვის, სადაც უცხო ენა მეორე ენაა, უცხო ენის სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ ასახვის აუცილებლობას განსაზღვრავს შემდეგი **ფაქტორები**:

ყველაზე მნიშვნელოვანი უცხო ენის შესწავლისას არის სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან კომუნიკაცია. ლინგვისტური კომპეტენცია – სიტყვების ცოდნა და გრამატიკის სტრუქტურის ცოდნა – ავტომატურად არ მიგვიყვანს კულტურულ კომპეტენციებამდე. კულტურული კომპეტენციის სიმცირემ კი ნამდვილად შეიძლება წარმოქმნას გაუგებრობა, რომელიც ხშირად სამსახურებრივი საქმიანობის წარუმატებლობის მიზეზიც ხდება. უცხოური ენის შესწავლისას „კულტურათა დიალოგის“ საშუალებით ხდება უცხო ცხოვრების წესების, განსხვავებული შეხედულებების, ტრადიციების, კულტურის აღმოჩენა, გაცნობა, გამოყენება, იგი ხელს უწყობს კულტურული წიგნიერების დაუფლებას, რაც ნიშნავს წაიკითხო, მიიღო უცხო კულტურა და გააცნობიერო, რომ თითოეული ადამიანის ქცევა კულტურული თავისებურებებით არის განპირობებული.

კულტურა შედგება სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული კატეგორიისაგან: პროდუქტი (მასალა, ნაწარმი) – ლიტერატურა, ფოლკლორი, ხელოვნება, მუსიკა, ტრადიციები. იდეები – რწმენა, ღირებულებები, ინსტიტუტები. ქცევები – ჩვეულება, ადათი, სხეულის ენა (ჟესტიკულაცია), ჩაცმულობა, საკვები, თავისუფალი დრო.

„თუ ჩვენ გვინდა, რომ დავეხმაროთ სტუდენტებს რომ იყვნენ კომპეტენტური გამოყენებელნი უცხოური ენისა, თანაბარი ყურადღება უნდა დავუთმოთ სამივე კატეგორიას ენის სწავლების მთელ მანძილზე” (რ.ლოუდენი 2000:115). დროის მოთხოვნად იქცა „კულტურათა დიალოგის” შესწავლა. სხვა ქვეყნის ტრადიციების, მიმართვის ეტიკეტის არცოდნამ შეიძლება უხერხული, არასასურველი გარემო შექმნას სტუდენტებს შორის, ასევე სტუდენტებსა და ლექტორებს შორის.

საინტერესო ნაშრომები მიეძღვნა უცხოური ენის შესწავლასთან კულტურის შესწავლის პრობლემებს:

კრამისი (1993:24) მოსაზრებით ენის სწავლებისას კულტურის სწავლება ორი პერსპექტივით განიხილება. ერთს მიეკუთვნება ფაქტობრივი, კულტურული ინფორმაციის გადაცემა, რომელიც შედგება სტატისტიკური ინფორმაციისაგან, ლიტერატურასა და ხელოვნებისაგან და მეორე ინფორმაცია, რომელიც აქცენტს აკეთებს წესებსა და ჩვეულებებზე, ფოლკლორსა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ლაზარდ-კლაუსტონი (1997) აღნიშნავს, რომ წარსულში ხალხი სწავლობდა უცხო ენას, რათა ესწავლათ უცხო ლიტერატურა და ეს იყო მთავარი შუალედი კულტურისა. კითხვის საშუალებით სწავლობდნენ სტუდენტები ცივილიზაციის შესახებ, რომელიც ასოცირდებოდა სამიზნე ენასთან. ამჟამად კი სხვადასხვა კულტურის სტუდენტთა ურთიერთობა ყოველდღიური საქმიანობა აუცილებლობა გახდა, რამაც გააძლიერა უცხო ენის სწავლება/სწავლის აქცენტი კულტურათა დიალოგის მიმართულებით.

მეორე ფაქტორად მიგვაჩნია ის რომ ევროპის განვითარებული ქვეყნების სასწავლო დაწესებულებები დიდ ყურადღებას უთმობენ საზოგადოებასა და ინდივიდში მრავალენოვნების განვითარებას, ხელს უწყობენ ენის სწავლების საერთაშორისო ურთიერთობის გაღრმავებას; ცდილობენ აამაღლონ მოტივირება იმისათვის, რომ მოიზიდონ უცხოელი სტუდენტები, გათვალისწინებულია ინტერკულტურული მომზადებაც, რასაც აქტიურად იყენებენ სასწავლო და აქტიურ ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში შეიქმნა ინტერკულტურული კომპეტენციების სწავლების ამსახველი სახელმძღვანელოები, რომლებიც საქართველოშიც გამოიყენება (ქუთაისი).

დროის მოთხოვნით უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სახელმწიფო ენის უცხოელთათვის სწავლებას. მუდმივი ყურადღების ცენტრშია სახელმწიფო ენის, ასევე, უცხო ენის სწავლების

განვითარება. სასწავლო სექტორებში სტუდენტებს სხვადასხვა ქვეყნის სასწავლო დაწესებულებებიდან იწვევენ და მათ ენობრივ და კულტურულ მომზადებას უზრუნველყოფენ.

საკმაოდ გაიზარდა გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა და ლექტორთა რაოდენობაც, რასაც მოჰყვა სტუდენტთა სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში მობილობის მნიშვნელოვანი გაზრდა. მარტო აჭარის რეგიონიდან უცხოეთში სწავლობს 100-ზე მეტი სტუდენტი, რსუ-ში გადმოვიდა 40-მდე სტუდენტი, ხოლო მოკლევადიანი პროგრამებით 70 სტუდენტზე მეტი. ორივე შემთხვევაში დგება საკითხი კულტურათა დიალოგის მიმართულებით გათვალისწინებული საკითხების შესწავლისა, განსაკუთრებით იმ სპეციალობებისათვის, სადაც უცხო ენა მეორე ენაა.

მესამე ფაქტორია, „კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლის საკითხთან პლურალიზმისტური აღზრდის პედაგოგიური ამოცანის დაკავშირება. ევროსაბჭო პლურალიზმის განხილავს პედაგოგიკურ სპექტრში („საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავება“, ევროსაბჭო, 2002) და თვლის, რომ პლურალიზმისტური აღზრდა აუცილებელი მომენტია ინდივიდუალური მობილურობის პროფესიულ თუ ეკონომიკურ ასპექტში. მისი მიზანია მოქალაქეთა ცნობიერებაში საზოგადოებრივი და ეროვნული შემწყნარებლობის განვითარება. პლურალიზმისტური ცოდნა-ჩვევა აღზრდის პროცესში მოიპოვება.

პლურალიზმისტურად აღზრდის პროცესში ინდივიდი შეეხება მისთვის უცხო, განსხვავებულ ენასა თუ კულტურას, აზროვნების განსხვავებულ ფორმას, რის შედეგადაც იგი უფრო გამოკვეთილად გაიაზრებს საკუთარ ეროვნულ თუ პიროვნულ თვითმყოფადობას და განსხვავებული სამყაროსადმი კიდევ უფრო შემწყნარებელი გახდება. პლურალიზმისტური უწყვეტი განათლებით ხასიათდება. იგი პიროვნებაში მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვითარდება. ინდივიდი შეისწავლის ენებს და შეიძენს კულტურულ კომპეტენციებს სიცოცხლის სხვადასხვა საჭიროებისა და მიზნის მიხედვით.

პლურალიზმისტური განვითარება ეხმარება პიროვნებას – აღიქვას კულტურათა და ენათა მრავალფეროვნება, როგორც სიმდიდრე, გაიდგას ფესვები საკუთარ თვითმყოფადობაში, რათა არ მოჰყვეს გაერთოგაროვნების წამლექავ პროცესში, გაუქრეს შიში უცხოთა და განსხვავებულთა მიმართ.

„კულტურათა დიალოგის“ საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვის მეოთხე ფაქტორია ისეთი წინაპირობა, როგორცაა საქართველოს ზოგადი საშუალო

განათლების „უცხოური ენების სასწავლო გეგმების“ (2007) აგება „ენების ერთიანი სარეკომენდაციო ჩარჩოს“ საფუძველზე.

უცხოური ენების ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც მიზნად და ამოცანად ისახავს: მოსწავლეს ჩამოუყალიბოს სხვა კულტურის წარმომადგენელთან წარმატებული კომუნიკაციის განხორციელების, განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ტექსტების აგების, ნებისმიერი ენობრივი კულტურული თვითმყოფადობის დაფასებისა და პატივისცემის უნარი; აღზარდოს პოზიტიური დამოკიდებულება კულტურული მრავალფეროვნების გამოვლინებისადმი, აამაღლოს ინტერესი უცხო სამყაროს მიმართ, ითვალისწინებს უცხო ენის სწავლება/სწავლის რეკომენდებულ ექვსივე მიმართულებას. მათ შორის, მიმართულება „კულტურათა დიალოგი“ გათვალისწინებულია ყველა კლასში მისაღწევი სტანდარტებისა და ინდიკატორების მიხედვით.

სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად საშუალო სკოლის კურსდამთავრებული აღჭურვილია შესაბამისი ცოდნით, აქვს გარკვეული გამოცდილება უცხოური ენის სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ სფეროში, ანუ მიღწეული აქვს ენის ფლობის პირველი დონე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლის საფეხურები).

რეალურად შექმნილია სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ უმაღლესი სკოლის სასტარტო დონე. საჭიროა მიღწეული დონიდან მომდევნო დონეზე გადასვლა, რისი საფუძველია, ერთის მხრივ, საქართველოს კანონები: „ზოგადი განათლების შესახებ“ (2004) და „უმაღლესი განათლების შესახებ“ (2005), რომელთა მიხედვით საქართველოს განათლების სისტემა მოიცავს საფეხურებს. მომდევნო საფეხური მიიღწევა წინა საფეხურის გავლის შემდეგ. მეორე მხრივ საფეხურების მიხედვით განათლების შესახებ დიდაქტიკური პრინციპები: სწავლების თანმიმდევრობა, უწყვეტობა და სისტემურობა. ცოდნის მიღებისა და უნარ-ჩვევების შეთვისების პროცესი მიმდინარეობს კანონზომიერად, სისტემური წესით: თითოეული შემდგომი თეორიული ცოდნა თუ უნარ-ჩვევა გამომდინარეობს განვლილიდან, ხოლო წინანდელი განვითარებას მომდევნოში პოულობს. იქმნება ცოდნისა და უნარ-ჩვევების სისტემა, რომელშიც აისახება პირადი გამოცდილების დაკვირვების შესაძლებლობანი, რომლებიც შემდგომ განვითარებასა და გაძლიერებას საჭიროებენ (ლორთქიფანიძე, 1967; ამონაშვილი, 1988; გობრონიძე, 2000).

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ პროგრესულ განათლებაში მთავარია სწავლა გამოცდილებით, მასში ნაგულისხმევია: ა) უწყვეტობა – როცა წინა გამოცდილება ადამიანის შემდგომ ცოდნას განაპირობებს, ბ) ინტერაქცია, რომელიც აღწერს და ხსნის იმას, თუ როგორ ურთიერთქმედებს წარსული გამოცდილება აწმყო სიტუაციაზე ახალი გამოცდილების შესამუშავებლად. გამოცდილებით სწავლების შემთხვევაში ადამიანები ეჩვევიან საუკეთესო მიღწევის სწავლის შედეგების შეფასებასა და მიზნების დასახვას ახალი მასალის უკეთ გაგებისათვის. არსებულ, შეთვისებულ ცოდნას გავლენა აქვს შესაძენ ცოდნაზე. სასურველი შედეგის მიღწევის შემდეგ ხდება გადასვლა განვითარების მომდევნო ზონაში და ასე დაუსრულებელივ – ერთი ცოდნა ქმნის მეორე ცოდნას. ადამიანის ინტელექტუალური განვითარება მოიცავს მეთოდურ წინსვლას გონების მიერ შექმნილი ცოდნის გამოყენებაში. იგი დამოკიდებულია გაუმჯობესებულ ენობრივ უნარებსა და სისტემურ სწავლაზე (ლევ ვიგოტსკი (1934), ჯონ დიუი (1952), კარლ როჯერსი (1987), ჯერომ ბრუნერი (1995)).

მეხუთე ფაქტორია საბაზრო მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობა, რადგან საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელია დასაქმების სფერო. დამსაქმებლებმა დაიწყეს უნივერსიტეტებისადმი გაზრდილი მოთხოვნების წაყენება და მოითხოვეს არა მარტო უკეთ აღწერა იმისა, თუ რა იცის სტუდენტმა, არამედ იმისაც, თუ რისი გაკეთება შეეძლება მას რეალურად საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ.

ჩვენს რეგიონში დასაქმებისათვის მზაობის ხარისხის ამაღლებაში „კულტურათა დიალოგის“ წვლილის საჭიროების განსაზღვრისათვის შევისწავლეთ საბაზრო მოთხოვნები. შესწავლა განხორციელდა ინტერნეტში განთავსებული თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პირობების გაცნობით, სხვადასხვა ჯგუფთან ინტერვიუს ჩატარებით. შედეგმა ცხადყო, რომ საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებამ, საზღვაო და საბანკო საქმის გაფართოებამ, ეკონომიკაში უცხოელ ინვესტორთა ჩართვამ, უცხოელ სპეციალისტებთან პარტნიორულმა ურთიერთობებმა გაზარდა მოთხოვნა ისეთ სპეციალისტებზე, რომლებიც ენის ცოდნის გარდა ფლობენ ისეთ კომპეტენციებს, რომლებიც მიიღწევა „კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლის პროცესში. ამ მიმართულებით მიზნობრივი გადამზადებებიც

კი მიმდინარეობს. მაგალითად, საკურორტო სფეროს მუშაკთათვის ერთი წლის განმავლობაში ოთხჯერ ჩატარდა ტრენინგი.

აღსანიშნავია, რომ დასაქმების საკონკურსო პირობები საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებში თითქმის ერთნაირია ტურიზმის სფეროსა და საზღვაო საქმეში.

ამრიგად, უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვის აუცილებლობა განპირობებულია განათლების ერთიანი ევროპული სივრცის შექმნასთან დაკავშირებული რეალური ვითარებით; განათლების დიდაქტიკური პრინციპებით, საკომუნიკაციო ბაზის მოთხოვნებით. დასაქმების საბაზრო პირობებით.

უცხოური ენების სილაბუსების შესწავლა (იმ სპეციალობებზე, სადაც უცხო ენა მეორე ენაა) ცხადყოფს, რომ „კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლის საკითხები შინაარსში ზოგიერთ შემთხვევაში ზოგადად ჩართულია, მაგრამ ცალკე მიმართულებად გამოყოფილი არ არის, მაშინ, როდესაც „ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს“ მიხედვით, მას, როგორც ერთ-ერთ მიმართულებას, თავისი მიზანი, ამოცანები და მისაღწევი შედეგები აქვს.

უცხოური ენის სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვა მოითხოვს ახალი მიდგომების დანერგვას, რომელშიც იგულისხმება სწავლება/სწავლის მეთოდები (ინსტრუმენტები), ხერხები, სასწავლო პროცესის ორგანიზაციის სახეები, შეფასების ფორმები. უპირველესად, საკითხი ეხება სწავლის შედეგების, ანუ კომპეტენციათა მიღწევის მახასიათებლებისა და დონეების განსაზღვრას.

რეფორმირებული უმაღლესი სკოლის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის კურსის გავლამ, უმაღლეს სკოლაში მასწავლებლად მუშაობის პირადად გამოცდილებამ, განათლების, უცხოური ენების ფილოლოგიის სფეროში სხვადასხვა ტრენინგში, საზაფხულო სკოლაში – „ერთიანი ევროპული სამეზობლო პოლიტიკა“ – მონაწილეობამ, თარგმანის საკითხებზე მუშაობამ განაპირობა დაინტერესება „კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლის პრობლემით. განათლების დოქტორანტურაში საკვლევ თემის განსაზღვრის შემდეგ ინტერნეტში განვათავსე ინფორმაცია, სადაც მიუუთითე საკვლევ

პრობლემა, ზოგიერთ საკითხზე თეზისები და ვითხოვე ამავე პრობლემაზე მომუშავეთა გამოსმაურება. მივიღე რამდენიმე საინტერესო ინფორმაცია, სადაც ძირითადად გამოსატული იყო პრობლემის არჩევანის მოწონება, საჭიროების შემთხვევაში მთავაზობდნენ დახმარებას კონსულტაციის სახით, მიწვევდნენ კონფერენციებზე (შემოთავაზებები მივიღე ნაწილობრივ), რითაც პრობლემის აქტუალობა და მისი გადაჭრის გზების ძიების აუცილებლობა კიდევ უფრო ცხადი გახდა.

კვლევის მიზანი: უცხოური ენის, როგორც მეორე ენის, სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვის, მიზანშეწონილობის, მისაღწევი კომპეტენციების, სასწავლო პროცესის მართვის, სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და თვითშეფასების ფორმების, მეთოდების, განსაზღვრა.

კვლევის ამოცანები:

1. უცხოური ენის, როგორც მეორე ენის სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვის მიზანშეწონილობის დასაბუთება, სასწავლო ერთეულის ფორმებისა და „კულტურათა დიალოგის“ მისაღწევი კომპეტენციების განსაზღვრა.
2. „კულტურათა დიალოგის“ სასწავლო პროცესის მართვისათვის სწავლება/სწავლის ახალი მიდგომების გამოყენება, მოწინავე გამოცდილების შესწავლა, მოდელის შექმნა. სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და თვითშეფასების კრიტერიუმების, კომპონენტების ფორმების, მეთოდების, სქემების შერჩევა.
3. უმაღლეს სკოლაში „კულტურათა დიალოგის“ მასწავლებლის ინოვაციური საქმიანობის ხარისხის ამაღლებისათვის თვითეფექტურობის შეფასების მნიშვნელობის განსაზღვრა.

კვლევის ჰიპოთეზა: უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსის ან მოდულის ერთეულად ასახვა (იმ სპეციალობებისათვის, სადაც უცხო ენა მეორე ენაა) და შესაბამისი სასწავლო პროცესის დაგეგმვა, კომპეტენციათა განსაზღვრა, ცოდნის შეფასებისა და თვითშეფასების ფორმების არჩევა ხელს შეუწყობს: სტუდენტთა მიერ კვალიფიკაციის კომპეტენციების მიღწევას, დასაქმებისათვის მზაობის ხარისხის ამაღლებას, საგანმანათლებლო პროგრამებით მისაღწევი შედეგების სრულყოფას.

კვლევის მეთოდები: წყაროების ანალიზი, შედარებითი ანალიზი, დაკვირვება, გამოცდილების შესწავლა, ინტერვიუ, სტატისტიკური ცხრილების მონაცემთა დამუშავება, ინტერნეტრესურსების მოძიება და დახარისხება, გამორიცხვის მეთოდი, ანკეტური გამოკითხვა, კვლევითი ესსე, ტესტირება, მოდელირება, კვლევითი სემინარი.

კვლევაში გამოყენებულ იქნა ისეთი მეთოდი, როგორცაა: საცდელი მუშაობა, (სპეციალურად ორგანიზებული ცდა), მისი მეშვეობით მოხდა ახალი პირობების, მეთოდების, ვარაუდების, მოდელების გასინჯვა, შემოწმება.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის სტრატეგია მოიცავს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის კომპონენტებს. გათვალისწინებული იყო კვლევის პროცესში შესაძლო დადებითი ან უარყოფითი შედეგების მიღება. საჭიროების შემთხვევაში, შეირჩა სამიზნე ჯგუფები და გამოიყო კვლევის ეტაპები. კვლევის შედეგების სანდოობისათვის რესპოდენტებთან განხილულ იქნა ინტერვიუს, სტატისტიკური ცხრილების, ტესტების, შედგენილი ნიმუშებისა და ჩამონათვალის დამუშავებული ვარიანტები. კვლევის შედეგების სტანდარტიზაციის მიზნით განისაზღვრა სპეციალური სქემები, კოეფიციენტები. კვლევის მსვლელობაში ჩართული იქნა ფოკუს-ჯგუფები, რომლებიც შედგებოდა სტუდენტებისაგან, მასწავლებლებისაგან, მოსწავლეებისა და პრობლემით დაინტერესებული პირებისაგან. ვალიდობისათვის კვლევის შედეგები რეკომენდაციების შემუშავებამდე წარედგინათ შესაბამის ჯგუფებს, გათვალისწინებულ იქნა მათი შენიშვნები, წინადადებები. ინტერვიუს მეთოდის გამოყენებაში ჩართული იქნა ინტერნეტ გამოკითხვაც.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

რსუ ბიბლიოთეკა, განათლების ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, ბათუმის რესურსცენტრის ბიბლიოთეკის საგრანტო ფონდი, ვიდეოთეკა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის ქუთაისის უნივერსიტეტი, ინტერნეტ ბიბლიოთეკა, ინტერნეტსაიტები, ბათუმის №2 სკოლა, ბსუ განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ენის, მთარგმნელ-რეფერენტების, მათემატიკა-სტატისტიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალობები.

დასაცავად გამოსატანი საკითხები:

- უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებში ასახვის (იმ სპეციალობებისათვის, სადაც უცხო ენა მეორე ენაა) მიზანშეწონილობა

განპირობებულია რეალური ვითარებით, განათლების უწყვეტობის, სისტემურობის, თანმიმდევრობის დიდაქტიკური პრინციპებით, დასაქმების საბაზრო მოთხოვნებით, რასაც საფუძვლად უდევს „ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო“ (ევროსაბჭო, 2001), ბოლონის პროცესის რეკომენდაციები (2000-2010), ევროპის საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა პროექტ „თუნინგის“ შედეგები (2005), „საქართველოს უმაღლესი აკადემიური განათლების კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს“ (2008) რეკომენდაციები.

- უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ საგანმანათლებლო პროგრამებში ასახვა შესაძლებელია სასწავლო საგნის ან მოდულის სახით. იგი შეიძლება იყოს ძირითადი, დამატებითი, არჩევითი.
- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის კომპეტენციების მიღწევაში კონკრეტული წვლილის შეტანისათვის თანამედროვე მოთხოვნებისა და საჭიროებების მიხედვით, განისაზღვრა „კულტურათა დიალოგის“ ზოგადი, დარგობრივი და ორიგინალური კომპეტენციები. მათი მიღწევისათვის შერჩევით გამოიყენება სწავლება/სწავლის, ახალი მიდგომები, ფორმები, მეთოდები.
- სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და თვითშეფასებისათვის უმთავრესია სწავლის შედეგების, კომპეტენციებისა და კრედიტების დაგროვების (ECTS) ტრანსფერის სისტემის კრედიტების დაკავშირება. ამგვარი მიდგომა განაპირობებს დაცულ იქნას შეფასების პრინციპები – გამჭვირვალობა, ვალიდობა, ობიექტურობა, სანდოობა. შეფასებისა და თვითშეფასების გამოყენება ECTS სისტემის რეკომენდებული, მოწინავე გამოცდილებით და კვლევით მიღებული ფორმები.
- უმაღლეს სკოლაში „კულტურათა დიალოგის“ მასწავლებლის მიერ საინოვაციო საქმიანობის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია თვითეფექტურობის შეფასების ხარისხის ამაღლება. საამისოდ სასურველია მიზნობრივი ტრენინგების, დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების მეთოდზე დაფუძნებული საქმიანობის განხორციელება.

კვლევის მეცნიერული სიახლე: დისერტაციაში კვლევის შედეგები უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსი/მოდული „კულტურათა დიალოგი“ ასახვისათვის წარმოდგენილია სასწავლო მასალის,

სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა მიერ მიღწეული კომპეტენციების, შედეგების შეფასებისა და გამოყენების დონეზე (რა, როგორ, რისთვის).

განათლების დიდაქტიკა შეივსება უმაღლეს სკოლაში (იმ სპეციალობებისათვის, სადაც უცხო ენა მეორე ენაა) უცხოური ენის სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ მისაღწევი კომპეტენციებით, სასწავლო პროცესის მართვის, სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და თვითშეფასების, დასაქმებისათვის მზაობის ხარისხის ამაღლების ახალი მიდგომებით; საინოვაციო საქმიანობის განხორციელებისათვის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა თვითეფექტურობის ამაღლების გზებისა და საშუალებების განმსაზღვრელი მასალებით.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევის შედეგები წარმოდგენილია სასწავლო პროცესის აღწერის, ნიმუშების, მოდელების, სქემების, რეკომენდაციების სახით, რაც ზრდის სტუდენტთა და მასწავლებელთა მიერ კვლევის შედეგების გამოყენების ხარისხს.

კვლევის შედეგების პერსპექტიული გამოყენების სფეროა:

უმაღლესი სკოლის მასწავლებლების (საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსის/მოდულის წვლილის განსაზღვრა, სილაბუსის შედგენა, სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა, სტუდენტთა მიერ მიღწეული შედეგების შეფასება.)

მაგისტრანტებისა და დოქტორანტების (განათლების დიდაქტიკა და სხვა სპეციალობაში სასწავლო და სამეცნიერო სემინარების მომზადება).

კვლევის შედეგები დაეხმარება საშუალო სკოლის უცხოური ენების მასწავლებლებს, მოსწავლეთა მიერ მისაღწევი შედეგების უკეთ განსაზღვრაში.

დისერტაციის სტრუქტურა: დისერტაცია შედგება: შესავლის, სამი თავის, ცხრა პარაგრაფის, დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

დისერტაციის შინაარსი:

პირველ თავში – „უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ წვლილი საგანმანათლებლო პროგრამებით აღწერილი შედეგების მიღწევაში“ განხილულია საგანმანათლებლო პროგრამებით დასახული შედეგების მიღწევაში „კულტურათა დიალოგის“ ასახვის მიზანშეწონილობის პირობები: განხილულია ერთა და კულტურათა თანაარსებობის თანამედროვე თავისებურებები, კულტურათა ურთიერთქმედების

ფორმები, ევროსაბჭოს ლინგვისტური პრობლემების სექტორის მიერ მიღებული სახელმძღვანელო „საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავება“ (2002) აღნიშნულია, რომ კულტურათა დიალოგის მეშვეობით კულტურათა დაახლოების პროცესის მართვისა და კეთილშობილური მიზნით წარმართვაზე ზრუნვა მსოფლიო პრობლემა გახდა.

გაანალიზებულია წყაროები, რომლებიც მიუთითებენ უცხოური ენის შესწავლასთან კულტურის შესწავლის აუცილებლობასა და მისი კურიკულუმში ჩართვის საჭიროებას. მითითებულია, რომ ენის პიროვნებისა და კულტურის ურთიერთობის, ენის ცოდნის, ადამიანებთან კომუნიკაციის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი გზაა კულტურათა დიალოგი.

აღნიშნულია ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და დაცვის პრობლემები. აღწერილია რეალური მდგომარეობა, დადებითი გამოცდილება და გადასაწყვეტი პრობლემები.

წარმოდგენილია კულტურათა დიალოგის შესწავლისადმი სტუდენტთა დამოკიდებულების გასარკვევად ჩატარებული კვლევის დადებითი შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვისა და განვითარების პრობლემები განხილულია უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის შექმნასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების, მოთხოვნების, კვლევის შედეგების მიხედვით. გაანალიზებულია ახალი მიდგომების სხვადასხვა ვარიანტი. აღნიშნულია, რომ საქართველოს უმაღლესი სკოლების საგანმანათლებლო პროგრამები ძირითადად დაფუძნებულია კომპეტენციებზე, შეფასებისა და მობილობისათვის გამოიყენება ECTS სისტემა, სწავლის შედეგები შესაბამისობაშია აკადემიური ხარისხის პროფილთან, სასწავლო დატვირთვა დაბალანსებულია კრედიტებით, ინერგება ინოვაციური საქმიანობა.

კვლევით დადგენილია, რომ „კულტურათა დიალოგის“ პროგრამაში კურსის ერთეულად ასახვა სასურველია სპეციფიკურ სპეციალობებზე, სადაც ამ მიმართულებით კომპეტენციების ფლობის მაღალი ხარისხია საჭირო. ეფექტურად არის მიჩნეული „კულტურათა დიალოგის“ სასწავლო მოდულში ასახვა. იგი შეიძლება გაერთიანდეს როგორც უცხოური ენების სხვა მიმართულებებთან, ასევე კვალიფიკაციის შესაბამის სხვა საგნებთანაც.

გაანალიზებულია კომპეტენციის შემოთავაზებული ვარიანტები, კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო (2005), პროექტ „თუნინგის“ შედეგები

(უნივერსიტეტების წვლილი ბოლონის პროცესში 2009), საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (2008). აღწერილია ის ზოგადი კომპეტენციები, რომელთა მიღწევა სხვა საგანთან ერთად შესაძლებელია „კულტურათა დიალოგში“, მითითებულია მიღწევის მახასიათებლები, ნაჩვენებია კონკრეტული ნიმუშები. განსაზღვრულია „კულტურათა დიალოგის“ დარგობრივი და ორიგინალური კომპეტენციები საფესურების მიხედვით: უმაღლესი პროფესიული სკოლა, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა. ორიგინალური კომპეტენციების ჩამოყალიბებისათვის გათვალისწინებული იქნა შემდეგი ფაქტორები: კვალიფიკაციით დასაქმებისათვის მზაობის ხარისხი, კვალიფიკაციისადმი საბაზრო მოთხოვნები, კონკრეტული შესაძლებლობების ფორმირება სასწავლო კურსის/მოდულის შინაარსის მიხედვით, საგანთაშორისი კავშირი კომპეტენციის მიღწევის კომპლექსური მიდგომის განხორციელებისათვის. მითითებულია მათი მნიშვნელობა კომპეტენციებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში „კულტურათა დიალოგის“, როგორც სასწავლო კურსის/მოდულის, წვლილის განსაზღვრისათვის.

მეორე თავში – „კულტურათა დიალოგის სასწავლო პროცესის მართვა და სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შეფასება“ – უმაღლეს სკოლაში სასწავლო პროცესის მართვის პრობლემები განხილულია ტრადიციულისა და ინოვაციურის შეხამების საფუძველზე. გაანალიზებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მახასიათებლები, მეცნიერთა შეხედულებები. სწავლება/სწავლის ძირითად საფუძველად მიჩნეულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის მიერ შემოთავაზებული სწავლებისა და სწავლის ფორმები.

გაანალიზებულია ევროპის უნივერსიტეტების გამოცდილება სწავლება/სწავლის ფორმების დანერგვაში. აღწერილია ის ფორმები, რომელთაც პირადი გამოცდილების საფუძველზე პრიორიტეტი მიენიჭა (აქტიური ლექცია, ვორკშოფი, ტუტორიალი, სემინარი, სამეცნიერო სემინარი, პრაქტიკული კურსი).

მოცემულია სწავლის ფორმებისა და მეთოდების ვრცელი მიმოხილვა, გაანალიზებულია გრამატიკული და ლექსიკური სწავლა და პრაქტიკა, პრაქტიკა საუბარში, ვიდეოკონფერენციები, სპეციალური ანგარიშების შედგენა, ოპონირება, წერილობითი და ზეპირი პრეზენტაცია, სავარჯიშოების შედგენა

ვიდეოთექისათვის და სხვა. განხილულია ევროპელ სტუდენტებთან პარტნიორული ურთიერთობების განხორციელების მაგალითები.

წარმოდგენილია სასწავლო პროცესის მართვისათვის ლექციის, სემინარების მოდელები, მოდულის დაგეგმვის და სილაბუსის შედგენის ფორმების ნიმუშები.

სტუდენტთა მიერ „კულტურათა დიალოგის“ მიღწეული დონის შეფასების ფორმების, მეთოდების, სქემების შერჩევისა და გამოყენების ძირითად საფუძველად მიჩნეულია სწავლის შედეგების, კომპეტენციებისა და ECTS კრედიტების დაკავშირება. შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შერჩევის საფუძველია ევროპის უნივერსიტეტების მიერ აღიარებული შეფასების ძირითადი პრინციპები: გამჭვირვალობა, ვალიდობა, ობიექტურობა, სანდოობა, ასევე, უმთავრესია სასწავლო მიზანთან შეფასების ფორმის შესაბამისობა. აუცილებელ პირობად იქნა მიჩნეული, რომ სტუდენტისათვის ყოველთვის წინასწარ იყოს ცნობილი – რა შეფასდება, როგორ და რატომ. განხილულია უკეთესი შედეგის მიღწევისათვის სარგებლიანობის მაგალითები.

შეფასების ფორმებიდან უპირატესობა მიენიჭა განმავითარებელ შეფასებას, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს გაიუმჯობესოს მიღწეული შედეგები. აღწერილია მისი გამოყენების მაგალითები. აღნიშნულია, რომ: შეფასების მეთოდების მრავალფეროვნება სტიმულს აძლევს სტუდენტს დაეუფლოს სწავლის სხვადასხვა აქტივობას, სტრატეგიებს, შეფასებისათვის შერჩეული ფორმა უნდა იყოს კონკრეტული, გამოხატავდეს შედეგს, ქცევას, უნარს, ეფექტურია შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა სტუდენტებთან თანამშრომლობით; პოპულარობა მოიპოვა ელექტრონულმა შეფასებამ და ტესტირებამ კომპიუტერული პროგრამით.

წარმოდგენილია შეფასების მრავალფეროვანი სქემები, ფორმები, ცხრილების ნიმუშები.

განხილულია პორტფოლიოს, როგორც სტუდენტის სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევის შეფასების ფორმების გამოყენების მაგალითები. კვალიფიკაციის მიღწეული დონის დიაგნოსტიკისათვის აღწერილია სტუდენტთა თვითშეფასების ფორმები, სქემები, გაზიარებულია ჰელსინკის უნივერსიტეტის გამოცდილებიდან თვითშეფასების მატრიცის მახასიათებლები (მხოლოდ დამაკმაყოფილებელი, კარგი, შესანიშნავი, საჭიროებს გაუმჯობესებას) და გამოიყენება ისინი კვალიფიკაციის მიღწეული დონის თვითშეფასებისათვის.

მოცემულია თვითშეფასების მატრიცის გამოყენების ნაბიჯები სასწავლო პროცესთან და შედეგების შეფასებასთან მიმართებაში, რამაც განაპირობა სტუდენტის დასაქმებისათვის მზაობის ხარისხის ამაღლება. გაანალიზებულია თვითშეფასების მატრიცის გამოყენებით მიღწეული შედეგები.

მესამე თავში – „უმაღლეს სკოლაში „კულტურათა დიალოგის მასწავლებლის თვითეფექტურობის შეფასება“ თვითეფექტურობა განხილულია, როგორც ინოვაციური საქმიანობისათვის მასწავლებლებისათვის მზაობის ხარისხის განმსაზღვრელი.

ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგებით გარკვეულია, რომ უმაღლესი სკოლის მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთ საქმიანობაში ცვლილებების აუცილებლობა, ხედავენ საკუთარ როლსა და ადგილს სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომებით მუშაობაში, აქვთ მოტივაცია იყვნენ წარმატებულნი სტუდენტის, კოლეგის, ხარისხის სამსახურის შეფასებით. მიიჩნევენ, რომ ამ მიმართულებით მათ დახმარება სჭირდებათ.

თვითეფექტურობის ამაღლების მრავალ საშუალებათაგან აღწერილია ტრენინგის, დიაგნოსტიკებისა და პროგნოზირების მეთოდების გამოყენებით განხორციელებული საქმიანობა და მიღწეული შედეგები.

თავი პირველი

უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ წვლილი საგანმანათლებლო პროგრამებით აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევაში

§ 1. „კულტურათა დიალოგის“ საგანმანათლებლო პროგრამებში ასახვის მიზანშეწონილობის პრობლემა

უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვის მიზანშეწონილობას განაპირობებს გარკვეული ვითარება. განვიხილოთ ზოგიერთი:

ევროპა და ევროსაბჭოში შემავალი წევრი სახელმწიფოები მრავალენოვანია. ეს ძირითადი მახასიათებელია, რომელიც ამ სივრცეში პოლიტიკას განსაზღვრავს. საგანმანათლებლო ენობრივი პოლიტიკა საერთო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მისი ერთ-ერთი უპირველესი მიზანი ევროპულ საზოგადოებაში დემოკრატიული, მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბება გახლავთ.

ერთა და კულტურათა თანაარსებობა კაცობრიობის ისტორიაში ახალი მოვლენა არ არის, მაგრამ თანამედროვე სამყაროში ეს თანაარსებობა აქამდე არნახული სისწრაფითა და მასშტაბით ვითარდება. კიდევ ერთი რამ, რასაც არ იცნობდნენ წინა ეპოქები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებია. წარმოიქმნა საშიშროება, რომელიც ეროვნულ კულტურათა, ტრადიციათა, ცნობიერებათა თვითმყოფადობას ემუქრება: აბსტრაქტული უნივერსალიზმისა თუ მახინჯად გაგებული კოსმოპოლიტიზმის სახელით ყველას და ყველაფრის გაერთგვაროვნება; ამ საშიშროებისაგან თავდაცვამ, თავის მხრივ, მეორე საფრთხე წარმოშვა – ჩაკეტილი პატრიკულარიზმი. ორივე პოზიცია ერთ საწყისზე დგას – ესაა რაიმეს, განსხვავებულის, თვითმყოფადობის არცნობა, არადიარება.

ევროსაბჭოს ლინგვისტურ პრობლემებზე მომუშავე სექტორის მიერ 2002 წელს მიღებულ იქნა სახელმძღვანელო - „საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავება“, რომლის მიხედვით, ენობრივი მრავალსახეობა ერთმანეთისაგან

თვისობრივად განსხვავებულ ორ ფენომენს შეიცავს. ეს გახლავთ: „მულტილინგვიზმი“ და „პლურალინგვიზმი“.

მულტილინგვიზმი არის მოვლენა, როდესაც გარკვეულ გეოგრაფიულ ზონაში ერთზე მეტი სალაპარაკო ენა ან დიალექტია. ასეთ გეოგრაფიულ ზონაში მცხოვრებ მოქალაქეთა გარკვეულ ჯგუფს შეიძლება მხოლოდ ერთ ენაზე მეტყველება შეეძლოს (Crystal,1989:360).

პლურალინგვიზმი ეწოდება მოვლენას, როდესაც ადამიანებს მრავალ ენაზე ლაპარაკი შეუძლიათ. მაშასადამე, ეს არის მონოლინგვიზმის (ერთენოვნების) საწინააღმდეგო მოვლენა. პლურალინგვიზმი სხვა ენებთან ერთად მშობლიურ ენასაც მოიცავს (ევროსაბჭო, 2002).

პლურალინგვიზმი მოიაზრება, როგორც სოციალური მახასიათებელი, რასაც აუცილებლად ინდივიდამდე მიყვავართ. სოციუმი, ინდივიდთან მიმართებით, დაკავშირებულია აღზრდის მომენტთან, ანუ პედაგოგიკასთან, პედაგოგიკა სამ კატეგორიას გამოყოფს: სწავლება, განათლება და აღზრდა განვითარება. სასწავლო პროგრამით, ადამიანმა უნდა ისწავლოს ენები, მიიღოს კულტურული განათლება, აღიზარდოს, გამოუმუშავდეს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები.

მკვლევარი ტ. შავშიშვილი (2007) პლურალინგვიზმს განიხილავს, როგორც პედაგოგიურ ამოცანას რომელსაც ორი ასპექტი გააჩნია:

- ა) ინდივიდთან მიმართებით: სწავლებასა და აღზრდას ფართო გაგებით მოიცავს, რაც უშუალოდ პედაგოგიკის კვლევის საგანია;
- ბ) განათლების პოლიტიკასთან მიმართებით: ქვეყანა თავის პოლიტიკას განათლების სფეროში განახორციელებს განათლების სისტემის საშუალებით.

პლურალინგვისტური კომპეტენცია კომპლექსური ხასიათისაა. ის სხვადასხვა ცოდნა-ჩვევისა და უნარ-ჩვევის ნაკრებია და ინდივიდისაგან რამდენიმე ენის ცოდნას და ამ საშუალებით მოპოვებულ სათანადო კულტურულ გამოცდილებას მოითხოვს.

თითოეული ქვეყანა მიზნად ისახავს შეიმუშაოს და განახორციელოს იმგვარი საგანმანათლებლო ენობრივი პოლიტიკა, როგორც მისი გეოპოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობისათვის იქნება სახარბიელო. ენის სწავლება/სწავლა ადამიანში ხელს უწყობს:

- ენების შესწავლის სურვილის გაღვივებას;

- ენების დამოუკიდებლად და ქმედითად სწავლის უნარის (ენის თვითშესწავლა) განვითარებას;
- როგორც საკუთარი, ისე უცხო თვითმყოფადობის დაფასებისა და პატივისცემის უნარის განვითარებას;
- კულტურათა და ენათა მრავალფეროვნების, როგორც სიმდიდრის, აღქმას; აღმზრდელობითი მიზნის გარდა, ენის სწავლას პრაგმატული მიზანიც აქვს.

მისი ცოდნა იძლევა კომუნიკაციის საშუალებას უცხოეთის კულტურულ, სამეცნიერო-ტექნიკურ სამყაროსთან; აადვილებს საერთაშორისო ურთიერთობებს და მისაწვდომს ხდის ინფორმაციის ინტერნაციონალურ წყაროებს.

აღნიშნული პრობლემა საინტერესოა რეგიონალური თვალსაზრისით, ვინაიდან უნივერსიტეტის სტუდენტთა უმრავლესობას სწავლა, ცხოვრება და საქმიანობა უხდება პლურალიზმის ინტერნაციონალურ საზოგადოებაში.

რატომ გახდა აუცილებელი კულტურათა დიალოგის მეშვეობით კულტურათა დაახლოების პროცესის მართვასა და კეთილშობილური მიზნით წარმართვაზე ზრუნვა? დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანა ერთმანეთს დაუახლოვდა, დაუახლოვდა კულტურის თვალსაზრისითაც. მეტად საშიშია, რომ დიდი სახელმწიფოების კულტურამ თუ ფსევდოკულტურამ არ წააფაროს მცირერიცხოვანი ერები და მათი ფასეულობანი. მით უმეტეს, ხშირია მაგალითები იმისა, რომ რასაც დღეს „კულტურას“ უწოდებენ და თავს გვახვევენ, სინამდვილეში არის ყალბი კულტურა.

„კულტურა“ ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ცნებაა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე ყოფით მეტყველებაში. მას მრავალი მნიშვნელობით იხსენიებენ, რაც კულტურის სირთულითა და მრავალფეროვნებით არის განპირობებული.

ტერმინი „კულტურა“ დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის სახით პირველად გამოიყენა გერმანელმა იურისტმა და ისტორიკოსმა სამუელ პუფენდორფმა (1932-1694) იგი „კულტურას“ ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას უპირისპირებდა. (www.wikipedia.org/wiki/kultura)

ამერიკელი ანთროპოლოგების ა. კროპერისა და კ. კლაკონის მიერ გამოკვლეული იქნა კულტურის დაახლოებით 300-მდე განმარტება ნაშრომში: „Culture: A Critical Review of Concepts and Definitions“ (1952) („კულტურა: ცნებისა და განმარტების კრიტიკული მიმოხილვა“). ჩატარებული გამოკვლევების თანახმად

1871 წლიდან 1919 წლამდე „კულტურის“ ცნების შიდა განსაზღვრება იყო შემოთავაზებული, პირველი ინგლისელი მეცნიერს ე. ტაილორს (1871) ეკუთვნის: „Culture or Civilization, taken in its wide ethnographic sense, is that complex whole which includes knowledge, belief, art, morals, law, custom, and any other capabilities and habits acquired by man as a member of society“. (კულტურა, ანუ ცივილიზაცია, ფართო ეთნოგრაფიული აზრით, შედგება ცოდნის, რწმენა-წარმოდგენების, ხელოვნების, ზნეობის, კანონების, ზნე-ჩვეულებებისა და ზოგი სხვა უნარ-ჩვევებისაგან, რომელიც შექმნილია ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის მიერ) (Tylor [1871], 1891:1 www.archive.org). 1920-დან 1950 წლამდე მკვლევარებმა სხვადასხვა ავტორთან იგივე ცნების 157 განსაზღვრება დათვალეს. შემდეგ წლებში კი ამ განმარტებათა რიცხვი გაიზარდა. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა კულტურის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია: ისტორიული, სტრუქტურულ-ფუნქციური, სისტემური (ფ. ბოასი, კ. ლევი-სტროსი, ბ. მალინოვსკი, ა. რადკლიფ-ბრაუნ, ლ. უაიტი) და სხვა. (Kroeber A.L. and Clyde Kluckhohn, 1952:92 www.archive.org; http://rhetoric.sdsu.edu/lore/1_3/progress_culture.htm).

„კულტურა – საზოგადოების მიღწევათა ერთობლობაა განათლების, მეცნიერების, ხელოვნების და სულიერი ცხოვრების სხვა დარგებში. ამ მიღწევათა გამოყენების უნარი წარმოების გასაზრდელად და სხვა; რომელიმე ხალხის ან საზოგადოებრივი კლასის ასეთი მიღწევათა დონე გარკვეულ ეპოქაში“ (თელეზიშვილი, ს. 2007: 433).

კულტურა ერთიანი პროცესია და ვინც მის მაგისტრალს მოსწედება, განვითარება არ უწერია. კულტურას განეკუთვნება ყველაფერი, რაც ინტელექტუალური მოქმედების ნაყოფია. კულტურა ქმნის ცივილიზაციას –თავის გარეგნულ სახეს, საარსებო ფორმას. შესაბამისად კულტურა არის სულიერი, მატერიალური, ფიზიკური, რაც არქაულ პერიოდში ერთიან, სინკრეტულ ხასიათს ატარებდა და ფანტაზიის გავრცობამ და ინტელექტუალიზებამ დაშალა და დაანაწევრა. **სულიერი კულტურა** განიყოფა რელიგიად, ხელოვნებად, მეცნიერებად და ძირითადად არსებობს ენის ბაზაზე (ენას უკავშირდება ცნობიერების წარმოშობა, ცნობიერებას-აზროვნება, აზროვნებას-კულტურა, მისი მრავალი ფორმები). **მატერიალური კულტურა** არქიტექტურის ძეგლები, შენობა-ნაგებობები, ავეჯი, ტექნიკა და ა.შ. **ფიზიკური კულტურა** ფიზიკური მოქმედება, სპორტი, ტანვარჯიში. „კულტურა მუდმივად

განახლებადი პროცესია... კულტურა არსებობს როგორც იერარქიული სისტემა, როგორც სტრუქტურის ისე ღირებულებების თვალსაზრისით” (ს.სიგუა, 2010: 7).

„კულტურა შეიძლება შევადაროთ აისბერგს, რომელის ნაწილი ზედაპირზე კვლევასა და დაკვირვებას ექვემდებარება (სამოსი, ენა, ჩვევები) და მეორე ნაწილი, რომელიც ამოუცნობია, ბუნდოვანი (კომუნიკაციის სტილი, ფასეულობები, ნორმები, რწმენა და დამოკიდებულება” (კრამხი 1991: 217, www.spz.tu-darmstadt.de/project_enjournal/jg_01_02/beitrag/kramsch2.htm).

„კულტურა არ შეიძლება განვიხილოთ აბსტრაქტულად, როგორც სასურველი შედეგის ჯამი, როგორც მექანიზმი. მას უნდა შევხედოთ როგორც ნაზარდ მცენარეს, რომლის თითოეული, ყველაზე შორეული ფოთოლი და ტოტი ორგანულად იკვებება გულიდან მომდინარე წვენით. (სეპირი 2005:84)

ედუარდ ჰომლის (1959) განსაზღვრებით: კულტურა არის კომუნიკაცია და კომუნიკაცია არის კულტურა”, ამ განმარტებაში სიმარტივესთან ერთად სიმართლის ხედვაცაა; მეცნიერი სტაროსტა (1998) ამბობდა, რომ კულტურა არის საერთო სიმბოლოების სისტემა, რაც მართავს ინდივიდისა და ჯგუფების ქმედებებს; მკვლევარი კლერ კრამხი (1991) კულტურას განიხილავს როგორც კონცეფციას, რომელიც არის რთული ზუსტი განსაზღვრებისათვის მისი გარდაუვალი სუბიექტურობისა და ფარდობითობის გამო. მისი შეხედულებით, კულტურა ოთხი ბუნებისაა: ჰოლისტური, შესწავლით, დინამიური, ყოვლისმომცველი. როგორც ჰოლისტური სისტემა, მოიცავს რამდენიმე ქვესისტემას: რელიგიური და განათლების სისტემა. ნებისმიერი ცვლილება ქვესისტემაში გავლენას ახდენს მთლიან კულტურაზე.

კულტურა შესწავლითია. არავინ იბადება კულტურის ცოდნით, იგი ისწავლება, სწავლა კი ხორციელდება სოციალური ინტერაქციით (ურთიერთობით) რომელიმე კონკრეტული კულტურის წარმომადგენელთან. კულტურის შესწავლის პროცესი იწყება ადრეული ასაკში: მშობელთაგან, მეგობრებისაგან, მასწავლებლებისაგან.

კულტურა დინამიურია. იგი იცვლება ყოველთვის. სხვადასხვა მიზეზებს შეიძლება გამოიწვიოს კულტურული ცვლილებები. მაგალითად, სხვა კულტურის გავლენა, ახალი თაობა, ახალი გამოგონებები, აღმოჩენები.

კულტურა კრამხის განმარტებით არის ყოვლისმომცველი, რაც ნიშნავს კულტურის გავლენას ცხოვრების ყველა ასპექტზე. ის იგივეა, რაც ჰაერი, რომლითაც ვსუნთქავთ, შეიძლება ვერ ვამჩნევთ მას, მაგრამ ჩვენი ფიქრი, ქცევა

ყოველთვის ჩვენივე კულტურიდან გამომდინარეობს. კულტურა მოიცავს ყველაფერს ჩვენს საზოგადოებაში: ხელოვნება, რწმენა, ქცევები, იდეები, ცოდნა.

ადამიანური ურთიერთქმედების განსაზღვრისათვის ყალიბდება საზოგადოების ქცევის წესები, რომელიც ხშირად ტრადიციული ხდება და კულტურის ძირითად ნაწილს წარმოადგენს (კრამხი 1991: 217, http://www.spz.tu-darmstadt.de/project_enjournal/jg_01_02/beitag/kramschi2.htm).

კულტურული კვლევის ეროვნულმა ცენტრმა (2003) განსაზღვრა კულტურა, როგორც ინტეგრირებული მოდელი ადამიანის ქცევისა, რომელიც შეიცავს ფიქრებს, კომუნიკაციას, ენებს, პრაქტიკას, რწმენას, ღირებულებებს, ტრადიციებს, თავაზიანობას, რიტუალებს, ურთიერთობების მანერას, როლებს, ურთიერთობებს, რასის, ეთნიკური, რელიგიური თუ სოციალური ჯგუფის თავისებურ ქცევას და შესაძლებლობას იმისა, რომ გადაეცეს ზემოთ აღნიშნული თაობებს. (ე.პეტერსონი, ბ.კოლტრაინი 2003)

www.cal.org/resources/digest/0309peterson.html

მრავალფეროვანი განმარტებების მიუხედავად ერთიანია აზრი იმის შესახებ, რომ კულტურა არ არსებობს ცალკეულად საგნებსა და ქცევებში, ინდივიდისაგან დამოუკიდებლად. კულტურას მიეკუთვნება იდეები, რწმენა, ღირებულებები, ნორმები, ქცევები და სხვა, რომელიც ჩამოყალიბებული და გაზიარებულია გარკვეულ საზოგადოებაში.

მეცნიერთა კვლევისა და ინტერესის საგანს წარმოადგენს კულტურისა და კომუნიკაციის კავშირის პრობლემა, უცხოური ენების, განსაკუთრებით უცხოური ენის, როგორც მეორე ენის, შესწავლასთან მიმართებაში. (კრამხი 1991, ეპკარტი 2000, ზანასაულუსი 2001, სეპირი 2005).

ყურადღებას იპყრობს კვლევები კულტურულ განსხვავებათა და კულტურული მანძილის შესახებ. ცნობილია ჰოფსტედის (www.geert-hofstede.com/) ინტერკულტურული განსხვავებების მოდელი. მან შეისწავლა 40-ზე მეტი სხვადასხვა კულტურა და აღმოაჩინა კულტურული ფასეულობების გაზომვის (შეფასების) ხუთი თანმიმდევრობა: იერარქიული დისტანცია, ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი, მამრობითი/მდედრობითი, გაურკვეველობის თავიდან აშორება, ხანგრძლივი ორიენტაცია.

იერარქიულ დისტანციას ქმნის ძალაუფლებრივი, რანგობრივი განსხვავება, იგი წარმოქმნის არათანასწორობას ურთიერთობაში. გაურკვეველობის თავიდან აცილება ზომავს ხარისხს, რამდენადაა შესაძლებელი კულტურამ არ დაუშვას

ბუნდოვანი სიტუაციები, რომელიც წარმოშობს გაურკვევლობას მომავლის წინაშე.

ინდივიდუალურ/კოლექტიური აღწერს ურთიერთობას ინდივიდსა და ჯგუფს შორის. ინდივიდუალისტური კულტურა ხაზს უსვამს პირად მიღწევას, მაშინ, როდესაც კოლექტიურ კულტურაში ჯგუფური გაერთიანება, ერთიანი წესების დაცვა, არის აუცილებელი ნორმა.

მამრობითი და მდედრობითი საზომი არკვევს კულტურაში სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებს შორის ფუნქციის განაწილებას, განსხვავებას მამრობითისა და მდედრობითის ძალაუფლებებსა და უფლებებს შორის (მამრობითი – დომინანტობა, შეჯიბრებადობა, ამბიციურობა, ძალა; მდედრობითი – თანგრძობა, მგრძობიარობა, საზრდობა, ემოცია). ხშირად სხვადასხვა ქვეყნებში ფიქსირდება მკვეთრი განსხვავება კაცისა და ქალის ფასეულობებს შორის.

გაურკვევლობის თავიდან აშორების საზომი ესაა საზოგადოების ტოლერანტურობა გაურკვეველ და ორაზროვან სიტუაციაში, სხვა კულტურის წარმომადგენლის აზრების, შეხედულებებისა და რწმენისადმი ტოლერანტურობას. იგი უჩვენებს თუ რამდენად აპროგრამებს კულტურა მის წევრებს იგრძნონ თავი კომფორტულად ან არაკომფორტულად უცხო ან უჩვეულო სიტუაციაში.

ხანგრძლივი ორიენტაციასთან (მიმართულებასთან) ასოცირებული ფასეულობებია მომჭირნეობა და შეუპოვრობა, მაშინ როდესაც მისი საპირისპირო მოკლევადიანი ორიენტაცია ტრადიციებისა და საზოგადოებრივი ვალდებულებების პატივისცემასა და შესრულებას გულისხმობს.

ჰოფსტედის აღნიშნულმა შეხედულებებმა გამოიწვია კრიტიკა და უარყოფითი დამოკიდებულებები, მაგრამ მაინც შეიძლება ჩაითვალოს როგორც რაღაც საწყისი კულტურათა განსხვავებებთან მიმართებაში.

ჰალი (1976) ყოფს კულტურას ორ ძირითად კატეგორიად: დაბალი კონტექსტის და მაღალი კონტექსტის კულტურა. ამ შეხედულებაში სადაოა კულტურის დაყოფა მაღალ და დაბალ კულტურად. ერთ შემთხვევაში შეიძლება დაბალი, მეორე შემთხვევაში მაღალი, მაგრამ ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს ერთი (მაღალი) კულტურის მეორეზე (დაბალზე) ზეგავლენის გაძლიერებას. ამასთან ეს ზეგავლენა ყოველთვის როდია სასარგებლო „დაბალი“ კულტურის მიმართ, მნიშვნელოვანია ისიც, რასთან მიმართებაში ხდება დაყოფა.

კულტურათა კვლევის, მისი სახის განსაზღვრის მცდელობისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ერთი მხრივ, სხვა, ჩვენი კულტურისაგან განსხვავებული კულტურის ადამიანებთან დიალოგი თანამედროვე ცნობიერების განუყოფელი ფუნქცია გახდა და მეორე მხრივ კულტურა, ყველაზე ფართო მნიშვნელობით არის ის, რის გამოც ადამიანი უცხოდ იქცევა როგორც კი თავის სახლს დატოვებს. როცა იგი იმყოფება ჯგუფში, იმ ადამიანებს შორის, რომლებთანაც საერთო კულტურა აქვს არ უხდება ფიქრი საკუთარ აზრებსა და ქცევაზე, რადგან ის და მის ირგვლივ მყოფნი თითქმის ერთნაირად ხედავენ სამყაროს და იციან რას შეიძლება მოელოდნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ უცხო საზოგადოებაში უსუსურობის გრძნობა ეუფლებათ.

კულტურის კვლევისას განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო და არის კულტურათა ურთიერთმოქმედების პრობლემა. კულტურათა ურთიერთქმედება უშუალო კავშირურთიერთობებისა, რომელიც ყალიბდება სულ მცირე, ორ კულტურას შორის. კულტურათა ურთიერთმოქმედების შედეგია: გავლენისა და ცვლილებების წარმოშობა, ფასეულობათა, მახასიათებელთა, კულტურული აქტივობის ფორმათა შეცვლა, ახალი ორიენტირების გაჩენა. კულტურათა ურთიერთქმედება ხანგრძლივი პროცესია, არანაკლები რამდენიმე ათეული წლისა.

გამოიყოფა კულტურათა ურთიერთმოქმედების სხვადასხვა დონე: 1. ეთნიკური დონე – ურთიერთობა ეთნოსებს, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ეთნოკონფესიურ და სხვა ჯგუფებს შორის. 2. ეროვნული დონე, სადაც მარეგულირებელ ფუნქციას მნიშვნელოვანწლად სახელმწიფო-პოლიტიკური სტრუქტურები ასრულებენ. 3. ცივილიზაციური დონე.

კულტურათა ურთიერთქმედების პროცესში განარჩევენ კულტურა – დონორს (გამცემი) და კულტურა – რეციპიენტს (მიმღები). კულტურათა ურთიერთქმედება შეიძლება წარიმართოს მშვიდობიანი, ნებაყოფლობითი, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობით ან არამშვიდობიანი, ძალდატანებითი, კოლონიური, დაპყრობითი ფორმებით.

კულტურათა ურთიერთქმედების შედეგები არაერთგვაროვანია, მათი შეფასების კრიტერიუმების მოძებნა ძნელია. არსებობს უარყოფითი შედეგებიც როცა ერთი კულტურა აშკარად იწყებს დაქვეითებას, მეორეში გათქვეფას ან უკვალოდ გაქრობას. მაგალითად, არქაული კულტურა თავისი ისტორიის

გარკვეულ პერიოდში ახალი ტიპის კულტურას შეეჯახა, იგი მზად არ აღმოჩნდა დაეცვა საკუთარი კულტურა, ამასთან აეთვისებინათ, გაეზიარებინათ შემოთავაზებული კულტურული ფორმები, მოექებნათ თანამშრომლობის გზები და გაქრა.

სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით ვრცელდება აზრი იმის თაობაზე, რომ როდესაც ორი ან მეტი კულტურა ხვდება ერთმანეთს შეიძლება წარმოიქმნას ახალი კულტურა, რაც არის ყველა მოცემულის კომბინაცია. ეს მოსაზრება მოიცავს საფრთხეს ეროვნული კულტურის წაშლისა, რომლის მაგალითი სამწუხაროდ არსებობს. რთულია იმ კულტურათა ურთიერთქმედება, რომლებიც ძირეულად არ განსხვავდებიან ტიპოლოგიური მახასიათებლებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველ კულტურას აქვს შესაძლებლობა სხვა კულტურათა ინტენსიური ზემოქმედებისაგან დაცვისა, საამისოდ დიდი ძალისხმევაა საჭირო როგორც კულტურის მატარებელი ადამიანებისაგან, ასევე ხელისუფლებისაგან.

კულტურათა ურთიერთქმედების პროცესის მიმდინარეობის შედეგები ვლინდება შემდეგი ფორმებით:

კულტურული დიფუზია ანუ ორი ან მეტი საზოგადოების კულტურული მახასიათებლების სივრცეში გავრცელება და შეღწევა სხვა საზოგადოებაში. განასხვავებენ ორ მიმართულებას: 1. კულტურა დიფუზია ეთნოსებს, გარკვეული სტატუსის მქონე ინდივიდების ჯგუფებს შორის. 2. კულტურული ელემენტების გავრცელება არათანაბარი სტატუსის მქონე სუბიექტებს შორის. (მაგალითად, არისტოკრატების საუბრის სტილის გადმოღება მდაბიოთა მიერ ან ფუფუნების საგნების საყოველთაოდ გამოყენება.)

კულტურული კონფლიქტი ცალკეულ პიროვნებებს, ჯგუფებს, პიროვნებსა და საზოგადოებას, სხვადასხვა ერთობებს შორის ფასეულობრივ – ნორმატიული, ორიენტაციული, პოზიტიური დაპირისპირების კრიტიკული სტადიით ხასიათდება. კულტურული კონფლიქტის მიზეზი შეიძლება იყოს მსოფლმხედველობრივი, რელიგიურ შეხედულებათა, შეფასების პოზიციათა შეუთავსებლობა, მხარეთა სოციალური გამოცდილების განსხვავებულობა. კონფლიქტი მოიცავს წინააღმდეგობათა დაძლევის, მოლაპარაკებათა გზით მათი გადაჭრის, მტრული მოქმედებების, მხარეთა შორის ახალი კონტაქტების დამყარებისა და კომპრომისის მონახვის სტადიებს. იგი დაკავშირებულია ტოლერანტობისა და სხვა კულტურის მიმართ ინტერესის პრობლემასთან. განსაკუთრებულია

შემოქმედებითი კონფლიქტი მიმართულებებს, სკოლებს, ჯგუფებს ან ამა თუ იმ დარგის ცალკეულ წარმომადგენლებს შორის.

კულტურათა ურთიერთქმედების ასიმილაციის პროცესში ერთ-ერთი კარგავს საკუთარ იდენტურობას და შთაინთქმება მეორისაგან. კულტურული ასიმილაცია შეიძლება მიმდინარეობდეს ბუნებრივი ან ძალადობის გზით. მე-19 საუკუნის ბოლოს რ. პარკსი და ე. ბერჯეი კულტურულ ასიმილაციას ურთიერთშემდევნ და შერევის პროცესს უწოდებენ, რომლის განმავლობაში ინდივიდები ან ჯგუფები იძენენ სხვა ინდივიდების ისტორიულ შეხედულებებს, ტრადიციებს და იზიარებენ რა მათ გამოცდილებას, ჩართული აღმოჩნდებიან საერთო კულტურულ ცხოვრებაში (მაგალითად, ამერიკელი საზოგადოება განიხილებოდა უზარმაზარ „შემოქმედებით ლაბორატორიად“, სადაც სხვადასხვა კულტურული ტრადიცია ერთმანეთს ერევა და „გადაიდნობა“ სინთეზურ მთლიანობად.) ეს შეხედულებები მკაცრად გააკრიტიკეს, თუმცა სამწუხაროდ, მომხრეებიც აღმოუჩნდნენ. XX საუკუნეში ჯ. ვანდერ ზანდემმა განასხვავა ცალმხრივი ასიმილაცია როცა უმცირესობის კულტურა მთლიანად გამოიდევნა დომინირებადი კულტურის მიერ ან კულტურათა შერევა, როცა ისინი ქმნიან მდგრად კომბინაციებს და საფუძველს უყრიან ახალ კულტურას. მ. გორდონმა დაამკვიდრა ასიმილაციის ხარისხობრივი განხილვის ტრადიცია. მიიჩნია, რომ სრული ასიმილაციის შემთხვევები იშვიათია, უმეტესწილ ადგილი აქვს უმცირესობის კულტურის ტრანსფორმაციას დომინირებადი ეთნიკური კულტურის ზეგავლენით. არც ისე იშვიათია უმცირესობის კულტურის უკუზეგავლენაც.

მე-20 საუკუნის შუა წლებიდან სამეცნიერო ლიტერატურაში ჩნდება კულტურათა ურთიერთქმედების ისეთი ფორმა, როგორცაა **„კულტურული შოკი“**. ტერმინი პირველად კალერვო ობერგმა შემოიტანა 1960 წელს და აღწერა იგი, როგორც დაძაბულობის, დაურწმუნებლობისა და შფოთვის შეგრძნება, რომელსაც ადამიანები განიცდიან ახალ და უჩვეულო კულტურულ გარემოში აღმოჩენისას (www.anthropologymatters.com Journal 2007, vol 9 (1) Cultural shock: negotiating in the field by Rachel Irwin). ეს არის სიტუაცია, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ადამიანისათვის ჩვეული და უცხო კულტურული ფასეულობები, ნორმები, ენა და ყოველდღური ყოფითი ცხოვრება. (ტურისტები, ემიგრანტები, სასწავლებლად წასული ადამიანები და ა.შ.)

კ. ობერგი (1960) განასხვავებს ადამიანების უცხო გარემოში ყოფნის დონეებს: თაფლობის დონე (the honeymoon stage), დარდის და მწუხარების დონე (the distress stage), რეინტეგრაციის დონე (the re-integration stage), ავტონომიის დონე (the autonomy stage) და დამოუკიდებლობის დონე (the independence stage). (თუმცა ზოგი კვლევაში გვხვდება სამი ან ოთხი დონე). იგი გამოყოფს კულტურული შოკის დაძლევის ოთხ შესაძებლობას:

1. გეტოიზაცია (მოსულები უკავშირდებიან ერთმანეთს და აყალიბებენ იზოლირებულ გაერთიანებას, რომელთა ფარგლებში ინახავენ ტრადიციებს, ყოფაქცევის მოდელებს).
2. ასიმილაცია (მოსულები ცდილობენ მთლიანად შეეგუონ ახალს, შეითვისონ მისი ნორმები, ფასეულობები. მთლიანად უარყოფენ იმ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც დატოვეს).
3. ურთიერთქმედება (საკუთარი და ახალი კულტურის ელემენტების გაერთიანების მცდელობა სწრაფვა ორივე კულტურის შეთვისებისათვის).
4. კოლონიზაცია (მოსულები იწყებენ საკუთარი ქცევის მოდელების დანერგვას, ცდილობენ დაუპირისპირონ ისინი დამხვედრი კულტურისათვის დამახასიათებელ ტრადიციებს).

შეიძლება აღინიშნოს, რომ არც თუ იშვიათად კულტურული შოკის გავლენის დაძლევის მცდელობა ხელს უწყობს კულტურათა ურთიერთქმედებას, ურთიერთგამდიდრებას, ტრადიციული კულტურის დაცვას (მაგალითად, უცხო ქვეყანაში ეროვნული სათვისტომოების გაერთიანება).

კულტურათა ურთიერთქმედების ფორმების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ისეთი ფორმების აღნიშვნას, როგორიცაა „აკულტურაცია“ - ესაა კულტურების ურთიერთშედწევადობა, იწვევს ერთი ხალხის მიერ მეორე ხალხის კულტურის სრულ ან ნაწილობრივ აღქმას მათი ურთიერთობის პროცესში (თეზელიშვილი, 2007:44). ტერმინი „აკულტურაცია“ გამოიყენება, როგორც პროცესის, ასევე მისი შედეგების აღსანიშნავად. ეს ტერმინი პირველად ამერიკულ ანთროპოლოგიაში გაჩნდა (ფ.ბაოსი, უ. ჰომლსი, უ. მაკ-ჯი, რ. ლოუი) და აღნიშნავდა კულტურული ცვლილების პროცესს, რომელის შუა საუკუნეებში ჩრდილოამერიკულ ტომებში მიმდინარეობდა. პირველ ხანებში იგი ვიწრო გაგებით გამოიყენებოდა და უმთავრესად, თეთრკანიან ამერიკელებთან კონტაქტის შედეგად ჩრდილოამერიკელების ასიმილაციის პროცესს აღნიშნავდა. 1930-იან წლებში აკულტურაციის პროცესი ემპირიული გამოკვლევებისა და

თეორიული ანალიზის უმთავრესი თემა გახდა. 1935 წელს აშშ სოციალური გამოკვლევების ეროვნულმა საბჭომ ჩამოაყალიბა სპეციალური კომიტეტი (მ. ჰერსოვიცი, რ.ლინტონი, რ. რედფილი), რომელმაც განსაზღვრა აკულტურაციის პროცესის ბუნება და შედეგები. ამჟამადაც ხორციელდება სამთავრობო პროგრამები და არსებობს ორგანიზაციები, რომელთა მიზანი აკულტურაციის მეცნიერული შესწავლაა. იგი აღნიშნავს ერთი კულტურის მიერ სხვა კულტურის ელემენტების შეთვისებას, მატერიალური კულტურის, წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების ცვლილებათა პროცესს, რომელიც სხვადასხვა სოციოკულტურული სისტემების უშუალო კონტაქტის დროს მიმდინარეობს. უფრო ხშირად აკულტურაციაში გულისხმობენ არაინდუსტრიულ ერთობებში დასავლური საზოგადოების გავლენით მიმდინარე ცვლილებებს.

ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა და შედეგები ცალკე განხილვის თემაა, ავლნიშნავთ მხოლოდ რომ მართვადი კულტურული ცვლილებები ნაკლებად ითვალისწინებდა ინდიელთა ტომების კულტურის შენარჩუნებაზე ზრუნვას. თუმცა ბოლო წლებში სიძველისადმი ინტერესი გაიზარდა.

აკულტურათა ურთიერთქმედების მნიშვნელოვანი ფორმაა **„აკულტურული ცვლილებები“**. იგი გულისხმობს კულტურული ცვლილების მუდმივ პროცესს, რასაც განაპირობებენ შინაგანი ფაქტორები: დემოგრაფიული ცვლილებები, სოციალურ-სტრუქტურული ცვლილებები, ეკონომიკური ფაქტორები, აღმოჩენები და გამოგონებები, რელიგიური ფაქტორები, კონტაქტი სხვა კულტურის მატარებელ ადამიანებთან, ბუნებრივ-ეკოლოგიური ფაქტორები, დაპყრობა, სამხედრო პოლიტიკური ბატონობა, მშვიდობიანი მეზობლობა, სავაჭრო, ეკონომიკური კავშირები.

აკულტურათა ცვლილებების ტემპის, სტაბილურობის საკითხების შესწავლისას აღნიშნულია, ერთი მხრივ, სოციოკულტურულ მთლიანობათა დამახასიათებელი ტენდენცია – შეინარჩუნონ შინაგანი წონასწორობა, მეორე მხრივ ცვლილებათა გარდაუვალობა, რომელსაც განაპირობებს უკონტროლო სოციალური და ბუნებრივი ფაქტორების ზეგავლენა (რ. რადკლიფ-ბრაუნი 1881). ყველა კულტურას ახასიათებს ცვლილებების შინაგანი ტენდენცია. გამოიყოფა კულტურები, რომლებიც სწრაფად ცვალებადი არიან ან ხასიათდებიან ტრადიციული კულტურის მდგრადობის მაღალი ხარისხით (კ.ლევი-სტროსი 1958).

კულტურათა ურთიერთობის პრობლემები ფართო და ვრცელი თემაა, ჩვენ მხოლოდ მცირე მიმოხილვა წარმოვადგინეთ იმის ნათელსაყოფად, რომ ეს საკითხი აქტუალური იყო ყოველთვის და მისდამი ინტერესი გაიზარდა გლობალიზაციის ყოვლისმომცველ პეროდში. განსაკუთრებით მწვავედ წარმოჩინდა ეროვნული კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნების აუცილებლობა. საძებნელია გზები და საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს უცხო კულტურასთან ურთიერთობას ისე, რომ შენარჩუნებული იქნეს საკუთარი კულტურა. ადამიანი არ მოსწყდეს წინაპართა ფესვებს და ამასთან არ ჩამორჩეს დროის მოთხოვნას, იპოვოს თავისი ადგილი ურთიერთობათა ვრცელ სივრცეში.

ენის, პიროვნებისა და კულტურის ურთიერთობის ხელშემწყობი ერთ-ერთი გზაა უცხო ენის სწავლება/სწავლის მიმართულება „კულტურათა დიალოგია“.

უცხო ენის შემსწავლელთათვის კულტურის სწავლების როლი და მნიშვნელობა, როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სკოლის საფეხურის ბევრი მასწავლებლის და მეცნიერის საზრუნავი გახდა.

აქვე უნდა აღინიშნოს აზრთა სხვადასხვაობის შესახებ, განსაკუთრებით სადავო და გადასამოწმებელი გახდა საკითხი თუ რამდენად ითვლება ენის სწავლების შემაჯავებელ ნაწილად კულტურის სწავლება. საინტერესოა ბრუკის კვლევები, რომელშიც დასაბუთებულია კულტურის მნიშვნელობა ენის სწავლებისათვის. მის შრომაში „ენა და ენის სწავლება“ (1960) გვთავაზობს 64 თემას, რომელიც მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა: მისაღმება, პირადი საკუთრება, ვერბალური ტაბუ, კაფე-ბარები, განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, ზრდილობის ფორმები, სიტბოსა და სიცივის გამომჟღავნება, მედიცინა, ქცევის წესები, ცხოვრების სტილი.

ენას არ შეუძლია იარსებოს ვაკუუმში, უცხო ენის დაუფლება ნიშნავს გაიზიარო სხვა კულტურა, შეაფასო სწორი და მცდარი. დურანტის (1987: 28-29) აზრით კულტურათა დიალოგი საშუალებას იძლევა თეორიული ცოდნას დაუმატოს პროცედურული ცოდნა, რათა ადამიანი გაუმკლავდეს ისეთ ამოცანებს, როგორცაა ოფიციალური, ფორმალური მოხსენებების გაკეთება, ტელეფონზე საუბარი, რისიმე თხოვნა, წერილის დაწერა და სხვადასხვა საქმიანობა.

ლინგვისტები და ანთროპოლოგები დიდი ხანია აღიარებენ, რომ ენის ფორმები და მათი გამოყენება ასახავს იმ საზოგადოების ღირებულებებს, რომელ ენაზეც ეს საზოგადოება საუბრობს. ჰაიმსმა (1972) განსაზღვრა

კომუნიკაციური კომპეტენცია – იცოდე ენა და შეძლო ეს ცოდნა გამოიყენო ადამიანებთან კომუნიკაციისათვის სხვადასხვა სიტუაციაში. 1996 წელს გამოიცა კრებული (ეროვნული სტანდარტები უცხოენის საგანმანათლებლო პროექტში, 1996:27). სადაც განხილულია კულტურის ჩართვის მნიშვნელობა მეორე ენის სწავლებაში და გვთავაზობს სტრატეგიებს როგორ ჩაისვას კულტურის საკითხები სასკოლო სწავლებაში. მიჩნეულია, რომ სასარგებლოა კულტურული თავისებურებების ჩართვა განხილვებისა და დისკუსიების სახით ლინგვისტურ ფორმებთან ერთად, რათა ლინგვისტურად სწორი ფორმა, კულტურულად შესაბამისი იყოს. მაგალითად, პირის ნაცვალსახელების სწავლებისას მასწავლებელი დაეხმაროს სტუდენტებს გაიგონ სოციალურად შესაფერისი კომუნიკაციის არჩევა, მიმართვა რომელიც პატივისცემას გამოხატავს. მაგალითად ინგლისურ ენაში ქართულისაგან განსხვავებით არ არის ფორმალური განსხვავება შენ/თქვენ ფორმებს შორის. მთლიანი სპექტრი ამ მიმართვის მნიშვნელობისა გამოიხატება ნაცვალსახელით “you”. ფორმა “thou”, რომელიც შეესაბამებოდა პირის ნაცვალსახელს – „შენ“-ს გამოვიდა ხმარებიდან XVII საუკუნეში, და შენარჩუნდა მხოლოდ პოეზიასა და ბიბლიაში. ყველა სხვა რეგისტრი ურთიერთობისა ოფიციალურიდან ფემილიარულამდე გადმოიცემა ენის სხვა საშუალებებით – ინტონაციით, კონტექსტით, შესაბამისი სიტყვებითა და სიტყვათწყობით. შენ/თქვენ ფორმები მკვეთრად უსვამს ხაზს ასაკობრივ, იერარქიულ, რანგობრივ განსხვავებას რაც ინგლისურ ენაში კონტექსტუალურად და სხვა ფაქტორებიდან ვლინდება თარგმანის დროს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისურ ენაში გვაქვს მხოლოდ მეორე პირის ნაცვალსახელი – you. მაშინ როდესაც არსებობს ქართულად- თქვენ და შენ, ფრანგულად- vous და tu, გერმანულად- sie და du, რუსულად- вы და ты , იტალიურად- lei და tu ფორმები. არადიფერენცირებული ნაცვალსახელით მიმართვა ინგლისურში ”you” არ ქმნის ინგლისურენოვან მოსაუბრეთა შორის ერთმანეთის თანასწორად აღქმის აუცილებლობას. ნაცვალსახელის არჩევანი თავისთავად გვაძლევს ინფორმაციას მოსაუბრის დამოკიდებულების შესახებ ადრესანტთან. ამ სოციალურად განსაზღვრულ კონტექსტში სადაც ინდივიდები ხაზს უსვამენ განსხვავებას სოციალურ სტატუსს შორის, იერარქიულ დონეს, ასაკობრივ საკითხს. კულტურული თვალსაზრისით კარგი მაგალითს გვათავაზობს ჯორჯ იული (2000): ძლევა მოსილი და სოციალურად მაღალ საფეხურზე მდგომი ინდივიდი მიმართავს მასზე სოციალურად დაბალ

საფეხურზე მყოფ ადამიანს “შენ” ფორმით და მას პასუხად “თქვენობით” მიმართავენ ასაკის მიუხედავად. ვხვდებით განსხვავებას ესპანურ კულტურაში, როდესაც ახალგაზრდა, სოციალურად მაღალ საფეხურზე მყოფი, საქმიანი ქალბატონი ესაუბრება მოხუც დამლაგებელ ქალს (დაბალი სოციალური სტატუსის მქონე) მიმართავს მას თქვენობით “Usted” და იგი მას პასუხად მიმართავს შენ ფორმით- “tu”. ესპანური კულტურისათვის უფრო მნიშვნელოვანი ასაკობრივი ბარიერია, ვიდრე სოციალური თუ ეკონომიკური (იული 2000:11).

ადამიანი მაშინ ეუფლება ენას კარგად, როდესაც იგი სწავლობს ორივეს, ენის ლინგვისტურ და კულტურულ ნორმებს. ერთ-ერთ სტრატეგიად მიჩნეულია, რომ ენის შემსწავლელ პიროვნებას შეექმნას პირობები დააკვირდეს და გამოიკვლიოს კულტურული ურთიერთობანი საკუთარი ხედვით, რათა მიეცეს საშუალება, რომ მოიძიოს საკუთარი ხმა მეორე ენის სამეტყველო საზოგადოებაში. საინტერესოა რ. ციციშვილის, ნ. ნიჟარაძის, მ.დარჩიას, მ.თევზაიას, ე.წავაშვილის ნაშრომი: “Becoming an English Teacher: Theory and Practice of Teaching English in Georgia”. ნაშრომში აღნიშნულია, რომ პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი უცხო ენის შესწავლისას არის სხვა ეროვნების ადამიანებთან კომუნიკაციის საჭიროება და შესაძლებლობა. კულტურის ყველა ელემენტის სწავლა რთულია, მაგრამ აუცილებელია პიროვნებამ შესძლოს გამოავლინოს გაგება სხვა კულტურის ადამიანისადმი, განავითარონ ინფორმაციის ინტერპრეტირების უნარი სხვა ენაზე საუბრის კონტექსტში და საკუთარ ტრადიციულ კულტურასთან შედარებისათვის.

მნიშვნელოვანი ყურადღების ქვეშ მოექცა ისეთი პრობლემა, როგორცაა ინტერკულტურული სწავლება, რომელიც აკავშირებს კულტურის სწავლებას ენის სწავლებასთან და განიხილავს მას, როგორც ინტეგრირებულს. ენის სწავლის პროცესში ერთმანეთთან არის დაკავშირებული ენა, კულტურა და სწავლა. ინტერკულტურული ენის სწავლება მოითხოვს სტუდენტებისაგან სწავლება/სწავლაში აისახოს სამიზნე ენის კულტურულად მნიშვნელოვანი დამოკიდებულებანი და ქცევები, მათი დაკავშირება, შედარება საკუთარ კულტურასთან.

ინტერკულტურული სწავლება საშუალებას იძლევა გაიგო საკუთარი ენა და კულტურა მეორე ენასა და კულტურასთან მიმართებაში, ეხმარება ისეთი სტრატეგიების განვითარებას, როგორცაა ანალიზის გაკეთება, კავშირი საკუთარ და მეორე ენასთან სხვადასხვა პრობლემებთან მიმართებაში.

განაპირობებს სამიზნე ენის სწავლების ხარისხის ამაღლებას და მის გამოყენებას ენის სწავლების სხვადასხვა დონეზე. ენისა და კულტურის სწავლება/სწავლისათვის მნიშვნელოვანია, რომ კულტურული კომპონენტი ისწავლებოდეს სამიზნე ენის საფუძველზე. ეფექტურად მივიჩნევთ რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს სტუდენტის უშუალო ჩართულობით და არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებით. საინტერესოდ მიგვაჩნია ლექციის ისეთი მოდელი, როგორცაა სტუდენტთა ორ ჯგუფად დაყოფა, საკუთარ და სამიზნე კულტურაზე ინფორმაციის მოძიება, დახარისხება, პრეზენტაცია და შეჯამება.

ინტერკულტურული სწავლებისას გათვალისწინებულია კულტურის დინამიურობა, ცვალებადობა, მრავალმხრივობა, ხალხის მიერ შექმნილი სოციალური გარემო, მათი კომუნიკაცია სხვა ადამიანებთან. მნიშვნელოვანია კულტურის სწავლება ქმედებითა და გაგებით. ენისა და კულტურის სწავლებისათვის აუცილებელია ჩართვა ლინგვისტურ და არაღნგვისტურ კულტურულ აქტვობებში, ცხოვრების წესში ჩაღრმავება, კონკრეტული კულტურული კონტექსტის შესწავლა.

ინტერკულტურული სწავლებისას მთავარია არა ინფორმაციის ცოდნა სხვა კულტურის შესახებ, არამედ იმისი ცოდნა, როგორ ჩაერთო ამ კულტურაში საჭიროების შემთხვევაში, როგორ წარმართო საუბარი და საქმიანობა კულტურულ კონტექსტში. ინტერკულტურული სწავლება/სწავლის პრაქტიკაში გამოყენებას განიხილავს ნაშრომი „ინტერკულტურული სწავლება/სწავლა პრაქტიკაში“ (ჩანთალ კროზეტი www.docin.com/p-96463557.html). მასში აღნიშნულია, რომ ენის სწავლების არსებულ პრაქტიკას ავსებენ განსხვავებული ინტერკულტურული პერსპექტივით, რაც გულისხმობს ენის სწავლებასთან ერთად კულტურის სწავლებას. ამასთან ენაში ჩადებული კულტურული კოდის, კულტურული ნორმების, დაკავშირება ენის გამოყენებასთან, ეს კი განაპირობებს კულტურათა დიალოგის შედეგიანად და სასარგებლოდ წარმართვას. ინტერკულტურული სწავლება/სწავლა ფოკუსირებულია ენისა და კულტურის ღრმა კავშირზე და ეს კავშირი წარმოქმნის სიახლეს. ინტერკულტურული ენის სწავლება და სწავლა წარმოდგენილია ოთხი მთავარი აქტივობის ჩართვით:

- განსხვავების ამოცნობა C2/L2 და C1/L1
- განსხვავებების შედარება C2/L2 და C1/L1
- ინტეგრირება და ასახვა ამ განსხვავებებზე

- ინტერაქცია ახალი სწავლის ბაზაზე

(C1= მშობლიური კულტურა, C2= სამიზნე კულტურა, L1=მშობლიური ენა, L2= სამიზნე ენა). www.docin.com/p-96463557.html.

აღნიშნული აქტივობების გათვალისწინება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, იგი არის ერთგვარი შემავსებელი ენის სწავლების პროცესში. ასევე მნიშვნელოვანია თუ რა მასალა იქნება გამოყენებული, როგორც ბაზა სალექციო აქტივობებისა.

უცხო ენის სწავლისას კულტურის სწავლების მნიშვნელობაზე მიუთითებს დიმიტრიოს ზანასაულუსი (2001)radicalpedagogy.icaap.org/content/issue3_3/7-thanasoulas.html იგი აღნიშნავს, რომ უცხო ენის სწავლება შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან: გრამატიკული კომპონენტი, კომუნიკაციური კომპონენტი, ენის ცოდნა, დამოკიდებულება, როგორც საკუთარი ასევე სხვა კულტურის მიმართ. მისი შეხედულებით კულტურული კომპეტენცია იგივეა, რაც კონვენციების ცოდნა, წეს-ჩვეულებების, რწმენისა და სხვა ქვეყნის მნიშვნელოვანი სისტემების ცოდნა, რაც უდაოდ განუყოფელი ნაწილია უცხო ენის სწავლებისას. მეცნიერის დაკვირვებით ბევრი მასწავლებელი თავის მიზნად თვლის, რომ ჩართოს კულტურის სწავლება ენის სწავლების კურიკულუმში. რითაც კომუნიკაციური კომპეტენცია გამდიდრდება და მისი გამოყენების ხარისხი ამაღლდება.

ყურადღებას იპყრობს ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული ნაშრომი უცხო ენის “Theory and Practice of Teaching English in Georgia”(2008), სადაც განხილულია სწავლება/სწავლის პრობლემებთან დაკავშირებით კულტურათა შესწავლის აუცილებლობა, კულტურის ცოდნისა და კომუნიკაციური კომპეტენციების მიღწევის მნიშვნელობა.

„კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლის მიზანშეწონილობის პრობლემის განხილვისას აქტუალური ხდება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და დაცვის საკითხი. კულტურათა დიალოგის პროცესში ერთ-ერთი ძირითადი საკითხია უცხო და საკუთარ კულტურას შორის განსხვავებებისა და საერთოს შედარება და ანალიზი.

ამასთან მიმართებაში დავინტერესდით რამდენადაა ასახული მშობლიური ენის სწავლებაში საკუთარი კულტურა, ჩვევები, ტრადიციები, ღირებულებები, ზნეობრივი ფასეულობები. ცალკე ეს საკითხი არ ისწავლება, იგი განფენილია ნაწარმოებებში, შესასწავლ მასალებში და ძირითადად მასწავლებლის პედაგოგიურ ოსტატობაზეა მინდობილი როგორც და რა მიზნით გამოიყენებს მას.

ეს პრობლემა დასაფიქრებელია, რადგან „როცა ჩვენი თანამემამულენი თავის მცირეწლოვან შვილებს უცხოეთში სასწავლებლად გზავნიან, ძალიან სახიფათოა, როცა ადამიანი სულიერებაში, ეროვნულ კულტურაში განმტკიცებული ჯერ არ არის და სრულიად უცხო კულტურის მქონე ქვეყანაში მიდის. მით უფრო რომ იქ ძალიან ოფიციალური ურთიერთობებია ადამიანებს შორის, რასაც ჩვენ ქართველებში ჩვეული არ ვართ” (უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე 2010).

საკუთარი კულტურის შესწავლა ადრეული ასაკიდანვე იწყება მშობლების, ახლობლების, ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მეშვეობით და გრძელდება მთელი სიცოცხლის მანძილზე. მაგრამ, ვფიქრობთ, ახლა ამ მიმართულებით ყურადღების გაძლიერება დროის მოთხოვნაა, რათა ინფორმაციის მოზღვავებულ ნაკადში, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მოჭარბების პირობებში უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოიკვეთოს ეროვნული კულტურის ტრადიციები და მახასიათებლები. მაგალითად, კულტურათა განსხვავებების უპირველეს მაიდენტიფიცირებელად შეიძლება ჩავთვალოთ მისაღმება. ყველაზე მთავარი კომუნიკაციის დროს და ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში მისაღმებაა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში მკვეთრად განსხვავებულია და ქვეყნისათვის დამახასიათებელი დიდი კულტურული დატვირთვა აქვს. ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კულტურული განსხვავების ცოდნას საქმიანი ურთიერთობების წარმოებისას. საინტერესო და განსხვავებულია საზოგადოებაში ქცევისა და სუფრასთან მირთმევის ეტიკეტი, დისტანცია მოსაუბრეთა შორის, ნათესაური ურთიერთობები თუ ერთმანეთზე ზრუნვა.

სტუმართმოყვარეობა ქართველი კაცის ეროვნული კულტურაა. სტუმარი დაპატიჟებული თუ დაუპატიჟებელი დიდი პატივისცემით სარგებლობს, საუკეთესო კერძებით უმასპინძლებიან თუნდაც მასპინძელი მშიერი დარჩეს. ქართული სტუმართმოყვარეობა ყოველთვის ხიბლავდა აქ მცხოვრებ სხვა ეროვნების ადამიანებს და მათ გაითავისეს კიდევ. საქართველოში მცხოვრები ბერძენი ქალი იხსენებდა: (საქართველოს საპატრიარქოს უწყებანი, 2010 №23), ერთხელ მან მოინახულა თავისი ნათესავები უცხოეთში. სადილის დროს ნათესავი სტუმრებია იმ ოჯახს. სუფრა სავსე იყო მრავალფეროვანი კერძებით, მაგრამ სტუმარი არ მიიწვიეს, დერეფანში დასვეს, დაგველოდოსო. თანაც

უკმაყოფილონი დარჩნენ, რატომ მოვიდა უდროო დროს, მას აქ არავინ ელოდებოდაო.

მაგალითად, მიცვალებულის დატირება, დაკრძალვა და ქელები საქართველოს ყველა კუთხეში გლოვასთან ერთად პატივისცემის, სიყვარულის, თანაგრძნობის, მადლიერების გამოხატულებაა, როგორც მიცვალებულის, ასევე ჭირისუფლის მიმართ. დატირების სულისშემძვრელი ხალხური პოეზია და ეპიტაფიები შემოინახა საუკუნეებმა. ქართველი კაცის ეს ტრადიცია თაობებიდან გადმოიცა და დღემდე შეუბღალავად ინახება.

აღნიშვნის ღირსია ასევე ის ფაქტი, რომ სრულწლოვანების შემდეგ უმრავლეს ევროპულ ქვეყნებში ახალგაზრდები აუცილებლად ოჯახს ტოვებენ და დამოუკიდებლად იწყებენ ცხოვრებას. მას შეიძლება საკმაოდ უჭირდეს ფინანსურად, მაშინ როდესაც მისი ოჯახი შეძლებულია და მხოლოდ მშობლების ან ახლო ნათესავების გარდაცვალების შემდეგ მიიღებენ ან არ მიიღებენ ანდერძით ქონებას. ხოლო თუ კი შვილი არ მიდის დამოუკიდებლად საცხოვრებლად ეს ირონიას და დაცინვას იწვევს, რაც სხვადასხვა ფილმში თუ ლიტერატურაშია აღწერილი.

სანტერესოა კულტურათმორისი განსხვავება ამერიკელებსა და იტალიელებს შორის. ამერიკელები მიჩნეულია ისეთ ხალხად, რომლებიც მუდამ მუშაობენ, საუბრობენ ბიზნესსზე ლანჩის დროს და მიირთმევენ ყავას ქუჩაში მანქანით თუ ფეხით სიარულის დროს, იმის ნაცვლად, რომ ისიამოვნონ ყავით ბარში. ეს არ ნიშნავს იმას რომ იტალიელები ზარმაცები არიან, არამედ ხაზს უსვამს ფაქტს თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იტალიელი ხალხი ისეთ ყოფით საკითხს, როგორცაა, ლანჩი ან სადილობა. იტალიაში სადაც ურთიერთობა ძალზედ ფასობს ლანჩს, სადილს თუ უბრალოდ ყავის სმას აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა: ხალხი ერთად იყრის თავს რათა ისაუბრონ და დაახლოვდნენ. აშშ-ში, სადაც დრო ნამდვილად ფულია, ლანჩი შეიძლება იყოს კარგი შემთხვევა გარიგებისათვის, პრობლემის გადაწყვეტაზე მსჯელობისათვის და კონტრაქტზე ხელის მოსაწერად. (www.Culturocity.com)

გამჭოლი მზერა იაპონიაში უპატივცემულობის გამომხატველია. საქართველოში კი პირიქით, საუბრის დროს თუ არ უყურებ ადამიანს ეს უჩვენებს მას რომ თქვენ არ გამოხატავთ ინტერესს მისი მონაყოლის მიმართ.

ზოგი კულტურის ელემენტი არ შეიძლება მიღებული და გაზიარებული იყოს, მაგრამ ისეთი ჩვეულებები, როგორცაა, მაგალითად, გერმანიაში

წესრიგისა და დროის მიზნობრივი გამოყენება, ბრიტანეთში რიგში დგომის ეტიკეტი (იგულისხმება დისტანცია რიგში დგომის დროს, და რიგის დაცვა), ნამდვილად გასაზიარებელია.

საინტერესო ნაშრომს გვთავაზობს რსუს პროფესორი ირინე გოშხეთელიანი თავის ნაშრომში “Cultural Implications in English and Georgian Proverbs”, 2011. იგი აღნიშნავს, რომ შინაარსობრივად მსგავსი აზრისა და სიბრძნის გამომხატველი ანდაზები შეიძლება დატვირთული იყოს ამათუ იმ ქვეყნისათვის დამახასიათებელი კოლორიტული ერთეულებით. მაგალითად: “Between the devil and deep sea” ქართულად- „ორ ზღვას შუა”, “Jack of all trades and master of none” , “Beware of Greeks bearing gifts”, “მტერი მოყვრულად მოსული მტერზე უარესიაო” და მრავალი სხვა. (გოშხეთელიანი, 2011:283)

ვფიქრობთ, დადგა დრო, რომ უცხოეთში სასწავლებლად ან დროებით სამუშაოდ წამსვლელებმა სპეციალური მომზადება გაიარონ ეროვნული კულტურის განმტკიცების, თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. ეს საჭირობოროტო საკითხი განსაკუთრებული კვლევის საგანია.

ზოგიერთი იმასაც ფიქრობს, რომ იქნებ როგორღაც განერიდოს გლობალიზაციის, ანუ გამთლიანების პროცესს, გამოწვეულს ტექნიკური და მეცნიერული პროგრესით. ეს შეუძლებელია. ვერც ერთი ქვეყანა თავს ვერ აარიდებს ამ პროცესს, ოღონდ გვმართებს გონიერება, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, ჩვენი ეროვნული ტრადიციები, ენა და სარწმუნოება უნდა დავიცვათ” (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, 2004).

ადამიანებმა ბავშვობიდანვე უნდა გაეცნოს თავის კულტურა და მსოფლიო კულტურა, მიიღოს სხვებისგან ისეთი რამ, რაც სასარგებლოა მისთვისაც და მისი სამშობლოსთვისაც ანუ გაამდიდრებს მის კულტურას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია კულტურათა დიალოგის ადრეულ ასაკშივე შესწავლა. კულტურათა დიალოგის სწავლება/სწავლის აუცილებლობის საკითხებს მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. საყურადღებოა (კრამხი, 1993; 1996; მაკეი, 2003; პულგალნის, 2003; სეპირი, 1962; ზანასოულასი, 2001).

როგორც აღვნიშნეთ, ევროპის განვითარებული ქვეყნების სასწავლო დაწესებულებები დიდ ყურადღებას უთმობენ საზოგადოებასა და ინდივიდში მრავალენოვნების განვითარებას. ეს სასწავლებლები მოიძიებენ საუკეთესო კადრებს უცხოურ ენასა და ლიტერატურაში; ამარაგებენ მათ საჭირო

ინფრასტრუქტურით; ხელს უწყობენ უცხოური ენების სწავლების სექტორებს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში.

ენების სწავლება/სწავლა განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია თითქმის ყველა კვალიფიკაციისათვის.

სასწავლო პროცესზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ „კულტურათა დიალოგი“ მნიშვნელოვნად აძლიერებს პიროვნებათშორის ურთიერთობებს. იგი საშუალებას აძლევს სტუდენტებს ისაუბრონ საკუთარ თავზე, გამოავლინონ თავიანთი პიროვნების სხვადასხვა მხარე – იქნება ეს განცდები, გატაცებები, გემოვნება, შეხედულებები, ოცნებები, საყვარელი საქმიანობა, საყვარელი პერსონაჟები, ცხოვრებისეული ისტორიები, თვალსაზრისები თუ სხვა; ისინი ეცნობიან თანაკურსელთა თუ უცხოენოვან თანატოლთა სულიერ სამყაროს და ამ გზით განიცდიან საკუთარი და სხვისი ინდივიდუალობის განუმეორებლობას, სწავლობენ სხვათა დაფასებას, ერთმანეთის მოსმენას, ურთიერთგაგებას, ურთიერთთანადგომას, რაც ხელს უწყობს გახდნენ უფრო შემწყნარებელნი ერთმანეთისა და სხვების მიმართ, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება, გამოთქვან შეფასებები, გაავლონ პარალელები საკუთარ კულტურულ გამოცდილებებსა თუ გარემოსთან. სხვადასხვა აქტივობები უღრმავებს მათ კულტურული კუთვნილების განცდას, კულტურულ მრავალფეროვნების გაცნობიერებას, ასწავლის საკუთარი და უცხო კულტურის დაფასებას.

სხვა ერისადმი პატივისცემის, მათთან ისტორიული და კულტურული ურთიერთობების კარგი ტრადიციაა საქართველოში. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

ოცდაათი წლის წინ დაწყებული პარტნიორული ურთიერთობა გერმანელ კოლეგებთან დღემდე გრძელდება თბილისის მე-18 სკოლაში. აქ მოღვაწეობენ გერმანიიდან მიწვეული პედაგოგები. გამორჩეული მოსწავლეები ცოდნას განიმტკიცებენ გერმანიის სასწავლო დაწესებულებებში.

იტალიური სკოლა „ცისკარი“ იუნესკოს ასოცირებული სკოლაა. იგი აქტიურადაა ჩაბმული იუნესკოს ეგიდით განხორციელებულ ღონისძიებებში, ფლობს საერთაშორისო სერტიფიკატს. სკოლა ახორციელებს გაცვლით პროგრამებს

იტალიასთან. ხშირად ტარდება საქართველო-იტალიის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების ამსახველი ღონისძიებები. სკოლას საქართველოში იტალიური კულტურის კერა უწოდა იტალიის ელჩმა საქართველოში ვ. სანდალიმ.

ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში ინტეგრირებისათვის საინტერესო ფორმაა უნივერსიტეტისა და სკოლის პარტნიორობა. მაგალითისათვის დავასახელებთ ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის გერმანული ენის დეპარტამენტსა და ტყიბულის რაიონის სოფელ კურსების საშუალო სკოლის თანამშრომლობას.

თბილისის გოეთეს ინსტიტუტი ათი წელია თანამშრომლობს საქართველოს სკოლებთან. აწვობს საინტერესო ღონისძიებებს. ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით რამდენიმე სკოლა ფუნქციონირებს საქართველოში, მათ შორის, ფრანგულენოვანი სკოლა ბათუმში.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის საელჩოს მიერ პროფესიონალ მასწავლებლებს შეექმნათ პირობები საფრანგეთში კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. საინტერესო საქმიანობას ახორციელებს თბილისის მარი ბროსეს სახელობის ფრანგული სკოლა. აღნიშნულ ღონისძიებებში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა ხელს უწყობს კულტურათა შორის დიალოგის აქტიურ წარმართვას, კულტურული ურთიერთობების განვითარებას, დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა სხვა ქვეყნის კულტურის მიმართ ინტერესის სტიმულირებაზე, მოტივაციის გაღრმავებაზე; მოსწავლეები ეცნობიან უცხო თანატოლთა ცხოვრების საინტერესო მასალებს.

აღამიანთა შორის ურთიერთობები, სხვადასხვა ერის ურთიერთპატივისცემა, მათი ისტორიული კანონზომიერებით შეკავშირება თანამედროვე მსოფლიოსათვის სულ უფრო ფასეული ხდება. ინფორმაციული ტექნოლოგიები, მობილური კავშირგაბმულობა, ინტერნეტქსელი და სხვა სიახლე აქტიურად ვითარდება, თუმცა მათ ცოცხალი ურთიერთობების, მოსმენის, თანამოსაუბრის გაგების მნიშვნელობის შეცვლა არ შეუძლიათ. ამ მიმართულებით საინტერესო ერთობლივი პროექტი განხორციელდა ასოციაცია „უკრაინა -საქართველოს“ პატრონაჟით. ორივე ქვეყნის მოსწავლეები სატელეკომუნიკაციო პროექტებზე ხანგრძლივად მუშაობდნენ მათემატიკაში, ისტორიაში, მსოფლიო კულტურაში. მათ ახალი ცოდნის

დაგროვებასთან ერთად, ადამიანთშორის ურთიერთობებიც შეისწავლეს, და გადაწყვიტეს გასცდნოდნენ ვირტუალობის - ინტერნეტის ფარგლებს და ერთმანეთს შეხვედროდნენ რელურად. შეხვედრა უკრაინაში შედგა. ბავშვები გაეცნენ უკრაინულ კულტურას, ტრადიციებს. თვალსაჩინო იყო მათი ინტერესი სხვისი ტრადიციებისადმი, მძაფრი იყო შეგრძნება საკუთარი ოჯახური და ეროვნული მემკვიდრეობით მიღებული ტრადიციებისა და მორალური საგანძურის გაერთხილებისა, პატივისცემისა, დაცვისა.

წარმოდგენილი მასალების ანალიზით (მასალები ამოკრეფილია გაზეთ „ახალი განათლების 2007-2009 წლის ნომრებიდან), „კულტურათა დიალოგი“ აისახება სასკოლო საქმიანობაში. საჭიროა მისი გავრცობა და გაძლიერება.

უმაღლეს სკოლაში განსხვავებულ კულტურათა გაცნობის გამოცდილების არე მნიშვნელოვნად მატულობს. იზრდება სტუდენტთა და ლექტორთა გაცვლით და მიზნობრივ პროგრამებში მონაწილეობა რაოდენობა. ფართოვდება უცხოენოვანი უმაღლესი სასწავლებლის ქსელი, მნიშვნელოვანია სამეცნიერო კონფერენციებში უცხოელთა მონაწილეობა, საზაფხულო სკოლების ფუნქციონირება და სხვა.

აღვნიშნავთ, რომ მარტო 2010 წელს რსუ-ში ჩატარებულ კონფერენციებში მონაწილეობდა 40-ზე მეტი უცხოელი (კონფ. „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“, 2010, „ბოლონიის პროცესი, ევროპული სამეზობლო პოლიტიკა,“ 2010 და სხვა), ხოლო საზაფხულო სკოლას წარმართავდა ათამდე უცხოელი სპეციალისტი. სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეებსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობის არსებული ტრადიცია მნიშვნელოვანი ინტელექტუალური მონაპოვარია, რომლის შემდგომი განვითარება ხელშეწყობას საჭიროებს.

როგორც აღვნიშნეთ, „კულტურათა დიალოგის“, როგორც სასწავლო კურსის/მოდულის, სასტარტო დონეა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოქმედი ახალი სასწავლო გეგმები, რომლებიც ამავე სახელწოდების ცალკე მიმართულებად შეისწავლება.

ევროსაბჭომ 2001 წელს მიიღო „ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო“, რომელშიც უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულებიდან ერთ-ერთი „კულტურათა დიალოგია“. ეს მიმართულება მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მათთვის, ვისთვისაც უცხო ენა მეორე ენაა.

აღნიშნული რეკომენდაციებით ხელმძღვანელობენ ევროპის უნივერსიტეტები, რაც განაპირობებს, რომ სასწავლო კურსმა/მოდულმა – „კულტურათა დიალოგმა“ ხელი შეუწეოს მობილობას და ხარისხის ამაღლებას ევროპული განზომილების თვალსაზრისით.

დასაქმების საბაზრო მოთხოვნები იზრდება ისეთ სპეციალობებზე, რომლებიც უცხო ენასთან ერთად ფლობენ იმ კომპეტენციებს, რომელთა ჩამოყალიბება შესაძლებელია „კულტურათა დიალოგის“ მეშვეობით (საზღვაო, საბანკო საქმე, ტურიზმის სფერო, ავიაციის, სარკინიგზო მიმოსვლის ქსელი, კერძო ბიზნესი, უცხოური საწარმოები). სტუდენტთა დამოკიდებულების გასარკვევად, ჩავატარეთ კვლევა.

მიზანი: უცხოური ენის სწავლება/სწავლის მიმართულების – „კულტურათა დიალოგის“ მიმართ იმ სპეციალობის სტუდენტთა დამოკიდებულების შესწავლა, რომელთათვის უცხო ენა მეორე ენაა.

კვლევის სამიზნე ჯგუფი: რსუ I და II კურსის 102 სტუდენტი. მათ შორის 31 სხვა უნივერსიტეტიდან გადმოსული სტუდენტი (მათთვის შედგა ცალკე ჯგუფი).

კვლევის მეთოდი: ტესტირება, გამორიცხვის მეთოდი.

კვლევის მეთოდოლოგია: ვალიდობისათვის ტესტი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიმუშავეს საშუალო სკოლის, უმაღლესი სკოლის მასწავლებლებმა და ავტორმა. გამორიცხვის მეთოდით შეჯერდა ტესტის საბოლოო ვარიანტი. წარმოვადგინეთ კვლევის შედეგებს:

ტესტი №1

სასწავლო ტექსტში ასახულ სხვა ერის კულტურულ, საყოფაცხოვრებო ამბებს

აკვირდებით		ამოიცინობთ		ეცნობით ინტერესით	
დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
62%	38%	25%	75%	61%	39%

ტესტი №2

ადარებთ ერთმანეთს უცხოურ და მშობლიურ გარემოს (დღესასწაულები, ზნე-ჩვეულებები, ქალაქის ისტორია, პიროვნებები და სხვა)

გაინტერესებთ		გაქვთ რესურსების გამოყენების საშუალება	
დიახ	არა	დიახ	არა
72%	28%	22%	78%

ტესტი №3

კულტურულ თავისებურებებზე მსჯელობისას

გამოთქვამთ საკუთარ აზრს კორექტულად		ამბობთ, რაც თავში მოგდით		მსჯელობისათვის პირობები გაქვთ	
დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
58	42	48	52	36	64

ტესტი №4

აკვირდები ანალიზზე განსხვავებულ სოციალურ გარემოში მიღებული ქცევის წესებს		ამოიცნობ სხვა კულტურისათვის დამახასიათებელ ეტიკეტს		მიგანჩინათ საჭიროდ ფლობდეთ უცხო სოციოკულტურული გარემოსათვის დამახასიათებელი თავისებურებების შესახებ კომპეტენციას		გაქვთ სათანადო სასწავლო რესურსი	
დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
67%	33%	28%	62%	31%	69%	14%	86%

ტესტების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო ტექსტში ასახული სხვა ერის კულტურულ, საყოფაცხოვრებო ამბებს უმეტესობა – 62% აკვირდება, ინტერესით ეცნობა დაახლოებით ამდენივე – 61%, ამოცნობა შეუძლია მხოლოდ 25%. უცხოური და მშობლიური გარემოს შედარება აინტერესებს 72%. საამისოდ რესურსების გამოყენების საშუალება არა აქვს 78%. კულტურულ თავისებურებებზე მსჯელობისას საკუთარი აზრის კორექტულად გამოთქმის მომხრეა 58%. ამბობს, რაც თავში მოუვა – 48%, მსჯელობისას პირობები არა აქვს - 64%.

ამრიგად, „კულტურათა დიალოგის” მიმართ სტუდენტთა დამოკიდებულება დადებითია. აქვთ სურვილი იმსჯელონ, შეადარონ, გაიცნონ, დააკვირდნენ, ამოიცნონ კულტურათა დიალოგთან დაკავშირებული პრობლემები, საკითხები, დაეუფლონ საჭირო კომპეტენციას, რაც ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების, ეპოქის ახალი მოთხოვნების, დასაქმების, საბაზრო საჭიროებებისა და მეცნიერთა შეხედულებების გათვალისწინებასთან ერთად მნიშვნელოვანი პირობაა საგანმანათლებლო პროგრამაში „კულტურათა დიალოგის” ასახვისათვის. „კულტურათა დიალოგის” რეალურ შესაძლებლობებს იძლევა საქართველოში ფართოდ გავრცელებული წესი უცხო ენის მასწავლებელთა მოწვევა უცხოეთიდან. ინგლისიდან საქართველოში ჩამოსული

ინგლისური ენის მასწავლებელი ნებით თუ უნებლიედ, ქართველ ბავშვებს გარკვეულ წარმოდგენას აძლევს ინგლისური კულტურისა და ტრადიციების შესახებ.

§ 2. უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვის ფორმები

საგანმანათლებლო პროგრამების პრობლემა ვრცელი და დამოუკიდებელი კვლევის საგანია. ჩვენი მიზანია გავეცნოთ უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებს ძირითად მოთხოვნებს, რათა უკეთ განვსაზღვროთ – თუ რა ფორმით და როგორ აისახოს მასში „კულტურათა დიალოგი“.

როგორც მოგეხსენებათ, საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს კურსის ერთეული, რომელიც არის სწავლების დამოუკიდებელი ფორმა. მასში ნათლად და ზუსტად არის ასახული კომპეტენციის სახით აღწერილი სწავლის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები. კურსის ერთეულებს შეიძლება ჰქონდეთ კრედიტების განსხვავებული რაოდენობა, ECTS სისტემით რეკომენდებულია, რომ ერთეულებს ჰქონდეთ ერთნაირი ან ჯერადი კრედიტები. პრაქტიკისათვის განკუთვნილი კურსის ერთეულებიც წარმოადგენენ პროგრამის შემადგენელ ნაწილებს.

პრაქტიკაში ტერმინი „კურსი“ ხშირად გამოიყენება პროგრამის ან კურსის ერთეულის სინონიმად. „პროგრამა“ აღნიშნავს მთლიან საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც სრულდება ხარისხის მინიჭებით, ხოლო „კურსის ერთეული“ აღნიშნავს პროგრამაში ასახული სწავლების უფრო მცირე ერთეულს.

პროგრამის შემადგენელი ნაწილია აგრეთვე მოდული. ECTS-ის განმარტებით, მოდული განსაზღვრულია, როგორც კურსის ერთეული ისეთ

სისტემაში, სადაც კურსის თითოეული ერთეული განისაზღვრება კრედიტების ერთი და იმავე რაოდენობით ან მისი ჯერადით.

საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ (თავი II) განსაზღვრავს, რომ „მოდული არის სწავლების დამოუკიდებელი, თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირი და თანმიმდევრობა.“

სასწავლო კურსის და მოდულის სწავლის შედეგები განსაზღვრავენ საგანმანათლებლო პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს.

„სწავლის შედეგები“ არის საგანმანათლებლო პროგრამაში ასახული განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ყველა ერთეული ერთმანეთთან ერთი ან რამდენიმე გზითაა დაკავშირებული. ეს ეხება არა მარტო სასწავლო კურსს ან მოდულებს, რომლებიც შეადგენენ პროგრამის ძირითად ბირთვს, არამედ ასევე დამატებით და არჩევით კურსებს. არჩევითი კურსის ერთეულები ან მოდულები წინასწარ განსაზღვრული სიით შედის საგანმანათლებლო პროგრამაში, საიდანაც არჩევა ხდება სტუდენტთა მიერ. არჩევისათვის დეპარტამენტებს შეუძლიათ გარკვეული პირობების განსაზღვრა. არსებობს აბსოლუტურად თავისუფალი კურსის ერთეულები, რომელთაც დამატებით კურსებს უწოდებენ. მათი არჩევა ხდება სტუდენტის სურვილით. კარგად დაგეგმილ პროგრამაში დამატებითმა და არჩევითმა კურსებმა უნდა გააძლიეროს საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი.

მოდულის/კურსის ერთეულის დატვირთვა ემყარება სტუდენტის სასწავლო აქტივობებს, რის მეშვეობითაც სტუდენტი სწავლის დასახულ შედეგებს მიაღწევს. დატვირთვა იზომება დროის ერთეულში (სამუშაო საათებში), მაგალითად, 5 – კრედიტიანი მოდული საშუალო სტუდენტის შემთხვევაში ნიშნავს 125-150 – საათიან მუშაობას.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, სარგებლიანობის და განხორციელებისათვის ევროპის, მათ შორის, საქართველოს უმაღლესი სკოლებისათვის მისაღები აღმოჩნდა ევროპაში საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობისათვის განხორციელებული პროექტის - „თუნინგის“ (2005) მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც ისახავს

იდეას, რომ უნივერსიტეტებმა ბრმად კი არ მიიღონ სიახლე, არამედ მოარგონ ის თავიანთ შესაძლებლობებს. „თუნინგის“ მეშვეობით უნივერსიტეტებმა მხარი დაუჭირეს ევროპულ ინიციატივას და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნით წარმოქმნილ ახალ გამოწვევებსა და ახალ შესაძლებლობებს ეგვექტიანი, სისტემური და კოორდინირებული თანამშრომლობით უპასუხეს. ამჟამად „თუნინგის“ პროექტის შედეგები ორ წიგნად არის გამოცემული და აღიარებულია 27 ევროპული ქვეყნის 135 ცნობილი უნივერსიტეტის მიერ. მათ შორისაა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიც, სადაც ბოლონის პროცესის ფარგლებში 2010 წელს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია.

„თუნინგის“ შედეგების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხისათვის ფუძემდებელია **შემდეგი პრინციპები (თუნინგი 2005: 288):**

მნიშვნელობა – სტუდენტზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სისტემაში პროგრამის მთავარ ღირებულებას სტუდენტისა და საზოგადოებისათვის მისი მნიშვნელობა წარმოადგენს. პროგრამა უნდა ეყრდნობოდეს აკადემიურ, პროფესიულ და სოციალურ განვითარებას, ინტელექტუალურ მონაპოვარს, დასაქმებას, პროფილის განსაზღვრას და ევროპულ გარემოში მოქალაქეობას.

თავსებადობა და შესადარობა – ეს არის ერთი და იგივე რეკომენდაციების, მეთოდების, მეთოდოლოგიის, კომპეტენციების შემოქმედებითად გამოყენება, რომელსაც გეთავაზობს განათლების ერთიანი ევროპული სივრცის შექმნისათვის მიღებული დოკუმენტები. შეფასების თავსებადობასა და შესადარობისათვის გამოიყენება ECTS სისტემა.

ტრანსპარენტულობა - გულისხმობს ECTS კრედიტებისა და დიპლომის დანართის, ასევე სხვა მეთოდების გამოყენებას. იგი დაკავშირებულია მკაფიო დეფინიციებთან, რაც გასაგები უნდა იყოს სტუდენტისათვის, დამსაქმებლისა და სხვა დაინტერესებული პირისათვის.

მობილობა და ტრანსნაციონალური განათლება – მობილობა ზრდის განათლების ხარისხს ევროპული განზომილების თვალსაზრისით, და ევროპის შრომის ბაზარზე დასაქმების საშუალებას. ტრანსნაციონალურ განათლებას შეუძლია უნივერსიტეტების დაკავშირება ხარისხის გაუმჯობესების საერთო მექანიზმის შექმნის მიზნით. მობილობის ხარისხიანი სისტემა უზრუნველყოფს სწავლის პერიოდებისა და აკადემიური ხარისხების ურთიერთაღიარებას.

მიმზიდველობა – ერთი ქვეყნის საგანმანათლებლო პროგრამის მიმზიდველობას სხვა ქვეყნისათვის განაპირობებს განათლების გარანტირებული ხარისხი: კომპეტენციების სწავლება, სწავლა, შეფასების ერთიანი სისტემა, ინდიკატორების გამოყენება.

საინტერესოდ მიგვაჩნია პროგრამების შემუშავების, გადამუშავებისა და განვითარების მიდგომები, რომლებიც განსაზღვრულია **დარგობრივი სფეროს დონისათვის:**

- სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრადიციის წარმომადგენელი აკადემიური პერსონალის გამოცდილების გამოყენება;
- პროფესიული სტრუქტურებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა დაინტერესება, სოციალური მნიშვნელობისა და ადეკვატურობის შესახებ დიალოგის ხელშეწყობა;
- დარგობრივ სფეროებში განვითარების ტენდენციებზე ფოკუსირება და ამით დარგობრივი სტანდარტების განვითარების ხელშეწყობა;
- კურსებისა და პროგრამების შესაბამისობა პროფესიებთან, საერთაშორისო კონტექსტში - აკადემიურ და პროფესიულ პროფილებთან;
- ხარისხის შესახებ საერთო შეხედულებების გაცნობიერება დარგობრივი სფეროს ფარგლებში და იმავდროულად, განსხვავებული მიდგომების აღიარება;
- სწავლის, სწავლებასა და შეფასების შედარება დარგის მოთხოვნებთან. სხვადასხვა დონეზე საერთო სტანდარტების განვითარებისათვის ურთიერთგაგების ხელშეწყობა;
- ევროპულ და ადგილობრივ ბაზარზე დასაქმების სიტუაციის შესწავლა, მრავალფეროვნებისა და ინოვაციების საკითხებზე აქცენტრირებით;
- საფესურების (დონეების) მახასიათებლების შემუშავებაში მონაწილეობა და ამით კვალიფიკაციების ევროპული და ეროვნული ჩარჩოს განხორციელებისათვის ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მონიტორინგისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით საინტერესო გამოცდილება დაგროვდა ევროპის უნივერსიტეტებში. ამ მიმართულებით საყურადღებოა გრონინგენის (ნიდერლანდები) უნივერსიტეტის გამოცდილება. **ახალი საბაკალავრო და**

სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.
გასაზიარებლად მიგვაჩნია შემდეგი ასპექტები:

პროგრამის დიზაინი

- **აკადემიური ხარისხის პროფილი** (ახალი პროგრამის შემუშავების საჭიროება და პოტენციალი);
- **სწავლის შედეგები** (სწავლის შედეგების შესაბამისობა პროფილთან და მისი აღიარების გარანტიები);
- **კომპეტენციები** (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განსაზღვრა, მათი გაზომვის შესაძლებლობა, კომპეტენციების სწავლებისა და სწავლის უზრუნველყოფა);
- **დონე** (სტუდენტთა დონის შესაბამისობა სწავლის საჭიროებასთან, დონეების აღწერა კომპეტენციების, ცოდნის გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით, პრაქტიკაში გამოყენება, უწყვეტი განათლების ფორმები);
- **კრედიტები და სასწავლო დატვირთვა** (ECTS სისტემის მახასიათებლების გამოყენება, აღიარების პროცედურების დაცვაზე პასუხისმგებლობა);
- **რესურსები** (პროგრამის უზრუნველყოფა აკადემიური და დამხმარე პერსონალით, ფინანსური და ტექნიკური რესურსებით);

პროგრამის მოწოდება, შენახვა, შეფასება

- **მონიტორინგი** (პროგრამის პერსონალის ხარისხის, საგანმანათლებლო გარემოს, სტუდენტთა დონის, დასაქმების მონიტორინგი);
- **განახლება** (საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების პროგრამაში ასახვა, განახლებისა და შემოწმების სისტემის შექმნა);
- **მდგრადობა და პასუხისმგებლობა** (პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფა და მასზე პასუხისმგებელი სტრუქტურების განსაზღვრა);
- **ორგანიზაცია და ინფორმაცია** (ინფორმაციის განახლების, სტუდენტთა მხარდაჭერის უზრუნველყოფა, დიპლომის გაცემის წესების შემუშავება).

საგანმანათლებლო პროგრამის **დეპარტამენტის დონეზე** შემუშავებისა და გადამუშავების მნიშვნელოვანი გამოცდილება დააგროვა კომპრას უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტმა, რომელიც პროგრამის შემუშავების, გადამუშავებისა და შეფასებისათვის გვთავაზობს შემდეგ ელემენტებს:

- **საგანმანათლებლო პროცესი**

აკადემიური ხარისხის პროფილის მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები შესაბამისობაშია აკადემიური ხარისხისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;

- **სწავლის შედეგები და კომპეტენციები** – სწავლის შედეგების ასახვა პროგრამის პროფილის ფორმატში (ცოდნა, გაცნობიერება, უნარები);
- **პროგრამის ცალკეული კომპონენტის სწავლის შედეგები და კომპეტენციები** – სწავლის შედეგების აღწერა საგნის/მოდულის სილაბუსში, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მისაღწევი დონის განსაზღვრა;
- **პროგრამის სტრუქტურა და ცალკეული კომპონენტების თანმიმდევრობა.** პროგრამის კოჰერენტულობა (კავშირი) მის სხვადასხვა ფაზასა და სხვადასხვა კომპონენტს შორის;
- **სასწავლო დატვირთვის განაწილება** – კარგად დაბალანსებული სასწავლო დატვირთვა მის ყველა კომპონენტზეა გადანაწილებული როგორც სემესტრების, ასევე აკადემიური წლების მიხედვით;
- **პროგრამის დაძლევის შესაძლებლობა** – პროგრამის ორგანიზება ისე, რომ მისი დაძლევა, ანუ განსაზღვრულ დროში პროგრამის მიზნების მიღწევა შესაძლებელია საშუალო სტუდენტისათვის. იგულისხმება სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების კარგი კომბინაცია, პროგრამის კომპონენტების თავსებადობა და აკადემიური პერსონალის მხრიდან საკმარისი ყურადღება;
- **სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები** – შეირჩევა სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევის მიზნით, რაც აისახება სილაბუსში;
- **კავშირი სასკოლო ზოგად განათლებასთან** – პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა სასტარტო დონეს. პირველი საფეხურისათვის გასათვალისწინებელია კავშირი ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო პროგრამასთან. მეორე საფეხურის პროგრამებისათვის – პირველი საფეხურის პროგრამასთან;
- **საერთაშორისო თანამშრომლობა** – უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა. ერთობლივი აკადემიური

პროგრამებისა და სტუდენტთა მობილობის ფორმები. სხვა უნივერსიტეტებში სტუდენტთა სწავლის პერიოდის აღიარება. განათლების შედეგი:

- **სტუდენტთა რაოდენობა.**
- **პირველი და მეორე საფეხურის შედეგები.**
- **დასაქმება** (კურსდამთავრებულთა მიერ კვალიფიკაციისა და პროფილის შესაბამისი სამსახურის დაწყება სწავლის დასრულების შემდეგ ადრეულ პერიოდში). პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემო (რესურსები).
- **სტრუქტურული და ტექნიკური რესურსები.**
- **პერსონალი და მატერიალური რესურსები** – პროგრამის განხორციელებისათვის საკმარისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი პერსონალით და საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა.
- **სტუდენტთა მხარდაჭერა.** სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისი სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემის შექმნა.

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, გადამუშავებისა და გაუმჯობესების გამოცდილების აღნიშნული მაგალითები გაზიარებულია ევროპის უნივერსიტეტების მიერ „თუნინგის“ პროექტის შედეგების მეშვეობით (<http://tuning.unideusto.org/tuning>).

ინტერნეტში განთავსებული საქართველოს უმაღლესი სკოლების საგანმანათლებლო პროგრამები, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად დაფუძნებულია კომპეტენციებზე, შეფასებისა და მობილობისათვის გამოიყენება ECTS სისტემა, სწავლის შედეგები შესაბამისობაშია აკადემიური ხარისხის პროფილთან, სასწავლო დატვირთვა დაბალანსებულია კრედიტებით, ინერგება სწავლის, სწავლებისა და შეფასების ინოვაციური მეთოდები.

სასწავლო კურსთან ერთად ეფექტურია „კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლა მოდულის სახით. მოდულში შეიძლება გაერთიანდეს როგორც უცხოური ენის სხვადასხვა მიმართულება, ასევე კვალიფიკაციის შესაბამისი სხვა საგანიც.

პროგრამაში მოდულებს განესაზღვრება კრედიტების ფიქსირებული რაოდენობა, 5 ან მისი ჯერადი კრედიტი. შესაძლებელია სხვადასხვა

პროგრამის სტუდენტების მიერ ერთი და იგივე მოდულების გამოყენება არჩევის გზით.

მოდულში გაერთიანებული საგნები შეირჩევა საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით. მოდულს აქვს ერთი მიზანი და მისაღწევი შედეგი, რომლის მიხედვით მოდულში შემავალი თითოეული საგანი განსაზღვრავს თავის წილ მიზანს და მისაღწევ შედეგს. შეფასების დროსაც გამოიყენება ერთიანი ფორმა, საერთოა შეფასების ნიშანიც.

მოდულის გამოყენებასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია:

- კვალიფიკაციის პროფილი, რომელიც განსაზღვრავს მოდულის ადგილს პროგრამაში და მოდულით გასათვალისწინებელ კომპეტენციებს.
- სტუდენტთა მომზადების დონე და ნებისმიერი წინაპირობა.
- მოდულის სწავლის შედეგები.
- აქტივობები, რომლებიც შეესაბამება მისაღწევი სწავლის შედეგებს.
- შეფასების ფორმები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენენ მიღწეულ შედეგებს.
- სტუდენტთა დატვირთვის დრო, რომელიც საჭიროა სასურველი სწავლის შედეგების მიღწევისა და აქტივობების შესრულებისათვის.

გასაზიარებლად მივიჩნიეთ „თუნიგის“ პროექტში (თუნიგი 2005:180) გამოცდილებით შემუშავებული ორი ფორმა. პირველი განკუთვნილია მასწავლებლისათვის და ემსახურება საგანმანათლებლო მოდულის დაგეგმვასა და სტუდენტთა დატვირთვის განსაზღვრას. მეორე განკუთვნილი სტუდენტებისათვის და მოიცავს მოდულზე დახარჯულ რეალურ დროის გაზომვას, რაც დატვირთვის შესრულების შემოწმების საშუალებას იძლევა. სტუდენტებს ურიგდებათ მასწავლებლის მიერ შევსებული ფორმა, რომელშიც მხოლოდ დატვირთვის გრაფაა ცარიელი. ამ ფორმის გამოყენებით მასწავლებელი და სტუდენტი უკეთ აცნობიერებენ სწავლის შედეგებს, მათ დამოკიდებულებას მისაღწევ კომპეტენციებთან და დატვირთვისასთან.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი კურსის ან მოდულის ერთეულების სწავლის შედეგები და მისაღწევი კომპეტენციები შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებთან. ამ მიმართულებით საინტერესო გამოცდილება დაგროვდა ბევრ უნივერსიტეტში.

მხარდაჭერა მოიპოვა კურსის/მოდულის სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ურთიერთდაკავშირების სტრატეგიებმა, რომლებსაც კოიმბრას (პორტუგალია) უნივერსიტეტი გვთავაზობს.

ნაბიჯი პირველი: პროგრამის სწავლის შედეგების გააზრება პროგრამაში ჩართული ყველა პერსონის მიერ. სასარგებლოა მოკლე ინფორმაციის შედგენა, რომელიც დეტალურად აღწერს ყველა კომპეტენციას მათი შესაბამისი კურსისა და აქტივობის ილუსტრირებით.

ნაბიჯი მეორე: ყველა კურსს შეაქვს წვლილი იმ დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაში, რომლებიც პროგრამის ძირითად სწავლის შედეგებს ქმნიან.

ნაბიჯი მესამე: ზოგადი კომპეტენციები შეიძლება საერთო იყოს სხვადასხვა კურსისათვის და ამიტომ კურსის ან მოდულების წამყვანი პროფესორები ირჩევენ ზოგად კომპეტენციას, რომლის სწავლებასა და განვითარებას თავისი კურსის ფარგლებში შეუწყობს ხელს. პროფესორების არჩევანი აღწერილია კურსის მახასიათებლებში და პროგრამის საინფორმაციო სისტემაში, რაც ზრდის ზოგადი კომპეტენციების სწავლების საქმეში აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობას, შეთანხმებული თანამშრომლობის ხარისხს.

ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ის ფაქტი, რომ თითოეული კურსი დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან, ძალიან მნიშვნელოვანია. ის ქმნის ცალკეული კურსების და მოდულების სილაბუსის შეფასების ადეკვატურ კრიტერიუმებს და სტუდენტების მიერ მიღწეული შედეგების ამაღლების საშუალებას იძლევა.

ამ მცირე მიმოხილვითი ანალიზიდანაც კი ცხადი ხდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების ერთანი ევროპული სივრცის მოთხოვნებს და განაპირობებდეს ხარისხიანი განათლების მიღებას, რაშიც თავისი წვლილი შეაქვს პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებსა და მოდულებს.

„კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლა შესაძლებელია კურსის ერთეულის ან მოდულის სახით. კურსის ერთეულად მისი სწავლება/სწავლა სასურველია ისეთ სპეციალობებზე, სადაც დასაქმების ბაზარი მოითხოვს ამ მიმართულებით სპეციფიკურ ცოდნას, დარგობრივი და ორიგინალურ

კომპეტენციების ფლობის მაღალ ხარისხს. პროგრამაში სასწავლო კურსს განესაზღვრება კრედიტების გარკვეული რაოდენობა.

§ 3. „კულტურათა დიალოგის“ კომპეტენციები

ევროპაში საუნივერსიტეტო დონეზე ერთობლივი სამუშაოს სივრცის გახსნას ისეთ საკითხებში, როგორცაა: პროგრამების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის აუცილებლობა, დასაქმება, მობილობა, თავსებადი აკადემიური ხარისხები, პროფილი (კვალიფიკაცია), პარტნიორული ურთიერთობების გაძლიერება, ხელს უწყობს კომპეტენციათა განსაზღვრა.

სტუდენტის მიერ გარკვეული კომპეტენციისა თუ კომპეტენციათა ნაკრების შექმნაზე ხასხასმა გავლენას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების განსაზღვრის გამჭვირვალობაზე, იძლევა გაზომვის მაღალ შესაძლებლობებს. იმავედროულად, სასწავლო მიზნები ხდება უფრო დინამიური ახალ საჭიროებასთან და დასაქმებასთან მიმართებაში (კრებული „უნივერსიტეტების წვლილი ბოლონის პროცესში,” თბილისი, 2009., 21).

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი პირობაა სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების სწორად განსაზღვრა, – აღნიშნულია თუნინგის პროექტის შედეგებში.

სწავლის შედეგების შესახებ საინტერესო გამოცდილება დააგროვა ინგლისის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტომ (QAA) (მასალები გამოქვეყნებულია ინტერნეტში: Credit and HE Qualifications. Credit Guidelines for HE Qualifications in England, Wales and Northern Ireland published in November 2001 by CQFW, NICATS, NUCCAT and SEEC).

საკითხის უკეთ გაცნობიერებისათვის განვიხილოთ ცნება „კომპეტენცია“. სხვადასხვა ტერმინი – შესაძლებლობა, ატრიბუტი, ჩვევა, კომპეტენცია, უნარი – ხშირად ურთიერთშემცვლელი და გარკვეული ხარისხით ურთიერთგადამფარავი მნიშვნელობით გამოიყენება. თითოეული მათგანი უკავშირდება ადამიანს და იმას, თუ რისი მიღწევის შესაძლებლობა აქვს მას. აღნიშნულ ტერმინებს აქვს

სპეციფიკური მნიშვნელობაც. სიტყვა „Ability” ლათინურიდან მომდინარეობს (habilis) და ნიშნავს რაიმეს დაჭერას, ტარებას, ან იოლად გამკლავებას.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნისათვის მიღებულ დოკუმენტში ყველგან გამოიყენება ტერმინი „კომპეტენცია”. კომპეტენციის რაობის განმარტების სხვადასხვა ვარიანტი გვხვდება. ისინი ერთმანეთისაგან პრინციპულად არ განსხვავდება, მაგრამ ადასტურებს პრობლემის აქტუალობასა და მნიშვნელობას. მაგალითად:

- **კომპეტენცია** არის შესაძლებლობა – განახორციელო კავშირი ცოდნასა და სიტუაციას შორის. მიიღო ადეკვატური ცოდნა პრობლემის გადასაჭრელად (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1923).
- **კომპეტენცია** – ეს არის ცოდნაზე, გამოცდილებაზე, ღირებულებებზე, მიდრეკილებებზე დაფუძნებული საერთო უნარი, რომელიც განათლებისა და თვითგანათლების საშუალებით ყალიბდება და განაპირობებს ადამიანის სოციალურ მობილობას (ზ. ცუცქირიძე, ნ. ორჯონიკიძე, 2005).
- **კომპეტენცია** – კოორდინაციაა, რომელიც უფლებას იძლევა დაისახოს და მიღწეულ იქნას მიზანი შექმნილ სიტუაციაში. განათლებისადმი კომპეტენტური მიდგომა მოიცავს განათლების ფილოსოფიას, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ მხარდაჭერასა და საგანმანათლებლო პრეცედენტების აღწერას (პედაგოგიურ-ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით, 2005).
- **კომპეტენცია** – ეს არის ერთმანეთთან დაკავშირებული პიროვნული ცოდნა, უნარები, ჩვევა, შესაძლებლობა, რომელიც აუცილებელია განსაზღვრულ სფეროში ხარისხიანი, პროდუქტიული საქმიანობისათვის (ც.მეგრელაძე, 2008).
- **კომპეტენცია** – ეს არის გამოცდილება მოცემულ სფეროში საქმიანობასთან მიმართებაში (გ. დრუჟინინა, 2007).
- **კომპეტენცია** არის კოგნიტიური და მეთოდოლოგიური უნარების, ცოდნისა და გაცნობიერების, ინტერპერსონალური, ინტელექტუალური და პრაქტიკული უნარების და ეთიკური ღირებულებების დინამიკური კომბინაცია (პროექტ „თუნინგის” შედეგები, თბილისი, 2008).

- **კომპეტენცია** არის ატრიბუტების (ცოდნა, გამოყენება, დამოკიდებულება, უნარები, პასუხისმგებლობა) კომბინაცია და აღწერს ადამიანის მიერ მისი გამოყენების დონეს და ხარისხს (დუბლინის დესკრიპტორი, 2006). „საქართველოს აკადემიური უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოს“ (2008) მიხედვით, კომპეტენცია გაგებულია, როგორც:

- ცოდნა და გაცნობიერება (აკადემიური სფეროს თეორიული ცოდნა, ცოდნისა და გაცნობიერების შესაძლებლობა);
- ცოდნა, თუ როგორ იმოქმედო (გარკვეულ სიტუაციებში ცოდნის პრაქტიკული და ოპერატიული გამოყენება);
- ცოდნა, თუ როგორ იცხოვრო (ღირებულებები, როგორც სოციალურ კონტექსტში, ასევე სხვებთან ერთად ცხოვრებისა და აღქმის გზების ინტეგრირებული ელემენტი).

ყველა განმარტება იმსახურებს ყურადღებას, თუმცა გამოკვლევებში ვეყრდნობით კომპეტენციათა იმ განმარტებასა და ჩამონათვალს, რომელიც დაკავშირებულია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნასთან. (საქართველოს აკადემიური უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო, „თუნიგის“ პროექტის შედეგები).

გასათვალისწინებელია, რომ სწავლება/სწავლის პროცესში უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების საკითხები ყოველთვის იყო მეცნიერული შესწავლის საგანი. ამ მიმართულებით აღსანიშნავია სახელმძღვანელოები: „დიდაქტიკის საფუძვლები“ (მ. ესიპოვის რედაქტორობით, 1967), „პედაგოგია“ (დ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით, 1969), „საშუალო სკოლის დიდაქტიკა“ (მ. სკატკინის რედაქტორობით, 1975), „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხები“ (სარიშვილი და სხვები 1971), „უმაღლესი სკოლის პედაგოგია“ (გობრონიძე, ბიბილეიშვილი, 2001).

საინტერესო გამოკვლევები მიექძვნა სწავლის შედეგებსა და კომპეტენციების პრობლემების საგანმანათლებლო პროგრამებში ასახვის გზებისა და საშუალებების განსაზღვრას (ჰერიოტ-ვათი, 2004) მათში განფენილი მოსაზრებანი და რეკომენდაციები ახალი მიდგომებით საქმიანობის ძირითადი მიმართულება გახდა.

საგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერ საფეხურზე პიროვნებამ უნდა შეიძინოს პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის შესაბამისი

მრავალი კომპეტენცია, რომლებიც მოიცავს ცოდნას, ფასეულობებს, უნარებსა და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის აკადემიური კვალიფიკაციის მიღწევას კონკრეტულ დარგში.

საგანმანათლებლო პროგრამებში შემაჯავალ ყველა სასწავლო კურსს, საგანს, მოდულს თავისი წვლილი შეაქვს კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციის მიღწევაში. ამ მიმართებით უცხოური ენების სწავლება/სწავლა შეიძლება განხილულ იქნას ორი მიმართულებით: ა) უცხო ენა – ძირითადი სპეციალობა; ბ) უცხო ენა – მეორე ენა.

პირველი მიმართულების (უცხო ენა – ძირითადი სპეციალობა) შესაბამისი კვალიფიკაციის საგანმანათლებლო პროგრამებში საინტერესო და მრავალფეროვანი კომპეტენციების რუკაა წარმოდგენილი (ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი, თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვა).

რამდენადაც ჩვენი კვლევის სფეროა უცხო ენა, როგორც მეორე ენა, დავინტერესდით საგანმანათლებლო პროგრამებში ასახული კომპეტენციებით. უნივერსიტეტების ვებგვერდებზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, ინტერნეტრესურსებით მოპოვებული ინფორმაციის დახარისხებითა და ანალიზით, აღმოჩნდა, რომ უცხოური ენის სწავლების მიმართულება „კულტურათა დიალოგის“ შესატყვისი კომპეტენციები გვხვდება მინიშნებით, მკაფიო და კონკრეტული კომპეტენციები წარმოდგენილი არ არის.

სპეციალობებზე, სადაც უცხო ენა მეორე ენაა, კვალიფიკაციის მისაღებად კომპეტენციების მისაღწევად სასწავლო საგანს და მის ერთ-ერთ მიმართულებას – „კულტურათა დიალოგის“ გარკვეული წვლილი აქვს შესატანი.

საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნებისა და შედეგების ნათლად დასახვისათვის საჭირო და აუცილებელია განისაზღვროს კომპეტენციები ან კომპეტენციათა ნაკრები, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციების მაღალი ხარისხის მიღწევას.

აქედან გამომდინარე, კვლევის მნიშვნელოვან ამოცანად დაისახა კულტურათა დიალოგის სწავლება/სწავლით მისაღწევი კომპეტენციების განსაზღვრა. როგორც აღვნიშნეთ, სწავლის შედეგებმა უნდა აჩვენოს – რა იცის, რა ესმის, რისი დემონსტრირება შეუძლია, განათლების ხარისხის რა დონეს მიაღწია სტუდენტმა კურსის დასრულების შემდეგ.

გასათვალისწინებელია, რომ სწავლის შედეგები განისაზღვრება აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტთა წარმომადგენლების ჩართვითა და შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით, დამსაქმებლების მოსაზრებათა გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული სასწავლო კურსის და მოდულის დონეზე, პრაქტიკაში იყენებენ სწავლის შედეგების ორ ტიპს: ე.წ. ზღვრული სწავლის შედეგები, რომელიც მინიმალურ დონეს განსაზღვრავს, და ე.წ. სასურველი სწავლის შედეგები. ეს უკანასკნელი გამოხატავს, თუ რას ელის აკადემიური პერსონალი საშუალო სტუდენტისაგან კომპეტენციებთან მიმართებაში. უპირატესობა სასურველ სწავლის შედეგებს ენიჭება, რადგან იგი უკეთ ესადაგება ევროპის ქვეყნების დიდ უმრავლესობაში დამკვიდრებულ სწავლებისა და სწავლის კულტურას.

სწავლის შედეგების მიხედვით შესაძლებელია კომპეტენციების განსაზღვრა კურსის/მოდულის დონეზე, რომელიც მოიცავს თეორიულ ცოდნასა და შინაარსს, ზოგად, ტრანსფერულ და დარგობრივ კომპეტენციებს. კომპეტენციები განიხილება, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შეფასების ათვლის წერტილები და განვითარების ხელშემწყობი. გამჭირვალობისა და მობილობისათვის აუცილებელია ყველა კვალიფიკაციისათვის სწავლის შედეგების, კომპეტენციების შემუშავება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბოლონის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანით, რომელიც სწავლის შედეგების/კომპეტენციების განსაზღვრის შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავებაში გამოიხატება, პასუხი გაეცა ისეთ უახლეს გამოწვევებს, როგორცაა განათლებისა და შრომის ბაზრის ინტერნაციონალიზაცია, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპის დანერგვა.

§ 3.1 ზოგადი კომპეტენციები

განასხვავებენ: ა) ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს, რომლებიც საერთოა სხვადასხვა საგნისათვის, ბ) დარგობრივ კომპეტენციებს, რომელიც დარგობრივ სფეროსთანაა დაკავშირებული, გ) ორიგინალურ კომპეტენციებს, რომელიც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

ზოგადი კომპეტენციების შესახებ გამოთქმულია საინტერესო მოსაზრებები, ჩატარებულია გამოკვლევები. „თუნინგის“ მონაწილეების – ხულია გონსალესის, რობერტ ვაგენარის (თუნინგი, 2005) მიერ ფართო მასშტაბიანი კონსულტაციები ჩატარდა დამსაქმებლებთან, აკადემიურ პერსონალთან და უმაღლესდამთავრებულებთან შესაბამის აკადემიურ სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი ზოგადი კომპეტენციების იდენტიფიცირებისათვის. კომპეტენციათა უმეტესობა დარგებს შორის მსგავსი აღმოჩნდა. მაგალითად, ისეთი კომპეტენციები, როგორცაა ანალიზი და სინთეზი, პრობლემის გადაჭრა, სწავლის უნარები. უმაღლესდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისათვის ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ისეთი ზოგადი კომპეტენციები, როგორცაა პრაქტიკაში ცოდნის გამოყენება, ახალ სიტუაციასთან ადაპტირება, ინფორმაციის მენეჯმენტი, განათლების ხარისხით დაინტერესება, ავტონომიურად მუშაობა, ჯგუფში მუშაობა, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე და ინტერპერსონალური კომპეტენციები. მათი აზრით, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ზოგადი კომპეტენციების გარკვეულ რაოდენობას, რათა სტუდენტები უკეთესად მოემზადონ თავიანთი მომავალი სამუშაოსათვის (თუნინგი 2009:13).

აღსანიშნავია, რომ ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება სტუდენტის მოსამზადებლად საზოგადოებაში მისი მომავალი როლისათვის, რაც დასაქმების შესაძლებლობასა და წარმატებულ მოქალაქეობაში გამოიხატება.

„თუნინგის“ პროექტის შედეგები გვთავაზობს **კომპეტენციათა შემდეგ ტიპოლოგიას:**

ა) ინსტრუმენტული კომპეტენციები

ბ) ინტერპერსონალური კომპეტენციები

გ) სისტემური კომპეტენციები

თავისმხრივ აღნიშნული კომპეტენციები ცალკეულ ელემენტებად იყოფა:

ა) ინსტრუმენტული კომპეტენციები:

- შემეცნებითი უნარები, იდეებისა და აზრების გაცნობიერებისა და მანიპულირების შესაძლებლობა;
- მეთოდოლოგიური შესაძლებლობები: სწავლის სტრატეგიისა და დროის ორგანიზება, გადაწყვეტილების მიღება, პრობლემის გადაჭრა;

- ტექნოლოგიური უნარები: ტექნოლოგიური მოწყობილობის გამოყენება, კომპიუტერზე მუშაობა და ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი;
- ლინგვისტური უნარები: ზეპირი და წერილობითი კომპეტენცია, მეორე ენის ცოდნა.

ბ) ინტერპერსონალური კომპეტენციები:

- გრძნობების გამოხატვის ინდივიდუალური უნარი;
- კრიტიკული და თვითკრიტიკული შესაძლებლობები;
- სოციალური უნარები, დაკავშირებული ურთიერთობებთან, ჯგუფურ მუშაობასთან, სოციალური და ეთნიკური პასუხისმგებლობის გამოხატვასთან;
- კომუნიკაციის უნარი;
- პირისპირ ურთიერთობის უნარი.

(ინტერპერსონალურ კომპეტენციებთან დაკავშირებულია ინტრაპერსონალური კომპეტენციები.)

გ) სისტემური კომპეტენციები:

- გაცნობიერების, შეგრძნებებისა და ცოდნის კომბინაცია. (მთელისა და ნაწილების ურთიერთქმედება);
- ცვლილებების დაგეგმვის უნარი;
- ახალი სისტემების შემუშავება.

ზოგადი კომპეტენციები მრავალ სიტუაციაში გამოიყენება. მისი განვითარება შესაძლებელია შესაბამისი სწავლება/სწავლის მეთოდებითა და ფორმით.

ცხადია, ერთი მხრივ, კომპეტენციათა მიღწევის აუცილებლობა, მეორე მხრივ კი ის დიდი და რთული სამუშაო, რომლის განხორციელება ლექტორს სჭირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგადი კომპეტენციების შესახებ გარკვეული ცოდნა სტუდენტებს სკოლაში მიღებული აქვთ, ამასთან, ზოგადი კომპეტენციების მიღწევისათვის ერთ საგანსა და სასწავლო კურსში მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები გამოსადეგია სხვა საგანსა და სასწავლო კურსში.

ზოგადი კომპეტენციების განვითარების ორი გზა არსებობს: პირველი – საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ცალკე კურსის/მოდულის შეთავაზება, რომლის ფარგლებში ზოგადი კომპეტენციების გამომუშავება ხდება (მაგალითად, აკადემიური წერა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო

ტექნოლოგიების კურსები). მეორე გზაა: ზოგადი კომპეტენციების ინტეგრირება დარგობრივ საგნებსა და მოდულებში. ეს უკანასკნელი კომპეტენციების განვითარების უფრო გავრცელებული გზაა.

ზოგადი კომპეტენციების ტიპოლოგიის გათვალისწინებით, ინტერნეტწყაროებით მოპოვებული მასალისა (ბირამ 2000; კრამხი 1993; იული 1996) და სხვა კოლეგების გამოცდილების გაზიარებით, პირადი გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შევარჩიეთ ზოგადი კომპეტენციები, რომელთა მიღწევა „კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლის პროცესში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ.

გთავაზობთ ჩამონათვალს. კვლევის სანდოობისა და ვალიდურობისათვის ჩამონათვალი მომზადდა სამ ვარიანტად: სტუდენტების, ლექტორების, დოქტორანტების მონაწილეობით. სამივე ვარიანტიდან გამორიცხვის მეთოდით შევარჩიეთ შემდეგი **ზოგადი კომპეტენციები, რომელთა მიღწევა შესაძლებელია „კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლის პროცესში:**

- ანალიზისა და სინთეზის უნარი
- ციფრული კომპეტენცია – თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება
- პრობლემის გადაჭრის უნარი
- ახალ გარემოში ადაპტაციის უნარი
- ინფორმაციის მართვის უნარი
- ახალი იდეების გენერირების უნარი (შემოქმედებითობა)
- კრიტიკული და თვითკრიტიკული უნარი
- მრავალფეროვნებისა დამრავალენოვანი მოსახლეობისადმი პატივისცემა
- ინიციატივა და საქმიანი წამოწყების უნარი.
- მეორე ენის ცოდნა
- ჯგუფში მუშაობა
- ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი
- კომპიუტერზე მუშაობის ელემენტალური უნარები
- გადაწყვეტილების მიღების უნარი
- ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი
- კვლევის უნარი

- საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი
- პროექტის შემუშავება და მართვა
- ეთიკის დაცვის ვალდებულების შესაძლებლობა
- არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი
- სწრაფვა წარმატებისაკენ
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
- ადამიანებს შორის ურთიერთობის უნარი
- ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური კომპეტენციები
- ელექტრონული ფოსტით სარგებლობა

ჩამოთვლილი ზოგადი კომპეტენციების მიღწევის მახასიათებლების განსაზღვრისათვის გარკვეული საქმიანობაა ჩასატარებელი, რათა სტუდენტი დაეუფლოს კომპეტენციათა მიღწევის გზებსა და საშუალებებს. იცოდეს, რას შემატებს მისი განათლების დონეს ნებისმიერი კომპეტენციის მიღწევა.

კომპეტენციების მისაღწევად საჭიროა მახასიათებლების განსაზღვრა, დონეების განსაზღვრა, გარკვეული აქტივობის შერჩევა.

განვიხილოთ მაგალითები:

- ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური კომპეტენციები.

ინტერპერსონალური კომპეტენციებია: სოციალური ინტერაქცია და კოოპერაცია, სხვა ქვეყნების კულტურისა, ტრადიციების პატივისცემა, ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობა, მრავალფეროვნების, მულტიკულტურალიზმის პატივისცემა, საერთაშორისო კონტექსტში მუშაობა და ა.შ.

ინტერპერსონალური კომპეტენციების მიღწევის მახასიათებლებია: სხვა ადამიანთან ურთიერთობის უნარი, ქცევისა და ურთიერთობის ინტერპრეტაციის უნარი, ადამიანებსა და სიტუაციას შორის კავშირის ხედვა, სხვის გრძნობებზე დაგეგმილი ზემოქმედება, კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, ეთიკური პასუხისმგებლობის გამოხატვა და სხვა.

ინტრაპერსონალურ კომპეტენციებს განეკუთვნება თვითცნობიერება: საკუთარი თავის გაგება, საკუთარი თავის მიმართება სხვებთან და სამყაროსთან, ცვლილებების საჭიროების განცდა, რეაგირება ცვლილებებზე სტუდენტთა მხრიდან.

ინტერპერსონალურ და ინტრაპერსონალურ კომპეტენციებთან მიმართებაში გვერდს ვერ ავუვლით ჰოვარდ გარდნერის (2000) მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას, სადაც იგი გამოყოფს ინტელექტის რვა ტიპს, მათ შორისაა ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური ინტელექტი.

ინტერპერსონალური ინტელექტი – ეს არის სხვა ადამიანთა განწყობის, განზრახვების, მოტივაციებისა და გრძნობების აღქმისა და დანახვის უნარი.

ამ ტიპის ინტელექტის მქონე ადამიანს შეუძლია: ადამიანთა განწყობის შეგრძნება, სხვა ადამიანების განზრახვისა და სურვილების წაკითხვა, მსგავს ემოციებს შორის განსხვავების დანახვა.

ინტრაპერსონალური ინტელექტი – ეს არის თვითშემეცნების უნარი, საკუთარი გრძნობების, მოტივებისა და სურვილების ცოდნა, თვითდისციპლინის უნარი.

ამ ტიპის მქონე ადამიანს შეუძლია: საკუთარი საქციელის მოტივის ამოცნობა, საკუთარი თავის შესახებ ცოდნის გამოყენება ადამიანებთან წარმატებული ურთიერთობის დასამყარებლად.

ჰ. გარდნერი თვლის, რომ ადამიანში უნდა განვითარდეს ყველა ტიპის ინტელექტი: ლინგვისტური-გონებრივი, ლოგიკური-მათემატიკური, სივრცული, მუსიკალური, ფიზიკურ-ესთეტიკური, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური, ნატურალისტური, ამასთან, მიიხნევს, რომ სხვადასხვა სახის ინტელექტი განსხვავებულ კულტურაში სხვადასხვაგვარად ვლინდება. გარდნერისეული მრავალმხრივი ინტელექტის თეორია ყველასათვის მისაღები არ არის. ზოგიერთი მკვლევარი აკრიტიკებს მას და თვლის, რომ რასაც გარდნერი მრავალმხრივი ინტელექტად ყოფს, სინამდვილეში ერთი ინტელექტია. ამ საკითხის გარკვევა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გარდნერის მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას, რომელიც ზემოთ აღნიშნული თეორიიდან გამომდინარეობს, მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი წარმატებით იყენებს მოსწავლეთა მიღწევების გასაუმჯობესებლად. გარდნერის თეორია ხშირად გამოიყენება დასაქმების საკონკურსო ტესტებში. ამდენად, მისი გათვალისწინება ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური კომპეტენციების დაუფლების პროცესში სასარგებლოდ მიგვაჩნია.

სასწავლო პროცესში სიახლეებით გამოწვეული ცვლილებებს შეგუება რთული პროცესია. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ გაგვერკვია რა

დონეზუა სტუდენტთა შესაძლებლობა კულტურათა დიალოგის კომპეტენციათა მიღწევისათვის ორგანიზებულ სასწავლო პროცესში. ჩავატარეთ კვლევა

კვლევის მიზანი: სტუდენტის მიერ საკუთარი შესაძლებლობების შეფასება „კულტურათა დიალოგის“ კომპეტენციათა მიღწევისათვის ორგანიზებულ სასწავლო პროცესში.

კვლევის მეთოდი: ინტერვიუ

კვლევაში მონაწილეობდა: სხვადასხვა უნივერსიტეტის 120 სტუდენტი

კვლევის პროცედურა: ინტერვიუს კითხვები განვითავსეთ ინტერნეტში და ვთხოვეთ სტუდენტებს გამოხმაურება. რის შემდეგ შევეკრიბეთ და გავაანალიზეთ შედეგები. ანონიმურობა დაცული იყო.

კვლევის შედეგების მიხედვით, სტატისტიკურმა მონაცემებმა შემდეგი შედეგები მოგვცა: კომპეტენციების მიღწევისათვის საკუთარი შესაძლებლობები საკმარისად მიაჩნია – 14%, დამაკმაყოფილებლად – 35%, გაუმჯობესებას საჭიროებს – 51%, საკმარისად არ მიაჩნია – 3%, საჭიროების განცდა აქვს – 67%, დახმარებას არ საჭიროებს 38%, სიახლეებში გარკვევა სურს 52%, არ იცის სჭირდება თუ არა დახმარება – 10%.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სტუდენტებს საჭიროდ მიაჩნიათ საკუთარი შესაძლებლობების გაუმჯობესება კომპეტენციათა მიღწევისათვის, თვლიან, რომ სასწავლო პროცესში საჭიროებენ დახმარებას რაც მათი აზრით, გაუიოლებს კომპეტენციათა მიღწევას.

კომპეტენციათა მისაღწევი ერთ-ერთი გზა სწორად განსაზღვრული მახასიათებლები და დონეები.

განვიხილოთ პოპულარული ზოგადი კომპეტენციის – „ჯგუფში მუშაობის“ მიღწევის მახასიათებლები:

განმარტება: ჯგუფში მუშაობის კომპეტენცია წარმოადგენს ჯგუფში საკუთარი თავის ინტერესებისა და სხვა ადამიანებთან, სფეროებთან და ორგანიზაციებთან საერთო მიზნების მიღწევისათვის თანამშრომლობი შესაძლებლობას.

სწავლის პროცესის დაგეგმვის პროცესში მასწავლებელი შეიმუშავებს ჯგუფური მუშაობის სტრატეგიას, რომელიც ხუთ პუნქტს მოიცავს:

1. სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მარტივად და გასაგებად ჩამოყალიბება;
2. ჯგუფების გეგმაზომიერად და წინასწარ მოფიქრებულად გადანაწილება;

3. ჯგუფებისათვის დავალების, მიზნების და პროცედურის ახსნა;
4. ჯგუფური მუშაობის მონიტორინგი და დაკვირვება იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს ჯგუფი, ან დახმარებას ხომ არ საჭიროებს;
5. შედეგების შეჯამება და ჯგუფური მუშაობის პროცესში ურთიერთთანამშრომლობის შეფასება;

ჯგუფური მუშაობის დროს ჯგუფის წევრებს მოეთხოვებათ:

- არ ჩაერიონ სხვის საუბარში და მოთმინებით დაელოდონ თავის რიგს.
- მოუსმინონ ერთმანეთს.
- პატივი სცენ ერთმანეთის აზრს.
- გააკრიტიკონ აზრები და არა პიროვნებები.
- მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

ჯგუფური მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი თავისებურებებია:


1. სასწავლო-შემეცნებითი ამოცანების პრობლემური კითხვების გადასაწყვეტად დაყოფა 3,4,5,6 – სტუდენტთან ჯგუფებად;
2. თითოეული ჯგუფის დავალება კონკრეტულ დროშია შესასრულებელი. ამდენად, ჯგუფის მუშაობა დროით განსაზღვრულია;
3. ჯგუფური დავალება იმგვარი სახით მიეცემათ, რომ შესაძლებელი იყოს თითოეული წევრის ინტელექტუალური წვლილის დაფიქსირება, შეფასება;
4. ჯგუფის ან ჯგუფების მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევს ლექტორი ან სტუდენტი –ლიდერი;
5. ჯგუფებად დაყოფის საფუძველი შესაძლებელია იყოს: ა) სტუდენტთა ერთნაირი პოზიცია; ბ) მათი ინტელექტუალური განსხვავებულობა; გ) შემთხვევითი დაყოფა;
6. ჯგუფების წევრების გადანაწილება ”საექსპერიმენტო ჯგუფებში” გულისხმობს თანამშრომლობის გადრმავებას;
7. ჯგუფური მუშაობა უნდა განხორციელდეს უკონფლიქტოდ, რომელიმე სტუდენტის ინტელექტუალური დათრგუნვის გარეშე.
8. ჯგუფური მუშაობა გულისხმობს სამუშაო განწყობის შექმნის აუცილებლობას, საკუთარი ემოციებისა და სურვილების მიზანმიმართულად მართვას.

ჯგუფური მუშაობის შეფასების სხვადასხვა ფორმა არსებობს. ჯგუფი შეიძლება შეფასდეს ლიდერის, მონაწილეთა აქტიურობის დონის, კონსენსუსამდე მისვლის, მოპასუხეთა შენიშვნების გათვალისწინების,

კორექტულობის მიხედვით. ერთ-ერთი ფორმა ჯგუფის შეფასებისა არის რეიტინგული შკალა.

გთავაზობთ სქემას - ჯგუფური მუშაობის კომპეტენციის მიღწევის უზრუნველყოფის მახასიათებლები

სქემა შევადგინეთ დეუსტოს უნივერსიტეტში ხულია გონსალესის მიერ შემუშავებული კომპეტენციების შეფასების სისტემური მიდგომის გამოცდილების მიხედვით. გამოცდილება გაზიარებულია ევროპის 100-ზე მეტი უნივერსიტეტის მიერ (pbeneito@relint.deusto.es, relint@relint.deusto.es).



კომპეტენციათა მიღწევის შედეგების გაზომვისათვის განისაზღვრება შეფასების ღონეები.

ჯგუფში მუშაობის კომპეტენციის მიღწევის I დონე: აქტიურად მონაწილეობს და თანამშრომლობს ჯგუფის მუშაობაში და ხელს უწყობს ნდობისა და კეთილგანწყობის ამაღლებას, ფოკუსირებულია საერთო მიზნებზე.

ინდიკატორები:

- I.** დროულად ასრულებს მასზე დაკისრებულ დავალებებს.
- II.** აქტიურად მონაწილეობს ჯგუფის მუშაობაში, ცვლის ინფორმაციას, ცოდნას და გამოცდილებას.
- III.** მონაწილეობს დავალებების დეფინიციასა და განაწილებაში.
- IV.** მიმართულია შეთანხმებისა და საერთო მიზნების მიღწევაზე.
- V.** ითვალისწინებს სხვების თვალსაზრისს და იძლევა კონსტრუქციულ უკუშეხებას.

მიღწევის I დონის მახასიათებლები ინდიკატორების მიხედვით

ინდიკატორი	1	2	3	4	5
I	არ/ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ დავალებებს	ნაწილობრივ ასრულებს დავალებას	დათქმულ ვადებში ვერ ასრულებს დავალებას	დავალებების შესრულების ხარისხი სასარგებლოა ჯგუფისათვის	დავალების შესრულება ხელს უწყობს და ახალისებს ჯგუფის სხვა წევრების მუშაობას
II	ხშირად აცდენს ჯგუფის შეხვედრებს და დასწრება პასიურია	მცირედ მონაწილეობს და დაგვიანებით ასრულებს დავალებებს	ზოგადად აქტიურად მონაწილეობს ჯგუფის შეხვედრებში	მონაწილეობა ახალისებს სხვათა ჩართულობას და აუმჯობესებს მთლიანდ ჯგუფის მუშაობას	მონაწილეობა და წვლილი ფუნდამენტურია როგორც ჯგუფური დინამიკურის, ასევე შედეგების ხარისხისათვის
III	ეწინააღმდეგება მუშაობის ორგანიზებას	ჩართულობა შემოიფარგლება სხვების მიერ განსაზღვრული დავალების მიღებით	მონაწილეობს დავალების განაწილებაში	ორგანიზებულია და დავალებებს ეფექტურად ანაწილებს	ხელს უწყობს ორგანიზებულ სამუშაოს და მაქსიმალურად იყენებს ჯგუფის წევრების რესურსებს
IV	მიმართულია პირადი მიზნების მიღწევაზე	უჭირს პირადი და ჯგუფის ინტერესების ინტეგრაცია	ჯგუფის მიზნები გათავისებული აქვს	ხელს უწყობს მიზნების მკაფიო განსაზღვრას და მათი მიღწევისათვის ჯგუფის ინტეგრაციას	ხელს უწყობს ჯგუფის მობილიზებას მიზნების განსაზღვრისა და განხორციელებისას როგორც შედეგი, ჯგუფის მუშაობა მაღალი ხარისხისაა
V	არ ისმენს კოლეგების აზრს და სისტემატიურად უარყოფს მას. სურს საკუთარი აზრის გატანა	ისმენს ცოტას, არ სვამს შეკითხვებს, არ ადარდებს სხვების აზრს, მონაწილეობა ნაკლებ სასარგებლოა	იდებს სხვების მოსაზრებებს და იცის საკუთართან მათი კონსტრუქციული შეფარდება	ხელს უწყობს კონსტრუქციულ დიალოგს და ჯგუფის სხვა წევრებს ხარისხიან მუშაობაში	აჯამებს სხვების მოსაზრებებს და ახდენს მათ ინტეგრაციას ისე, რომ ინარჩუნებს კოოპერაციასა და მხარდაჭერის განწყობას

ჯგუფში მუშაობის კომპეტენციის მიღწევის - II დონე: შეუძლია საკუთარი თავის ინტეგრირება ჯგუფში, სხვისი აზრის მოსმენა, კონსენსუსის მიღწევა.

ინდიკატორები

- I. აღიარებს და ახორციელებს ჯგუფის ინტერესებს
- II. მონაწილეობს ჯგუფის მუშაობის პროცედურების შემუშავებაში.
- III. კონსტრუქციულად იქცევა ჯგუფში კონფლიქტური სიტუაციების დროს.
- IV. ხელს უწყობს ჯგუფის მთლიანობას ადამიანებთან კომუნიკაციისა და დამოკიდებულების შესაბამისად.
- V. დაინტერესებულია საზოგადოებისათვის ჯგუფური სამუშაოს მნიშვნელობით.

მიღწევის II დონის მახასიათებლები ინდიკატორების მიხედვით

ინდიკატორი	1	2	3	4	5
I	არ აღიარებს და არ ასრულებს ჯგუფის ინსტრუქციებს	ცდილობს ჯგუფის ინსტრუქციები მონარგოს საკუთარ ინტერესებს	აღიარებს და ასრულებს ჯგუფის ინსტრუქციებს	მონაწილეობს ჯგუფის ინსტრუქციების შემუშავებაში	სთავაზობს გადაწყვეტილებებს ჯგუფის მენეჯმენტისა და დინამიკის გაუმჯობესებისათვის, ახორციელებს ინსტრუქციის შესრულების მონიტორინგს.
II	არ იცნობს ან ეურადღებას არ აქცევს ჯგუფის მუშაობის პროცედურებს	ვერ იგებს და ვერ ახორციელებს ჯგუფის მუშაობის პროცედურებს	ადეკვატურად ასრულებს ჯგუფის მუშაობის პროცედურებს	აქტიურად მონაწილეობს ჯგუფის მუშაობის პროცედურების შემუშავებაში	ცვლის ჯგუფის მუშაობის პროცედურებს მისი გაუმჯობესების მიზნით
III	ახდენს ჯგუფში კონფლიქტის პროვოცირებას	თავს არიდებს კონფლიქტში მონაწილეობას	ჯგუფში კონფლიქტის პოზიტიურ გადაწყვეტაზეა მომართული	ამწინებს კონფლიქტის დაწყებას და სწრაფად მოქმედებს მათი თავიდან აცილებისათვის	ცდილობს კონსტრუქციული გადაწყვეტილების მიღებას კონფლიქტების თავიდან აცილებისა და გადაწყვეტის მიზნით
IV	აგრესიულია და ეჭვის ქვეშ აყენებს ჯგუფის მიერ მიზნების მიღწევის შესაძლებლობებს	პასიურია და ჯგუფის სხვა წევრებთან შეზღუდული ურთიერთობა აქვს	მკაფიოდ და პირდაპირ აცხადებს თავისი იდეებისა და შეხედულებების შესახებ	აქვს პოზიტიური დამოკიდებულება ჯგუფის ყველა წევრთან, მხარს უჭერს და ახალისებს მათ	ხელს უწყობს ჯგუფის მთლიანობას, ატარებს საქმიან და არა მხოლოდ ფორმალურ შეხვედრებს
V	უარყოფს ან ეჭვის ქვეშ აყენებს ჯგუფური მუშაობის სარგებლობას	დაინტერესებულია სხვათა წახალისებით საერთო აქტიულობაში მონაწილეობისათვის.	მხარს უჭერს და იცავს ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობას. ახორციელებს პოზიტიურ შეფასებას	სჯერა, რომ ინდივიდის მუშაობა გადაწყვეტია ჯგუფური მუშაობის წარმატებისათვის და მიზნების მიღწევისათვის	ახალისებს სხვებს გააცნობიერონ, რომ მათ სამუშაოს ფართო გამოყენება აქვს სხვა ჯგუფებსა და სტრუქტურებში.

ჯგუფში მუშაობის კომპეტენციის მიღწევის III დონე - შეუძლია ჯგუფის მუშაობის გაძლიერება, ჯგუფის ყველა წევრის ინტეგრაციის უზრუნველყოფა და მათი მომართვა სამუშაოს კარგ შესრულებაზე.

ინდიკატორები:

- I. აქტიურად თანამშრომლობს ჯგუფური სამუშაოს დაგეგმვასა და ვადების განსაზღვრაში.
- II. ეფექტურად უძღვება შეხვედრებს.
- III. ჯგუფს ამბიციურ და მკაფიოდ განსაზღვრულ ამოცანებს სთავაზობს.
- IV. ხელს უწყობს ჯგუფში წარმოქმნილი სხვა მოსაზრების, უთანხმოებისა და კონფლიქტის პოზიტიურ მენეჯმენტს.
- V. ახალისებს ჯგუფის წევრებს ჯგუფის გაძლიერებისა და მენეჯმენტისაკენ.

მიღწევის III დონის მახასიათებლები ინდიკატორების მიხედვით

ინდიკატორი	1	2	3	4	5
I	მოქმედებს წინასწარი დაგეგმვის გარეშე	ბოლო წუთს იღებს გადაწყვეტილებებს და სამუშაო ბოლომდე არ მიჰყავს. არარეალური ვადები	აკეთებს კონკრეტულ შეთავაზებებს და ვადებებისა და ვადების განაწილებისათვის	სტიმულს აძლევს ჯგუფის სხვა წევრების მონაწილეობას და კოორდინირებას უკეთებს მათ წვლილს	ჯგუფის წევრებს შესაბამის და ვადებს უნაწილებს, მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანებით, კარგად მოქმედებს შეზღუდულ ვადებში.
II	ვერ უძღვება შეხვედრებს	ცდილობს შეხვედრის გაძლიერებას, მაგრამ ვერ აკონტროლებს პროგრამას და დროს	ეფექტურად უძღვება შეხვედრებს და აღწევს დასახულ მიზნებს	ეფექტურად უძღვება შეხვედრებს და აღწევს ყველა დამსწრეს დაბალანსებულ მონაწილეობას	აღწევს ყველა დამსწრის მონაწილეობას და ჩართულობას
III	არ შეუძლია ჯგუფისთვის მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანების შეთავაზება	ჯგუფს აბნევს, სთავაზობს არა მკაფიოდ განსაზღვრულ ამოცანებს	ჯგუფს მიმზიდველ და მკაფიოდ განსაზღვრულ ამოცანებს სთავაზობს	ახალისებს ჯგუფს, ჩამოაყალიბოს მიღწევადი მიზნები და მომავლის მკაფიო ხედვა	ქმნის ჯგუფის ისეთ განწყობას, რომ წევრებს ჯგუფის ამოცანები საკუთრად მიაჩნიათ
IV	ხელს უწყობს კონფლიქტებისა და უთანხმოებების გადრეკილვას	იბნევა და ვერ ათანხმებს არსებულ კონფლიქტებს, ცდილობს თავი აარიდოს ასეთ სიტუაციებს	უმკლავდება კონფლიქტებს, აქვს კომუნიკაცია ჯგუფის ყველა წევრთან	უმკლავდება კონფლიქტებს, აწონასწორებს რა წევრების მონაწილეობას	სხვებისათვის გასაგებს ხდის შეთანხმებული მუშაობის მიმზიდველობას
V	არ მოქმედებს ჯგუფის დინამიკის	მისთვის რთულია ჯგუფის სხვა წევრების მხრიდან	ახალისებს ყველა მონაწილეს, მიაჩნია ეს ჯგუფის	იღებს ჯგუფის ყველა წევრის თანხმობას მიზნების მიღწევაზე და	აღწევს იმ მდგომარეობას, როდესაც ჯგუფის წევრები სხვათა მოსაზრებებს

საწინააღმდეგოდ	მუშაობისადმი დამოკიდებულების შეცვლა	წარმატებული მუშაობის წინაპირობად	ყველა სხვა ასპექტზე	როგორც განიხილავენ	საკუთარს
----------------	-------------------------------------	----------------------------------	---------------------	--------------------	----------

ჯგუფში მუშაობის კომპეტენციის „კულტურათა დიალოგის“ სწავლა/სწავლების პროცესში გამოყენების სარგებლიანობის დასადგენად ჩავატარეთ კვლევითი სამუშაო.

კვლევის მიზანი: ლექციაზე სტუდენტთა ჯგუფური მუშაობის აქტივობის დონის განსაზღვრა, ჯგუფში მუშაობის კომპეტენციების, მახასიათებლებისა და შეფასების დონეების გაცნობა-გამოყენებით.

სამიზნე ჯგუფი: სპეციალობა - კომპიუტერული ტექნოლოგიები; მთარგმნელ-რეფერენტი ; კურსის 40 სტუდენტი. საგანი -ინგლისური ენა.

კვლევის მეთოდები: აღწერა, დაკვირვება, სტატისტიკური ანალიზი. დავალების შესრულებამდე სტუდენტებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი ჯგუფებში მუშაობის კომპეტენციის რაობის, მახასიათებლების, შეფასების დონეების შესახებ.

კვლევის შედეგები: შეჯამდა I,III, VI ლექციების შემდეგ.

თემა I. ქალისადმი პატივისცემის გამოსატვა.

დავალება ჯგუფებისადმი: შეთავაზებული ტექსტების მიხედვით ჩამოაყალიბონ თავიანთი შეხედულებები (ტექსტებში მოცემულია მასალები, რომელშიც ასახულია ქალისადმი პატივისცემის ფაქტები სხვადასხვა ქვეყნის საგაზეთო პუბლიკაციების მიხედვით).

კვლევის აღწერა: ლექციაზე სტუდენტებს მიეცათ ექვსი სხვადასხვა დავალება. აქტივობა ექვსივე შემთხვევაში დაიგემა კვლევის მიზნის შესაბამისად.

კვლევის შედეგები: ჯგუფური მუშაობის აქტიურობის მაღალი დონე აღინიშნა, როცა სტუდენტებმა კარგად გაიგეს და გაითავისეს ჯგუფური მუშაობის მახასიათებლები და კომპეტენციის მიღწევის ინდიკატორები. I, II, III ლექციებზე სტუდენტები დავალების შესასრულებლად იყენებდნენ მახასიათებლების და ინდიკატორების ჩამონათვალს, როგორც „საყრდენ სიგნალებს,” IV –V ლექციაზე მუშაობდნენ დამოუკიდებლად. მეექვსე ლექციიდან სტუდენტთა 45% შეეძლო კონსულტაცია გაეწია სხვებისათვის.

- ჯგუფში მუშაობის კომპეტენცია I დონიდან ამაღლდა III დონემდე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ძირითადად აირჩიეს მეორე დონის ინდიკატორები. მესამე დონის კომპეტენციის მიღწევა სასურველად მიიჩნიეს იმათ, ვისაც ჯგუფის ლიდერობა სურდა.
- ჯგუფში მუშაობის კომპეტენცია სასარგებლოა „კულტურათა დიალოგის“ ისეთი თემების განხილვისას, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა მოსაზრების შეჯერებას, დასკვნის გაკეთებას, პარალელების პოვნას, რეკომენდაციების, რჩევების შემუშავებას.
- ჯგუფში მუშაობის კომპეტენციის მახასიათებლების დონეების მიხედვით განსაზღვრა საშუალებას იძლევა სტუდენტთა აქტივობა, მიღწეული კომპეტენცია შეფასდეს ობიექტურად, კონკრეტული კომპონენტის შერჩევით; ქმნის პირობებს განმავითარებელი შეფასების ტიპის ეფექტურად გამოყენებისათვის.

„კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლის პროცესში მიღწეული ჯგუფური მუშაობის კომპეტენცია დიდაქტიკური პრინციპის მიხედვით მზა ცოდნის სახით გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის კომპეტენციათა რუკაზე მითითებულ სხვა სასწავლო კურსის ან მოდულის სასწავლო პროცესში ახალი ცოდნის მისაღებად. ეს ხელს შეუწყობს „ჯგუფური მუშაობის“ და „ინტერდისციპლინარულ ჯგუფში“ მუშაობის კომპეტენციის განვითარებას აქტიური პრაქტიკული საქმიანობის პროცესში.

სხვა ზოგადი კომპეტენციის მიღწევისა და განვითარების მახასიათებლები სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში შეიძლება ნიმუშების მიხედვით განისაზღვროს ლექტორის მიერ, სტუდენტებთან, კოლეგებთან და პროგრამის ან დეპარტამენტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

§ 3. 2. დარგობრივი კომპეტენციები

დარგობრივი კომპეტენციები სპეციფიკურია და განსაზღვრავს დარგთან დაკავშირებული ცოდნის, უნარების, პრაქტიკული საქმიანობის დონეს. დარგთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ან ექსპერიმენტული ცოდნა მოიცავს

სპეციფიკურ ფაქტებზე დაფუძნებულ ცოდნას, პრობლემების გადაჭრის გზებს, დარგის ისტორიასა და უახლეს კვლევებს.

დარგობრივი კომპეტენცია არის გარკვეული პროფესიული ფუნქციის განხორციელების უნარი, რომელიც მოიცავს ცოდნას, უნარებს, გამოცდილებებს, მოტივაციას, შესაბამის მიდგომებს, რაც განაპირობებს სპეციფიკური საქმიანობის წარმატებულ შედეგს.

უცხო ენის საგნობრივი პროგრამის ექვსი მიმართულებიდან (მოსმენა, ლაპარაკი, წერა, კითხვა, სწავლის/სწავლა, კულტურათა დიალოგი) კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პირველი ოთხი მიმართულება, რომლებზეც გამახვილებულია ყურადღება როგორც სასკოლო რეფორმირებულ სასწავლო გეგმებში, ასევე უმაღლეს სკოლაში ტრადიციის მიხედვით. აქვე აღვნიშნავთ, რომ საშუალო სკოლის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით (2008) აღწერილია მასწავლებლის საქმიანობა პირველი ოთხი მიმართულებით. ამასთან, წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის უცხოური ენების მასწავლებლის სტანდარტი ევროსაბჭოს „ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს“ მითითების გათვალისწინებით შეიქმნა (როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის „უცხოური ენები“ 2009, 94.)

ჩნდება კითხვა, თუ რატომ არ ჰპოვა მასწავლებლის სტანდარტებში ცალკე ასახვა მიმართულებამ „კულტურათა დიალოგი“. მაშინ, როდესაც იმ სასწავლო გეგმით, რომლითაც სერტიფიცირებულმა მასწავლებელმა უნდა იმუშაოს, არის მიმართულება – „კულტურათა დიალოგი“. ამის მიზეზად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ პირველი ოთხი მიმართულების (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა) საკითხებთან დაკავშირებით, არსებობს ტრადიციული მეთოდთა, ინოვაციური მეთოდები, მდიდარი გამოცდილება, ხოლო „კულტურათა დიალოგი“ სრულიად ახალი მიმართულებაა, რომელიც სათანადო კვლევას მოითხოვს, ამასთან, შესწავლილი და დანერგილი არ არის არსებული ცალკეული გამოცდილებაც.

უმაღლეს სკოლაში უცხო ენის სწავლებისას განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს „ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს“ მოთხოვნების

დაცვა, რისთვისაც ერთ-ერთ აუცილებლობად გვესახება განათლების საფესურების მიხედვით „კულტურათა დიალოგის“ სხვადასხვა დონის დარგობრივ კომპეტენციათა განსაზღვრა, აღნიშნულის შემუშავების საფუძველს ქმნის „ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო“ (2001), საქართველოს „აკადემიური უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო“ (2008), საერთაშორისო კვლევების შედეგები, 2000, 2007 (ხ.გონსალესი, რ.ვაგენაარი), „კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა (ECTS)“, ინტერნეტწყაროები: „ხარისხის უზრუნველყოფა“, ([http://www.utwente.nl.chens.wax%279-new/higher-education events/chegsonfesnece/index.html](http://www.utwente.nl/chens.wax%279-new/higher-education/events/chegsonfesnece/index.html)), უცხო ენის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისატვის მოსამზადებელი კრებული (2009).

დარგობრივი კომპეტენციების განსაზღვრისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელია, საქართველოს აკადემიური უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს (2008) მიერ შემოთავაზებულია კვალიფიკაციის დისკრიპტორის შვიდი კომპონენტი კერძოდ:

- ცოდნა და გაცნობიერება;
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;
- შემეცნებითი და მეთოდოლოგიური უნარები - (უფრო განეკუთვნება ზოგად კომპეტენციას);
- საკომუნიკაციო უნარები;
- საინფორმაციო კომუნიკაციების გამოყენების უნარები;
- სოციალური უნარები;
- სისტემური უნარები;

შვიდივე კომპონენტი წარმოდგენილია პროფესიული სკოლის, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის დონეზე. მაგალითად:

საკომუნიკაციო უნარები (კომუნიკაცია, კითხვა, წერა).

კომპეტენცია – კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე, უცხო ენის ცოდნა.

- შეუძლია რთული და საკამათო ინფორმაციის მკაფიო და ეფექტური გადმოცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, ამ უკანასკნელთა მომზადების ან მოუმზადებლობის გათვალისწინებით.
- შეუძლია დაუბრკოლებლად საუბარი ისე, რომ საჭირო სიტყვებსა და ფრაზების მოძიებას დიდი დრო არ დაუთმოს.

- შეუძლია ტექსტების კითხვა და გაგება იმის მიუხედავად, ესება ეს მის პროფესიულ თემას თუ არა.

სოციალური უნარები

კომპეტენცია – ჯგუფური მუშაობა, ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის უნარი.

- შეუძლია ჯგუფის ეფექტური ხელმძღვანელობა, ამოცანების მკაფიო ფორმულირება და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენება.
- შეუძლია კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება.

მთავარი უცხოური ენის კომპეტენციების, რომლებიც აღიარებულია სხვადასხვა მკვლევარების მიერ: (ქანელი და სვინი 1980; ფერხი, ჰასტრაფი, და ფილიპსონი 1984; ბახმანი 1990), ჩამონათვალი ასეთია: ლინგვისტური კომპეტენციები, პრაგმატული კომპეტენციები, მსჯელობის კომპეტენცია, სტრატეგიული კომპეტენცია, მეტყველების მწყობრობის (თანმიმდევრობა) კომპეტენცია. (ტ. ჰეჯი 2002:55,56).

„კულტურათა დიალოგის“ დარგობრივი კომპეტენციათა განსაზღვრისა და განვითარების ნაბიჯები ყველა საფეხურისთვის:

- დარგის საბაზისო ცოდნა.
- საბაზისო ცოდნის შესაბამისი უნარების განვითარება, გადრმავება.
- კომპეტენციათა შემდგომი განვითარებისათვის მოწინავე კვლევების გაცნობა და დანერგვა.
- ცოდნისა და გამოცდილების ანალიზი.

წყაროების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავეთ დარგობრივი კომპეტენციების განსაზღვრა და არჩევა დამოკიდებულია კურსის პროგრამის მიზანსა და დანიშნულებაზე. უნივერსიტეტებს ფაკულტეტების, დეპარტამენტების მიხედვით შეუძლიათ ჰქონდეთ თავისი სპეციფიკური ჩამონათვალიც, რომლის ორიენტირია საქართველოს აკადემიური უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო (2008).

აღსანიშნავია, რომ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა დარგის, კვალიფიკაციის სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებას ემსახურება. დარგობრივ კომპეტენციებს გააჩნია თავისი ადგილი სილაბუსში და არის შემოწმებადი.

დარგთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა მოიცავს სპეციფიკურ ფაქტებზე დაფუძნებულ ცოდნას, პრობლემის გადაჭრის გზებს, დარგის ისტორიის და განვითარების უახლეს ვითარებას. დარგობრივი კომპეტენციების შერჩევისათვის აუცილებელია პრიორიტეტების განსაზღვრა, დასაქმების ბაზრის მოთხოვნების სერიოზული ანალიზი.

საბაზრო მოთხოვნების შესწავლა ჩვენს მიერ განხორციელდა იმ დამსაქმებელი ორგანიზაციების შერჩევით, ა) რომელშიც დასაქმებულია უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ბ) რომელშიც არ არის დასაქმებული კურსდამთავრებული, მაგრამ წარმოადგენს საინტერესო სფეროს კურსდამთავრებულთა დასაქმებისათვის.

დამსაქმებლის მოთხოვნის გათვალისწინების აუცილებლობას ადასტურებს ერთი ფაქტი: საერთაშორისო კვლევების (2006-2008) გამოკითხვის თანახმად, დამსაქმებელი ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის კომპეტენციას აძლევს უპირატესობას.

კვალიფიკაციის დასაქმების არე საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილია. იგი განსაზღვრავს პროგრამის მიზნებს, ამოცანებს, შედეგებს, სპეციალობისადმი ინტერესს. კვალიფიკაციისადმი საბაზრო მოთხოვნები ცვალებადია, რისი გათვალისწინება აუცილებელია და თავდაპირველი საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ პერიოდული ცვლილებებია შესატანი. კვალიფიკაციის დასაქმების არე და კვალიფიკაციის საბაზრო მოთხოვნები ერთმანეთთან დაკავშირებული ფაქტორებია.

წყაროების ანალიზის, დამსაქმებლის მოთხოვნის შესაბამისად, კვალიფიკაციების აკადემიური პროფილის გათვალისწინებით, შევიმუშავეთ „კულტურათა დიალოგის“ სტუდენტის მიერ მისაღწევი დარგობრივი კომპეტენციები სწავლების სხვადასხვა საფეხურისათვის.

I უმაღლესი პროფესიული განათლება

- კულტურულ განსხვავებათა არსებობის აღმოჩენა.
- შეკითხვების დასმა და პასუხები მარტივ საკითხებზე.
- საკუთარი თავის, ქალაქის, სოფლის წარდგენა სხვისთვის.
- სხვადასხვა სფეროში გამოვლენილ კულტურათა შორის განსხვავებების დადგენა.

- საკუთარი კულტურული გარემოს შეფასება და მისდამი ინტერესის გამოჩენა.
- კულტურული და ინდივიდუალური თავისებურებების შეფასება და პატივისცემა.

II ბაკალავრიატი

- სხვა კულტურის წარმომადგენელთან საქმიანი შეხვედრების ორგანიზებისათვის კომუნიკაციური ურთიერთობის დამყარება. პირდაპირ და ინტერნეტის მეშვეობით.
- ტექსტების შედგენა და საუბარი კულტურათა დიალოგის სფეროში.
- საჭირო ინფორმაციის გაცვლა, დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- კულტურათა დიალოგის საკითხებზე ტექსტების აგება თემატიკის მიხედვით.
- საუბრის წარმართვა მოვლენის, ადგილისა და სიტუაციის შესაბამისად.
- უცხო ქვეყანაში მგზავრობისას სიტუაციათა თავის გართმევა.
- პიროვნული ინტერესების სფეროს ფარგლებში საუბარი სხვებთან.
- შეხედულებების, სურვილების გამოხატვა, სიტუაციის შესაბამისად.
- პროფესიულ თემებზე საუბარი და მიმოწერა სხვა ქვეყნის წარმომადგენელთან.
- „კულტურათა დიალოგის“ თემებზე კომუნიკაცია, თარგმანი ნაწარმოებების მაგალითზე.
- დისკუსიის წარმართვა დარგთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტილებებზე.
- სხარტი და სპონტანური კომუნიკაციის დამყარება სხვა კულტურის წარმომადგენელთან.
- ნორმალური დიალოგის წარმართვა ექსტრემალურ სიტუაციაში.
- დარგში არსებული პრობლემის დანახვა და მისი გადაჭრის ახალი იდეის შემუშავება, გადაწყვეტილების მიღება.
- თემატურად მრავალფეროვან ტექსტებში გარკვევა და განსხვავებული მოსაზრების გამოხატვა.
- კულტურული თვალსაზრისით მდიდარი რესურსების შერჩევა.
- ინტერესის გამომწვევ აქტიუობაში ჩაბმა.

- მშობლიურ და სხვა სოციოკულტურულ სამყაროებს შორის პარალელების მოძიება.
- მსგავსებისა და განსხვავებების მოძიება მშობლიურ და უცხოურ კულტურათა შორის.
- ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური კომპეტენციების მიზნობრივი საჭიროებებისათვის გამოყენება.
- საქმიანობის პროცესში სხვა კულტურის ადამიანისადმი თანაგრძნობა და პასუხისმგებლობა.

III მაგისტრატურა

- ვრცელი, რთული ტექსტების გაგება და მათში გადმოცემული ინფორმაციის რეზიუმის შედგენა.
- სხვა კულტურის პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, მკაფიო და დამოუკიდებელი კომუნიკაცია.
- სხვა კულტურისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა წერილობით და ზეპირად.
- ინტერნეტინფორმაციების დახარისხება და გამოყენება.
- გასაგები, სტრუქტურულად გამართული, თემატურად მრავალფეროვანი ტექსტების შექმნა კულტურათა დიალოგის პრობლემებზე.
- ენის ცოდნის გამოყენება სხვადასხვა სოციალური მიზნისათვის.

IV დოქტურანტურა

- წაკითხულის, მოსმენილის შეჯამება და საჭირო ინფორმაციის არგუმენტირებულად წარდგენა.
- მოსაზრების, დამოკიდებულების სხარტად და ზუსტად გამოხატვა.
- კულტურათა დიალოგთან დაკავშირებული ნიუანსების მნიშვნელობის ახსნა, პარალელების გავლება, დასკვნის გაკეთება.
- სტრუქტურული ტექსტის შექმნა კულტურათა დიალოგის თემებზე.
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა და გამოყენება კულტურათა დიალოგის სფეროში.
- ინფორმაციის ნაკადიდან მიზნის შესაფერისი მნიშვნელობის გამოყოფა და დემონსტრირება, სტილისა და ფორმის შერჩევა.

დარგობრივი კომპეტენციების მიღწევა შეიძლება განსხვავებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების, ტექნიკისა და სქემების გამოყენების მეშვეობით. მაგალითად, სპეციფიკურ საკითხთან დაკავშირებით ანგარიშის ან ესეების მომზადება, პრაქტიკა, კვლევით ესეს მომზადება, ნაშრომების წაკითხვა, სხვისი ნაშრომის კრიტიკა, სემინარის, საქმიანი შეხვედრების ხელმძღვანელობა, დამსაქმებელის მონაწილეობით ერთობლივი ნაშრომის მოდელის ან სქემის მომზადება, მოხსენებების, მცირე შრომების პრეზენტაცია.

§3.3 ორიგინალური კომპეტენციები

დარგობრივ კომპეტენციებთან დაკავშირებულია ორიგინალური კომპეტენციები. რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტის დასაქმებისათვის მზაობის ხარისხის ამაღლებას. ორიგინალური კომპეტენციები სასურველი და საჭიროა საბაზრო მოთხოვნებისათვის, ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტების სტუდენტთა პარტნიორული ურთიერთობებისათვის კვლევითი საქმიანობის წარმართვისათვის.

წყაროებისა და გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ცხადი გახდა, რომ ორიგინალური კომპეტენციები გვხვდება სხვადასხვა კვალიფიკაციის სწავლების საფეხურების, დარგისა და სფეროს მიხედვით. მაგალითად, „თუნინგის“ პროექტის შედეგებით. ორიგინალური კომპეტენციები აღწერილი საექტნო საქმის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ბაკალავრიატის დონეზე. საინტერესო ორიგინალურ კომპეტენციებს გვთავაზობს ლეუვენის უნივერსიტეტი სახელწოდებით „დოქტორანტების კომპეტენციების პროფილი“ (2010. ინტერნეტ ინფორმაცია).

ლეუვენის უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დოქტურანტურის კომპეტენციებისა და უნარების წარმატებით შესწავლას, რაც აუცილებელია შემდგომი სამეცნიერო კარიერისათვის და შრომით ბაზარზე გასვლისათვის.

ლეუვენის უნივერსიტეტის მიერ დოქტორანტებისათვის შეთავაზებული ორიგინალური კომპეტენციები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- სააბონენტთაშორისო კავშირი
- ინტელექტუალური კომპეტენციები
- ლიდერობა და ცვლილებების მართვა

- კონცეპტუალური აზროვნება
- აკადემიური და ტექნიკური უნარები

ა.ხუტორსკოი (2002) სოციალური კომპეტენციების ფორმულირებისათვის გამოყოფს შემდეგ ეტაპებს:

- ყველა სასწავლო საგანში კომპეტენციის გამოყენების სქემა.
- საგანში იერარქიული სისტემის აგება (კომპეტენციის ხე).
- საგნობრივი საგანმანათლებლო კომპეტენციათა დაპროექტება განათლების ყველა საფეხურის ვერტიკალში.
- სასწავლო საგნის დონეზე საფეხურების მიხედვით ორიგინალური კომპეტენციების ასახვა საგანმანათლებლო პროგრამებში, სახელმძღვანელოებსა და სწავლების მეთოდებში.

ორიგინალური კომპეტენციების განსაზღვრისათვის გათვალისწინებით შემდეგი ფაქტორები:

- კვალიფიკაციის დასაქმების არე.
- კვალიფიკაციისადმი საბაზრო მოთხოვნები.
- კონკრეტული შესაძლებლობების ფორმირება სასწავლო საგნის, კურსის, მოდულის შინაარსის მიხედვით.
- საგანთაშორისი კავშირი გარკვეული კომპეტენციების მიღწევისათვის, კომპლექსური მიდგომის განხორციელებისათვის.

ორიგინალური კომპეტენციების ფორმირებისათვის სასწავლო საგნის, კურსის, მოდულის შინაარსში შესარჩევია სწავლება/სწავლის მეთოდები, ხერხები, აქტივობები.

კვალიფიკაციის სასურველი დონის მიღწევისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია საგანთაშორისი კავშირი. იგი შეიძლება განხორციელდეს: ა) ერთ მოდულში შემავალ საგნებს შორის, და ბ) სხვადასხვა სასწავლო საგანს შორის. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ გარკვეული ორიგინალური კომპეტენციის მიღწევა შეიძლება გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა საგნის შინაარსით. ეს კარგად ჩანს კომპეტენციათა რუკაზე. სასურველია, რომ ლექტორებისა და სტუდენტების შეთანხმებით, სილაბუსში აისახოს ამა თუ იმ ერთნაირი კომპეტენციის მიღწევისადმი სწავლებისა და სწავლის სტრატეგიები, მეთოდები, ფორმები.

შევისწავლეთ იმ კვალიფიკაციის საბაზრო მოთხოვნები, სადაც უცხო ენა მეორე ენაა. საბაზრო მოთხოვნების შესწავლა წარმართეთ რამდენიმე მიმართულებით: ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის ანალიზი (კერძოდ, დასაქმების კონკურსის მასალები, ორგანიზაციის საქმიანობის ამსახველი მასალები – რას ემსახურება, რა პერსპექტივა აქვს), პირადი შეხვედრები დასაქმების მენეჯერთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებთან, დასაქმებულებთან.

ორიგინალური კომპეტენციების შემუშავებისას ყურადღება მივაპყროთ სამეცნიერო კარიერის ზრდისთვის მზაობის პრობლემასაც.

წყაროების და პედაგოგიური პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე „კულტურათა დიალოგის“ ორიგინალური კომპეტენციების განსაზღვრისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიეთ რამდენიმე კატეგორია:

- პროფესიული ღირებულებებთან ასოცირებული კომპეტენციები.
- პროფესიული პრაქტიკა და გადაწყვეტილებების მიღება საქმიანობის პროცესში.
- ცოდნა და კოგნიტური კომპეტენციები კვალიფიკაციების უახლესი მოთხოვნების მიხედვით.
- კომუნიკაცია ნორმალურ და ექსტრემალურ სამუშაო სიტუაციაში.
- ლიდერობა, მენეჯმენტი, თანამშრომლობა.
- პიროვნული, კულტურული და ინტერკულტურული განვითარება.

კატეგორიების მიხედვით კოლეგებთან, სტუდენტებთან, დასაქმების შესარჩევი კონკურსის წარმმართველებთან შეთანხმებით, განვსაზღვრეთ „კულტურათა დიალოგის“ ორიგინალური კომპეტენციები.

1. პროფესიულ ღირებულებებთან ასოცირებული კომპეტენციები

- პროფესიულ ეთიკურ-სამართლებრივ მარეგულირებელ კონტექსტში არსებული ვითარება, რომელიც აღიარებს და უპასუხებს ყოველდღიურ პრაქტიკაში მისაღებ ეთიკურ პრობლემებსა და საკითხებს.
- ადამიანთა უფლებების, სხვადასხვა ინდივიდისა და ჯგუფის უფლებების დამცველი გარემოს შექმნა.
- საჭიროების შემთხვევაში, არსებული სიტუაციის შეცვლა წამოჭრილ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

- პასუხისმგებლობას საკუთარი პროფესიული განვითარებასა და სწავლაზე, თვითშეფასების გამოყენებას ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

2. პროფესიულ პრაქტიკასა და სასწავლო პროცესში გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული კომპეტენციები

- ფიზიკური, სოციალური, კულტურული, ფსიქოლოგიური, სულიერი გარემოს მნიშვნელობის გათვალისწინება და შესაბამისი რეაგირება.
- კეთილი ურთიერთობის დამყარება საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
- ინფორმაციების, მონაცემების შეფასება, ანალიზი და საბუთო გადაწყვეტილების მიღებისათვის.

3. ცოდნა და კოგნიტური კომპეტენციები კვალიფიკაციის უახლესი მოთხოვნების მიხედვით

შეუძლია რელევანტური თეორიული ცოდნის გამოყენება პროფესიულ პრაქტიკაში და საკამათო სიტუაციებში.

- უახლესი ტექნოლოგიების ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.
- კვლევის პრინციპების პრაქტიკაში გამოყენება.
- შედეგზე ორიენტირებული შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება.

4. კომუნიკაცია ნორმალურ და ექსტრემალურ სამუშაო სიტუაციაში

- კომუნიკაცია (ტექნოლოგიების გამოყენების ჩათვლით).
- ხელშეწყობა იმისა, რომ უცხო კულტურის ადამიანებმა გამოხატონ თავიანთი აზრები, ვარაუდები, სურვილები, შიშები და გასცეს მათ შესაბამისი პასუხები.
- პერსპექტივის შეფასება და არასწორი მოპყრობის თავიდან აცილება.
- კომუნიკაციის ტექნიკის გამოყენება თავისი გუნდის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და წარმატების მისაღწევად: კონსულტირება, პრობლემური ქცევის განსაზღვრა და მართვა;
- შფოთის, სტრესის, დეპრესიის ამოცნობა, ემოციური მხარდაჭერის აღმოჩენა და კონსულტაციისა და სხვა სახის ჩარევის საჭიროების ამოცნობა.

- ანგარიშის, დოკუმენტებისა და სხვა მასალების აკურატული მიწოდება შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.

5. ლიდერობა, მენეჯმენტი, შეფასების კომპეტენციები

- გაცნობიერება იმისა, რომ წარმატება მიიღწევა ყველა რესურსისა და ქმედების კომბინაციით.
- ჯგუფის გაძღვლა და კოორდინირება.
- სწავლების ხარისხის სტანდარტის მიღწევისათვის პრიორიტეტების გამოყენება და დროის ეფექტური მენეჯმენტი.
- რისკის შეფასება და სამუშაო გარემოში უსაფრთხოების დაცვა
- შეფასების კრიტერიუმების გამოყენება ხარისხის სტანდარტის მიღწევისათვის.
- თანამშრომლების განათლება, ზედამხედველობა და მხარდაჭერა.
- რესურსების ეფექტურად გამოყენება.

6. „კულტურათა დიალოგის“ სწავლებით სტუდენტის პიროვნული, კულტურული და ინტერკულტურული განვითარება

- შემოქმედებითი უნარების განსავითარებელი დავალებების შეთავსება.
- კრიტიკული აზროვნების განვითარება.
- სოციალურ-კულტურული და კულტურული თვალსაზრისით მდიდარი რესურსების მოძიება და მათზე დაფუძნებით ინტერესის გამომწვევი აქტივობის შერჩევა.
- უცხოურ და მშობლიურ სოციოკულტურულ სამყაროს შორის პარალელის გავლებისათვის შესაფერი მასალების მოძიება, დახარისხება, გამოყენება.

ორიგინალურ კომპეტენციათა განსაზღვრა ერთი მხარეა, მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეა ვინ ასწავლის და მიაჩნია თუ არა საჭიროდ მისი სწავლება. ამ პრობლემამ განაპირობა კვლევის შემდგომი ნაბიჯი:

„კულტურათა დიალოგის“ ორიგინალური კომპეტენციების მიმართ მასწავლებელთა დამოკიდებულების ხარისხის დადგენა.

კვლევის მიზანი: „კულტურათა დიალოგის“ სწავლებით მისაღწევი ორიგინალური კომპეტენციების გამოყენების მსურველ მასწავლებელთა გამოვლენა.

კვლევის სამიზნე ჯგუფი: უმაღლესი სკოლის უცხო ენის (40) მასწავლებლები.

კვლევის მეთოდები: კვლევითი სემინარი, (კლასტერული დიზაინი, მრავალდონიანი მოდელი, შედარებითი ანალიზი).

კვლევის პროცედურა: მასწავლებლებს კვლევით სემინარზე გაეცნო ორიგინალური კომპეტენციების ჯგუფები, მათ უნდა გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება ჩამონათვალის მიმართ და აღენიშნათ მათთვის მისაღები ჯგუფები უპირატესობის მინიჭებით.

I ვარიანტი - კლასტერული დიზაინი. რესპოდენტები არ იყვნენ ერთმანეთისაგან მკაცრად დამოუკიდებელი. მიკერძოება არ გამოვლენილა.

II ვარიანტი - მრავალდონიანი მოდელი. რესპოდენტები იყვნენ დამოუკიდებელი. შერჩევა მოხდა მიზნობრივად, ანუ სპეციალობის მიხედვით (ერთ სპეციალობაზე მომუშავე მასწავლებლები გაერთიანდნენ ერთ ჯგუფში).

კლასტერული დიზაინისა და მრავალდონიანი მოდელის მონაცემთა შედეგები გაანალიზდა შედარებითი ანალიზით.

კვლევის შედეგები: მასწავლებელთა 87%-მა კომპეტენციათა ჩამონათვალის მიმართ გამოხატა დადებითი დამოკიდებულება.

ყველაზე მაღალი (21%) მონაცემი მოიპოვა „ცოდნა და კოგნიტიური კვალიფიკაციის უახლესი მოთხოვნების” ჯგუფის კომპეტენციებმა.

19% მოაგროვა ლიდერობის, მენეჯმენტისა და შეფასების კომპეტენციებმა.

პროფესიულ ღირებულებებთან ასოცირებულმა კომპეტენციებმა - 18%.

პროფესიულ პრაქტიკასა და სასწავლო პროცესში გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულმა კომპეტენციებმა - 17%.

სტუდენტის პიროვნული, კულტურული და ინტერკულტურული განვითარების უზრუნველყოფის კომპეტენციებმა - 16%.

კომუნიკაცია ნორმალურ და ექსტრემალურ სამუშაო სიტუაციაში- 14%.

კვლევის შედეგების შეჯამება ჩავატარეთ კვლევაში მონაწილე პედაგოგთა თანდასწრებით. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა უმეტესობას 86% აქვთ „კულტურათა დიალოგის” სწავლებით მისაღწევი კომპეტენციების გამოყენების სურვილი. (აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების გაცნობის შემდეგ თავშეკავებულთა რაოდენობიდანაც გამოითქვა სურვილი გადახედონ თავიანთ პოზიციას.)

კვლევითი სემინარის მონაწილეთა მიერ გაზიარებულ იქნა ჩვენს მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები: ორიგინალური კომპეტენციების განსაზღვრის აუცილებლობა განპირობებულია სასწავლო საგნის მიზნებისა და ამოცანების სპეციფიკურობით და გამომდინარეობს საბაზრო მოთხოვნებიდან.

ორიგინალური კომპეტენციების განსაზღვრისათვის სასურველია გამოიყოს ჯგუფები ან კატეგორიები, რაც უფრო ცხადსა და მიზანმიმართულს გახდის კომპეტენციების ჩამონათვალს. ორიგინალური კომპეტენციების განსაზღვრაში სტუდენტთა მონაწილეობა ამაღლებს კომპეტენციათა შერჩევის სანდოობას.

ზოგადი, დარგობრივი, ორიგინალური კომპეტენციების განსაზღვრით კონკრეტული და ცხადი ხდება სასწავლო კურსის/მოდულის „კულტურათა დიალოგის“ წვლილი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში.

ამრიგად, უცხოური ენის, როგორც მეორე ენის, სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ სასწავლო კურსის ან მოდულის ფორმით საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვა ხელს შეუწყობს პროგრამის მნიშვნელობის ამაღლებას, ინტელექტუალური მონაპოვრის გაუმჯობესებას, მოტივობის ხარისხის ამაღლებას. კავშირს ზოგად საშუალო განათლებასთან, განაპირობებს დასაქმებისათვის მზაობის ხარისხის ამაღლებას.

სასწავლო კურსი/მოდული – „კულტურათა დიალოგი“ მიმზიდველობის თავსებადობისა და შესაძარობისათვის, განათლების ერთიანი ევროპული სივრცის შექმნისათვის მიღებული რეკომენდაციების, ჩარჩო პროექტების შედეგების შესაბამისად, მისაღწევი კომპეტენციების განისაზღვრა, სწავლების, სწავლის, შეფასების ორგანიზაციის ფორმები, მეთოდები, გააძლიერებს და უკეთ წარმოაჩენს კურსის/მოდულის წვლილს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში. იგი აგრეთვე ასახავს პოულობს ისეთ ფორმაში, როგორცაა „საინფორმაციო პაკეტი“, „კურსის კატალოგი“, სადაც რეკომენდებულია თითოეული კურსის ერთეულისათვის სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების აღწერა.

თავი მეორე

„კულტურათა დიალოგის“ სასწავლო პროცესის მართვა და სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შეფასება

§1. სწავლება/სწავლის საკითხისათვის

კომპეტენციებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სასწავლო პროცესის მართვის ახალ მიდგომებს მოითხოვს. ამ მიმართულებით ევროპის უნივერსიტეტთა ხელმძღვანელების მიერ მიღებული ლონდონის კომუნიკე (2007) დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სასარგებლო გამოცდილების გაზიარებასა და საინოვაციო საქმიანობაში ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას. ამასთან მიგვაჩნია, რომ სასურველი შედეგების მიღწევის ერთ-ერთი პირობა ტრადიციულისა და ინოვაციურის შეხამებაა.

გაჩნდა მნიშვნელოვანი პრობლემა, თუ რა უნდა იცოდეს სტუდენტმა, რისი შესრულების შესძლებლობა აქვს დროის გარკვეულ პერიოდში და რას სთავაზობს შესასწავლად მასწავლებელი. განასხვავებენ ორ მიდგომას: როცა მასწავლებელმა იცის, თუ რა უნდა ისწავლოს სტუდენტმა მისი კურსის ფარგლებში (მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომა) და რაა საჭირო სტუდენტის მიერ კვალიფიკაციის კომპეტენციების მიღწევისათვის (სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა).

წარსულს ჩაბარდა ე.წ. „დახრილი თავების“ სასწავლო პროცესი, როცა მასწავლებელი და სტუდენტი თავდახრილი კითხულობდნენ და წერდნენ სალექციო მასალას. თავი იჩინა მეორე უკიდურესობამ – უნივერსიტეტის შიდა ქსელში განთავსებული სალექციო მასალა, რომელიც არ მდიდრდება სტუდენტის ან ლექტორის მოყვანილი მაგალითებით. მიმდინარეობს უკეთესი გზების ძიება.

უმაღლესი სკოლის მასწავლებელთათვის სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომების გაცნობიერებაში განსაკუთრებულია ასოციაციის „კრიტიკული აზროვნება წერა კითხვისათვის“ – როლი. ამ მიმართებით ჩატარებულ ტრენინგებზე მარტო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში (2003-2005) ოცზე მეტ მასწავლებელს მიეცა სათანადო სერტიფიკატი.

გამოიცა ბევრი საყურადღებო მეთოდური ნაშრომი: („სტრატეგიები სხვადასხვა საგანში“ ჩარლზ თემპლი (2002), „რეალური სასწავლო მეთოდები“

მარლენ დი ლეფერი (2004), „ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო“ (ბრიტანეთის საბჭო (2008)), რომლებიც სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომების მრავალფეროვანი არჩევანის საშუალებას იძლევა.

„კულტურათა დიალოგის“ სასწავლო პროცესის მართვის ახალი მიდგომების შერჩევისათვის ძირითადად მივიჩნით კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემით გათვალისწინებული **სწავლების ფორმები: ლექცია, სემინარი, კვლევითი სემინარი, სავარჯიშო კურსი, ლაბორატორიული სამუშაო, სწავლა მეთვალყურეობით, წვრთნა, დამოუკიდებელი მეცადინეობა, ინტერნატურა, დასაქმება ან „მოდელის არე“**, **საველე პრაქტიკა, პროექტებზე მუშაობა და ა.შ.**

ინტერნეტ წყაროების გამოყენებით შევისწავლეთ ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტების: დეუსტო (ესპანეთი), გრონინგენის (ნიდერლანდები), კოიმბრას (პორტუგალია), ჰელსინკის, ბანსკა ბოტრიცას (საფრანგეთი), სემელვაისის (უნგრეთი) სწავლება/სწავლაში სიახლეების გამოყენების გამოცდილება. ანალიზის საფუძველზე შევარჩიეთ **სწავლება/სწავლის ორგანიზაციის ის ფორმები**, რომელთა გამოყენება განაპირობებს სასურველი შედეგების მიღწევას:

- ლექციები –ინფორმაციული, აქტიური.
- ტუტორიალი (გარკვეულ საკითხთან დაკავშირებული ინტერაქტიული სწავლება)
- მიმართული სწავლება (მომზადებული სამუშაო მოცემულ საკითხზე)
- სასწავლო სახელმძღვანელოთი სწავლება (სტრუქტურირებული თეორიული დავალებები წერით ფორმატში)
- ვიზიტები (ინსტიტუტების, დეპარტამენტების)
- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება
- ვირტუალური სწავლება
- კვლევაზე დაფუძნებული სწავლება
- ინტერპროფესიული სწავლა (ორი ან მეტი პროფესიული დისციპლინის ერთდროულად შესწავლა)
- ელექტრონული სწავლება
- ვორკშოფი
- დისტანციური სწავლება
- საინფორმაციო ან ვებტექნოლოგიებზე დაყრდნობით სწავლა

- ზედამხედველობით სწავლება
- ვიდუო-აუდიოფირებით სწავლება
- სპეციალური სწავლება–პროექტები.

მრავალფეროვანი გამოცდილებიდან არჩევანი სასწავლო კურსის/მოდულის ფორმასა და სასწავლო მიზანზეა დამოკიდებული.

პირადი გამოცდილებით შემოწმების საფუძველზე „კულტურათა დიალოგი“ სწავლება/სწავლისათვის პრიორიტეტი მივანიჭეთ სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ისეთ ფორმებს, როგორცაა

აქტიური ლექცია, რომელიც სტუდენტებთან თანამშრომლობისა და მათი ლექციაში ჩართულობის პირობებს ქმნის. ლექციის წარმართვის პროცედურაში გათვალისწინებულია ლექციის მისაღწევი მიზნის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა, დროის განაწილება მინილექციის, ლექტორის კომენტარსა და სტუდენტთა ჩართულობისათვის, რესურსების შექმნაში სტუდენტთა მონაწილეობა.

აქტიური ლექციის დაგეგმვისათვის ხელშემწყობი აღმოჩნდა 3 – ფაზიანი მოდელი (ჩარლზ თემპლი 2002). **I – ფაზა გამოწვევა (პროვოცირება)** (სტუდენტს ფიქრისა და შეკითხვებისათვის განაწყოფს, იხსენებს მოცემულ თემასთან დაკავშირებულ ცოდნას, სვამს კითხვებს, სახაფს საკუთარ სასწავლო მიზნებს). **II ფაზა – შინაარსის რეალიზება** (სტუდენტი ცდილობს ახალი მასალის გაგებას, ერთება ლექციის მსვლელობაში). **III ფაზა – რეფლექსია** (ახალ იდეებზე ფიქრი, უკვე შექმნილი ცოდნის შეფასება, შეჯამება, ინტერპრეტირება, მსჯელობა, ანალიზი).

აქვე აღვნიშნავთ, რომ დისერტანტის პირადი გამოცდილება მიმდინარეობდა პატარა აუდიტორიასთან (20-40 სტუდენტი). პრაქტიკაში ლექცია შეიძლება ჩატარდეს ასი სტუდენტისათვის. ასეთი ვითარება ჩვენს შემთხვევაში გათვალისწინებული არ ყოფილა.

სემინარი გამოვიყენეთ ძირითადი პირობების შესახებ მომზადებული მასალების პრეზენტაციებისათვის, ზეპირი გამოსვლების ოპონირების, ინტერნეტრესურსების მოძიებისა და დახარისხებისათვის, სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან პარტნიორული ურთიერთობისათვის, რითაც სემინარი სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის შედეგების წარმოჩენის კარგი საშუალება გახდა.

ეფექტიანი გამოდგა სემინარზე ლექტორის მიერ პრეზენტაციის ჩატარება. სტუდენტები ხალისით მონაწილეობდნენ შეკითხვების დასმაში, სადისკუსიო პრობლემის განსაზღვრასა და შეფასებაში.

სტუდენტის შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენის კარგი საშუალებაა პროექტების პრეზენტაცია

სასწავლო ვიზიტები გამოვიყენეთ სპეციფიკური კომპეტენციების ამაღლების, დასაქმების სფეროს გარემოს უკეთ წარმოდგენისათვის. აქ ორი მიმართულება დავნერგეთ: ა) სტუდენტი სპეციალური დავალებით თითონ ან ჯგუფთან ერთად აწყოფს ვიზიტს, ან ბ) დამსაქმებელთან შეთანხმებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ვიზიტის ადგილზე.

აღნიშნულმა ფორმამ ხელი შეუწყო საჭიროების შემთხვევაში ლექციის პროცესშივე შექმნილიყო „დასაქმების ადგილის“ იმიტაცია, რამაც განაპირობა სასწავლო მიზნის მიღწევის ინტერესისა და მოტივაციის ამაღლება.

პრაქტიკული სწავლების განხორციელებისათვის დადებითი შედეგი მოგვცა ისეთმა ფორმამ, როგორცაა **ვორკშოფი**. მრავალფეროვანი მეთოდების, სტრატეგიების, რესურსების გამოყენებით, სტუდენტებმა ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებში მუშაობით მოამზადეს ანგარიშები, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციები, პედაგოგიურ ესეები, გამართეს დებატები.

ტუტორიალი განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა მოდულში შემავალ სხვა საგანთან ერთობლივი ინტეგრირებული სასწავლო პროცესის მართვისათვის. გაჩნდა ლექციის მსვლელობაში წამოჭრილ საკითხებზე მსჯელობის, ერთ საგანში მიღებული ცოდნის მეორე საგანში გამოყენების შესაძლებლობა. სტუდენტს შეექმნა სასურველი პირობები თვითგამოხატვისა და ზოგადი კომპეტენციების განვითარებისათვის.

პრაქტიკული კურსი უცხოური ენის სწავლებაში გავრცელებული ფორმაა. ინტერესის გაზრდა გამოიწვია რეალური სავარჯიშოების სიმულაციამ, სავარჯიშოების სტუდენტთა მიერ შედგენამ და ელექტრონულ ქსელში განთავსებამ.

თანამედროვე სასწავლო პროცესისათვის დამახასიათებელია **სწავლებისა და სწავლის პროცესის** გამიჯვნა. სწავლის სწავლა განიხილება, როგორც ახალი მიდგომა განათლების ხარისხის ამაღლებისათვის. გავიცნოთ ზოგიერთი განმარტება:

სწავლა არის შრომა და უნდა დარჩეს შრომად (კ.უშინსკი,1986), სწავლა - ეს არის შრომა ცოდნის, უნარისა და ჩვევების ათვისებისათვის (მ. ესიპოვი, „დიდაქტიკის საფუძვლები“ 1967)).

სწავლა არის შრომა... ისეთი საქმიანობა, რომელიც ქმნის გარკვეულ ღირებულებას ან მომზადება ასეთი ღირებულების შესაქმნელად (ა.გობრონიძე,1965 „განათლება“).

სწავლა მიიჩნევა პროცესად, რომლის დროსაც ვიძენთ, ვიყენებთ და ვაფართოვებთ უნარ-ჩვევებს, განწყობა-დამოკიდებულებას, ცოდნასა და კონცეფციებს... სწავლა არის, ერთი მხრივ, შემეცნებითი პროცესი, მეორე მხრივ, სოციალურად შედეგიანი პროცესი.

წარმატებული სწავლის შედეგად გვემატება რწმენა და სიამოვნება მიღწეულის გამო. მარცხის შეგრძნება კი იწვევს დაბალ თვითშეფასებას, აპათიას, თავიდან არიდების მცდელობას და აგრესიას (ენდრიუ პოლარდი, 1997).

სწავლა... არის რეფლექტური აქტივობა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, ყურადღება მიაპყროს წარსულ გამოცდილებას და გაიგოს და შეაფასოს აწმყო, რათა უკეთ დაგეგმოს მომავალი ქმედებები და მიიღოს ახალი ცოდნა (ჯონ ებოტი, 2000).

ნამდვილ სწავლას გულის დადება სჭირდება. სწავლის პროცესში ჩვენ ვაყალიბებთ საკუთარ თავს. სწავლის პროცესში ჩვენ ვიძენთ იმის გაკეთების უნარს, რაც ადრე არ შეგვეძლო. სწავლის პროცესში ჩვენ შევიმეცნებთ სამყაროს და ჩვენს დამოკიდებულებას მის მიმართ. სწავლის პროცესი გვიღრმავებს ახლის შექმნის ნიჭს და გვაძლევს ძალას ჩავეერთოთ ცხოვრებაში. ჩვენში არსებობს ასეთი სწავლის სურვილი (პიტერ სენუი,1999).

სწავლა ადამიანის დამოუკიდებელი ქცევის ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც სპეციფიკური საგანი და მისი შესატყვისი სპეციფიკური მოტივიც აქვს, -მიიჩნევა დიმიტრი უხნაძე (1956) და აღნიშნავდა, რომ როდესაც სუბიექტი რაიმე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კი არ მიმართავს ამა თუ იმ აქტივობას, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ აქტივობას დაეუფლოს, მისი უკეთ შესრულება შესძლოს, მაშინ ჩვენ არ ვამბობთ: სუბიექტი სწავლობს ამ აქტივობას. სწავლა ამ

შემთხვევაში დამოუკიდებელი, თავისუფალი ქცევის ფორმად იქცევა. ნამდვილ სწავლასთან ამ შემთხვევაში გვაქვს საქმე.

სწავლის ფუნქცია მოიცავს შემდეგ ცნებებს:

- ცოდნა – ფაქტების, მოვლენების, თეორიების ცოდნა.
- ჩვევა-უნარი - პროცედურული ცოდნა, ანუ ცოდნა იმისა, თუ რა გააკეთო, როგორ გააკეთო, სად და როგორ გამოიყენო კონკრეტული ცოდნა.
- კვლევა - ადამიანის ძალისხმევა, მიმართული ამოცანის ამოხსნისაკენ, სიტუაციის შეფასების, მიზნების ჩამოყალიბების და მათი გადაჭრის აქტივობისათვის მზაობასაკენ.

სწავლა ადამიანის უნარების ერთ-ერთი ურთულესი ასპექტია. იგი გულისხმობს სასწავლო სიტუაციაში ისეთ არჩევანს, რომელიც ინდივიდის შეხედულებით საერთო და ნაწილობრივი მიზნების მიღწევისათვის აუცილებელია. ე.ი. პიროვნებას, რომელიც ისწრავის განახორციელოს რომელიღაც მოქმედება, უნდა უნდოდეს არა მარტო მოქმედების სათანადო სისტემის არჩევა, არამედ უნდა შეეძლოს კიდევ შესაბამისი ქმედების შესრულება. ეს კი მიიღწევა სწავლის სწავლით.

სწავლა ქცევაა, ამდენად, სხვა ქცევათა მსგავსად, შესაძლებელია ამ ქცევის დაუფლება ანუ სწავლის სწავლა. (ნ. ბარამიძე 1996).

სწავლის სწავლა ნიშნავს თანამედროვე პირობებში მეცნიერული და პოლიტიკური ინფორმაციი უხვ ნაკადში საჭირო ახალი ცოდნის დამოუკიდებლად შეძენის უნარს (ი.ბიბილეიშვილი 2008).

აღსანიშნავია, რომ სწავლის სწავლის აუცილებლობის პრობლემა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გახდა აქტუალური. საჭირო გახდა პიროვნება დაუფლებოდა იმ უნარ-ჩვევებს, რომელთა მეშვეობითაც იგი დამოუკიდებლად შეიძენდა ახალ ცოდნას, შეძლებდა ძველი ცოდნის ახალ სიტუაციაში გამოყენებას. ამ მიმართულებით იქმნებოდა შრომები, გამოკვლევები. დავასახელებთ გამოკვლევას „მეცნიერული მეთოდების ჩართვა განათლების შინაარსში“ (ც. მეგრელაძე, 1983), რომელიც ასაბუთებდა მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესში მეცნიერული მეთოდების გამოყენების დაუფლების ეფექტურობას; „სწავლის ხარისხის ამაღლება ჯგუფური მუშაობის დროს“ (ვ. ტარანტი 1983) და სხვა.

სწავლის სწავლა ინდივიდის აკადემიური და პიროვნული განვითარების ერთ-ერთი წამყვანი ფენომენია. იგი ავლენს ინდივიდის არა მარტო სააზროვნო უნარებს, არამედ იმასაც ითვალისწინებს, რამდენად იღებს იგი აკადემიურ დავალებებს და როგორ იყენებს თავის სააზროვნო შესაძლებლობებს მათ შესასრულებლად.

სწავლის სწავლას ტრანსფერულ კომპეტენციად თვლის მეცნიერი, ფსიქოლოგი კლაფერი (2000). იგი სწავლის სწავლას უკავშირებს არა მარტო ერთი, არამედ სხვადასხვა საგნის სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს.

ყურადღებას იპყრობს ნესკაუზენის (1987) მოსაზრება, რომელიც აყალიბებს მოტივაციის და ნებულობის სისტემურ თეორიულ მოდელს, რომლის მიხედვით, პიროვნება სწავლის სწავლის გადაწყვეტილების მიღებამდე, აფასებს იმას, თუ რამდენად სასურველია მისთვის ესა თუ ის მიზანი და რამდენად რეალურია მისი განხორციელების შესაძლებლობები.

სწავლის სწავლის განხორციელებაში მნიშვნელოვანია სოციალურ-მორალური სფერო: ურთიერთობა მშობლებთან, მასწავლებლებთან და თანატოლებთან, სოციალური მიზნების ურთიერთქმედება აკადემიურ მიზნებთან. მეცნიერ-ფსიქოლოგები (ბანდურა (1997), ბაუმრინდი (1996), ვენცელი (1996), ჰიგინსი (1990), კლაფერი (2000)) თვლიან, რომ სწავლის სწავლის პროცესი კოგნიტურ მხარეებზე ფოკუსირდება.

სწავლის სწავლის პროცესი გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი სწავლის მართვას, რომელიც მოიცავს სწავლის დაგეგმვას, შეფასებას, და მუდმივ მონიტორინგს.

სწავლის სწავლას აქვს ორი კომპონენტი: გონებრივი და ემოციური. გონებრივი კომპონენტი მოიცავს ორ სფეროს: სწავლის მოქმედებები, აზროვნების მოქმედებები. სწავლის მოქმედებების ძირითადი კომპონენტია სწავლის მართვის უნარ-ჩვევების განვითარება, კერძოდ, სწავლის ოპერაციებისა და ჩვევების დაუფლება (ინფორმაციის დამახსოვრება) და მათი გამოყენება. აზროვნების მოქმედების ძირითადი კომპონენტები მოიცავს ლოგიკურ აზროვნებას, პრობლემის გადაწყვეტას, საკუთარი სწავლის პროცესის გაცნობიერებას და გამოყენებას.

ემოციური კომპონენტი გულისხმობს პიროვნების მიერ საკუთარი ემოციების მართვას, ანუ თვითრეგულაციას. იგი გულისხმობს: შეცდომის დანახვისა და გამოსწორების უნარებს, უცნობი ვითარებისადმი შეგუებას, წარმატების იმედს.

სწავლის სწავლის უნარ-ჩვევის შეფასება მოიცავს არა მხოლოდ პიროვნების სააზროვნო უნარ-ჩვევებს, არამედ ითვალისწინებს იმასაც, თუ რამდენად იღებს იგი აკადემიურ დავალებას და როგორ იყენებს თავის უნარ-ჩვევებს მის გადასაჭრელად. თანამედროვე სწავლის სწავლას მეტაკოგნიციასაც (პერკინსი 2007) უწოდებენ. მეტაკოგნიცია გულისხმობს პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესის დაკავშირებას სხვადასხვა სასწავლო სიტუაციისა და მოთხოვნების შესაბამის ქცევასთან. იგი ორიენტირებულია სასწავლო დისციპლინაზე, მიზნებზე, ამოცანის გაცნობიერების ხარისხზე, მუდმივ თვითკონტროლზე.

სწავლის სწავლა საჭიროებს დაგეგმვასა და შესაბამისი ტექნოლოგიების ფლობას. (ი. ბასილაძე 2006, ი. ბიბილეიშვილი 2009, ლ. თავდგირიძე 2007, ც. მეგრელაძე 2009).

უმაღლეს სკოლაში სწავლის დაგეგმვა სწავლებასთან ერთად მოისაზრება. მასწავლებლის მიერ გასათვალისწინებელია შემდეგი:

- კურსის მთავარი მიზანის, ამოცანების, შედეგების, შესატყვისობა პროგრამის ძირითად მიზანთან, ამოცანებთან და შედეგებთან.
- სასწავლო კურსში განსახილველი პრობლემები რამდენად პოულობს ასახვას დღევანდელ სამყაროში, რა მნიშვნელობა აქვს მის შესწავლას სპეციალისტისათვის.
- როგორ გამოიყენებენ სტუდენტები კურსის გავლის შედეგად მიღებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს პრაქტიკული მუშაობის პროცესში, ანუ რომელ სფეროში და სად შეუძლიათ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელება.
- ვის შეუძლია დაეხმაროს, წარმართოს და გააკონტროლოს მათი საქმიანობა.
- რა სახის სწავლება დასჭირდებათ პროფესიული კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისათვის.

- როგორ შეძლებენ სტუდენტები თავიანთი საქმიანობის კურსის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობაში მოყვანას და სასურველი კომპეტენციის დონის მიღწევას.
- როგორ შეფასდება სტუდენტის საქმიანობა.
- სტუდენტის წინაშე გაფართოებული კვლევის პერსპექტივის დასახვა. ისეთი პრობლემების შერჩევა, რომლის გადაწყვეტა სასურველი და სასარგებლოა. შესაძლებლობა – სტუდენტმა გაიაროს ეტაპები: რეფერატი, მოხსენება, საბაკალავრო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომი, სადოქტორო დისერტაცია.
- სტუდენტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მეთოდების გაცნობა, მათი შერჩევა და გამოყენება.

ECTS სისტემა გვთავაზობს სწავლის ისეთ ფორმებს, როგორცაა ნაშრომების, სტატიების, წიგნების კითხვა, წყაროების ანალიზი, დიალოგი, დისკუსიური სპეციფიკური დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, თავისუფალი წერა, მცირე მოცულობის რეფერატების ან სტატიის დაწერა, ანგარიშის შედგენა, საჭირო მასალის მოძიება ბიბლიოთეკაში ან ელექტრონულ ფორმატში.

როგორც აღვნიშნეთ, სწავლებისა და სწავლის მეთოდების (სტრატეგიები, ზოგიერთ ლიტერატურაში გამოყენებულია ტერმინი „ინსტრუმენტი“) ფართო და მრავალფეროვანი არჩევანია, რომელთა გამოყენება სასწავლო პროცესის სხვადასხვა ფაზაშია შესაძლებელი, თუმცა მკვეთრი ზღვარი არ არსებობს. დავასახელებთ ზოგიერთს: **ფოკუსირებული შეკითხვები, გონებრივი იერიში, მოზაიკა I, კლასტერი (აბლაბუდა), მოლოდინის მეთოდი, გრაფიკული ორგანიზატორები, ორმხრივი ჩანაწერის დღიური, პრობლემური კითხვა, ტერმინები წინასწარ, ურთიერთსწავლება, ათწუთიანი ესსე, როლებით თამაში, ისწავლე რეალობა ჯგუფში, დაეხმარე სტუდენტს აზრი გამოთქვას, დრამა აუდიტორიაში, მომიყევი ამბავი, გააკეთე შენ თვითონ.**

სწავლის მეთოდები (სტრატეგიები) ეხმარება სტუდენტს პროცედურული ცოდნის გაღრმავებაში. იგი განაპირობებს ძალისხმევის მობილიზებას ამოცანის ამოხსნისაკენ, სიტუაციის შეფასების, მიზნების ჩამოყალიბებასა და მათი გადაჭრის მოქმედებისათვის მზაობას. საშუალებას აძლევს სტუდენტს გამოიყენოს მიღებული გამოცდილება, გაიგოს და შეაფასოს, რას ითხოვს აწმყო

ვითარება, უკეთ დაგეგმოს მომავალი ქმედებები და მიიღოს ახალი. ამასთან, აგვარებენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ პრობლემებს: დროის უკმარისობა, მოუმზადებლობა, აქტივობის არაპრაქტიკულობა, განწყობის უქონლობა, თემის სირთულე და სხვა. მაგალითად: კრეატიულობის იდეის განვითარების მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა სასწავლო მასალის უკეთეს გაგებისათვის შეიქმნას კრეატიული იდეა, რომელიც ხელს შეუწყობს გაგებას, არასწორი აზრის შეცვლას, შექმნის ახალი იდეის წინაპირობას, წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობისათვის ეფექტურ პირობებს.

„ბლუმის ტაქსონომია“ (ბლუმი 1956) (ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება). როლებით თამაში, დისკუსია, იდეების ზეპრი გაცვლა სიმულაცია (არარეალური სიტუაციები), დებატები (იდეების წარდგენა და დაცვა), დიდაქტიკური და პროფესიული თამაშები.

სტუდენტებსა და მასწავლებლებს საშუალება აქვთ გაეცნონ სწავლება/სწავლის ახალ ფორმების ტექნოლოგიური საკომუნიკაციო ქსელების გამოყენებით. თანამედროვე ელექტრონული სწავლების მენეჯმენტი (სისტემები), როგორც წესი, იყენებენ ისეთ სპეციალურ საშუალებებს, როგორცაა ვირტუალური სასწავლო გარემო (მაგალითად Web CT, Blackboard), პირდაპირი ვებლინკები უმაღლეს სკოლაში სწავლების აქტიური მეთოდების შესახებ და სხვა.

რამდენადაც ჩვენი კვლევის სფეროა უცხოური ენა, როგორც მეორე ენა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კვალიფიკაციას, სწავლებისა და სწავლის ფორმების მეთოდების შერჩევისას მნიშვნელოვანი ამოცანა გახდა იმ გამოცდილების შესწავლა, რომლითაც სწავლება/სწავლის მეთოდების გამოყენებით მიღწეულ იქნა კვალიფიკაციით გათვალისწინებული კომპეტენციები. ამ მიმართებით ყველაზე სანდოდ მივიჩნიეთ პროექტ „თუნინგის“ (2005) მიერ მხარდაჭერილი გამოცდილება, რომელიც აღიარებულია ევროპის უნივერსიტეტების მიერ.

ამგარი მიდგომის მოტივია, რომ შეგვეჩიას ისეთი კომპეტენცია და სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელიც შექმნის „კულტურათა დიალოგის“ მოდულში ასახვის პირობებს. წარმოვადგენთ ზოგიერთი მოდულის ნიმუშს, რომელიც ეფექტურად გამოიყენება პრაქტიკულ საქმიანობაში.

ნიმუში I. დარგობრივი სფერო „ისტორია“ მისაღწევი კომპეტენცია: უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი, ისტორიოგრაფიულ მეცნიერებაში აღიარებული პროფესიული ტერმინოლოგიისა და ტექნიკის გამოყენებით.

სწავლების მეთოდი, ფორმა – ენის კურსები და ლაბორატორიები, ისტორიის კურსები უცხო ენაში, ისტორიული წიგნების კითხვა სხვა ენაზე, მობილობა, ვირტუალური მობილობა.

სწავლის ფორმები – გრამატიკული და ლექსიკური სწავლა და პრაქტიკა, პრაქტიკა საუბარში, ზეპირი პრეზენტაცია და დისკუსია, უცხოელ სტუდენტებთან მუშაობა, ვიდეოკონფერენციები.

ნიმუში II. დარგობრივი სფერო „ფიზიკა“, მისაღწევი კომპეტენცია: ფლობდეს უცხო ენას და სწავლობდეს კურსს უცხო ენაზე, სწავლობდეს საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამებით.

სწავლების მეთოდები – სავარჯიშოები, ახსნითი კომენტარი, ვიდეორგოლები.

სწავლის მეთოდები – კითხვებზე პასუხი, ანოტაციის შედგენა, თეზისები, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაცია.

ნიმუში III. დარგობრივი სფეროს კომპეტენციის შერჩევისა და დაუფლების ხარისხის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას კითხვარი შემდეგი საკითხებით:

- ა) შეარჩიეთ კურსის ბოლოს მისაღწევი კომპეტენცია? რას ნიშნავს ეს კომპეტენცია სტუდენტისათვის?
- ბ) სწავლის შედეგები შესაბამისობაშია შერჩეულ კომპეტენციასთან?
- გ) სწავლებისა და სწავლის შესაძლო სტრატეგიით (მეთოდებით), როგორ ეხმარებით სტუდენტებს მიაღწიონ ამ კომპეტენციას?
- დ) როგორ აფასებთ, მიაღწიეს თუ არა ამ კომპეტენციას. როგორ გაიგონ სტუდენტებმა, რომ მათ მიაღწიეს კომპეტენციას, და თუ არა, დაასახელონ ამის მიზეზები.

ამ კითხვარის გამოყენება საშუალება მოგვცა ხელი შეგვეწყო სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება/სწავლის განხორციელებისათვის.

წამოიჭრა პრობლემა სასწავლო პროცესში „კულტურათა დიალოგის“ მიღწეული დონე რა ეტაპს მიაღწევს პროფესიული პრაქტიკის დროს. ამ მიმართებით განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო რ. ბენერის მოდელმა და ნ.

შტაინეკერი – ბელის ტაქსონომიამ (1984), რომელთაც ფართო გამოყენება აქვთ პროფესიული კვალიფიკაციის მომზადებაში.

გთავაზობთ რ. ბენერის „პროფესიული უნარების, კომპეტენციების გამომჟღავნებისა და განვითარების მოდელს.

- I. ეტაპი – დამწყები
- II. ეტაპი – გარკვეული გამოცდილების მქონე დამწყები.
- III. ეტაპი – კომპეტენტური.
- IV. ეტაპი – პროფესიონალი
- V. ეტაპი – ექსპერტი

რ. შტაინეკერისა და ა. ბელის ტაქსონომია (1979)

- I. **დემონსტრირების დონე** – მასწავლებლის მიერ მასალის მოდელირება და დემონსტრირება.
- II. **მონაწილეობის დონე** – მასწავლებლის ზედამხედველობით სტუდენტების მიერ ინდივიდუალური პრაქტიკული ელემენტების დაუფლება.
- III. **იდენტიფიცირების დონე** – სტუდენტის მიერ პრაქტიკული საქმიანობის მართვა მცირე ინსტრუქციით.
- IV. **ინტერნალიზაციის დონე** – მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში განახორციელების სპეციალისტის ან მასწავლებლის ზედამხედველობით.
- V. **დემონსტრაციის დონე** – სტუდენტის დამოუკიდებლად მუშაობა და სხვისი დახმარების შესაძლებლობა.

ორივე მოდელში საინტერესოა პრაქტიკის პერიოდში სტუდენტის როგორც „ექსპერტის“ და „სხვისი დახმარების შესაძლებლობის მქონე ადამიანი“ წარმოჩენა, რაც მოტივს ქმნის სწავლის უკეთესი შედეგების მიღწევისა და გამოყენებისათვის, ამასთან მკაფიოა სასურველ შედეგებამდე გასავლელი გზა.

სასწავლო პროცესის მართვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აქტივობის სწორად დაგეგმვის შერჩევას. „აქტივობა გულისხმობს პიროვნების ან ჯგუფის ინიციატივას, მოქმედებასა და პასუხისმგებლობას. აქტივობას განაპირობებს მოტივი, რომელიც მიმართულია მიზნის რეალიზაციისაკენ: -წერს კრაუფორდი (1996:43). აქტივობაში ვლინდება სტუდენტთა მისწრაფება დასახული მიზნის განხორციელებისათვის, რასაც სათანადო პირობები და მოქმედების შესაძლებლობის ფორმები სჭირდება.

პროფესიული განვითარებისა და საერთოდ, საზოგადოებრივი პროგრესისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აქტივობის თეორიის

სამ მნიშვნელოვან დებულებას (რომელიც ძირითადად ვიგოტსკის (1981) კულტურის ფსიქოლოგიის ძირითად დებულებებს ეყრდნობა) : პირველი სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში, რომელიც იწყება ბავშვობიდან და გრძელდება სიცოცხლის დასასრულამდე. მეორე, პრაქტიკისა და ცნობიერების ინტერაქცია პრაქტიკის, მოქმედების პროცესის ანალიზის გზით. მესამე, საფუძვლიანი ცოდნის დაუფლება ინტერაქციის გზით, რაც გვასწავლის კონკრეტულ სოციალურ-კულტურულ-ისტორიულ გარემოში მოქმედებას.

გასაზიარებლად მიგვაჩნია რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც შემოთავაზებულია ნაშრომში (ავტორთა კოლექტივის ნაშრომი, "გახდე ინგლისური ენის მასწავლებელი, თეორია და პრაქტიკა ინგლისურის სწავლების საქართველოში", 2008; პეტერსონის „კულტურა ენის სწავლების პროცესში“, 2003), რომელიც ინგლისურ ენასთან ერთად კულტურის სწავლების გზებს განიხილავს. აღნიშნულია, რომ ენის სწავლებისას საკუთარი და უცხო კულტურების შესწავლა ეფექტურია შემდეგი აქტივობების გამოყენებით:

- ვიდეო გაკვეთილების, რომელთაც წინ უძღვება ინსტრუქცია კულტურულ ქცევებთან დაკავშირებით.
- სიმღერები. აქტივობები, რომლებიც შეიცავს სხვადასხვა სიმღერებსა და სამღერებს, მუსიკალურ შოუებს და ფილმებს, რომლების უცხო კულტურის უკეთაგებისაკენა რის მიმართული.
- როლით-თამაში. ეს აქტივობა უზრუნველყოფს სტუდენტებს ცხოვრებისეულ სინამდვილესთან ახლო სიტუაციებით, როდესაც მათ შეუძლიათ გაივარჯიშონ სხვადასხვა კულტურულ სიტუაციებში ისევე როგორც ენის საკითხებში.
- პროექტები. ესაა ძალიან კარგი საშუალება სტუდენტებისათვის რომ მიადწიონ სხვა კულტურის ასპექტების ცოდნის სასურველ კომპეტენციას.
- განხილვა. ეს შეიძლება შეეხოს კულტურის სპეციფიკურ ასპექტს, ის შეიძლება იყოს ფორმალური ან არაფორმალური, ორგანიზებული ან არაორგანიზებული (სპონტანური). ლიტერატურის წაკითხვა და ფილმების ნახვა შეიძლება იყოს მდიდარი წყარო კულტურული წყაროს მიღებისა და კარგი მასალა სადისკუსიო განხილვისათვის.

სასწავლო პროცესში აქტივობების გამოყენებით ეხმარება მასწავლებელს და სტუდენტს კომუნიკაციური კომპეტენციების მიღწევაში

აღნიშნულია წიგნში (“Teaching and Learning in the Language Classroom”, Tricia Hedge, 2002) აქ განხილულია მაგალითი: ლინგვისტური მნიშვნელობა შემდეგი წინადადებების არის ერთი და იგივე: a) Open the door; b) Could you open the door? c) I was wondering if you could possibly open the door. მიუხედავად ამისა, სტუდენტმა უნდა შეძლოს გააკეთოს არჩევანი ამ წინადადებებს შორის მხოლოდ ადამიანის ასაკის, სოციალური სტატუსის და მასთან დამოკიდებულების გათვალისწინებით. ასევე გასათვალისწინებელია სიტუაცია და ინტონაცია. სხვა შემთხვევაში გაუგებრობა შეიძლება წარმოიშვას.

კულტურას ყოველთვის აქვს გავლენა უცხო ენის გამოყენებისას და როგორც შედეგი უცხო კულტურის სწავლისა (ან კულტურებისა). სწორედ დაგეგმილი სწავლება/სწავლის მეთოდების, სტრატეგიების, აქტივობების გამოყენებით სტუდენტები უცხო ენის დაუფლებასთან ერთად განავითარებენ შესაძლებლობას, იმოქმედონ კულტურულად მისაღები ქცევით.

ამრიგად „კულტურათა დიალოგის“ სასწავლო პროცესის მართვით ეფექტური, სასურველი შედეგის მიღწევისათვის აუცილებელი ფაქტორებია:

- მისაღწევი შედეგებისა და კომპეტენციების განსაზღვრა
- ტრადიციული და ინოვაციური საქმიანობის შეხამება
- სწავლება/სწავლის ორგანიზაციის ფორმების, მეთოდების სტრატეგიების ახალი მიდგომების გამოყენების სასარგებლო გამოცდილების გაზიარება
- უახლესი მეცნიერული კვლევებისა და შეხედულებების მიხედვით ჩამოყალიბებული რჩევებისა და რეკომენდაციების შესწავლა და გათვალისწინება.
- პირადი კვლევებით მიღწეული შედეგების შემოწმება პრაქტიკულ საქმიანობაში.

„კულტურათა დიალოგის“ კურსის/მოდულის ხარისხიანი შედეგებისა და საჭირო კომპეტენციის მიღწევისათვის სწავლება/სწავლის ფორმების, მეთოდების სტრატეგიების შერჩევისათვის საჭირო პრინციპებია:

- სწავლების ორგანიზაციების ფორმების სწავლის სტრატეგიების შესაბამისობა სასწავლო მიზანთან, მისაღწევ კომპეტენციებთან.
- სტუდენტთა მოტივაციისა და ინტერესის ამაღლების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა სასწავლო პროცესში.

- სტუდენტთა შესაძლებლობებისა და სასწავლო ბაზის (რესურსების) რეალური ვითარების გათვალისწინება.
- სტუდენტის მიერ გაცნობიერება რა გააკეთოს, როგორ გააკეთოს, სად და როგორ გამოიყენოს კონკრეტული ცოდნა.

სწავლება/სწავლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას აუცილებლად დგება საკითხი სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების გაზომვის, შეფასების შესახებ. ამ პრობლემის კვლევა გახდა შემდეგი პარაგრაფის ძირითადი საკითხი.

§ 2. სტუდენტთა ცოდნის შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შერჩევა

სტუდენტის მიერ უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების – „კულტურათა დიალოგის“ მიღწეული დონის შეფასების ფორმების, მეთოდების, სქემების შერჩევის ძირითად პრინციპად მივიჩნით სწავლის შედეგების, კომპეტენციებისა და ECTS სისტემის კრედიტების დაკავშირება.

პრობლემის უკეთ წარმოჩენისათვის განვიხილოთ სტუდენტის ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებული ახალი მიდგომები. როგორც ცნობილია, შეფასება საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. შეფასების ფორმებისა და პროცედურების სრულყოფის შესახებ მრავალი ნაშრომი და მოსაზრება არსებობს.

შეფასება უდიდეს როლს ასრულებს სწავლის მოტივაციის ჩამოყალიბებაში. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ ვინ და რას აფასებს, „შეფასების საგანი შეიძლება იყოს სასწავლო მუშაობის შედეგები, ხერხები, უნარ-ჩვევები. მნიშვნელოვანია არა მარტო ამოცანის ამოხსნა, არამედ ისიც, თუ რა გზით ამოიხსნა იგი“, – წერდა პროფ. ა. გობრონიძე (2000:203)

შეფასება იძლევა სრულ ინფორმაციას სტუდენტის წინსვლის, საქმიანობისა და პრობლემების შესახებ. მეორე მხრივ, შეფასება გვიჩვენებს, რამდენად კარგად ასწავლის პროფესორი და რამდენად წარმატებულია ის მეთოდიკა, რომელსაც იგი იყენებს” (ი. ბიბილეიშვილი, ბათუმი, 2008).

უმაღლეს სკოლაში სტუდენტთა შეფასების საკითხი ყოველთვის იყო საკამათო და საზრუნავი პრობლემა. რეფორმამდე არსებობდა შეფასების ორი ფორმა: ჩათვლა და გამოცდა. ორივე ფორმა გამოიყენებოდა სემესტრის დასასრულს. ცოდნის შეფასება ძირითადად მიმდინარეობდა ბილეთების მეშვეობით. აღსანიშნავია ისიც, რომ მოწინავე ლექტორ-მასწავლებლები იყენებდნენ ორიგინალურ ფორმებსა და მეთოდებს, მაგრამ მათ ოფიციალური აღიარება არ ჰქონდა.

შეფასების ახალ მიდგომებთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ფრანკ სერაფინის სტატია (2001) „შეფასების სამი პარადიგმა: გაზომვა, პროცედურა, კვლევა-ძიება“. სტატიაში აღნიშნულია, რომ როცა მასწავლებელზე ორიენტირებული კურიკულუმიდან სტუდენტზე ორიენტირებულ კურიკულუმზე ხდება გადასვლა, საჭიროა შეფასების დანიშნულებისა და მეთოდების გადახედვა.

შეფასების პარადიგმით გაზომვა ობიექტურია, აქ სტანდარტში ჩასმა და სანდოობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მასწავლებლის ან სტუდენტის ჩართულობა. ტესტირების პროცესში ქულებს კომპიუტერი ანგარიშობს. ტესტები სამართლიანობის დასაცავად გასაიდუმლოებულია. შედეგები ერთმნიშვნელოვანია და ნაკლებად გამოიყენება შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

შეფასება, როგორც პროცედურა, უპირატესობას ანიჭებს ნამუშევრების შეგროვების პროცესს, კონკრეტულ ქმედებას. იგი ხშირად ორი პარადიგმის (გაზომვა და კვლევა-ძიებას) ნაზავია.

შეფასება, როგორც კვლევა-ძიება, მრავალფეროვან რაოდენობრივ და ხარისხობრივ ტექნოლოგიას იყენებს. ეს არის კვლევა-ძიების, ინტერპრეტირების პროცესი, სადაც შეფასება ხდება ათვისების დონის, დამოკიდებულების, წიგნიერების მიხედვით. იგი უკავშირდება სტუდენტის მიერ პორტფოლიოს შექმნას, სამეცნიერო პროსემინარში მონაწილეობას, რეფერატებს, მოხსენებებს, დამოუკიდებელი დავალებების შესრულებას.

უმაღლესი სკოლების საქმიანობის გაცნობა ცხადყოფს, რომ მიმდინარეობს სხვადასხვა საფეხურზე სტუდენტთა ცოდნის შეფასების ახალი ფორმების დანერგვა (რსუ, აწსუ).

აღსანიშნავია, რომ შეფასების საკითხებთან დაკავშირებით 2005 წლიდან დაიწყო მომზადება „შეფასების ევროპული ინსტრუქციისა“, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ყურადღებას იპყრობს შეფასების პროცედურა, რომელიც

უნდა: „შეესაბამებოდეს საკუთარ დანიშნულებას, იქნება ეს დიაგნოსტიკა, ფორმირება თუ შეჯამება; ჰქონდეს ნიშნის დაწერის მკაფიო კრიტერიუმები; შეფასებას წარმართავდნენ ის სპეციალისტები, რომელთაც ესმით შეფასების არსი, იცის სასურველი კვალიფიკაციის შესაბამისად სტუდენტისათვის საჭირო ცოდნა და უნარები; სადაც შესაძლებელია, შეფასება არ ეყრდნობოდეს ერთი გამომცდელის აზრს.” (<http://tuning.unideusto.org/tuning>).

საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობისათვის ევროპაში ჩატარებული კვლევების შედეგებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა შეფასების პრობლემამ. მიჩნეულია, რომ „შეფასება არ არის მხოლოდ სწავლებისა და სწავლის პერიოდის ბოლო ეტაპი, არამედ ფართო გაგებით ამ პროცესების ცენტრალური ელემენტია და პირდაპირ უკავშირდება სწავლის შედეგებს” რობერტ ვაგენაარი (2003).

ევროპის ერთიანი საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვის შემდეგ, საქართველოს უნივერსიტეტებში დაინერგა შეფასების კრედიტების დანერგვისა და ტრანსფერის სისტემა (ECTS User's Guide: http://europa.eu.int/comm/education/Socrates_ects.html).

აღსანიშნავია, რომ 1989-1995 წლებში 145 უმაღლეს სასწავლებელთან თანამშრომლობით ევროსაბჭოს მიერ შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა. ევროპის უმაღლესი განათლების პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებებმა განაპირობა კრედიტების ტრანსფერის სისტემის კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემად გარდაქმნა (ECTS 2004).

ევროპის ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლები აღიარებენ ECTS მნიშვნელობას განათლების ევროპული სივრცის ჩამოყალიბებაში, რის შესახებაც აღნიშნულია სორბონის დეკლარაციაში(1998), ბოლონიის დეკლარაციაში (1999), პრადის კომუნიკეში (2001).

უმაღლესი სკოლების გარდა ECTS სისტემა გამოიყენება უმაღლესი განათლების ისეთი ფორმებისთვისაც, როგორცაა დაუსწრებელი სწავლება, დისტანციური სწავლება, განმეორებადი სასწავლო პერიოდები (კვალიფიკაციის გადამზადება, ტრენინგი და ა.შ. რასაც უწოდებენ „სწავლას მოელი სიცოცხლის მანძილზე“).

ECTS საშუალებას აძლევს უმაღლეს დაწესებულებას დაგეგმოს საკმიანობა ეფექტური გზებით სასურველი შედეგების მისაღწევად. იგი ხელს უწყობს შედეგების მონიტორინგისა და სწავლება/სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, უზრუნველყოფს სტუდენტთა მობილობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ, საგანმანათლებლო სისტემის დაკავშირებას ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე, გვევლინება, როგორც ევროპის სტუდენტთა პარტნიორული ურთიერთობის ხელშემწყობი.

ECTS –ის 60 კრედიტით იზომება აკადემიური წლის განმავლობაში სტუდენტის სასწავლო დატვირთვა, შესაბამისად, ყველა საფეხურის (პროფესიული, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სასწავლო დატვირთვა.

სტუდენტის სასწავლო დატვირთვის საზომი არის კრედიტი, რომელიც დაფუძნებულია მოცემული სასწავლო ერთეულის (კურსის ან მოდულის) შესასწავლად აუცილებელი დროის რაოდენობაზე. სტუდენტის სამუშაო საათების რაოდენობა, რომელიც საჭიროა მოცემულ დონეზე სწავლის შედეგების მისაღწევად, დამოკიდებულია სტუდენტის შესაძლებლობებზე, სწავლებისა და სწავლის მეთოდებზე, სასწავლო რესურსებზე, შეფასების ფორმებზე. ECTS სისტემა სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამის ცენტრში აყენებს.

კრედიტები მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის დროს. საკონტაქტო დრო, ECTS ლექსიკონის განმარტებით, არის 60 – წუთიანი კონტაქტი მასწავლებელსა და სტუდენტს, ან სტუდენტთა ჯგუფებს შორის, ხოლო „თუნინგის“ ლექსიკონით, საკონტაქტო საათები არის სწავლება/სწავლის $45-60=$ წუთიანი პერიოდი, როდესაც მასწავლებელი ჩართულია უშუალოდ სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლების პროცესში. ორივე განმარტება ერთმანეთს ავსებს. რეკომენდებულია შემდეგი განაწილება: 5 კრედიტი ნიშნავს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის $125-150=$ საათიან დატვირთვას. $60=$ კრედიტიანი – ნიშნავს სასწავლო წლის განმავლობაში 1500-1800 საათს. 1 კრედიტი 25-30 საკონტაქტო საათის ტოლია. რეკომენდაციებში უნივერსიტეტებს თავიანთი შესაძლებლობების შესაბამისად შეაქვთ ცვლილებები.

კრედიტების მიღება, ათვისება ხდება მაშინ, როცა კურსის ან მოდულის ერთეული ან სხვა აქტივობა (მაგალითად პრაქტიკული) წარმატებითაა დასრულებული და შეფასებულია.

ECTS სისტემა ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაში შესადარობისა და თავსებადობის ერთ-ერთი უმთავრესი მექანიზმია, მკაფიოდ განსაზღვრული მიდგომებით, გამჭვირვალობით და სტუდენტთა მიმართ ღია დამოკიდებულებით.

შეფასების ახალი სისტემის მიხედვით, მოთხოვნები იმის თაობაზე, თუ რა საჭიროებაა განსახორციელებელი სასურველი შედეგების მისაღწევად სტუდენტებისათვის, სილაბუსის მეშვეობით კურსის დაწყებისთანავე არის ცნობილი, რაც სტუდენტის სწავლას მიზანმიმართულს ხდის, ხოლო მასწავლებელს საშუალებას აძლევს სტუდენტს შეუქმნას ცოდნის შეთვისების, გამოვლენის შესაძლებლობა და პირობები.

ECTS სისტემით შეფასება შეიძლება იყოს შეფასებითი და განმავითარებელი. ეფექტურია უწყვეტი - მიმდინარე შეფასება, ანუ, როცა სტუდენტის სამუშაო ფასდება კურსის შესწავლის განმავლობაში და არა მხოლოდ საბოლოო გამოცდაზე, რაც ხელს უწყობს სტუდენტს წახალისდეს უკეთესი შედეგისათვის. განმავითარებელ შეფასების კომპონენტად განიხილება დიაგნოსტიკური შეფასება. დიაგნოსტიკური შეფასების დროს ხდება გარკვეული მომენტისათვის არსებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება, რათა ზუსტად დაგეგმოს სწავლის პროცესი სუსტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით.

მიღებულია უწყვეტი შეფასება, რომელიც აღნიშნავს სიტუაციას, როდესაც შეფასება მიმდინარეობს სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში და მოქმედებს საბოლოო შეფასებაზე.

შეფასებას სემესტრში ძირითადად სამ ეტაპად ყოფენ I და II ეტაპი მიმდინარე შეფასებაა, რომლის დროსაც სტუდენტს საშუალება ეძლევა გააუმჯობესოს მიღწეული შედეგი, ხოლო III ეტაპის შედეგი არ იცვლება. საბოლოო ნიშანი გამომდინარეობს სამივე ეტაპის ჯამიდან. ქულები ნაწილდება სხვადასხვა ვარიანტით. მაგალითად: 25+25+50; 20+20+60 და 30+30+40.

ECTS სისტემის მიხედვით, ინდიფერენცირებული ნიშნები განისაზღვრება 100 ქულის ფარგლებში. სტუდენტთა შეფასების ნიშანი არის რიცხობრივი ან ხარისხობრივი სახომი ერთეული, რომელიც დაფუძნებულია კარგად ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებზე და გამოიყენება როგორც ინდივიდუალური მოდულის ან კურსის ერთეულის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების აღწერისათვის.

შეფასების ახალი სისტემის მოთხოვნების მიმოხილვიდან ცხადი ხდება, რომ სასწავლო კურსის/მოდულის „კულტურათა დიალოგის“ მიღწეული შედეგების შეფასებისათვის აუცილებელია კომპონენტებისა და კრიტერიუმების შერჩევა. საამისოდ გასათვალისწინებელია, რომ **შეფასების კომპონენტი** არის შეფასების ფორმის შემადგენელი ნაწილი. იგი სტუდენტისათვის მკაფიოს ხდის შესასრულებელ დავალებას.

განმავითარებელი შეფასების კომპონენტები შეიძლება იყოს: პედაგოგიური ან კვლევითი ესეი, პრეზენტაცია, პორტფოლიო, სქემების გამოყენება, ცხრილების ანალიზი და ა.შ.

შეფასების კრიტერიუმი გამოიყენება, როგორც მსჯელობის, გადაწყვეტილების საშუალება ან ნიშან-თვისება, რომლის მიხედვით რაიმეს აფასებენ ან განსაზღვრავენ.

შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შერჩევას ვეყრდნობით შეფასების ძირითად პრინციპებს, რომლებიც გაზიარებულია ევროპის უნივერსიტეტების მიერ: განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის 2007. გეთავაზობს შემდეგ პრინციპებს:

გამჭვირვალობა – ნიშნავს სტუდენტთან შეთანხმებას, თუ რა კრიტერიუმით ან მეთოდით შეფასდება მისი ნაშრომი.

შეფასება გამჭვირვალე, ანუ ღიაა იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასების მექანიზმი და კრიტერიუმები ცნობილია ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასურველია შეფასების კრიტერიუმების დადგენაში სტუდენტების მონაწილეობა, ამით მათ საკუთარი ცოდნის შეფასების უნარი და სამართლიანობის გრძნობა უყალიბდებათ, შეფასების პროცესი კი გამჭვირვალობას იძენს.

ვალიდობა – (ვალიდურობა), ანუ შეფასების მიზანთან შესაბამისობა განაპირობებს, რომ შეფასება ზუსტად ზომავს იმას, რის შესაფასებლადაც არის გამიზნული.

ობიექტურობა – ნიშნავს შეფასების შედეგის დამოკიდებულებას შეფასების კრიტერიუმებზე სქემებზე, ფორმაზე და არა შემფასებლის პიროვნულ შეხედულებებზე. აუცილებელია, რომ შეფასების კრიტერიუმები, სქემები, ფორმები და მეთოდები იმდენად მკაფიო და ცალსახა იყოს, რომ სუბიექტური გადაწყვეტილებისთვის ადგილი არ დარჩეს.

სანდობა – ნიშნავს, რომ შეფასების შედეგები არის განმეორებადი, იდენტური, მიუხედავად იმისა, თუ ვინ, სად ან როდის აფასებს სტუდენტის მიერ ერთი და იგივე საკითხის ცოდნას.

შეფასების სანდობას უზრუნველყოფს მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკითხები, შეკითხვები, დავალების ინსტრუქციები, ერთგვაროვანი გარემო ყველასათვის. შეფასება სანდოა იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო სხვადასხვა ლექტორის მიერ ერთნაირად ფასდება.

შეფასების კრიტერიუმების შერჩევის ერთ-ერთი პირობაა შეფასების ტიპის გარკვევა: განმავითარებელი თუ შემაჯამებელი (რისთვის ვაფასებთ სტუდენტს – მისი ცოდნის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობისთვის თუ მხოლოდ მიღწეული დონის დასადგენად).

შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შერჩეული კომპონენტის შესაბამისი კრიტერიუმის განსაზღვრას.

შევიმუშავეთ შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შერჩევის პრინციპები: ლექციის სასწავლო მიზანთან და შესასწავლ მასალასა და აქტივობებთან შესაბამისობა. სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგით მისაღწევი კომპეტენციების, კრედიტების მოსაპოვებლად. სტუდენტთა შესაძლებლობების გათვალისწინება.

წარმოვიდგინოთ კომპონენტებთან მიმართებაში შერჩეულ კრიტერიუმებს, რომლებიც „კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლით მიღწეული შედეგების შეფასების პირადი სამწლიანი გამოცდილების მიხედვით ეფექტური გამოდგა.

კომპონენტი „ლექციაში ჩართულობა“ – შეფასდა შემდეგი **კრიტერიუმებით:** აქტიურობის ხარისხი; ჯგუფის მუშაობაში შეტანილი წვლილი; საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად გამოთქმა; კამათის წესების დაცვა; საკითხის გარშემო საუბარი.

კომპონენტი „პროექტის პრეზენტაცია“ – შეფასდა **კრიტერიუმებით:** თემისა და პრობლემის განსაზღვრა; მიზნის დასახვა; ამოცანების სიზუსტე და მიზანთან შესაბამისობა; საპრეზენტაციოდ მასალების მომზადების ხარისხი (კვლევის შედეგები, ფაქტები, სქემები, ვიზუალური საშუალებები), პროექტის მკაფიო სტრუქტურის ჩამოყალიბება; აუდიტორიის შემადგენლობის გათვალისწინება; აუდიტორიასთან მხედველობითი კონტაქტის შენარჩუნება; მეტყველების კულტურა; მოსმენის კულტურა; დებატების კულტურა; კითხვაზე პასუხის კულტურა; იუმორი. შეფასების კრიტერიუმების, კომპონენტების შერჩევისას

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა სასწავლო აქტივობა მოეთხოვებათ სტუდენტებს შესაფასებელი პროგრამის ფარგლებში.

აქვე ავღნიშნავთ, რომ **აქტივობა შეიძლება იყოს:** ლექციებზე დასწრება, ლექციაში ჩართულობა, სასურველი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმებში ან ბიბლიოთეკებში, მზარდი სირთულის, მცირე მოცულობის კვლევის წარმოება, პროფესიული უნარების გამოყენება პრაქტიკაში, ანგარიშების წერა, აღწერა, ჯგუფთან ერთად მუშაობა, პრობლემის გადასაჭრელად დროის გამოყენება, დემონსტრირება, ზეპირი მოხსენება, დიალოგის წარმართვა, დებატებში ჩართვა და ა. შ. აქტივობების მრავალფეროვნების შესაბამისად, შეფასებაც უნდა იყოს მრავალმხრივი. იგი უნდა შეესაბამებოდეს აქტივობას და მოიცავდეს სწავლის შემეცნებით, ემოციურ და ნებელობით-ქცევით ფორმებს.

შეფასების პრინციპებისა და სწავლის აქტივობების გათვალისწინება შესაძლებლობას უქმნის სტუდენტს – იცოდეს, რა კრიტერიუმით შეფასდება მისი ნაშრომი, რაზე გაამახვილოს ყურადღება, რომელი აქტივობა გამოიყენოს საგარეოდ, რა შედეგს მიაღწევს, მისთვის მოულოდნელი არ იქნება მიღებული შეფასება, ცხადი გახდება, სწავლის მიზანთან მიმართებაში რა შედეგს მიაღწია და რა მოითხოვს გაუმჯობესებას.

წარმოგიდგინო I და II ეტაპის შეფასების კრიტერიუმების შერჩევის ნიმუშებს პირადი გამოცდილებიდან:

- **კომპონენტი:** საკუთარი აზრის, შეხედულების წერილობით გადმოცემა (მაქსიმალური 20 ქულა).

სასწავლო აქტივობა - თავისუფალი წერა

დავალების სახე – პრობლემის („მე საზაფხულო სკოლაში ჩამოსულ უცხოელ სტუდენტებს ვმასპინძლობ“) მიხედვით არჩეულ თემაზე.

შეფასების კრიტერიუმები:

- ნაწერი შინაარსის თემასთან შესაბამისობა (1-10 ქულა)
- ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვა (1-5 ქულა)
- მდიდარი ლექსის გამოყენება (1-5 ქულა)
- **კომპონენტი:** ტექსტის თარგმნა მოულოდნელ სიტუაციაში (მაქსიმალური 20 ქულა)

სასწავლო აქტივობა: პრობლემის გადასაჭრელად დროის გამოყენება.
(10წუთი)

დავალების სახე: ტექსტის თარგმნა სხვადასხვა სიტუაციაში.

- ა) უცხოელ სტუმარი მიესალმება კოლეგებს
- ბ) მშობლების უცხოელ მეგობარს სურს ფაქსით გაგზავნოს თავისი შთაბეჭდილება (მშობლები შინ არ არიან)
- გ) უცხოელმა სტუდენტებმა კონფერენციის შემდეგ მიგვიწვიეს სადილზე. სადილის დაწყებამდე სიტყვით მოგვმართა კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა. მე დამავალა სიტყვის ტექსტის თარგმნა.

შეფასების კრიტერიუმები:

- შესაფერისი ტერმინოლოგის ან პერეფრაზის გამოყენება (1-5 ქულა)
 - შინაარსის თემასთან შესაბამისობა (1-3 ქულა)
 - შინაარსის ლოგიკურად და თანმიმდევრულად გადმოცემა (1-5 ქულა)
 - დროის დაცვა (1-7 ქულა)
- შემოგთავაზებთ შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმების შერჩევასას გასათვალისწინებელი **რეკომენდაციებს:**

- სწავლის შედეგების განსაზღვრისათვის შეფასების კრიტერიუმებისა და კომპონენტების შერჩევის შესაბამისობა სასწავლო მიზანთან და აქტივობასთან.
- შეფასების ნებისმიერი ფორმის გამოყენებამდე გაეცნოს სტუდენტებს რა კრიტერიუმების ან კომპონენტების მიხედვით შეფასდებოდა. მისი საქმიანობა, ნაშრომი.
- სასურველია თითოეული კომპონენტის, კრიტერიუმის წილის ქულით განსაზღვრა.
- შეფასების მრავალფეროვანი კომპონენტი და კრიტერიუმი მოტივაციას აძლევს სტუდენტს - დაეუფლოს სწავლის სხვადასხვა აქტივობას.
- შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმებში უნდა აისახოს კომუნიკაციური, სოციალური, აგრეთვე საგნის სპეციფიკური უნარები.
- კრიტერიუმებისა და კომპონენტებისათვის შერჩეული ტერმინი უნდა იყოს კონკრეტული, გამოხატავდეს შედეგს, ქცევას, უნარს. სასურველი არ არის ისეთი ზოგადი ტერმინების გამოყენება, როგორცაა: კარგი, საშუალო,

დამაკმაყოფილებელი. მათი გამოყენება შეიძლება მაშინ, თუ მითითებულია, რას ნიშნავს „კარგი“ და ა.შ.

- ეფექტურია შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა სტუდენტებთან თანამშრომლობით.

პოპულარობა მოიპოვა ვებზე დაფუძნებულმა შეფასებამ. იგი გულისხმობს სტუდენტების მიერ შეფასების კრიტერიუმების გაცნობიერებისა და განხილვას. შეიძლება სტუდენტს შესთავაზონ კრიტერიუმები ან სტუდენტმა თვითონ იპოვოს იგი.

განვიხილავთ სტუდენტთა ცოდნის შეფასების იმ მეთოდებს, ფორმებსა და სქემებს რომელთა გამოყენებამ ჩვენს მიერ განხორციელებული საცდელი საქმიანობის პერიოდში 2008-2010 წლებში „კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლის პროცესში სტუდენტთა მხარდაჭერა მოიპოვა და სწავლის შედეგის ხარისხის ამაღლებას შეუწყო ხელი.

შეფასების მეთოდები შერჩეულია ECTS სისტემის რეკომენდაციების, სხვადასხვა უნივერსიტეტების გამოცდილების შესწავლის ინტერნეტრესურსების დახარისხების (Burgess,2004)

(<http://bookshop.universitiesuk.ac.uk/downloads/measuringachievement>) მიხედვით.

შეფასების რუბრიკა (ცხრილი).

შეფასების რუბრიკა (ცხრილი) არის მკვეთრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და მათი გამოყენების წესების ერთობლიობა, რომლის მიხედვით ფასდება სტუდენტის აკადემიური მოსწრება. რუბრიკის პირველ სვეტში მოცემულია კომპონენტი, რომელიც შერჩეულია სტუდენტის მოსწრების შესაფასებლად. შემდეგ მოცემულია აკადემიური მოსწრების სხვადასხვა დონეები და მათი შესაბამისი ქულები. რუბრიკის არჩევა განაპირობა შემდეგმა:

- სტუდენტისათვის გარკვეულია, რას ითხოვს მისგან ლექტორი, რომელი დონე აქვს მისაღწევი.
- რუბრიკისათვის შერჩეული მონაცემები სასარგებლოა სტუდენტისათვის.
- რუბრიკის მონაცემები შეესაბამება საგნის შინაარსს (თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს).
- რუბრიკები არის კონკრეტული, არსებითი, მიღწევადი, გაზომვადი.

- მისაღწევი დონეები არის 1- 4, მითითებულია ობიექტური კატეგორიები და შედგენილი დეტალები, რომელთა მიხედვით ხდება საბოლოო შეფასება.
- რუბრიკების შედგენაში სტუდენტთა აქტიური ჩართვა.

შემოგთავაზებთ რამდენიმე ნიმუშს, რომელთაც გაიარეს აპრობაცია I კურსზე. სპეციალობა - მთარგმნელ-რეფერენტები, მათემატიკა და კომპიუტერული ტექნოლოგიები. ეტაპობრივი (შუალედური) შეფასება (20 ქულა).

შეფასების რუბრიკა №1

შეფასების კრიტერიუმები	შეფასების დონეები, ქულები			
	I დონე 1-5	II დონე 6-10	III დონე 16-17	IV დონე 17-20
სტუდენტი ახერხებს მონაწილეობას ყოფით-საკომუნიკაციო დიალოგებში	ვერს ახერხებს თანამოსაუბრის რეპლიკებზე პასუხის გაცემას. თავადაც ვერ ადგენს დიალოგის რეპლიკას.	ნაწილობრივ ვერ ახერხებს თანამოსაუბრის რეპლიკებზე პასუხის გაცემას. ცდილობს თავადაც დასვას კითხვები.	თითქმის თავისუფლად ახერხებს დიალოგში მონაწილეობას, მაგრამ უჭირს დიალოგის წარმართვა.	თავისუფლად ახერხებს დიალოგის წარმართვასა და ყოფით საკომუნიკაციო დიალოგში მონაწილეობას.

შეფასების რუბრიკა №2

შეფასების კრიტერიუმები	შეფასების დონეები, ქულები			
	I დონე 1-5	II დონე 6-10	III დონე 11-15	IV დონე 16-20
მოცემული სიტუაციის შესატყვისი თავაზიანი ფორმების გამოყენება	იშვიათად იყენებს მოცემული სიტუაციის შესატყვისი ფორმებს. ძალიან უჭირს სიტუაციის შესაბამისი ლექსიკისა და ენობრივი კონსტრუქციების სწორად გამოყენება.	ნაწილობრივ იყენებს სიტუაციის შესატყვისი ნაცნობ ლექსიკას და ენობრივ კონსტრუქციებს. ცდილობს დაიცვას სათანადო გამოთქმა.	შეუფერხებლად ახერხებს სიტუაციის შესატყვისი სიტუაციის შესატყვისი ლექსიკისა და ენობრივი კონსტრუქციის გამოყენებას. თითქმის ყოველთვის იცავს ენის სათანადო გამოთქმას.	თავისუფლად შეუძლია სიტუაციის შესატყვისი თავაზიანი ფორმის გამოყენება.

საბოლოო შედეგები

კრიტერიუმების მიხედვით რუბრიკების გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ ჩატარებულმა შეფასების ანალიზმა

შემდეგი სურათი მოგვცა:

სტუდენტთა რაოდენობა	I დონე 1-5 ქულა		II დონე 6-10 ქულა		III დონე 11-15 ქულა		IV დონე 16-20 ქულა	
	მიღწევა რუბრიკის გამოყენებამდე	მიღწევა რუბრიკის გამოყენების შემდეგ	მიღწევა რუბრიკის გამოყენებამდე	მიღწევა რუბრიკის გამოყენების შემდეგ	მიღწევა რუბრიკის გამოყენებამდე	მიღწევა რუბრიკის გამოყენების შემდეგ	მიღწევა რუბრიკის გამოყენებამდე	მიღწევა რუბრიკის გამოყენების შემდეგ
45	17	7	14	11	6	13	8	14

როგორც ცხრილიდან ჩანს, რუბრიკების გამოყენების შემდეგ დონეების მიხედვით აკადემიური შეფასება მაღლდება. ამის მიღწევა კი შესაძლებელი გახდა რუბრიკის და ქულის განსაზღვრაში სტუდენტის მონაწილეობით. სტუდენტი კარგად გაერკვა მოთხოვნებში, გაიაზრა, რას უნდა მიაღწიოს, სწორად შეარჩია და გააძლიერა შესაბამისი აქტივობის გამოყენება.

რუბრიკამ სტუდენტსაც და ლექტორსაც კრიტერიუმების შედარებით ზუსტი დიფერენციაციის მოხდენის საშუალება მისცა, გამოირიცხა პირადი დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები.

რუბრიკით გათვალისწინებული კრიტერიუმების მისაღწევად შევარჩიეთ აქტივობა. მაგალითად, №1 რუბრიკით გათვალისწინებული კრიტერიუმის მისაღწევად „როლით თამაში“ გამოდგა ეფექტური, №2 რუბრიკით გათვალისწინებული კრიტერიუმის მისაღწევად კი სიტუაციური ანალიზი უფრო შედეგიანი იყო.

რუბრიკების გამოყენებით დაცული იქნა შეფასების გამჭვირვალობის პრინციპი. სტუდენტებთან წინასწარ შეთანხმებით დადგინდა, რა კრიტერიუმებითა და ინსტრუმენტით შეფასდებოდა მათი ნაშრომი. ამის ცოდნამ კი საშუალება მისცა სტუდენტს უფრო მიზანმიმართულად წარემართა თავისი მომზადების პროცესი, ყურადღება გაამახვილა მნიშვნელოვან საკითხებზე, გააცნობიერა მოსალოდნელი შედეგები, განსაზღვრა – რა საჭირო სასურველი შედეგის მიღწევისთვის და აქვს თუ არა ამის შესაძლებლობა.

რუბრიკამ ზუსტად განსაზღვრა შეფასების მიზანი და ასევე ზუსტად გაზომა ის, რის შესაფასებლადაც იყო განსაზღვრული. ამით დაცული იქნა ვალიდურობის პრინციპი. (თუ შეფასების მიზანია - თავაზიანობის ფორმების გამოყენების დაუფლების დონის შემოწმება, ხოლო დავალება მიმართულია ფაქტობრივი ცოდნის დაუფლებაზე, მაშინ დაუფლების დონე ვერ განისაზღვრება.)

ტესტირება - შეფასების მეთოდებიდან ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა. მისი დახმარებით შეიძლება გაირკვეს რა და როგორ ისწავლეს სტუდენტებმა. რა უნარ-ჩვევები შეიძინეს ან განავითარეს, რა დონის კომპეტენციებს მიაღწიეს, როგორ შეუძლიათ სწავლის სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება.

ტესტირებისათვის შერჩეული ტესტი შესაბამისობაშია იმ მიზანთან, რისთვისაც შეიქმნა იგი და აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- ტესტი არის გაზომვადი, შედეგები ფასდება წინასწარ შემუშავებული პასუხებით ან შეფასების სქემით.
- ტესტი არის სანდო, ვალიდური. საკითხები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და სწორედ იმ ცოდნას ზომავს, რის გაზომვასაც ტესტი ისახავს მიზნად.
- ტესტი განსაზღვრულ დროში სრულდება.
- ტესტის შეფასება გამჭვირვალეა. სტუდენტმა იცის, რა ფორმისაა ტესტი, რას ამოწმებს, როგორია შეფასების მექანიზმი, რა დრო აქვს შესასრულებლად.

„კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლის პერიოდში ტესტირება გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ასევე შემაჯამებელი შეფასების პროცესში.

აუცილებლად მივიჩნიეთ ტესტირებამდე სტუდენტებისათვის გაგვეცნო ტესტის შესასრულებელი რეკომენდაციები:

- ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა. დააკვირდით, რის შემოწმებას ითხოვს იგი.
- მონიშნეთ საკვანძო სიტყვები და ფრაზები, რომ თვალსაჩინო დაინახოთ, რა პრობლემაა დავალებაში.
- უპასუხეთ იმაზე, რაზეც გეკითხებიან.
- გახსოვდეთ, რომ თქვენ გთავაზობენ სხვადასხვა სირთულის დავალებას და, შესაბამისად, საპოვნია გადაწყვეტის სხვადასხვა გზა, გააკეთეთ სწორი არჩევანი.
- წერეთ მკაფოდ, ეცადეთ შეავსოთ ნაწერისათვის განკუთვნილი ადგილი.
- დაიცავით და დაზოგეთ დრო, რათა გქონდეთ საშუალება გადახედოთ ნაწერს.

აქვე ავლნიშნავთ, რომ რეკომენდაციების გაცნობის აუცილებლობის საჭიროება გაჩნდა ტესტის გამოყენების პირველ ხუთ შემთხვევაში, შემდეგ უკვე გაითავისეს რეკომენდაციები, თითონაც შემატეს ახალი თავისი გამოცდილების მიხედვით. ტესტური დავალებების სხვადასხვა ტიპიდან შევარჩიეთ შემდეგი:

- **დავალება არჩევითი პასუხით** (რამდენიმე პასუხიდან სწორია ერთი ან ორი)

- **შესაბამისობის დავალებები** (ერთ სვეტში მოცემულია გამონათქვამები, მეორე სვეტში ავტორები)
- **დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“** (სტუდენტი განსაზღვრავს, მოცემულია ფრაზა ან წინადადება მცდარია თუ ჭეშმარიტი.)
- **დავალებები ღია დაბოლოებით.**
- **ტესტი „მიუსადაგე მიზნებს“:** წაიკითხეთ ტექსტები და მიუსადაგეთ შესაფერისი სათაური. წაიკითხეთ დიალოგი და მიუსადაგეთ შესაფერისი თემა.
- **ტესტი „გამოიყენე ფრაზა და გააკეთე სასურველი ვიდეო რგოლის ტესტი.“** მოცემულია 4 ფრაზა, სტუდენტი აირჩევს ერთს და ასრულებს მითითებას.

ტესტის ტიპები გამოიყენება იმის მიხედვით, თუ რის შესამოწმებლად არის გამიზნული. სასარგებლო აღმოჩნდა ისეთი ფორმების გამოყენება, როგორცაა: ტესტების შედგენა სტუდენტების მიერ და სხვა ჯგუფებისათვის შეთავაზება.

კომენტარი, გამოსმაურება – განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი მეთოდია. ეს არის შეფასებითი ინფორმაცია, რომელიც სტუდენტს მიეწოდება კონკრეტული პასუხის ან შესრულების ხარისხის შესახებ. იგი მოიცავს პასუხს, სისწორის დადასტურებას, შექებას, გამხნეებას, რჩევას, მოწოდებას, შეცდომის აღნიშვნას, გასწორების გზას. ეხმარება სტუდენტს – გააკონტროლოს ცოდნის მიღების პროცესში მიღწეული წარმატება ან წარუმატებლობა, ისწავლოს კრიტიკის, შენიშვნის გაზიარება, უკეთესი გზის მოძიება.

კომენტარი ან გამოსმაურება შეიძლება გაკეთდეს ლექტორის ან სტუდენტის მიერ. აუცილებელია განისაზღვროს: რაზე, რატომ, როგორი კრიტერიუმით იქნება იგი წარმოდგენილი.

კრიტერიუმები განისაზღვრება ლექტორს ან სტუდენტების მიერ. თავდაპირველად აღინიშნება დადებითი მხარე, შემდეგ შენიშვნები, კრიტიკა, სურვილები.

კომენტარი ან გამოსმაურება კულტურათა დიალოგის სწავლება/სწავლის პროცესში გამოიყენება შემდეგ ვითარებაში:

- ა) ერთი სტუდენტი კითხულობს რეფერატს, ორი აკეთებს კომენტარს.
- ბ) ბიბლიოთეკაში შესრულებული დამოუკიდებელი სამუშაოს წარმოდგენის შემდეგ.

გ) ერთი წყვილის ან ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოზე მეორე ჯგუფის ან წყვილის კომენტარები ან გამოსმაურება.

დ) ლექტორის გამოსმაურება ან კომენტარი:

1) შესრულებულ წერით დავალებაზე (რეფერატი, ესეი, თეზისები და სხვ);

2) ზეპირი გამოსვლის (მოხსენება, მოსაზრება, პოზიცია, აღწერა,

ალტერნატიული ვარიანტი) შემდეგ.

მაგალითად, სტუდენტი საუბრობს თემაზე „დაუსწრებელი მოგზაურობა უცხო ქალაქში“ .

კომენტარის ან გამოსმაურების კომენტარის კრიტერიუმები:

- რა იყო თხრობის შინაარსში საინტერესო, ახალი, ორიგინალური. (დადებითი)
- თხრობის დამახასიათებელი ნიშნების გამოყენება (ინტონაცია, ჟესტები, მიმიკა)
- მოვლენათა თანმიმდევრობის გამომხატველი სიტყვების გამოყენება
- აუდიტორიასთან ურთიერთობა
- სურვილები, წინადადებები

პრობლემის გადაჭრის უნარის შეფასება - კრიტიკული აზროვნების მიღწეული დონის შეფასების ერთ-ერთი მეთოდია. იგი ეხმარება სტუდენტს პრობლემის დანახვაში, განჭვრეტაში, მისი გადაჭრის სწორი გზის პოვნაში.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებისათვის საჭიროა სტუდენტებმა კარგად იცოდნენ პრობლემის გადაჭრის ეტაპები: პრობლემის განსაზღვრა, შესაფერისი მასალების შეგროვება, პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა, გადაჭრის სხვადასხვა ხერხის მოფიქრება, შესაძლო ვარიანტების განსაზღვრა და საუკეთესო გზის არჩევა, პრობლემის გადაჭრის გეგმის ჩამოყალიბება, შედეგების შემოწმება და შეფასება, რისკის ფაქტორის გათვალისწინება.

სტუდენტებს გაეცნობათ ინსტრუქტაჟი:

- აირჩიე ერთ-ერთი საკითხი, თემა, დააკვირდი, რაშია პრობლემა და განიხილე გადაჭრის ყველა სავარაუდო გზა.
- დაგეგმე დრო, ნუ იჩქარებ, მთავარია, დრო უსარგებლოდ არ დაკარგო.
- მნიშვნელოვანია, თუ რა გზით, რა ფორმით გადაჭრით პრობლემას. სასურველია ტექსტზე დაყრდნობით ეძებოთ გადაწყვეტის გზა. შეიძლება

შენი გადაწყვეტილება არ ემთხვეოდეს ავტორის ან სხვების აზრს, რისკის ნუ შეგეშინდება, იყავი მამაცი.

- თქვენი ნამუშევარი წარმოადგინეთ თანმიმდევრულად.

პროექტის შეფასების ფორმა. პროექტი არის კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისაკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი, კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკულ აქტივობასა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხების შესაბამისად. ინდივიდს, ჯგუფს ან წყვილებს ეძლევათ დავალება – დაწერონ პროექტი გარკვეულ თემაზე. თემა შეირჩევა ლექტორის ან სტუდენტის მიერ. პროექტს ჰყავს ხელმძღვანელი. მისი შესრულების ხარისხზე პროექტის ხელმძღვანელთან ერთად ყველა წევრია პასუხისმგებელი.

პროექტი განხორციელებულად ითვლება, თუკი მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად არის წარმოდგენილი (წერილობითი დოკუმენტი, მაკეტი, ინსცენირება, დებატები და სხვა.) პროექტი ხანგრძლივად შესასრულებელი სამუშაოა: სასწავლო კურსის შესწავლის პერიოდში; რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში. პროექტის წარდგენა ხდება „სწავლულ ექსპერტთა“ წინაშე, რომელსაც კურსიდან არჩეული სტუდენტები შეადგენენ. დასაშვებია ლექტორის, სტუდენტის ან სათანადო სპეციალისტის სხვა კურსიდან მიწვევა, თუ ამას პროექტის შინაარსი მოითხოვს. პროექტის შეფასებისათვის განისაზღვრება კრიტერიუმები, მაგალითად: პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზნის სიცხადე, კვლევის მეთოდების შესაბამისობა საკვლევ პრობლემასთან, სარგებლიანობა, პრაქტიკული გამოყენების არე, პროექტის წარმოდგენის უნარი.

პრაქტიკულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სტუდენტებს მოსწონთ პროექტზე მუშაობის პროცესი, განსაკუთრებული ხალისითა და სერიოზულობით კისრულობენ „სწავლული ექსპერტის“ როლს. დიდ მნიშვნელობას აძლევენ შეფასების შედეგებს. პროექტის შეფასების ფორმა ხელს უწყობს სტუდენტთა მომზადებას კვლევითი საქმიანობისათვის. პროექტზე მუშაობის წახალისებისათვის გამოვაცხადეთ კონკურსი საუკეთესო პროექტზე.

შევეცადეთ პროექტების პრეზენტაცია დღესასწაულად გადაგვექცია. შესაფერისად მოვაწყვეთ აუდიტორია. სტუდენტებმა მოიწვიეს მათთვის

სასურველი ერთი ადამიანი (მშობელი, მეგობარი, შეყვარებული, შვილი). „ექსპერტმა“ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით შეაფასეს პროექტები. მოწოდებული პროექტის ავტორები წავახალისეთ.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სქემები სხვადასხვა სახისაა. სტუდენტებთან სილაბუსის განხილვისას ავირჩიეთ სქემები შესასწავლი თემებისა და შესასრულებელი დავალებების, აქტივობების მიხედვით. წარმოგიდგინოთ იმ სქემებს, რომლებიც გამოიყენებულ იქნა სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესში შესრულებული აქტივობების ან დამოუკიდებლად შესრულებული დავალებების წარმოდგენისას.

შეფასების სქემების შედეგები გათვალისწინებული იყო შუალედური შეფასების დროს. წახალისებული იყო სქემების „შემფასებლებიც“. აქვე აღვნიშნავთ, რომ ერთი შეხედვით „მძიმე და რთული“ სქემები საკმაოდ საინტერესო მოტივაცია გახდა სტუდენტთა ლექციასა და სემინარში ჩართულობის ხარისხის ამაღლებისათვის. სქემების გამოყენების პროცესში იყო წინააღმდეგობებიც: „ამდენ კრიტერიუმს რა შეასრულებს,“ „მეტს ვერაფერს ვერ გავაკეთებ“ და ასე შემდეგ. წინააღმდეგობა სქემების რამდენჯერმე გამოყენების შემდეგ დაძლეულ იქნა. ამასთან, დავეთანხმეთ წინააღმდეგობას, რომ სქემები პერიოდულად ყოფილიყო გამოყენებული.

აღვწერთ ზოგიერთი შეფასების სქემის გამოყენების პროცედურას.

ანალიტიკური შეფასების სქემა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ცოდნა და უნარ-ჩვევები შესაფასებელია ორი კომპონენტით. განსაზღვრული მაქსიმალური ქულა განაწილდება.

წარმოგიდგინოთ ნიმუშს. მაქსიმალური ქულა 10 ანალიტიკური შეფასების სქემა

I კომპონენტი – დავალების მოთხოვნასთან შესაბამისობა	ქულა 5	II კომპონენტი გრამატიკული – ლექსიკური კომპეტენცია	ქულა 5	ქულათა ჯამი 10
I დავალების მოთხოვნას პასუხობს. აზრი მკაფიო და თანმიმდევრულია	5	IV გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები უმნიშვნელოა	5	
II დავალების მოთხოვნას პასუხობს. აზრი მკაფიო და თანმიმდევრულია ზოგიერთ შემთხვევაში	3	V შეცდომების რაოდენობა ზოგჯერ ხელს უშლის აზრის გაგებას.	3	
III დავალების მოთხოვნებს ნაწილობრივ პასუხობს. აზრის გაგება ჭირს	1	VI გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები მრავლადაა	1	

პოლისტური (მთლიანი) შეფასების სქემა გამოიყენება თხზულების შეფასებისას. შეფასებისათვის გამოიყენება ერთი კრიტერიუმი. პასუხი ფასდება ზოგადი მახასიათებლით. მაქსიმალური ქულა 6.

კრიტერიუმი	ქულა
თხზულებაში გამოხატული აზრი მკაფიო და ლოგიკურია, შეცდომები უმნიშვნელოა, სტილი გამართულია.	6
თხზულებაში გამოხატული აზრი ნაწილობრივ არის გასაგები. შეცდომები საკმაოა. სტილი ნაწილობრივად გამართულია.	3
თხზულება სათაურს არ პასუხობს. აზრის გაგება დაშვებული შეცდომების გამო ჭირს.	1

ზოგადი შეფასების სქემებით პრეზენტაციის უნარის შეფასება.
მაქსიმალური ქულა 10

კრიტერიუმი	ქულა
საუბრობს ფაქტებზე, არგუმენტებზე დაყრდნობით. იყენებს წინასწარ მომზადებულ ჩანაწერს.	3
აუდიტორიასთან ამყარებს კონტაქტს. მიმართვის ეტიკეტი დაცულია.	2
იყენებს ვიზუალურ მასალას, ფოტოსურათებს, ეკრანს, სლაიდებს, დაფას.	3
პრეზენტაციის დასაწყისი და დასასრული ეფექტურია.	1
იცავს დროის ლიმიტს.	1

ზეპირი კომუნიკაციის შეფასების სქემა

დავალების პირობა: სლაიდზე მოცემული სიუჟეტის მიხედვით მოყვევი ამბავი. დააზუსტე პერსონაჟთა ვინაობა, სადაურობა, დაახასიათე ისინი. მიუთითე მოვლენათა თანმიმდევრობა, დრო და ადგილი. საუბრის მინიმალური დრო 2 წუთი. მაქსიმალური ქულა 10.

I პირობასთან შესაბამისობა	ქულა
დროის ლიმიტის დაცვა	1
პირობის შინაარსობრივი მოთხოვნების დაცვა	1 2
მოვლენათა თანმიმდევრული აღწერა	1
დროისა და ადგილის განსაზღვრა	1
გარკვევით საუბარი	1
გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება	1
სათანადო ლექსიკის გამოყენება	2
ფანტაზიის გამოვლენის უნარი, შემოქმედებითობა	1

პრეზენტაციის დემონსტრირების უნარის შესაფასებელი სქემა.

მაქსიმალური ქულა 10.

კრიტერიუმი	ქულა
საინტერესო შესავალი (პრობლემის იდენტიფიცირება)	1
ნაშრომის საკვანძო საკითხების წარმოჩენა	2
საკითხების გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)	2
ინფორმაციის ფლობისა და საჭირო დროის გამოყენება	1
პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება და დასაბუთება	1
თვალსაზრისებისა და დიდაქტიკური მასალების გამოყენება	1
აუდიტორიასთან კონტაქტი	1
დროის ლიმიტის დაცვა	1

წერიტი სამუშაოს შეფასების სქემა

დავალების პირობა: მოცემული ცნობარის მიხედვით, ტურისტს დაუწერე ინფორმაცია, როგორ იპოვოს მისთვის სასურველი ადგილები. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა 30. ქულათა რაოდენობა 10.

I პირობასთან სანდოობა	ქულები
სიტყვების რაოდენობის ზღვარი დაცულია	1
პირობის შინაარსობრივი მოთხოვნა დაცულია	2
II კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
ინფორმაცია გასაგებია	2
დაზუსტებულია რა მოქმედებაა საჭირო	2
III ენობრივი უნარ-ჩვევები	
ნასწავლი გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება	2
მდიდარი ლექსიკის გამოყენება	2
IV შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
ინფორმაცია ორიგინალურია	2

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სქემების გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია აქტიური ლექციის პროცესის სამივე ფაზაში. როგორც სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ და პირადმა გამოცდილებამ გვიჩვენა, შედეგიანია რეფლექსიის ფაზაში გამოყენება, ვინაიდან სტუდენტი ერთგვარად აზუსტებს, ახალი ცოდნა რა დონეზე შეიძინა, რას მიაღწია, რა აქვს გასაკეთებელი. სქემები გამოიყენება როგორც ინდივიდუალური, ასევე წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობის პროცესში.

ცხადია, სქემების მომზადება ლექტორისაგან დიდ შრომასა და ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ როცა სტუდენტები დაეუფლენენ სქემების

გამოყენებას, თავადაც შეადგინეს სქემები და შევქმელით გვექონოდა სხვადასხვა სქემათა კომპიუტერული ბაზა, რომელსაც სემინარული მუშაობის პროცესში ვიყენებთ. იგი სასარგებლო აღმოჩნდა სხვა კურსის/მოდულის მასწავლებელთათვისაც.

§2.1. პორტფოლიო -როგორც სტუდენტის სწავლის შედეგების, ანუ კომპეტენციის მიღწევის შეფასების ფორმა

სტუდენტებზე ორიენტირებული კრედიტების სისტემის (ECTS) მიხედვით, პორტფოლიო მიჩნეულია სტუდენტის სწავლება/სწავლის შეფასების ფორმად.

პორტფოლიო არის სტუდენტის მიერ შეგროვილი მონაცემების საერთო ჯამიდან შერჩეული ნაკრები, რომელიც მოიცავს ნამუშევრებს, ესსეს, რეფერატს, ამონაწერს, სტატიებს, სხვადასხვა შეხედულების ანალიზს, მცირე კვლევებს, მოდელებს, სქემებს, დღიურებს და ა.შ. აქედან გამომდინარე შეფასების ფორმასთან ერთად პორტფოლიო მიჩნეულია, როგორც კვლევა-ძიებითი პროცედურა. იგი ეფექტური საშუალებაა როგორც რეფლექსიისა და თვითშეფასებისათვის, აგრეთვე ახალი მიზნების დასახვისათვის. პორტფოლიო შემდგენელის ინტერესებში, შესაძლებლობებში, საჭიროებებში, ღირებულებებში ჩაწვდომის საშუალებას იძლევა (ვიქტორია ლ. ბერნჰარდი, 1999; პ. პაპავა 2005)

პორტფოლიოში განთავსებული მასალა გამოიყენება ქულების, ნიშნების დასაწერადაც და შემდგენელის აკადემიური პროგრესისა და ზრდის დასაფიქსირებლად. პორტფოლიო სტუდენტზე ორიენტირებული შეფასებაა. პორტფოლიო კონკურენციას არ ექვემდებარება და ძლიერ მხარეებზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე ნაკლოვანებებზე.

პორტფოლიო შეიძლება შეიქმნას საქაღალდის სახით, ლამაზი, მოწესრიგებული დიზაინით, საგნის ან კურსის მითითებით, შინაარსის ჩამონათვალით. ბოლო პერიოდში ვებზე დაფუძნებული პორტფოლიოს შესაქმნელად იყენებდნენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს. პორტფოლიო იქმნება მიზანმიმართულად, სასწავლო კურსის, ან მოდულის გარკვეულ ნაწილზე ან პრობლემაზე მიმართებით. პორტფოლიო საშუალებას აძლევს სტუდენტს – გამოავლინოს ცოდნა, უნარი. იგი ეხმარება სტუდენტს: აირჩიოს მისთვის საჭირო და გამოსადეგი მასალა; გადაწყვიტოს რა, როგორ და რაში

გამოიყენოს, კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი ნამუშევარი, შეამოწმოს თავისი შეხედულებები, გაიზიაროს სხვისი გამოცდილება, სხვას შესთავაზოს თავისი გამოცდილება.

პორტფოლიო ხელს უწყობს სტუდენტის მიერ მიღწეული იქნას კომპეტენციების ნაკრები, რომელიც შეესაბამება იმ კურსის ერთეულს, მოდულს ან პროგრამას, რომელიც პორტფოლიოს ბაზაა. პორტფოლიოს შექმნა ერთჯერადი პროცესი არ არის, უწყვეტი პროფესიული განვითარების მიხედვით იგი თანდათან ივსება, მდიდრდება, უმჯობესდება, ფართოვდება. ეს პროცესი გრძელდება სწავლების საფეხურიდან საფეხურზე გადასვლისას ან პრაქტიკული საქმიანობის დროს პროფესიული გადამზადების სპეციალური მოდულებისა თუ კურსის ან პირადი გამოცდილების დადებითი შედეგების მიხედვით. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს – განხორციელდეს სწავლა სიცოცხლის ბოლომდე, რაც ხელს უწყობს პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნისა და კომპეტენციების მიღწევის ხარისხის ამაღლებას.

უმაღლეს სკოლაში სპეციალობის მიხედვით შეიძლება გამრავალფეროვნდეს პორტფოლიოს შინაარსი. აღსანიშნავია, რომ პორტფოლიოს არც ერთი მასალა არ კარგავს მნიშვნელობას, იგი საჭირო და გამოსადეგია ყველა შემთხვევაში. ამასთან, თვალნათლივ ასახავს შემდგენის კომპეტენტურობის ზრდას, განვითარებას.

პორტფოლიოს შედგენას საშუალო სკოლის საფეხურებზეც გარკვეული ადგილი ეთმობა. სასწავლო გეგმის მოთხოვნათა მიხედვით გათვალისწინებულია, რომ მოსწავლემ პორტფოლიოს შესადგენად საქმიანობა განახორციელოს გარკვეული პერიოდის მანძილზე - ერთი თემის გავლის პროცესში; თემის შეჯამებისას, სემესტრის ბოლოს, თითოეულ აქტივობას მოსწავლე მიმართავს ნაბიჯ-ნაბიჯ, პორტფოლიოს სახით შეგროვებულ მასალას და წარმოაჩენს სპეციალურად დანიშნულ დროს. პორტფოლიოს გამოყენება მოსწავლეს ეხმარება. საქმიანობა წარმართოს თანმიმდევრულად, სისტემურად, გასაგებად. გამოამუღავნოს ცოდნა, საკუთარი პოზიცია, ძიების, კვლევის, არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

რამდენადაც პორტფოლიოს შედგენაზე მუშაობა საშუალო სკოლაში იწყება, საჭიროდ მივიჩნით ჩაგვეტარებინა დაკვირვება პორტფოლიოს შექმნის პროცესზე საშუალო სკოლის IV, VII, X, XI კლასებში (120 მოსწავლე).

დაკვირვების მიზანი: ა) რამდენად საინტერესოა მოსწავლეთათვის პორტფოლიოს შექმნის პროცესი. ბ) პორტფოლიოს შექმნა ხომ არ იწვევდა გადატვირთვას. გ) იცნობდნენ თუ არა პორტფოლიოს შეფასების კრიტერიუმებს. დ) რამდენად მისაღები იყო პორტფოლიოს შეფასებით მიღებული ქულები.

დაკვირვების შედეგებით წარმოჩნდა შემდეგი სურათი:

სქემა შერჩეულია პორტფოლიოს გამოყენების მქონე კლასში.

კლასი	მოსწავლე თა რაოდენობა	პორტფოლიოს შექმნის პროცესი საინტერესოა		პორტფოლიოს შექმნამ ხომ არ გადატვირთ რთათ		იცნობდით თუ არა პორტფოლიოს შეფასების კრიტერიუმებს (კომპონენ ტებს)		მისაღები იყო თუ არა შეფასებით მიღებული ქულები	
		კი	არა	კი	არა	კი	არა	კი	არა
V	30	25	5	2	28	8	22	20	10
VII	30	28	2	4	26	11	29	19	11
X	30	24	6	5	25	14	16	18	12
XI	30	25	5	8	22	9	21	17	13

დაკვირვების შედეგების სქემიდან ჩანს, რომ პორტფოლიოს შექმნის პროცესი საინტერესოა 82%, პორტფოლიოს შექმნამ არ გადატვირთა 67%, პორტფოლიოს შეფასების კრიტერიუმებს არ იცნობდა 80%, მოსწავლეებმა პორტფოლიოს წარდგენის წესი იცოდნენ, მაგრამ ვერ ასახელებდნენ რა კრიტერიუმებით ფასდებოდა ის. მიღებული ქულები მისაღები აღმოჩნდა 46%, სხვები თვლიდნენ, რომ მეტს იმსახურებდნენ.

ინტერესს და შეფასებას შორის განსხვავების მიზეზად მივიჩნიეთ ის, რომ გაცნობილი და გაცნობიერებული არ იყო შეფასების კრიტერიუმები. ისინი პორტფოლიოს ადგენდნენ თემის ან პრობლემის მიხედვით, მაგრამ არ იცოდნენ შეფასების ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმები.

მიღებულმა შედეგებმა განაპირობა ჩვენი კვლევის შემდეგი ნაბიჯით პორტფოლიოს შეფასების კრიტერიუმების შემუშავება და გაცნობა უმაღლესი სკოლის სტუდენტებისათვის.

სტუდენტი უმაღლეს სასწავლებელში პორტფოლიოს შექმნის გარკვეული გამოცდილებით მოდის. დაკვირვების ანალიზმა ცხადყო, რომ სხვადასხვა ფაკულტეტს II კურსის 120 სტუდენტიდან პორტფოლიოს ქმნის 32 სტუდენტი,

ანუ 22%, მაშინ, როცა, როგორც აღვნიშნეთ, პორტფოლიო ECTS სისტემის მიხედვით სტუდენტის შეფასების ერთ-ერთი ფორმაა.

პორტფოლიოს შექმნის საჭიროებისა და შეფასების ფორმად, მისი გამოყენების მიზანშეწონილობის წარმოჩენისათვის, გავაანალიზეთ პირადი გამოცდილება:

განათლების დოქტორანტების საგანმანათლებლო პროგრამაში, ისევე, როგორც ყველა სხვა პროგრამაში, მოცემულია კომპეტენციების რუკა, სადაც მითითებულია, რომელი სასწავლო საგანი რომელი კომპეტენციის მიღწევას ითვალისწინებს. სწავლების ამ საფეხურზე რიგი კომპეტენციები საერთოა, ზოგადია რამდენიმე სასწავლო საგნისათვის, რიგი –დარგობრივი ან ორიგინალურია.

საგნის შესწავლით მიღწეული შედეგის შეფასების ფორმად პორტფოლიო გამოყენებული იქნა საგანში „კომპეტენციების შეფასების სისტემური მიდგომა“ (დეუსტოს უნივერსიტეტის კვლევების მიხედვით <http://tuning.unideusto.org/tuningeu>).

სტუდენტების მიერ პორტფოლიო შეიქმნა სხვადასხვა თემაზე, მაგალითად: ჯგუფური მუშაობის მახასიათებლები, სოციალური კომპეტენციები, ინსტრუმენტული კომპეტენციების მიღწევის გზები და საშუალებები, ორიგინალური კომპეტენციების შექმნის გამოცდილება და სხვა.

პორტფოლიოს პრეზენტაცია ჩატარდა ღიად, აუდიტორიას შეადგენდნენ განათლების დოქტორანტები, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის წევრები, განათლების მაგისტრები, ყველა მსურველი.

პორტფოლიოს პრეზენტაციის მიზანი იყო დოქტორანტის მიერ მიღწეული კომპეტენციის დონის შეფასება.

კომპეტენციათა ჩამონათვალი პროგრამის კომპეტენციის რუკის მიხედვით სასწავლო კურსის დაწყებისთანავე სილაბუსთან ერთად იყო გაცნობილი სტუდენტებისათვის. პრეზენტაციის დროს ეს ჩამონათვალი შევიდა ბარათში, რომელიც აუდიტორიას შეფასების კრიტერიუმთან ერთად დაურიგდა.

გთავაზობთ ნიმუშს:

პორტფოლიოს პრეზენტაციით მისაღწევი კომპეტენციები

(სტუდენტს უფლება აქვს აირჩიოს სხვა ორიგინალური ჩამონათვალი)

- განათლების სფეროში არსებული მოწინავე ცოდნის მნიშვნელოვანი ნაწილის გაცნობა და აღქმა;

- ინტერნეტრესურსების მოძიება, დახარისხება და გამოყენება;
- ინიციატივის გამოჩენა კომპლექსურ და არაპროგნოზირებად სიტუაციებში;
- ახალი ცოდნის შექმნა და ინტერპრეტირება ორიგინალური კვლევის ან სხვა მოწინავე სამეცნიერო მიღწევების მეშვეობით, რომელთა ხარისხი მოწონებულია საერთაშორისო დონეზე კოლეგების მხრიდან;
- კრიტიკულ დიალოგში ჩართვა, პროფესიული ინტერესების სფეროში კომპლექსური პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრა;
- ინფორმაციის გამოყენება კვლევის მიზნებისათვის;

შეფასების კრიტერიუმები:

- დემონსტრირების უნარი;
- პორტფოლიოს მასალების გამოსადეგიანობა საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში;
- მოწინავე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების უნარი;
- დროის ეფექტიანად გამოყენება;

შეფასების კრიტერიუმის მიხედვით შეფასების უფლება, სტუდენტების და ლექტორების წინადადებით, მიეცა აუდიტორიას. საამისოდ, ბარათის ბოლო გვერდზე მინიშნებული იყო ადგილი შეფასების, სურვილის, წინადადებებისათვის.

პორტფოლიოს შეფასების პროცესი იყო საინტერესო, შეფასებასთან ერთად გამოითქვა სურვილები, წინადადებები. იყო მოწონებაც და შენიშვნაც. რაც მთავარია, ეს ფრიად სასარგებლო პროცესი იყო დოქტორანტათვის.

დავინტერესდით პორტფოლიოს შექმნისა და შეფასების გამოცდილებით სტუდენტებში. დაკვირვებისათვის, III კურსის სტუდენტებს ვთხოვეთ დაეწერათ ესე „მე და პორტფოლიო.“

ესემ გამოავლინა პორტფოლიოს შეფასების ფორმად გამოყენებისადმი დადებითი დამოკიდებულება. შეფასების პროცესი აღმოჩნდა საკითხების ცოდნისა და გაცნობიერების, შემოქმედებითი პროფესიული უნარების, კითხვების დასმისა და კითხვებზე პასუხის შესაძლებლობის, დროისა და უნარების გამოყენების მშვენიერი დემონსტრირება, რომელმაც დადებითი ემოცია მოუტანა სტუდენტებსაც და შემფასებელსაც.

ამგვარად, პორტფოლიო სტუდენტის სწავლის შედეგებისა და კომპეტენციის მიღწევის შეფასების ეფექტური ფორმაა. იგი ხელს უწყობს

სტუდენტის აქტიურობას სასწავლო პროცესის განმავლობაში. პორტფოლიო შეიძლება გამოიყენოს სტუდენტმა საკუთარი წარმატების შესამოწმებლად და გასაუმჯობესებლად, ამ მიმართებით პორტფოლიოს შეფასება განმავითარებელ შეფასებას განეკუთვნება.

პორტფოლიო, ერთი მხრივ, აფასებს და განსაზღვრავს კომპეტენციის რა დონეს მიაღწია სტუდენტმა, მეორე მხრივ, პორტფოლიოს შექმნისა და შეფასების პროცესი ხელს უწყობს ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბებას (რეფლექსია, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, კომპეტენციათა ნაკრების ფლობა, რომელიც კურსის ერთეულს ან პროგრამას შეესაბამება, აქტივობის შესაფერისი კომპეტენციის შერჩევა, კომპეტენციის მახასიათებლების განსაზღვრა, დროის გამოყენება, დემონსტრირების უნარი და ა.შ.).

პორტფოლიოს შეფასებისათვის სასურველია წინასწარ იყოს ცნობილი, რა კომპეტენციაა მისაღწევი და რა არის პორტფოლიოს შეფასების კრიტერიუმები ან კომპონენტები. აღნიშნული უმაღლეს სასწავლებელში განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის კომპეტენციების რუკისა და სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით. პორტფოლიოს შექმნის კომპონენტები სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა.

§3 თვითშეფასების მატრიცის ანალიზის გამოყენება კვალიფიკაციის მიღწეული დონის დიაგნოსტირებისათვის

თვითშეფასება არის პროცესი, რომლის საშუალებითაც /სტუდენტი ერთვება საკუთარი სწავლის მიზნების ჩამოყალიბებასა და საკუთარი სწავლის პროცესის მართვაში. თვითშეფასება არის სტუდენტის მიერ საკუთარი შესაძლებლობებისა და მიღწეული შედეგების შეფასება. თვითშეფასება სტუდენტებს საკუთარი ცოდნის ობიექტურად შეფასებისა და დამოუკიდებლად სწავლისა და თვითკრიტიკის უნარ-ჩვევებს უვითარებს. საშუალებას აძლევს - კარგად გააცნობიერონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები. ამით სწავლის პროცესის მიმართ მეტი ინტერესი და პასუხისმგებლობის გრძნობა უვითარდებათ.

თვითშეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ის მიზანმიმართული, სისტემური და თანმიმდევრული პროცესია. თვითშეფასებისათვის გამოიყენება სხვადასხვა ფორმა: თვითშეფასების ცხრილი, პასუხებით სწორი ვარიანტის შემოწმება, საკუთარი შეცდომების მიზეზების ახსნა, მომავალი სემესტრის ნიშნის სავარაუდო დაგეგმვა და დაგეგმილის შეფასება, წარმატება, წარუმატებლობის შეფასება, თვითშეფასების უნარის განვითარება, საგანმანათლებლო და პროფესიული დაოსტატების მიზნების მიღწევის დონის განსაზღვრა. თვითშეფასების ფორმების გამოცდილებით შემოწმებული ნიმუშებია:

სქემა №1
აქტიურობის ხარისხი

	არასოდეს	იშვიათად	ყოველთვის
1. ლექციის თემის მიხედვით შემოიძლია ვივარაუდო, რაზე იქნება საუბარი		○	
2. ყურადღებით ვისმენ და ვიმასხოვრებ ძირითად საკითხებს			○
3. ყურადღებას ვაქცევ იმ არგუმენტებსა და საკითხებს, რომლებიც აზრის გამოთქმის საშუალებას მაძლევს			○
4. მიევარს საჭირო და საინტერესო ინფორმაციის სხვა დასხვა წყაროში მოძებნა და ჯგუფში მისი პრეზენტაცია		○	
5. ვცდილობ მეგობრისა და ჩემი მოსაზრებები დეტალურად გავიაზრო და შევაჯერო	○		
6. თავს კომფორტულად ვგრძნობ, როცა ლექციის მსვლელობაში ჩართული ვარ და ჩემი მოსაზრება ვინმესთვის მისაღებია			○
7. ჯგუფში ან წყვილებში მუშაობისას ვირჩევ პარტნიორს	○		
8. მომწონს ჩემს მიერ მომზადებული მასალის დემონსტრირება		○	

სქემა №2
საკუთარი ქმედების ანალიზი

სუსტი მხარე		ძლიერი მხარე	
1. რა ვერ გავაკეთე წარმატებით		1. რა გავაკეთე წარმატებით	
2. რა ვერ გავაკეთე კარგად		2. რა გავაკეთე კარგად	
3. ვისთან ერთად არ გამომივიდა წყვილებში, ჯგუფში მუშაობა.		3. ვისთან ერთად ვიმუშავე კარგად	
4. რატომ დავუშვიშეცდომა.		4. როგორ შევძელი შეცდომის გასწორება	
5. რატომ არის რთული ამის სწავლა.		5. ყველაზე კარგად როგორ შეიძლება ეს ვისწავლოთ	

სქემა №3
ჩემი მოლოდინი და რეალობა
(შემოხაზე თქვენთვის მისაღები პასუხი)

• როცა ლექციის თემა ახალია, უკეთ ვსწავლობ	დიახ	არა
• ზუსტად გავიგე, რა სამუშაოს შევასრულებდი	დიახ	არა
• ვიცი, რას უნდა მივადწიო	დიახ	არა
• შეკითხვის დასმის შესაძლებლობა გამოვიყენებ	დიახ	არა
• დავიცავ დროს ლიმიტს	დიახ	არა
• როცა სხვა ლაპარაკობს, მოვუსმენ	დიახ	არა
• ვიცი, როგორ შევასრულებ ჩემი საქმიანობა	დიახ	არა

სქემა N4.
ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის შემოწმება

	ყოველთვის	ხანდახან	არასოდეს
• შემიძლია უცხოელ მეგობარს მივწერო წერილი			
• შემიძლია ვისაუბრო ნაცნობ თემაზე			
• შემიძლია ჩანაწერის მოსმენისას გავიგო რაზეა საუბარი			
• თემის დაწერისას ვიყენებ ახალ ნასწავლ სიტყვებს			
• გამოვხატავ აზრს სხვის ნაამბობზე			
• თვალის ერთი გადავლებით ვხვდები, რაზეა ტექსტი			
• კონტექსტით ვხვდები უცნობი სიტყვების მნიშვნელობას			
• ვსარგებლობ ლექსიკონით			

თვითშეფასების სქემების გამოყენება შესაძლებელია ლექცია-სემინარის სხვადასხვა ფაზაში, ეფექტურია შინაარსის რეალიზებისა და რეფლექსიის ფაზაში გამოყენება. თვითშეფასების სქემების გამოყენება შეიძლება როგორც სასწავლო პროცესში, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის დროს. სასწავლო პროცესში თვითშეფასების სქემის გამოყენება გარკვეულ დროს მოითხოვს, წამოიჭრა პრობლემა - ხომ არ გამოიწვევს იგი სტუდენტთა გადატვირთვას, რამდენად

სასარგებლოა მისი გამოყენება სტუდენტისათვის. აღნიშნულ პრობლემაზე პასუხისათვის ჩავატარეთ გამოკვლევა.

კვლევის მიზანი: ა) სასწავლო პროცესში თვითშეფასების სქემების გამოყენების გავლენა სტუდენტთა გადატვირთვაზე. ბ) სტუდენტთა დამოკიდებულება თვითშეფასების სქემის გამოყენებისადმი.

კვლევის მეთოდოლოგია: შეფასების სქემები შერჩეულ იქნა ლექციის ფორმისა და ფაზის მიხედვით. ზემოთ აღნიშნული სქემა №1 გამოყენებულ იქნა მინილექციის პროცესში (შინაარსის რეალიზება), სქემა №2 - წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობის შემდეგ (შინაარსის რეალიზება და რეფლექსიის სტადიები), სქემა №3 - გამოწვევის ფაზაში, მოლოდინების მეთოდის გამოყენების შემდეგ, სქემა №4 - რეფლექსიის ფაზაში, სავარჯიშოების შესრულების შემდეგ.

თვითშეფასების სქემების გამოყენებაზე კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე სტუდენტებს გაეწიათ კონსულტაცია სქემების დანიშნულებაზე, შეფასების ტექნოლოგიაზე, სქემების შედეგების გამოყენებაზე (რაში გამოადგება, რას გაიუმჯობესებენ). მეორე ეტაპზე მოხდა სქემების პრაქტიკულად გამოყენება.

ჩატარების დრო: 2008 წლის დეკემბერი - 2009 წლის თებერვალი .

კვლევაში მონაწილეობდა 56 სტუდენტი.

კვლევის მეთოდები: მონაცემთა დამუშავება, ახსნითი, სტატისტიკის პროცენტების გამოთვლა, შედარებითი ანალიზი. კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში

	ნაკლებად		საშუალოდ		სავსებით	
	I ეტაპი	II ეტაპი	I ეტაპი	II ეტაპი	I ეტაპი	II ეტაპი
● რამდენად არის თქვენთვის მისაღები თვითშეფასების სქემის გამოყენება.	40 %	8%	32%	38%	28%	54%
● რამდენად გადატვირთვით თვითშეფასების სქემით შეფასებამ.	36%	89%	44%	9%	20%	2%
● რამდენად სასარგებლო აღმოჩნდა თქვენთვის თვითშეფასების სქემა.	29%	14%	35%	46%	25%	48%

ცხრილის ანალიზი ცხადყოფს, რომ თვითშეფასების სქემა მისაღები, საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც სტუდენტები დარწმუნდნენ სქემის გამოყენებით უკეთესი შედეგის მიღწევაში.

თვითშეფასების სარგებლიანობის დადგენის შემდეგ კვლევის ამოცანა გახდა თვითშეფასების იმ ფორმის გამოყენება, რომელიც დანერგილია მოწინავე კვლევების შედეგად. ამ მიზნით შევარჩიეთ ჰელსინკის უნივერსიტეტის გამოცდილება, კერძოდ, შეფასების მატრიცის გამოყენება პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მატრიცა ფოკუსირებულია შედეგებისა და ხარისხის სფეროებზე.

ჰელსინკის უნივერსიტეტის (<http://www.helsinki.fi/university/>) გამოცდილებიდან ჩვენთვის მისაღები აღმოჩნდა მატრიცის დონეები: მხოლოდ დამაკმაყოფილებელი, კარგი, შესანიშნავი, საჭიროებს განვითარებას.

აღნიშნული დონეები გადმოვიტანეთ თვითშეფასების მატრიცაში (შკალაში) და გამოვიყენეთ კვალიფიკაციის მიღწეული დონის დიაგნოსტიკისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის უმთავრესი მიზნის – დასაქმებისათვის სტუდენტის მზაობის ხარისხის მიღწევაში კულტურათა დიალოგის წვლილის ეფექტურობისათვის (სადაც უცხო ენა მეორე ენაა) შეფასების ფორმად გამოვიყენეთ თვითშეფასების მატრიცის ანალიზი.

საჭიროდ მივიჩნიეთ მითითებული უნივერსიტეტის გამოცდილების გაზიარება სასარგებლო ყოფილიყო ეროვნული კადრების მომზადებისათვის. ამ თვალსაზრისით, შევისწავლეთ ადგილობრივი საბაზრო მოთხოვნები. როგორც ავღნიშნეთ, საკურორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურის, საზღვაო საქმის, პარტნიორული ურთიერთობით შექმნილი ორგანიზაციებისა და ოფისების განვითარება-გაფართოებამ ადგილობრივ ბაზარზე გაზარდა მოთხოვნა ისეთ კადრზე, რომელიც ორიენტირებულია არა მხოლოდ უცხო ენის სამეტყველო უნარ-ჩვევებზე, არამედ ფლობს განსხვავებულ კულტურულ კონტექსტებს და პატივისცემის კომპეტენციებს. დასაქმებისათვის კადრების შესარჩევად ტარდება კონკურსები. დასაქმების ადგილი, იმ გეოგრაფიული ზონის მიხედვით, რომელშიც სტუდენტები ცხოვრობენ, პლურალიზაციით ხასიათდება.

თავდაპირველად დასადგენი იყო, თუ რატომ და რით იქნებოდა

სასარგებლო თვითშეფასების მატრიცის გამოყენება ქართველ სტუდენტებთან. საამისოდ განვსაზღვრეთ პრიორიტეტები:

- საკუთარი შესაძლებლობების საბაზრო მოთხოვნების კომპეტენციებთან შესაბამისობის დადგენა.
- ცვლილებებთან შეგუება.
- დასაქმებისათვის მზაობის ხარისხის ამაღლება საკუთარი სწავლის სტრატეგიების ცვლილებით და ლექტორის დახმარებით.
- თვითშეფასების მატრიცა არის განმეორებადი, ინსტრუქტირებული, მზარდი, მიზანმიმართული, რაც მის სანდოობას აძლიერებს.
- თვითშეფასების მატრიცის გამოყენება შეიძლება სასწავლო პროცესის ნებისმიერ ფაზაში, სასწავლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში, დამოუკიდებლად, ახალი სიტუაციის შესაბამისად.

თვითშეფასების მატრიცის გამოყენებისათვის შევარჩიეთ სამი ნაბიჯი, რომლებიც ერთმანეთს ეყრდნობა, ერთმანეთისგან გამომდინარეობს და განაპირობებს კვალიფიკაციის დონის ზრდას.

ნაბიჯი 1 - სტუდენტის ვარაუდი საკუთარი შესაძლებლობის შესახებ არჩეულ კვალიფიკაციასთან მიმართებაში.

ნაბიჯი 2 - საკუთარი შესაძლებლობების ძირითადი კვალიფიკაციის საბაზრო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

ნაბიჯი 3 - საკუთარი შესაძლებლობების კვალიფიკაციების მონათესავე თანამდებობრივი ვაკანსიების მოთხოვნებთან შესაბამისობაში განსაზღვრა.

ყველა ნაბიჯისათვის თვითშეფასების მატრიცის მახასიათებლის დონეები არის ერთნაირი: მხოლოდ დამაკმაყოფილებელი, კარგი, შესანიშნავი, და საჭიროებს გაუმჯობესებას.

განვიხილოთ თითოეული ნაბიჯის აღწერილობა:

ნაბიჯი პირველი. ვარაუდი - ჩემი შესაძლებლობა არჩეულ კვალიფიკაციასთან მიმართებაში.

შეთავაზებული თვითშეფასების მატრიცის ფორმებში სტუდენტები ჩამოწერენ იმ კომპეტენციათა ჩამონათვალს, რომლებიც მათი შეხედულებით, საჭირო და აუცილებელია არჩეული პროფესიით დასაქმებისათვის. თვითოეული სტუდენტი მუშაობს დამოუკიდებლად. წარმოგიდგენთ ნიმუშებს:

თვითშეფასების მატრიცა №1

ჩემი შეხედულებით, არჩეული სპეციალობით დასაქმებისათვის რა კომპეტენციებს უნდა ვფლობდე	საკუთარი შესაძლებლობების ანალიზი			
	დამაკმაყოფილებელი	კარგი	შესანიშნავი	საჭიროებს გაუმჯობესებას
კულტურის სფეროდან უცხოენოვანი ინფორმაციის ამოცნობა		•		
შეხედულების გამოხატვა			•	
კულტურათა დიალოგის საკითხებზე ტექსტების გაგება თემატიკის მიხედვით		•		
უცხო ქვეყანაში მოგზაურობისას სიტუაციათათვის თავის გართმევა				•
კრიტიკისა და თვითკრიტიკის უნარი	•			
ჯგუფში მუშაობა		•		
სხვა ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა			•	
საკუთარი თავის, ქალაქის, სოფლის, ქვეყნის წარდგენა სხვისთვის			•	
სხვადასხვა სფეროში გამოვლენილ კულტურათა განსხვავებების დადგენა		•		
შეკითხვების დასმა და პასუხი მარტივ საკითხზე	•			

მატრიცის ანალიზით დადგინდა: სტუდენტის შეხედულებით დასაქმებისათვის რა კომპეტენციაა საჭირო და რას თვლის თავის შესაძლებლობად.

ლექციებზე, სემინარებსა და კონსულტაციებზე სტუდენტებს გავაცანით ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, დავაუფლეთ ასევე, ისეთი სტრატეგიების გამოყენებას, როგორცაა „ინტერვიუ,” „ორმხრივი ჩანაწერის დრიური” და სხვა.

სტრატეგია „ინტერვიუ“ სტუდენტებმა გამოიყენეს დასაქმების სფეროში ჩატარებული კონკურსის მონაწილეებთან. აქ გამოიყო სამი კატეგორია: ა) კონკურსში გასული პირი (რისმა ცოდნამ და უნარ-ჩვევამ განაპირობა წარმატება?), ბ) კონკურსში ვერგასული (რა ცოდნას ეგონა რომ ფლობდა და არ დარჩა საკმარისი). გ) ახალი კონკურსის მსურველი (რა იცოდა და რის შესწავლას გეგმავს).

ინტერვიუს შედეგებით, I ჯგუფის წევრებმა (კონკურსში გასულები) აღნიშნეს, რომ კონკურსში გასვლა განაპირობა უცხო ენის სამეტყველო უნარ-ჩვევებმა, სხვა ქვეყნის კულტურულ თავისებურებებზე მსჯელობისას საკუთარი აზრის კორექტულად გამოთქმამ, უცხო სოციალურ-კულტურული გარემოსთვის დამახასიათებელი ქცევის, ცხოვრების წესის, ნორმების გათვალისწინების უნარის გამომჟღავნებამ. II ჯგუფის წარმომადგენლებს (კონკურსში ვერგასულები) ეგონათ, რომ საკმარისი იქნებოდა უცხო ენის კარგი ცოდნა. მათ ვერ შესძლეს ტექსტში ასახული სხვა ენის კულტურული ერთეულების ამოცნობა. III ჯგუფი – კონკურსისათვის მზადებაში მყოფნი – შეუძლიათ უცხო ენაზე ლაპარაკი, წერა-კითხვა. გეგმავენ კულტურათა დიალოგის შესწავლას, რადგან ამ მიმართულებით კურსი არ გაუვლიათ.

„ორმხრივი ჩანაწერის დღიურის” სტრატეგიის მეშვეობით, სტუდენტებმა გააკეთეს საკონკურსო მოთხოვნების ანალიზი და გამოსატყეს მისდამი დამოკიდებულება.

შეიქმნა კვალიფიკაციის მიმართ საბაზრო მოთხოვნების შესახებ ცოდნა, რამაც საშუალება მოგვცა გადავსულიყავით მომდევნო ნაბიჯზე.

აღსანიშნავია, რომ დასაქმების სფეროში სხვადასხვა ქვეყნის საკონკურსო პირობების შესწავლამ ცხადყო, რომ საბაზრო მოთხოვნები კომპეტენციათა მიმართ იდენტურია, ანუ ბოლონის პროცესის მიერ შექმნილი ევროპული განათლების ერთიანი სივრცე ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს დასაქმებისათვის მზაობის ერთიან სივრცეს უქმნის.

ნაბიჯი მეორე - საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისობის დადგენა ძირითადი კვალიფიკაციის საბაზრო მოთხოვნებთან.

სტუდენტებთან მუშაობისათვის შევარჩიეთ სწავლება/სწავლის ისეთი ფორმები, როგორცაა აქტიური ლექცია-ლექცია სემინარი, ლექცია-ვორქშოფი, სემინარი და პრეზენტაცია.

სტუდენტებმა მათ მიერვე შერჩეული სწავლის სტრატეგიებით მოპოვებული მასალით, ლექციებზე შექმნილი თეორიული ცოდნით, უცხოური გამოცდილების გაცნობით ჩამოაყალიბეს მახასიათებლები თვითშეფასების მატრიცის პირველი სვეტისათვის.

თვითშეფასების მატრიცა №2

საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციები	საკუთარი შესაძლებლობების მახასიათებლები			
	დამაკმაყოფილებელი	კარგი	შესანიშნავი	საჭიროებს გაუმჯობესებას
კულტურათა დიალოგის თემაზე კომუნიკაცია		•		
დისკუსიის წარმართვა კულტურათა დიალოგის პრობლემაზე			•	
სხარტი და სპონტანური კომუნიკაციის დამყარება სხვა კულტურის წარმომადგენლებთან		•		
ექსპერიმენტული სიტუაციის შესაფერისი დიალოგის წარმართვა		•		
მშობლიურ და სოციოკულტურულ სამყაროებს შორის პარალელების მოძიება			•	
მსგავსების და განსხვავებების მოძიება მშობლიურ და უცხოურ კულტურათა შორის			•	
გრძნობების გამოხატვის ინდივიდუალური უნარი				•
ადამიანებსა და სიტუაციას შორის კავშირის ხედვა	•			
კრიტიკული და თვითკრიტიკული შესაძლებლობები				•
სოციალური უნარები, რომლებიც დაკავშირებულია ურთიერთობებთან, სოციალური და ეთნიკური პასუხისმგებლობის გამოხატვასთან				•
სხვა კულტურის წარმომადგენელთან კომუნიკაციის უნარი	•			
პირდაპირი ურთიერთობის უნარი				•
ინფორმაციის მოძიებისა და მართვის უნარი			•	
მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის პატივისცემა				•
ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობა	•			
საკუთარი თავის მიმართება სხვებთან და სამყაროსთან				•
ცვლილებების საჭიროების განცდა რეაგირება ცვლილებებზე				•
ინტრაპერსონალური კომპეტენციების ფლობა				•
ახალი იდეების გენერირების უნარი (შემოქმედებობა)				•
სხვა კულტურისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა წერილობით და ზეპირად		•		
საუბრის თემის შეცვლა მოვლენის, ადგილის, სიტუაციის შესაბამისად		•		
კულტურული და ინდივიდუალური თავისებურებების შეფასება და პატივისცემა			•	
სხვა კულტურის წარმომადგენლებთან კომუნიკაციური ურთიერთობების დამყარება ინტერნეტით			•	
ტექსტების შედგენა და საუბარი კულტურათა დიალოგის სფეროში პროფესიასთან მიმართებაში		•		
სხვათა გრძნობების აღქმა და გაგება				•

თითოეულმა სტუდენტმა თავისი თვითშეფასების მატრიცის დემონსტრირება მოახდინა აუდიტორიის წინაშე, ამასთან, მათ მიერ გაკეთდა შედარებითი ანალიზი – რაში გამოიხატა პროგრესი პირველი ნაბიჯის მატრიცასთან შედარებით. აუდიტორიაში იყო იუმორი და პოზიტიური განწყობა. სუსტი და ძლიერი მხარეების გაანალიზების შემდეგ სტუდენტის სწავლაში ჩაერთო ახალი სტრატეგიები: სლოტ-ანალიზი, როლების თამაში, ვენის დიაგრამა, T დიაგრამა და სხვა.

გამოიკვეთა ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური კომპეტენციების მიღწევის მახასიათებლების გაცნობის აუცილებლობა, მათი საჭიროება დასაქმების ყველა ვარიანტში იყო წარმოდგენილი.

მეორე ნაბიჯის გავლის შემდეგ სტუდენტებმა განსაზღვრეს, კვალიფიკაციის რა დონე ჰქონდათ მიღწეული და როგორია მათი დამოკიდებულება, ხოლო სწავლის ახალი სტრატეგიები დაეხმარა მათ დამოუკიდებლად მიეღწიათ ერთი მახასიათებლიდან მეორეზე გადასვლისათვის. კერძოდ: „დამაკმაყოფილებელი“ გადავიდა „კარგში“, „შესანიშნავში,“ ხოლო „საჭიროებს გაუმჯობესებას“ ლექტორის დახმარებით გადავიდა მახასიათებელში „კარგი“. აღსანიშნავია, ისიც, რომ სტუდენტების სურვილი იყო ამ მიმართულებით გაეგრძელებინათ მუშაობა და მიეღწიათ მახასიათებლისათვის „შესანიშნავი“.

დასაქმების ბაზარი არცთუ იშვიათად აყენებს მოთხოვნებს ერთი კვალიფიკაციის სპეციალისტის შეთავსებით თანამდებობრივი დატვირთვის შესახებ. ამ მოთხოვნამ განაპირობა ჩვენი მცდელობა - გვეზრუნა ცვლილებებთან შეგუების ორიგინალური კომპეტენციების განვითარებისათვის.

ნაბიჯი მესამე: საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისობა კვალიფიკაციების მონათესავე თანამდებობრივი ვაკანსიების მოთხოვნებთან.

დარგობრივი კომპეტენციების ნუსხა დახარისხდა და შეივსო მონათესავე თანამდებობრივი ვაკანსიების მოთხოვნების შესაბამისი ორიგინალური კომპეტენციებით. საკუთარი სწავლის სტრატეგიებში ჩაერთო გაგების სტრატეგიები, ფორმები: გაგება, ქმედება, წარმატება.

თვითშეფასების მატრიცა №3

კვალიფიკაციის მონათესავე თანამდებობრივი ვაკანსიების მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციები	საკუთარი შესაძლებლობების მახასიათებლები			
	დამაკმაყოფილებელი	კარგი	შესანიშნაო	საჭიროებს გაუმჯობესებას
ახალ გარემოში ადაპტაციის უნარი				•
ინიციატივა და საქმის წარმოების უნარი	•			
საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი		•		
არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი				•
პროფესიულ თემებზე საუბარი და მიწერ-მოწერა სხვა ქვეყნის წარმომადგენელთან		•		
სხვა კულტურის პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, მკაფიო, დამოუკიდებელი კომუნიკაცია				•
ინტერნეტინფორმაციების დახარისხება და გამოყენება	•			
გასაგები, სტრუქტურულად გამართული, თემატურად მრავალფეროვანი ტექსტების შექმნა კულტურათა დიალოგის პრობლემებზე				•
სოციალურ-კულტურული და კულტურული თვალსაზრისით მდიდარი რესურსების შერჩევა და მათზე დაფუძნებული ინტერესის გამომწვევი აქტივობების შერჩევა				•
საჭირო ინფორმაციის გაცვლა პროფესიულ დონეზე			•	
სხვა ადამიანებთან ურთიერთობის უნარი, ქცევისა და ურთიერთობების ინტერპრეტაციის უნარი				•
უცხო სოციოკულტურულ გარემოსათვის დამახასიათებელი ქცევის, ცხოვრების წესის ცოდნა				•
კულტურულ თავისებურებებზე მსჯელობისას საკუთარი აზრის კორექტულად გამოთქმა			•	
სხვა ქვეყნის მოქალაქის სოციალური, კულტურული, ფსიქოლოგიური, სულიერი მდგომარეობის გათვალისწინება და შესაბამისი რეაგირება				•
ხელი შეუწყო სხვა კულტურის წარმომადგენელს გამოხატოს თავისი აზრი, დამოუკიდებულება, ვარაუდი, შიში	•			
უცხო გარემოში საქმიანობის რისკის შეფასება და სწორი გადაწყვეტილების მიღწევა				•

თვითშეფასების მატრიცის ანალიზის გამოყენებით საინტერესო გახდა სასწავლო პროცესი. იგი დაეხმარა სტუდენტს კვალიფიკაციის მიღწეული დონის დიაგნოსტიკაში. განსაზღვრაში – რას მიაღწია, რაა გასაკეთებელი, რა შეუძლია დასძლიოს თვითონ, რაში სჭირდება დახმარება. ამან ლექტორისა და სტუდენტის თანამშრომლობა სანდო გახადა და აამაღლა სტუდენტის კვალიფიკაციისადმი მზაობის ხარისხი და დონე. დაეხმარა განესაზღვრა 60 კრედიტის ფარგლებში ასარჩევი საგნები, ხელი შეუწყო უკეთესი შედეგის მოტივაციას, მიღებული გამოცდილება გამოიყენა სხვა სიტუაციაში, გაწეული

საქმიანობა სასარგებლო აღმოჩნდა დასაქმების კონკურსში წარმატებისათვის (ტურიზმის ბიზნესი, კერძო ოფისი, განათლების პროფესიული ცენტრი).

§ 4 „კულტურათა დიალოგის“ სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ფორმები

კვლევის პროცესში „კულტურათა დიალოგის“ სასწავლო პროცესის მართვის შერჩეული ფორმები, სწავლება/სწავლის ფორმების, მეთოდების, სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შეფასების ფორმები, სქემების სარგებლიანობა, ეფექტურობა და საჭიროება შემოწმებულ იქნა სპეციალურად ორგანიზებულ საცდელ მუშაობაში, რომელიც განხორციელდა დოქტორანტის პირად პრაქტიკულ საქმიანობაში.

პირადი გამოცდილების შედეგების შეფასების ობიექტურობისა და სანდოობისათვის მიემართავდით ღია სასწავლო პროცესის წარმართვას, ლექცია-სემინარების ცალკეული ფრაგმენტების ვიდეოფორზე გადაღებას და შემდეგ განხილვას. გათვალისწინებული იქნა სტუდენტისა და კოლეგების კრიტიკული შენიშვნები, წინადადებები, სურვილები.

სასწავლო პროცესის მართვის შერჩეული ორგანიზაციის ფორმების გამოყენების გამოცდილების შედეგებს წარმოვადგენთ მოდელებისა და ნიმუშების სახით. მიგვაჩნია, რომ ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს როგორც მიღწეული დონის წარმოჩენას, ასევე სტიმულს აძლევს ახალი, უკეთესი ნიმუშების შექმნას.

§ 4.1.ლექციის მოდელები

I მოდელი.

აქტიური ლექცია. დრო 60 წუთი.

ლექციის თემა – მიმართვის ეტიკეტი უმაღლეს სკოლაში.

შედეგი – თემის გავლის შემდეგ თქვენ გაიცნობთ სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სკოლებში დამკვიდრებულ მიმართვის ეტიკეტს. შეძლებთ სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვას, ამა თუ იმ ფაქტისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას, თემასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ თავისუფლად და გამართულად მსჯელობას.

აქტივობები – ინდივიდუალური, წყვილებში, ჯგუფებში მუშაობა; სტრატეგია (მეთოდი) – ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე; თავისუფალი წერა.

რესურსები – დაფა, მარკერი, ვიდეორგოლი, ინდივიდუალური ბარათი .

ლექციის მსვლელობის აღწერა:

I. გამოწვევის სტადია (ფაზა) (5 წთ)

დაფაზე წარმოდგენილი სქემა: „ვიცი – ვისწავლე – მინდა ვიცოდე”

შევაფასოთ პირველი გრაფა: როგორ გგონიათ რა იცით განსახილველ თემასთან დაკავშირებით? (პასუხები ჩაიწერება პირველ გრაფაში).

II. შინაარსის რეალიზების სტადია (ფაზა) (25წთ):

მინილექცია – ვიდეორგოლების გამოყენებით უმაღლეს სკოლაში მიმართვის ეტიკეტების გაცნობა (ინგლისი, საფრანგეთი, დანია, რუსეთი, გერმანია, ესპანეთი)

III. რეფლექსიის სტადია (ფაზა) (30 წთ)

I. გთხოვთ, დაწვილით, აზრი ერთმანეთს გაუზიარეთ და შეავსეთ გრაფა „ვისწავლე”. შესრულების დრო (2 წუთი).

თითოეული წარმოდგენს მასალას დაფაზე გრაფაში ჩასაწერად.

II. გთხოვთ, იმავე წყვილებმა მოამზადოთ მასალა გრაფაში „რა მინდა ვიცოდე” ჩასაწერად. ეძლევათ დრო (3 წუთი).

III. გთხოვთ, ორ-ორი წყვილი გაერთიანდეთ ჯგუფებში და ჩამოაყალიბოთ თქვენი შეხედულებები: რის ცოდნა და უნარ-ჩვევებია აუცილებელი თემის შესწავლით გათვალისწინებული შედეგის მისაღწევად. პრეზენტაციისათვის დრო 10 წთ.

IV. თავისუფალი წერა. (15 წუთი)

თემა: „რა შემატა დღევანდელმა ლექციამ ჩემს ცოდნას და გამოცდილებას.” ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია თავისი ნამუშევარი გააცნოს აუდიტორიას.

II მოდელი.

ლექცია ვორკშოფი (120 წუთი) (დრო განაწილდება მასწავლებლის შეხედულებით)

ლექციის თემა: „კულტურათა დიალოგის დარგობრივი კომპეტენციების შესწავლის შედეგები, ანუ სტუდენტის მიერ კომპეტენციების მიღწევის დონის განსაზღვრა.

ლექტორის სიტყვა: „ჩვენს შესხვედრებში დადგა დრო, როცა უნდა გავაანალიზოთ შედეგები: რას მივაღწიეთ თემის – „კულტურათა დიალოგის“ „დარგობრივი კომპეტენციები“ – შესწავლით, რაში გამოვიყენებთ შექმნილ ცოდნას და სწავლის რა სტრატეგია გვჭრდება უკეთესი შედეგის მისაღწევად.“

საჭიროა განვსაზღვროთ, რასთან მიმართებაში განვიხილოთ მიღწეული შედეგი ესაა: ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამონათვალი, ანუ რა ცოდნასა და პროფესიულ უნარებს უნდა ვფლობდეთ; ბ) სწავლის სტრატეგიები, ანუ რა საქმიანობის განხორციელება შეგვიძლია და როგორ.

დარგობრივი კომპეტენციების ჩამონათვალი და სწავლის ზოგიერთი სტრატეგიის დასახელება ნახვენებია სლაიდზე. შეგიძლიათ გამოიყენოთ. მაგალითად:

- საჭირო ინფორმაციის გაცვლა დარგთან დაკავშირებულ საკითხზე.
- სხვა კულტურის წარმომადგენელთან საქმიანი შესხვედრის ორგანიზებისათვის კომუნიკაციური ურთიერთობის დამყარება ინტერნეტის მეშვეობით.
- შესხვედრებების, სურვილების გამოხატვა სიტუაციის შესაბამისად.
- დისკუსიის წარმართვა დარგთან დაკავშირებული პრობლემის გადასაწყვეტად.

დავალება წყვილებისთვის: შეარჩიეთ ერთ-ერთი კომპეტენცია და აღწერეთ მისი გამოყენების შემთხვევა (დრო 7წუთი).

დავალება ინდივიდუალური მუშაობისათვის: გამოიყენეთ სტრატეგია „ბლუმის ტაქსონომია“ და გააკეთეთ ანალიზი. თემა: „კულტურათა დიალოგის“ საკითხზე ტექსტის აგება თემატიკის მიხედვით. შეგახსენებთ ტაქსონომიას – მახასიათებლებს:

- ცოდნა – გაიმეორე, ჩამოთვალე, გაიხსენე, მიუსადაგე, მოიყვანე ციტატა.
- გაგება – ამოირჩიე, აღწერე, შეაჯამე, ახსენი, დაახასიათე, ივარაუდე.
- გამოყენება – მოამზადე, დააკავშირე, შექმენი, მოახდინე კლასიფიკაცია.
- ანალიზი – შეადარე, დააკვირდი, დაყავი კატეგორიებად, დაანაწევრე, გამოიკვლიე, გამოარჩიე.
- სინთეზი – შექმენი, დაგეგმე, გააანალიზე, წარმოადგინე, ჩამოაყალიბე, ფორმულირება მიეცი.
- შეფასება – იმსჯელე, განსაჯე, გააკრიტიკე, გაითვალისწინე, შეაჯამე.

პრეზენტაციისათვის წუთი.

დავალება: დაწერეთ „ათ წუთიანი ესეი“ „დარგობრივი კომპეტენცია „საქმიანობის პროცესში სხვა კულტურის ადამიანისადმი თანაგრძნობა და პატივისცემა“ რაში მჭირდება იგი“.

პრეზენტაციის დრო . . . წუთი.

დისკუსია: „რაა მთავარი: რას და როგორ ვისწავლი თუ რაში გამოვიყენებ მას“.

დისკუსიის ხანგრძლივობა . . .

როლით თამაში - „ინტერვიუ უცხოელ კოლეგა-სტუდენტთან“

როლით თამაშში მონაწილეობენ წყვილები. ორი ან სამი სტუდენტი დამკვირვებლის როლში შეაფასებს თითოეული წყვილის მიერ წარმოდგენილ როლით თამაშს.

დრო . . . წუთი.

დამკვირვებლის შეფასების გაცნობიერებისათვის – დრო . . . წუთი.

დავალება ჯგუფისათვის: ვარაუდების წარმოდგენა.

თემა 1. „სტუდენტი მიდის კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაოდ“

თემა 2. „უნივერსიტეტში ვისწავლე - დასაქმებისათვის კონკურსი უნდა გავიარო თუ არა?“

პრეზენტაციისათვის დრო თითოეულ ჯგუფს . . . წუთი.

პორტფოლიოს პრეზენტაცია (დრო წუთი)

I ნაწილი: დარგობრივი კომპეტენციების მიხედვით მათი მახასიათებლების განსაზღვრა. ნიმუშები, სქემები, მაგალითები, თეზისები, მცირე რეფერატი.

II ნაწილი: თვითშეფასება (დამაკმაყოფილებელი, კარგი, შესანიშნავი, საჭიროებს გაუმჯობესებას), რას მიაღწია, კიდევ რისი გაუმჯობესება და განვითარება დასჭირდება პროფესიული, დარგობრივი კომპეტენციის მისაღწევად.

ლექტორის სიტყვა: „გმადლობთ წარმატებული საქმიანობისათვის! ვფიქრობ, დღევანდელი ლექცია დაგეხმარებათ უკეთ შესძლოთ საკუთარი მიღწევების შეფასების ხარისხის განსაზღვრა და სამომავლოდ შედეგების მიღწევის დაგეგმვა“.

III მოდელი. ლექცია ტუტორიალი (60 წუთი)

ლექციის თემა: საინფორმაციო ტექნოლოგიები და ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებთან კომუნიკაცია.

ლექციას წარმართავენ: უცხო ენისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ლექტორები.

მიზანი: მიღწევა და განვითარება კომპეტენციისა: თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, კომუნიკაციური ურთიერთობების დამყარება სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ინტერნეტის მეშვეობით.

შედეგი: სტუდენტები შეივსებენ და გაიდრმავენ ცოდნას თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით კომუნიკაციური ურთიერთობების დამყარების ახალი აზრების შესახებ.

შედეგები: სხვა კულტურის წარმომადგენელთან დასაკავშირებელი მისამართებისა და საშუალებების გაცნობას. კომუნიკაციური ურთიერთობებისათვის გასაცემი და მისაღები ინფორმაციების მოძიებას, დახარისხებას, გამოყენებას.

აქტივობები: წყვილებში მუშაობა, ორმხრივი ჩანაწერის დღიური, ერთობლივი ძიება, ჯვარედინი დისკუსია. წერა – იდეის დაფიქსირება, თავისუფალი წერა.

რესურსები: ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერი, (თითოეულ წყვილზე –თითო კომპიუტერი) კატალოგი ინტერნეტმასალებით, ინდივიდუალური ბარათები, პროექტორი, ფურცლები, ფანქარი, დაფა, მარკერი.

ლექტორი I (უცხო ენა). მეორე ლექტორის წარდგენის შემდეგ აუდიტორიას გააცნობს თემას, რესურსებს.

შეკითხვა აუდიტორიას: რას ელოდებით დღევანდელი ლექციისაგან? გთხოვთ, გამოიყენოთ მოლოდინის მეთოდი და თქვენი სავარაუდო პასუხები ჩამოვწეროთ მონიტორის მარცხენა მხარეს.

საქმიანობის დასრულების შემდეგ მონიტორის მარჯვენა მხარეს წარმოადგენთ ლექციის დაგეგმვით გათვალისწინებულ შედეგებს. ლექციის დასასრულს გაუაკეთოთ ანალიზი – თქვენი მოლოდინებიდან და ლექციის დაგეგმვიდან რომელი იქნა მიღწეული.

ლექტორი II (18 წუთი) გააცნობს მსმენელებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს შესახებ ახალ ინფორმაციას, გაარკვევს, რომელი ტექნოლოგიის გამოყენება შეუძლიათ, გასწევს ინსტრუქტაჟს ახალი ტექნოლოგიების დასაუფლებლად (ლექციის მსვლელობაში ლექტორი ეხმარება სტუდენტებს)

ლექტორი I (4 წუთი) – სტუდენტებს ჩართავს მის მიერ მომზადებულ ვეროპის ერთ-ერთი ქვეყნის უნივერსიტეტის შესაბამისი სპეციალობის სტუდენტებთან მომზადებულ ინტერნეტ-შეხვედრაში.

დავალება (30 წუთი) – თითოეული ჯგუფი ირჩევს აქტივობას, რომლითაც კომუნიკაციური ურთიერთობა წარიმართება.

- 1) აქტივობა შერჩეულ პრობლემაზე ორმხრივი ჩანაწერის დღიურის გამოყენება (ფურცლის ერთ მხარეს ჩამოწერს მოსაუბრის შეხედულებებს, მეორე მხარეს – თავის მოსაზრებებს).
- 2) აქტივობა შერჩეული პრობლემის გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება.
- 3) აქტივობა ჯვარედინი დისკუსია, დახურული (დიახ, არა) კითხვის გამოყენება.
- 4) აქტივობა ინტერვიუ.
პრეზენტაცია - 16 წუთი
- 5) აქტივობა წერა – იდეის დაფიქსირება (4წთ)
პრეზენტაცია - 5 წუთი
- 6) აქტივობა თავისუფალი წერა –ლექციის მოლოდინი და გამართლება
პრეზენტაცია - 10 წუთი

სტუდენტები მონიტორის შუა ადგილზე ჩამოწერენ „თავისუფალი წერის“ პრეზენტაციის შედეგებს. ექსპერტები გააკეთებენ ანალიზს: რას ელოდებოდნენ და რა შედეგს მიაღწიეს.

საქმიანობით, სწავლის შედეგებით კმაყოფილი აუდიტორია სამადლობელ წერილს სწერს ევროპულ სტუდენტებს და მათ ლექტორს, სთხოვს მათ კვლავ ითანამშრომლონ ჯგუფების მიერ წარმოდგენილი ახალი იდეის გარშემო.

მოდელი IV

პრაქტიკული სავარჯიშოები ლექციაზე (240 წუთი)

თემა: „კულტურათა დიალოგის“ ტერმინოლოგია

მიზანი: „კულტურათა დიალოგის“ სხვადასხვა სფეროში გამოსაყენებელი ტერმინოლოგიის დაუფლება.

შედეგი: კულტურათა დიალოგის ტერმინოლოგიის გამოყენება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისათვის.

მისაღწევი კომპეტენციები:

- კულტურათა დიალოგის საკითხზე ტექსტების აგება თემატიკის მიხედვით.
- საუბრის წარმართვა მოვლენის, ადგილისა და სიტუაციის შესაბამისად.

ლექციის მსვლელობაში სტუდენტებს მიეწოდებათ ლექტორის მიერ შედგენილი ტერმინოლოგიის ლექსიკონი. მაგალითად:

ეთნოცენტრიზმი – ნეგატიური დამოკიდებულება სხვა კულტურისადმი და საკუთარი უპირატესობის მძაფრი გრძნობა. ხშირად ის სხვისთვის საკუთარი კულტურის თავსმობევაში და სხვა კულტურის დაკნინებაში ვლინდება.

ქსენოფობია – (ბერძნ.) შიში უცხოელის მიმართ, ეს არის შფოთვა, რომელიც ყოველივე უცხოს მიმართ ნეგატიური სტერეოტიპული დამოკიდებულებითა და წინასწარ განსჯებით ხასიათდება. ეს შიში განსხვავებული ადამიანების მიუღებლობითა და მათ მიმართ მტრულ დამოკიდებულებით გამოიხატება.

უმცირესობები – საზოგადოების ის მცირე ნაწილია, რომელიც შეიძლება უმრავლესობისგან განსხვავდებოდეს ეთნოსით, ენით, რელიგიით, კულტურით.

ეთნიკური წმენდა – ნიშნავს, რომ ერთი ეთნიკური ჯგუფი აიძულებს მეორეს დატოვოს მშობლიური ტერიტორია.

პრაქტიკული საგარჯიშოების ფორმები და სახეები:

- ამოწერე სიტყვა სხვადასხვა ტექსტიდან
- სიტყვათა განმარტებები
- ენობრივი ნორმების დაცვა
- მართლწერის ნორმების დაცვა
- იპოვეთ შემცველი სიტყვა
- მოცემული 3 ტერმინით შეადგინე მოთხრობა
- შეადგინე: ინფორმაციული, მხარდამჭერი, დამარწმუნებელი, თხოვნის, მოთხოვნის, საკუთარი შეხედულებების გამომხატველი წერილები.
- დაეხმარეთ გზააბნეულ ტურისტს
- სიტყვები ყულაბაში
- წერა „საავტორო სკამი“
- მოისმინეთ ტექსტი და გამოტოვებული ადგილები შეავსეთ სათანადო ტერმინებით
- მოისმინეთ ტექსტი და მოსაუბრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს მიუსადაგეთ შესაბამისი წინადადებები
- გაასწორეთ დაშვებული შეცდომა
- წაიკითხეთ წინადადებები და დააღაგეთ – „მცდარია“, „ჭეშმარიტია“.

- წინადადებათა ჩამონათვალიდან აირჩიეთ სათაურის შესაფერისი 5 წინადადება.
- კომენტირებული კითხვა
- ახსნითი კითხვა
- კრიტიკული კითხვა
- სიტყვის მაძებრები
- კითხვა გრაფიკების და სქემების გამოყენებით
- კითხვა ინფორმაციის დახარისხება
- კითხვა – არგუმენტი – პასუხი – მოპოვებული ინფორმაცია
- კითხვა აუდიტორიის გათვალისწინებით
- კითხვა გარკვეული თვალსაზრისის ჩამოყალიბებისათვის
- მოსმენის კულტურა და აუდიტორია.

აქტივობები: შეირჩევა სავარჯიშოების მიხედვით, გამოიყენება საგაზეთო ინფორმაციები, სატელევიზიო გადაცემები, ინტერნეტ რესურსები.

შეფასების ფორმები: ზეპირი და წერილობითი პრეზენტაცია, ანგარიშის შედგენა.

§4.2 სემინარის ორგანიზაციის ნიმუშები

ნიმუში პირველი - ბიბლიოთეკაში დამოუკიდებლად მუშაობა

სემინარის თემა: მიმართულების – „კულტურათა დიალოგის“ სტანდარტები საშუალო სკოლის უცხოური ენების სასწავლო გეგმის მიხედვით.

მითითება სემინარის შესასრულებლად: ბიბლიოთეკაში შეარჩიეთ ნებისმიერი კლასის უცხო ენის სასწავლო გეგმა. ა) გააკეთეთ ანალიზი, მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ სტანდარტების მიხედვით, რა ცოდნას და უნარებს ფლობს მოსწავლე; ბ) გააკეთეთ კომენტარი, რაში გამოადგება თქვენს მიერ მოძიებული მასალა ლექციას, თანაკურსელებს. დავალება შეგიძლიათ შეასრულოთ წყვილებში ან ჯგუფებში. გაითვალისწინეთ, რომ სემინარზე პრეზენტაციისათვის დაგეთმობათ 3 წუთი.

პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები იქნება:

- საინტერესო შესავალი

- პრობლემის გასაგებად წარმოჩენა.
- ინფორმაციის სარგებლიანობა.
- აუდიტორიასთან კონტაქტი
- დროის ლიმიტის დაცვა.

ნიმუში მეორე - პროექტის წარდგენა

პროექტის თემა გამომდინარეობს შესწავლილი პრობლემიდან. სტუდენტებთან ერთად შეირჩევა პროექტის თემები. სტუდენტთა წყვილები ან ჯგუფები აირჩევენ იმ თემას, რომელიც მათ მოსწონთ.

პროექტის მოსამზადებლად ეძლევათ გარკვეული დრო, ერთი თვის ფარგლებში.

პროექტის წარდგენაზე შეიძლება მიწვეულ იქნას ის პირები, ვისაც პროექტი ეხება ან ვინც ჩართული იყონ პროექტის მომზადებაში.

პროექტი შეფასდება სათანადო კრიტერიუმებით.

მაგალითად: „სტუმარ-მასპინძლობის პრობლემა (სამიზნე ენის ქვეყნის) ფოლკლორში“);

ნიმუში მესამე - ახალი რეკომენდაციის გამოყენებით მოთხრობის შედგენა „კულტურათა დიალოგის თემებზე“

მითითება სემინარის მოსამზადებლად.

გაიცანით მაიკლ ბერმანის მიერ შემოთავაზებული სწავლების მეთოდი „სწავლება თხრობის საშუალებით.“ შეარჩიეთ ერთ-ერთი რეკომენდაცია. მაგალითად, ანდაზების გახსენება კულტურულ რეალობაზე, შემდეგ ამოირჩიეთ რომელიმე და დაწერეთ მოთხრობა.

მაგალითად: „რომელ ქვეყანაში შეხვალ, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურე.“

სემინარზე პრეზენტაციისათვის დაგეთმობათ 55 წუთი.

შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება სემინარის დაწყებამდე.

ნიმუში მეოთხე - სიტუაციათა ანალიზით პრობლემის გადაწყვეტის გზის პოვნა

სიტუაცია I. თქვენ მოხვდით დიდ ბრიტანეთში. გაინტერესებთ, რა ანაზღაურებას იღებს თქვენი კოლეგა. ამასთან, იცით, რომ ბევრი ბრიტანელი დიდ უკულტურობად თვლის შეკითხვას: „რამდენი გაქვს ხელფასი?“ როგორ მოიქცევით?

სიტუაცია II. ამერიკელი გამყიდველი ქალი ჩვეულებრივ უღიმის და ეუბნება მომხმარებელს: „გამარჯობათ, როგორ ბრძანდებით?“ ეს მათთვის

ჩვეულებრივი ზრდილობიანი მისაღმებაა და არა შეკითხვა. ხშირად მომხმარებელი იწვევს მათი პირადი პრობლემების შესახებ საუბარს. პასუხად, როცა აღმოაჩენს, რომ გამყიდველი სულაც არ არის დაინტერესებული მისი პრობლემით, უცხოელი ღიზიანდება და გაბრაზებული ფიქრობს: „მაშინ რატომ მკითხა?“

სიტუაცია III. ერთ-ერთი მასწავლებელი წერს: „მე მყავდა მოსწავლე, რომელიც ცუდად იქცეოდა. მე მას მკაცრი „გაკვეთილი“ ჩავუტარე. გამაბრაზა იმან, რომ ის არ მიყურებდა თვალებში. მაგრამ თურმე მას ასწავლიდნენ, რომ თვალებში ცქერა უზრდელობაა და თვალების დახრა პატივისცემის გამოხატულებაა.

სიტუაცია IV. თანაკურსელებთან ერთად ისვენებთ და საუბრობთ, გაგაცნეს ინტერნეტით გავრცელებული მოსაზრება, რომ ევროპელი ახალგაზრდა უნდა ფლობდეს შემდეგ ძირითად კომპეტენციას: პოლიტიკური და სოციალური კომპეტენცია; ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, ინფორმაციის მიღების კომპეტენცია, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის უნარი, მულტიკულტურულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის საჭირო კომპეტენცია (რასიზმის, ქსენოფობიის, არატოლერანტურობის წარმოშობის აღმოფხვრა, უცხოური ტრადიციების, კულტურის, ენის, რელიგიის პატივისცემა).

დავუშვათ, რომ თქვენ არ ხართ „ახალგაზრდა და ევროპელი“ და წარმოადგენთ სხვა კონტიგენტს, რა რეაქცია გექნებათ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ?

ნიმუში მესუთე - უახლესი გამოკვლევების, ნაშრომების ანოტაცია.

მითითება: ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ინტერნეტქსელში შეარჩიეთ „კულტურათა დიალოგთან“ დაკავშირებულ თემებზე ერთ-ერთი ნაშრომი ან გამოკვლევიდან გარკვეული ნაწილი და გააკეთეთ ანოტაცია. გაითვალისწინეთ, ვისთვის აკეთებთ ანოტაციას: სტუდენტისთვის, გაზეთისთვის, ლექტორისთვის.

ნიმუში მეექვსე - ესე შესწავლილ თემებთან მიმართებაში (2-3 გვერდის მოცულობით)

მითითება: ესეს თემად შეგიძლიათ შეარჩიოთ ნებისმიერი პრობლემა ან სიტუაცია, რომელიც დაკავშირებულია „კულტურათა დიალოგის“ თემასთან.

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

- პრობლემის ზუსტად განსაზღვრა
- გადაჭრის გზების ძიება

- თქვენეული პოზიციის გამოხატვა
- შეეცადეთ გამოავლინოთ შექმნილი ცოდნა, უნარები, კომპეტენცია.

**ნიმუში მეშვიდე - კვლევითი საქმიანობა რეფერატის მომზადება -
შერჩეულ თემაზე.**

რჩევები:

- ჩამოაყალიბეთ რამდენიმე შეკითხვა იმ პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც სამეცნიერო ძიების საფუძველი შეიძლება გახდეს.
- შეადგინეთ კვლევის გეგმა, წყაროების, ინტერნეტრესურსების მითითებით.
- შეაგროვეთ და ჩაწერეთ ინფორმაციები კვლევის ხერხებისა და ეტაპების მიხედვით.
- მოამზადეთ სქემები, გრაფიკები, ინტერვიუ, დაკვირვება და საჭიროებისამებრ გამოიყენეთ.
- დასკვნა გააკეთეთ გასაგებად, ლაკონურად.
- გახსოვდეთ, რომ რეფერატს წაიკითხავს და შეაფასებს ოპონენტი.

გთავაზობთ კვლევის კომპონენტების აღწერას, რომელიც დაგეხმარებათ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უკეთ ორგანიზებაში.

- **თემის აქტუალობა** - სტუდენტი აღწერს, რა იცოდა საკვლევი თემის შესახებ. (თეორიული და პრაქტიკული სიტუაციის ანალიზი), რატომ დაინტერესდა ამ თემით.
- **კვლევის მიზნები და ამოცანების დასახვა** - რატომ უნდა განხორციელდეს კვლევა, რის გაკეთებას გეგმავს, რა შედეგს მოელოს.
- **კვლევის პროცესი** – მიზნებისა და ამოცანების თანმიმდევრული შესრულება. პროცესების აღწერა, არგუმენტებით მსჯელობა, დაკვირვებით ანკეტირებით ჩატარებული საქმიანობის ანალიზი, საკითხთა წრე ძიების პროცესში.
- **კვლევის შედეგები** - რამდენიმე ძირითად ცნებაზე ორიენტირება. მიზნებისა და შედეგების ახსნა, მომხრე და მოწინააღმდეგე პოზიციების შედარება-შეპირისპირება.
- **ლიტერატურა** - დასახელდება წყაროები ანბანთრიგზე ან თემატური დალაგებით. მნიშვნელოვანია ლიტერატურის გაფორმების წესის არჩევა: სქოლიო, ციფრებით მინიშნება, მოკლე ანოტაცია.

§ 4.3. ფრაგმენტები უცხოელთა გამოცდილებიდან

სასწავლო პროცესის მართვის გამოცდილებასთან დაკავშირებით კულტურათა დიალოგის ამსახველი მასალები განფენილია ნაშრომებში, სტატიებში, ინტერნეტში. მათი გამოყენებით შევადგინეთ სასწავლო რესურსების საიტი, რომლის ჩართვა შესაძლებელია ლექციაში ან სემინარში. წარმოვადგენთ ზოგიერთს:

არტურ ვან განდი, „კრეატიულობის იდეა“ (2001) (ოკლაჰამას უნივერსიტეტი).

გამოიყენეთ პრიორიტეტის მინიჭების მეთოდი და ჩამონათვალიდან შეარჩიეთ სამი იდეა, განავითარეთ იდეა დასაბუთებით:

1. ასაკი, სოციალური მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი (ბარი, მთა, ქალაქი, სოფელი) გავლენას ახდენს ადამიანის მეტყველებასა და ქცევაზე.
2. ჩვეულებრივ სიტუაციაში ადამიანები იქცევიან ისე, როგორცაა მისი შინაგანი კულტურა.
3. სიტყვების, ფრაზების კულტურული მნიშვნელობის გაგება აუცილებელია სხვა ქვეყნის ადამიანებთან ურთიერთობისას.
4. კულტურული სიმბოლოების ამოცნობა.
5. კულტურის კონტექსტში ინფორმაციის ინტერპრეტირება საკუთარ კულტურასთან შედარებისათვის.

კოლერ მაკმილანი, „რადიკალური პედაგოგია“ (2001)

- I. ჩამონათვალი რჩევებიდან რომელს გაიზიარებთ და რატომ?
კულტურათა დიალოგის შესწავლა:
 1. ხელს შეგიწყობთ განავითაროთ გაგება იმისა, რომ ყველა ადამიანის ქცევაში კოორდინირებულია მისი გარემოს კულტურული ტრადიცია.
 2. დაგეხმარებათ უკეთ გააცნობიეროთ, რომ სოციალური მდგომარეობის ცვალებადობა, ასაკი, საცხოვრებელი ადგილის ცვლა გავლენას ახდენს ადამიანის მეტყველებასა და ქცევაზე.
 3. შესძლებთ შეაფასოთ სხვა კულტურის წარმომადგენლის დამოკიდებულება შენი კულტურისადმი.
 4. სტიმულს მოგცემთ დაიკმაყოფილოთ ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობა სამიზნე ქვეყნის მიმართ.

5. ხელს შეგიწყობთ განავითაროთ „კულტურული კომპეტენცია“

II. გამოიყენეთ ორმხრივი ჩანაწერის დღიურის მეთოდი და გააკეთეთ კომენტარი

1. კულტურათა დიალოგს განსაზღვრავს არა მარტო ენის ცოდნა, არამედ ისიც, თუ როგორ შეუსაბამო იგი რეალურ ვითარებას
2. კულტურულ ცნობიერებას საფუძვლად უდევს რწმენა და ფასეულობათა სისტემა (ჰამფრი, 1997).
3. ენა და კულტურა იმდენადაა დაკავშირებული, რომ მათი საზღვრები, თუკი ისინი არსებობს, ბუნდოვანია (მაკლეოლისი, 1996)
4. სამყარო შეიცვალა, მაგრამ ენობრივი და კულტურული შესაძლებლობები არ იცვლება. იცვლება მათი გავლენის ხარისხი (რენიცსონ, 1995).

ტრიშია ჰეჯი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, 2002)

- I. გამოიყენეთ ურთიერთსწავლების მეთოდი და გააცანით ჯგუფის წევრებს.
 1. ენის ცოდნის აღსაწერად ტერმინი „კომპეტენცია“ გამოიყენა ხომსკიმ. (ხომსკი 1965).
 2. უამრავი სტუდენტი თვლის, რომ სჭირდებათ წერითი და ზეპირი უნარები ინტერნაციონალური კომუნიკაციისა და მობილობისათვის.
 3. იმისათვის, რომ შეძლონ რეალურ სამყაროში ეფექტურად მოქმედება და ცხოვრება, სტუდენტებს სჭირდებათ მრავალფეროვანი კომპეტენციები, რათა გამოიყენონ ეს იმ სიტუაციებში, რომლებიც მისცემს მათ საშუალებას გამოთქვან მოთხოვნები, იდეები, აზრები, წარმართონ კომუნიკაცია სხვებთან, იფიქრონ და გადაჭრან პრობლემები, გამოეხმაურონ მოვლენებს.

II. ინგლისური ენის სწავლების მიზანი ორიენტირებული უნდა იყოს უფრო მეტად იმაზე, რომ სტუდენტებს მიეცეს შესაძლებლობა აწარმოონ წარმატებული ინტერაქცია სხვა საზოგადოების წარმომადგენლებთან, ასევე, ლინგვისტური გამოკვლევები, კომუნიკაციური კომპონენტების შესაძლებლობის მზარდი რელევანტურობა და სარგებლიანობა მასწავლებელთათვის და პროგრამებისათვის.

გაიცანით პრაგმატული კომპეტენციის მახასიათებლები და აირჩიეთ ორი, რომელიც ხელს შეგიწყობთ „კულტურათა დიალოგი“ კომპეტენციის მიღწევაში.

- ისწავლეთ კავშირით გრამატიკულ ფორმებსა და ფუნქციებს შორის.
- გამოიყენეთ მახვილი და ინტონაცია, რომ გამოხატოთ დამოკიდებულება და ემოცია.
- გაიგეთ და გამოიყენოთ ემოციური ტონი.
- გამოიყენეთ ენის პრაგმატული წესები.
- თავი მოუყარეთ ენის ფორმებს თემებისა და მსმენელის მოთხოვნების შესაბამისად.

ელიზაბედ პეტერსონი და ბრაიან კოლტრეინი (ირიკ დაიჯესტი, 2003)

I. გთხოვთ წაიკითხეთ ტექსტი და თქვენი დამოკიდებულება ჩამოაყალიბოთ თეზისების სახით.

კულტურული კომპეტენციების ეროვნულმა ცენტრმა განსაზღვრა კულტურა, როგორც „ინტეგრირებული მოდელი ადამიანის ქცევისა, რომელიც შეიცავს ფიქრებს, კომუნიკაციას, ენებს, პრაქტიკას, რწმენას, ღირებულებებს, ტრადიციებს, თავაზიანობას, რიტუალებს, ურთიერთობების მანერას და როლებს, ურთიერთობებს და მოსალოდნელ ქცევას, რასის, ეთნიკური, რელიგიური თუ სოციალური ჯგუფის მიხედვით; და შესაძლებელია იმას, რომ გადაეცეს ზემოთ აღნიშნული თაობებს (Goode, Sockalingam, Brawn ,& Jones,2000). კულტურა ასოცირებული ენასთან არ შეიძლება ისწავლებოდეს დღესასწაულების, ხალხური სიმღერების თუ ტრადიციების შესახებ რამდენიმე ლექციაში. კულტურა უფრო ფართო ცნებაა, იგი ნიშანდობლივად დაკავშირებულია ბევრ ლინგვისტურ ცნებასთან, რაც ისწავლება ჯგუფებში, სადაც უცხო ენა მეორე ენაა.

II. გთხოვთ, გაიცანით ენისა და კულტურის სწავლების ინსტრუქციული სტრატეგიები და ერთ-ერთის გამოყენებით წარმოადგინეთ სავარჯიშოები:

1. აუთენტური (დედანთან გათანაბრებული, ნამდვილი, პირველწყარო) მასალა: ფილმები, რეკლამები, ტელეგადაცემები, ვებგვერდები, სურათები, გაზეთები, ჟურნალები, რესტორნის მენიუ, მოგზაურთათვის ბროშურები.
2. ანდაზები
3. როლით თამაში

4. სტუდენტები, სტუმრები
5. ეთნოგრაფიული სწავლა (ხალხთა ყოფა-ცხოვრება)
6. ლიტერატურა
7. ფილმები

ინფორმაციები ინტერნეტწყაროებიდან

1. უცხო ენის სწავლის ეროვნული სტანდარტების ინიციატივის მიხედვით, ენის პედაგოგებმა შეერთებულ შტატებში დასახეს პრიორიტეტად – გაეერთიანებინათ კულტურის სწავლება მათი გაკვეთილის პროგრამაში. კულტურის ცოდნა არის ერთ-ერთი მაზანი ეროვნული სტანდარტის 5 მიზნიდან.

ფაქტობრივად, სტუდენტი სრულად ვერ ისწავლის ენას მანამ, სანამ ვერ ისწავლის ამ ენაში არსებულ კულტურულ კონტექსტს (National Standards in Foreign Language Education Project, 1996, p.27).

2. არ არის საკმარისი სტუდენტებს ჰქონდეთ მხოლოდ ლინგვისტური კომპეტენცია. (კრანსერ, 1999). მათ უნდა იცოდნენ კულტურულად შესაფერისი საშუალებები, თუ როგორ შეიძლება მიმართონ ხალხს, გამოხატონ მადლიერება, გააკეთონ მოთხოვნა, დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ ვინმეს. მათ უნდა იცოდნენ, რომ მათი მშობლიური სამეტყველო ენისათვის შესაფერისი ქცევა და ინტონაცია შეიძლება სხვაგვარად იყოს აღქმული მეორე ენაზე მოსაუბრე საზოგადოებაში. სტუდენტებმა უნდა გაითავისონ: იმისათვის, რომ კომუნიკაცია იყოს წარმატებული მათი ლინგვისტური კომპეტენცია უნდა ასოცირდებოდეს კულტურულად შესაფერის ქცევასთან.

აუერნჰაიმერ, გ, ინტერკულტურული აღზრდის შესავალი, დარმშტატი,1990

წაიკითხეთ და თქვენი შეხედულება : ა) ჩამოაყალიბეთ დისკუსიისათვის; ბ) მისწერეთ ავტორს.

საჭიროა შეიქმნას გეოგრაფიული, სოციო-კულტურული, საგანმანათლებლო, პოლიტიკური თუ ეთნიკური შინაარსის ამსახველი დიდაქტიკური რეგიონალური სახელმძღვანელოები, რომლებიც ხელს შეუწყობს ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებას.

იული ჯორჯ , პრაგმატიკა, 2000

აღწერეთ, რა მოგცათ მოცემული მგალითების გაცნობამ.

- I. ინგლისელი მიიწვიეს რესტორანში მაროკოში. მას იქ სკამების ნაცვლად ბალიშები დახვდა, ეს კულტურული განსხვავება გასაგები აღმოჩნდა, რადგან იცოდა მსოფლიოს ხალხთა ისტორია და კულტურა.
- II. ავსტრალიელმა ქარხნის მუშამ ადღგომის მოახლოებული არდადეგებით გახარებულმა, ჰკითხა ვიეტნამელ მუშას თუ სად აპირებდა იგი წასვლას: “You have five days off. what are you going to do? “ რამაც ვიეტნამელი შეაშინა იფიქრა სამსახურიდან მითხოვენო, მან არ იცოდა ამ დღესასწაულს თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.
- III. ტიპური ამერიკული ინგლისური სტილით კომპლიმენტის თქმა დიდ უხერხულობას ქმნის ზოგი ადგილობრივი ამერიკელი ინდიელისათვის (ის აღიქმებ , როგორც გადაჭარბებული), ხოლო იაპონელი ადრესანტისადმი შეიძლება მას იგივე გავლენა ჰქონდეს როგორც ბოდიშის მოხდას.

§ 4.4. მოდულისა და სილაბუსის ნიმუშები

მოდულის დაგეგმვის მრავალი ვარიანტაგან პრაქტიკული გამოყენებისათვის შევიმუშავეთ ქვემოთ წარმოდგენილი მოდულის დაგეგმვის ნიმუში. მოდული შედგება ევროპისმცოდნეობისა და უცხო ენის („კულტურათა დიალოგის“) სასწავლო კურსებიდან.

კომპეტენციები შერჩეულია სხვადასხვა დარგობრივი სპეციფიკური კომპეტენციების იმ ჩამონათვალიდან, რომლის იდენტიფიცირება მოხდა ევროპის უნივერსიტეტის წარმომადგენელთა შეხვედრაზე ბრიუსელში 2004 წელს.

მოდულის დასახელება – ევროპისმცოდნეობა და ინტერკულტურული კომუნიკაცია.

ტიპი – არჩევითი

მოდულის დონე – მაგისტრატურა

წინაპირობები – საქართველოს ისტორიის, უცხოური ენის საბაზო ცოდნა

ECTS კრედიტების რაოდენობა – 5.

მისაღწევი კომპეტენციები:

1. ევროპული მოვლენების, განვითარებისა და პოლიტიკის ეროვნულ და ადგილობრივ ჩარჩოში ინტერპრეტირება (განმარტება).
2. ევროპისმცოდნეობის კრიტიკულ საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტების კომენტირება.
3. ევროპისმცოდნეობის რელევანტურობის (შესაბამისობა, მართებულობა) აღქმა ევროპის თანამედროვე განვითარებაში.
4. სხვადასხვა ევროპული ერებიდან და კულტურული გამოცდილებიდან წამოსული განსხვავებული ხედვის აღქმა და პატივისცემა (უკავშირდება „კულტურათა დიალოგს“).
5. უცხოურ ენაზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია დარგობრივი სფეროს შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით (უკავშირდება „კულტურათა დიალოგს“).
6. ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობა (უკავშირდება „კულტურათა დიალოგს“).

სწავლის შედეგები – ევროპული იდეებისა და კონცეფციების ცოდნა. ინტერკულტურული კომუნიკაციის სფეროს სხვადასხვა მიდგომის ცოდნა და გაცნობიერება.

ევროპისმცოდნეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე დებატებში ჩართვა. კულტურული კავშირების ცოდნა და ახლის გაგება. კულტურულ სხვაობათა სხვადასხვა განზომილების გაცნობიერება სივრცესთან, დროსთან მიმართებაში.

საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითადი საკითხები (ქვეთემების გარეშე).

ლექციები:

1. ევროპა მსოფლიოში.
2. ევროპული ინსტიტუტებისა და გადაწყვეტილებების გავლენა ევროპის ქვეყნების საშინაო და საგარეო ცხოვრებაზე.
3. ევროპული ინტეგრაცია.
4. კულტურული იდენტობა, კულტურული სისტემების სტრუქტურა.
5. ევროპის კულტურული ცხოვრება პრესაში („კულტურათა დიალოგი“).
6. ინტერკულტურული კომუნიკაციის ფორმები და მეთოდები. („კულტურათა დიალოგი“).
7. დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენება ზეპირი და წერიტი კომუნიკაციისათვის უცხოურ ენაზე.

სემინარები:

1. ინტერკულტურული კომუნიკაცია ევროპის მულტიკულტურულ საზოგადოებაში. („კულტურათა დიალოგი“).
2. ევროპის ქვეყნების კულტურა და ტრადიცია („კულტურათა დიალოგი“).
3. მიგრაცია: ტკივილი თუ სიხარული? კულტურული შოკი („კულტურათა დიალოგი“).
4. გადაწყვეტილებები, კანონები და პოლიტიკა (ინფორმაციის მოძიება, ანალიზი).
5. ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია (როლით თამაში, შესაძლებლობის შემთხვევაში პარტნიორულ ურთიერთობა ევროპულ სტუდენტებთან („კულტურათა დიალოგი“)).
6. ევროპა დიდი ოჯახი – ვისთვის?

ვიზიტი – არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც ევროპულ სტრუქტურებს წარმოადგენენ („კულტურათა დიალოგი“).

აქტივობები: ჯგუფური მუშაობა, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციები, თავისუფალი წერა, ინტერნეტრესურსების მოძიება, დახარისხება, გამოყენება, დებატები, დისკუსია.

შეფასების ფორმები: სასწავლო ანგარიში, ესეი, ლექციაში ჩართულობა, თეზისები, პორტფოლიოს პრეზენტაცია.

სილაბუსის ნიმუში

სილაბუსი არის სასწავლო ინფორმაცია, რომელიც მოიცავს საგნის სწავლების მიზანს, შინაარსს, სწავლება/სწავლის სტრატეგიებს. განსაზღვრავს მასწავლებლებისა და მოსწავლის როლს მიზნის მიღწევაში. სილაბუსი საშუალებას აძლევს სტუდენტს – გააცნობიეროს, რა უნდა ისწავლოს, რა შედეგს მიაღწიოს, როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს სწავლება/სწავლისადმი.

სილაბუსის დანიშნულებაა სტუდენტსა და მასწავლებელს შორის დაამყაროს საქმიანი ურთიერთობა. გააცნოს: რა წინასწარი ცოდნა და უნარები უნდა ჰქონდეს საგნის წარმატებით ათვისებისათვის, როგორი იქნება სწავლება/სწავლის შინაარსი, ფორმები, შეფასების პროცედურა, მოთხოვნების პოლიტიკა, რა რესურსები გამოიყენება, როგორ გადაწყდება გაცდენის ანაზღაურება, წამოჭრილი დავა და ა.შ.

სილაბუსი ხელს უწყობს განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის შესრულებით მიღწეული შედეგი როგორც ცალკეულ სასწავლო კურსსა და მოდულში, ასევე მთლიანად კურსის ან სემესტრის მიხედვით. იგი საშუალებას აძლევს მასწავლებელსა და სტუდენტს – გაეცნონ სხვა სასწავლო კურსებსა და მოდულებში განსახორციელებელ საქმიანობას.

სილაბუსის მიხედვით ხდება დამატებითი ან არჩევითი კურსების და მოდულების შერჩევა. სილაბუსის შედგენის სხვადასხვა ვარიანტი არსებობს, იგი დამოკიდებულია სასწავლო მიზანზე, მისაღწევ შედეგებზე, სასწავლო დისციპლინის სპეციფიკაზე. სილაბუსი შეიძლება ორიენტირებული იყოს ცალკეულ პრობლემაზე, სასწავლო კურსით შესწავლილ მასალაზე, კომპეტენციათა მიღწევაზე, მიღწეული შედეგების განვითარებაზე, სპეციალობს მონათესავე დარგის სპეციფიკაზე, დარგში არსებული სიახლეების გაცნობაზე და სხვა. ჩვენს სინამდვილეში პოპულარულია სასწავლო კურსზე ან მოდულზე ორიენტირებული სილაბუსი.

კვლევის პროცესში შევისწავლეთ სხვადასხვა საგნის სილაბუსები, რომლებშიც ასახული იყო კულტურათა დიალოგის საკითხები, როგორც ავლნიშნეთ უცხოური ენის სილაბუსებში „კულტურათა დიალოგი“ ცალკე მიმართულებად არ აისახება.

ყურადღება მიიპყრო სასწავლო კურსის სილაბუსმა „ბიზნესი და კულტურათშორისი მენეჯმენტი“ (თსუ ასოცირებული პროფესორი თ. შენგელია); „კულტურათშორისი კომუნიკაციები“ (სოხუმის უნივერსიტეტი ას. პროფესორი ი. ძაგანია) „მხატვრული თარგმანი, როგორც კულტურათშორისი დიალოგის ფორმა“ (სოხუმის უნივერსიტეტი, სრული პროფესორი ი. პეტრიაშვილი)

www.dzaganian.com

სილაბუსების საინტერესო ფორმა მკვიდრდება შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არსებული გამოცდილების გაცნობით, ინტერნეტ რესურსების ანალიზის, „თუნინგის“ პროექტის შედეგების გაზიარებით შევიმუშავეთ სილაბუსის ნიმუში, რომელშიც გათვალისწინებულ იქნა ძირითადი მოთხოვნები.

შემოგთავაზებთ სასწავლო კურსის „კულტურათა დიალოგის“ სილაბუსის ნიმუშს (ბაკალავრიატის დონე).

სასწავლო კურსის დასახელება	უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულება „კულტურათა დიალოგი“
სტატუსი	ბაკალავრიატი I კურსი (სავალდებულო, არჩევითი, დამატებითი)
კოდი	განისაზღვრება დეპარტამენტის მიერ
ხანგრძლივობა	17 კვირა. კვირაში 3 სთ. სულ 50 სთ. სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა 125სთ
კრედიტი	5 კრედიტი
მასწავლებელი	ვინაობა, ტელეფონი, უნივერსიტეტში ყოფნის დრო.
კურსის აღწერა	კურსის შექმნის საჭიროება განაპირობა „ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს“, და საბაზრო მოთხოვნებმა. კურსი მომზადდა პედაგოგიურ-მეცნიერული კვლევების, გამოცდილების შესწავლის საფუძველზე.
მიზანი	კულტურათა დიალოგთან დაკავშირებულ თემებზე ცოდნის შექმნა და კომუნიკაციური ურთიერთობებში გამოყენება.
წინაპირობა	ენის ცოდნა სასტარტო დონეზე
ფორმატი	თეორიული მასალა 40%, პროფესიულ-პრაქტიკული უნარ-ჩვევები 60%. ინდივიდუალური, წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა. სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა ბიბლიოთეკაში, ინტერნეტში.
სწავლების ფორმები	აქტიური ლექცია, სემინარი, კვლევითი სემინარი, ვორკშოფი, ტუტორიალი, ვიზიტი, სიმპოზიუმი, კონფერენცია. პრაქტიკული კურსი, ინდივიდუალური მუშაობა, ლექციები ძირითადად ინტერაქტიული ხასიათისაა. სტუდენტებს შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ მის მსვლელობაში. სწავლება მიმდინარეობს ინტერნეტრესურსების გამოყენებით, მოწინავე გამოცდილების გაზიარებით. ფასდება გონივრული გადაწყვეტა, არგუმენტირებული მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი მომზადება.
სწავლის ფორმები (აქტივობები, სტრატეგიები)	ნაშრომების, სტატიების, წიგნების კითხვა, დიალოგ-დისკუსიები, პროექტების შედგენა, სპეციფიკური დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, თავისუფალი წერა, 3-4 ნაბეჭდი გვერდის მოცულობის რეფერატის ან სტატიის დაწერა, ანგარიშის შედგენა, ბიბლიოთეკაში მუშაობა, სემინარი, მოპოვებული მასალის დახარისხება, გამოყენება. სწავლა მეთვალყურეობით. საკუთარი ნამუშევრის კრიტიკული შეფასება და სხვა.
მოთხოვნების პოლიტიკა (შეფასების	ორიენტირება უწყვეტ, განმავითარებელ შეფასებაზე, ანუ შეფასდება კურსის შესწავლის განმავლობაში საქმიანობით და არა მხოლოდ საბოლოო გამოცდით ლექციაზე დასწრება და ჩართულობა – 10%, საგნის

ფორმები, კომპონენტები)	თეორიული ცოდნა და გაცნობიერება – 35%, მიღწეული ზოგადი, დარგობრივი და ორიგინალური კომპეტენციების გამოვლენის უნარი – 40% (2 კოლოკიუმი, 1 სემინარის წარმართვა, 1 ნიმუშის ან მოდელის დემონსტრირება, 1 რეფერატი, 1 ესეი, 1 ანოტაცია, ელექტრონული წიგნის გამოყენების ჩვენება, პარტნიორული ურთიერთობა ინტერნეტით. ერთ პრობლემაზე ინტერნეტრესურსების მოძიება და დახარისხება, 1 მიმოწერის დღიური), ჯგუფში მუშაობა, პატიოსნება, პასუხისმგებლობა – 5% პორტფოლიო10%. შეფასების თითოეული კომპონენტის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები შეირჩევა სტუდენტებთან ერთად.
სტუდენტთა მხარდასაჭერად	დასაშვებია კონსულტაცია, რჩევა, ინსტრუქტაჟი სტუდენტებისთვის მისაღები დროის შეთანხმებითა და განრიგით. დამოუკიდებელი მუშაობა ლექტორის მეთვალყურეობით. სტუდენტის მიღწეული შედეგების გაუმჯობესებაში დახმარება, წამოჭრილი დავა ან პროექტში განხილვა სტუდენტის მიერ არჩეული ფორმით და საშუალებით.
შედეგი	კულტურათა დიალოგის თემების ცოდნის საფუძველზე უცხოურ ენაზე კომუნიკაციური ურთიერთობა პირდაპირ და ინტერნეტის მეშვეობით. დასაქმებისათვის მზაობა.
მისაღწევი კომპეტენციები	<p>ზოგადი:</p> <ul style="list-style-type: none"> • ციფრული კომპეტენცია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება. • ჯგუფსა და ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობა. • ახალ გარემოში ადაპტაცია <p>დარგობრივი:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექსტის შედგენა და საუბარი კულტურათა დიალოგის სფეროში. • სხარტი და სპონტანური კომუნიკაციის დამყარება სხვა კულტურის წარმომადგენელთან. • მსგავსებისა და განსხვავებების დანახვა მშობლიურ და უცხოურ კულტურათა შორის. • კულტურათა დიალოგის თემაზე რესურსების მოძიება, დახარისხება, გამოყენება. <p>ორიგინალური:</p> <ul style="list-style-type: none"> • ხელშეწყობა იმისა, რომ უცხო კულტურის ადამიანებმა გამოხატონ თავიანთი აზრები, ვარაუდები, სურვილები და გასცეს მათ შესაბამისი პასუხი. • პერსპექტივის შეფასება და არასწორი მოპყრობის თავიდან აცილება.
შეფასების სტანდარტი	ECTS სისტემა 100 ქულის ფარგლებში I ეტაპი- 30ქულა, II ეტაპი -30 ქულა, გამოცდა- 40ქულა.

შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები	ყოველი 7 კვირის შემდეგ ეტაპობრივი (შუალედური შეფასება), აუცილებელია არანაკლებ 11 ქულის დაგროვება. სემესტრის ბოლოს გამოცდა. გამოცდის ფორმა წინასწარ გაეცნობათ. (შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება სტუდენტთან შეთანხმებით).
რესურსები	სათანადოდ მოწოდებული ოთხი. მარკერები, ფურცლები, სლაიდები, პორტფოლიო, პროექტორი, კომპიუტერი ინტერნეტით, ელექტრონული წიგნები, ბიბლიოთეკა (ფაკულტეტის, უნივერსიტეტის), ინტერნეტბიბლიოთეკა.
ლიტერატურა	ჩაიწერება ლიტერატურა, რომელიც საჭიროა წყაროებზე მუშაობისათვის, მიეთითება ავტორი, გამოცემის წელი, ადგილი. სტატიების გამოყენების შემთხვევაში მიეთითება რეფერატის ან კრებულის დასახელება, გამოცემის წელი, ადგილი. ინტერნეტრესურსების გამოყენებისას მიეთითება ინტერნეტ მისამართი.
<p>სასწავლო კურსის შინაარსი</p> <p>(ქვეთემები განისაზღვრება სტუდენტთა ჯგუფის შემადგენლობის შესაძლებლობისა და სპეციალობის სპეციფიკის მიხედვით)</p> <ol style="list-style-type: none"> I. კულტურა ენა და პიროვნება II. კულტურის ცოდნა და კომუნიკაციური კომპეტენციები III. სხვადასხვა კულტურის ასახვა უცხოური ენის სწავლება/სწავლის პროცესში IV. კულტურათა ურთიერთქმედების ფორმები და მისი ასახვა უცხო ენის სწავლებაში V. კულტურათსორისი კომუნიკაციების მეცნიერული და მეთოდოლოგიური საფუძვლები VI. კულტურული ელემენტების გაცნობა ენის შესწავლისას. VII. სხვა კულტურის ეთიკური მენტალობის გათვალისწინება ენის სწავლისას. VIII. მედია ტექსტებში ასახული კულტურული ინფორმაციის ანალიზი IX. მხატვრული თარგმანი როგორც კულტურათა დაახლოების საშუალება X. კულტურათა დიალოგის ლექსიკა, ფრაზეოლოგია. XI. სავარჯიშოები, რომლებიც ხელს შეუწყობს ენის გამოყენებას კულტურული და ინტერკულტურული ურთიერთობისათვის. XII. სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება მითითებული პრობლემის მიხედვით და წარმოდგენა ზეპირი პრეზენტაციით. XIII. ემოციური ურთიერთობების ამსახველი ლექსიკა (სიხარული, კმაყოფილება, გულდაწყევება, სინანული, გაკვირვება, ინტერესი, შიში, შფოთი). XIV. ადამიანის ხასიათი, სხვა ადამიანებთან ურთიერთობების კულტურა. XV. საქმიანი ურთიერთობები. (ვიზიტი დასაქმების სფეროში) XVI. საქმიანი კონტაქტები: სამოტივაციო წერილი, მიმართვა, საკონკურსო შერჩევისათვის განცხადებისა და ბიოგრაფიის წარდგენა. XVII. უცხო კულტურის წარმომადგენელ სპეციალისტთან საქმიანი შეხვედრების ორგანიზება პირადად და ონლაინ რეჟიმში. XVIII. სავარჯიშოები: უცხო ქალაქში ჯგუფთან და ჯგუფის ჩამოშორებით: სხვა კულტურის წარმომადგენელთან საუბარში მონაწილეობა, დებატების წარმართვა, სასწავლო დისკუსია, ინტერდისციპლინური ჯგუფის თავისებურებები. სივრცეში ორიენტირება. XIX. პარალელები უცხოურ და მშობლიურ სოციოკულტურულ სამყაროს შორის. XX. კურსის შესწავლის შედეგები, ანუ სტუდენტის მიერ კომპეტენციების მიღწევის დონის განსაზღვრა. 	

თავი მესამე
უმაღლესი სკოლის „კულტურათა დიალოგის“ მასწავლებლის
თვითეფექტურობის შეფასება

§1. თვითეფექტურობა, როგორც საინოვაციო საქმიანობის ხარისხის
განმსაზღვრელი

„კულტურათა დიალოგის“ უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებში ასახვის ფორმებისა და სასწავლო პროცესის მართვის საკითხების გარკვევის შემდეგ გაჩნდა პრობლემა: ვინ უნდა ასწავლოს, რა მომზადება სჭირდება მასწავლებლებს, რათა მიიტანონ სტუდენტამდე ახალი მიდგომები, სტრუქტურა, ინოვაციური საქმიანობით განახორციელონ საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მიზნები.

მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პრობლემა მეცნიერული მსჯელობისა და განხილვის საგანი იყო ყოველთვის. აღსანიშნავია, ამ მიმართებით ა. გობრონიძის (1989), ა.სურმანიძის (1990) გამოკვლევები, ქ. ჭკუასელის შეხედულებები (2001).

უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლება რეფორმირებულ უნივერსიტეტებში განათლების ხარისხის ამაღლების უმთავრეს საკითხად იქცა. შექმნილია სხვადასხვა მიზნობრივი კურსები, ტრენინგთა სკოლები და სხვა.

განსაკუთრებით გამოიკვეთა ცვლილებებთან შეგუების პრობლემა თითქმის ყველგან, მაგალითად: ინგლისის კვალიფიკაციებისა და კურიკულუმების უწყების მთავარი აღმასრულებელი ნ. ტატე (1998:15) წერს: „ჩვენი სტრუქტურის მიზანია განათლების სივრცეში ჩაერთოთ მასწავლებლები და სხვა პარტნიორები. გამოცდილება, რაც მივიღეთ პირველი შედეგებისაგან, ესაა იმის გაცნობიერება თუ რატომაა ცვლილებები აუცილებელი და ისიც, რომ ამ ცვლილებებს სიხარულით არ შეხვდებიან“.

გადაჭრას მოითხოვს აგრეთვე მასწავლებლის პირადი გამოცდილებისა და სწავლება/სწავლის საკითხებზე დაგროვილი ცოდნის გამოყენების პრობლემა. წინააღმდეგ შემთხვევაში „იქნება განათლების მეცნიერებებში დაგროვილი ცოდნის, ახალი თეორიების, მეთოდების, მოდელების გამოუყენებლობის საშიშროება“ (კუდსონი, ბ. 1999:120)

მასწავლებელთა მომზადების სხვადასხვა მიმართულების, გამოცდილების, ევროპული კონცეფციის გაცნობის საფუძველზე ბ. გომელაური და მ. თავხელაძე წერენ (2002: 212): „მასწავლებლის პროფესიისადმი წაყენებული ერთ-ერთი მოთხოვნაა მასწავლებლის მიერ საკუთარი საქმიანობის მუდმივი დაკვირვების საგნად ქცევა, გრძელვადი დასკვნების გამოტანა და მათი პრაქტიკაში გამოყენება.“

აღნიშნულის გათვალისწინებით „კულტურათა დიალოგის“ მასწავლებელთა საინოვაციო საქმიანობის განხორციელების წინაპირობად გვესახება თვითეფექტურობის შეფასება. მასწავლებლის მიერ თვითეფექტურობის შეუფასებლობა ხშირად არის მიზეზი რეფორმისეული ინოვაციური მოთხოვნებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების წარმოშობისა: „მე ამას ვერ შევძლებ“, „ეს ჩემს ძალებს აღემატება“, „უამისოდაც იოლად გავალ“ და სხვა, რაც იწვევს ცვლილებებისადმი ერთგვარი წინააღმდეგობის გაწევას. ხშირად წარმატებული გამოცდილების მქონე მასწავლებელიც გვევლინება რეფორმის, შესაბამისად, სტუდენტის სათანადო კომპეტენციის სპეციალისტად ჩამოყალიბების ხელშემშლელად.

თვითეფექტურობა ინდივიდის შეხედულებაა საკუთარი უნარის შესაბამისად რამდენად შეუძლია განახორციელოს სპეციფიკური აქტივობა შესატყვის სიტუაციაში. თვითეფექტურობა არის ადამიანის ცნობიერი წარმოდგენა კონკრეტულ სიტუაციაში წარმატებით მოქმედების უნარის შესახებ როდესაც ადამიანი მარტო შიშით კი არ არის გამსჭვალული, არამედ მას წარმატების შესაძლებლობის სჯერა და შეუძლია კონკრეტულ შემთხვევაში საკუთარი წარმატებული ქცევის შესაძლებლობა წარმოიდგინოს.

„თვითეფექტურობა დაკავშირებულია თვითშემეცნებასთან, ანუ რეფლექსურ აზროვნებასთან. იგი არის რთული სააზროვნო უნარ-ჩვევა, საკუთარი გამოცდილების კრიტიკული გადამუშავების პროცესი, რომელიც გულისხმობს საკუთარი ქცევისა და აზროვნების ანალიზს, გაცნობიერებას, შეფასებას, დაგეგმვასა და კონტროლს“ (განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტთათვის, 2007:10).

თვითეფექტურობის შეფასებას მასწავლებელი მიმართავს მაშინ, როდესაც სურს საკუთარი მოქმედების წარმატების ან წარუმატებლობის ხარისხი და მიზეზი გაიგოს. თვითეფექტურობის (კომპეტენტურობის) ხარისხის შეფასებაზე (განცდაზე)

ზეგავლენას ახდენს პროფესიონალური დამოკიდებულება, თვითდაჯერებულობა, შინაგანი და გარეგანი მოტივაცია, ახალი მეთოდების გამოყენების გამოცდილება, ინოვაციურ საქმიანობაში საკუთარი ადგილისა და როლის განსაზღვრა.

უმაღლესი სკოლის მასწავლებლის თვითეფექტურობის შესწავლის მიზნით ჩავატარეთ კვლევა.

კვლევის მიზანი: თვითეფექტურობის ამადლების გზებისა და საშუალებების გამოვლენა, რომელიც ხელს შეუწყობს უმაღლესი სკოლის მასწავლებელს - ამაღლოს კომპეტენტურობა „კულტურათა დიალოგის“ სასწავლო კურსის ახალი მიდგომებით მართვაში.

საკვლევი ფაქტორები:

1. მასწავლებლის გამოცდილება
2. მასწავლებლის პროფესიული დონის ამადლებისადმი ზოგადი ინტერესი
3. თვითეფექტურობის კომპეტენტურობის გაუმჯობესება სწავლება/ სწავლის ახალი მიდგომების გამოყენებით

ჩატარების დრო: 2009 წლის აპრილი.

კვლევის მეთოდები: გამოკითხვა სპეციალურად შემუშავებული კითხვარებით (პასუხების 1-5 ქულის ფარგლებში შეფასება) ღია და დახურული შეკითხვები, ცხრილების ანალიზი.. კვლევის შედეგების სანდოობისათვის ერთი საკითხი ორ კითხვარში სხვადასხვა კუთხით იყო განფენილი (იხ. ცხრილი №1, №2 და №4, №5).

სამიზნე ჯგუფი: უმაღლესი სკოლის სხვადასხვა ფაკულტეტის 55 მასწავლებელი. ანონიმურობა დაცული იყო.

კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილების მიხედვით.

ცხრილი №1

მასწავლებელთა გამოცდილების მაჩვენებელი

შეკითხვები	იშვიათად	ხანდახან	ყოველთვის
თვლით, რომ გაქვთ პირადი წარმატებული გამოცდილება?	35%	10%	55%
გსურთ, რომ თქვენს გამოცდილებას იცნობდნენ კოლეგები?	35%	10%	55%
დაკვირვებისათვის სხვა მასწავლებლების გამოცდილების და გამოგონებებით თქვენს საქმიანობაში?	45%	20%	35%
თქვენი გამოცდილების სხვის მიერ გაზიარების შემდეგ ზრუნავთ გამოცდილების გაუმჯობესებაზე?	37%	13%	50%
თქვენი გამოცდილება მიმართულია ერთი კონკრეტული მიმართულებით?	35%	10%	55%

ცხრილი №2

მასწავლებლის გამოცდილება „კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლის მიმართულებით

შეკითხვები	ნაკლებად	საშუალოდ	სავსებით
რამდენად თვლით, რომ გაქვთ კულტურათა დიალოგის სწავლება/სწავლასთან დაკავშირებული გასაზიარებელი გამოცდილება?	0	0	18%
რამდენად მიგანიათ, რომ თქვენი გამოცდილება გამოადგება სხვას?		2%	16%
რამდენად გაცნობიხართ კოლეგის გამოცდილებას და დაგინერგავთ თქვენს საქმიანობაში?	2%	7%	9%

ცხრილი №3

მასწავლებლის გამოცდილების მანქნებელი

მასწავლებლის განათლება	პირადი გამოცდილების გაზიარების სურვილი	კულტურათა დიალოგის სწავლება/სწავლის გასაზიარებელი გამოცდილება
უმაღლესი	2%	3%
დოქტორანტი	25%	11%
დოქტორი	37%	18%

თვითეფექტურობის ქცევის განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მასწავლებლის პირადი გამოცდილება. გამოცდილების კოლეგების მიერ გაცნობა და დანერგვა მასწავლებლისათვის წამახალისებელია და მოტივირებულა გამოცდილების გასაუმჯობესებლად. „კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლის გასაზიარებელი გამოცდილების მანქნებელი დაბალია, რაც ადასტურებს ადრე გამოთქმულ ვარაუდს, რომ უმაღლეს სკოლაში „კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლა სათანადო დონეზე არ მიმდინარეობს.

პირადი გამოცდილების სხვისთვის გამოსადეგად თვლიან აკადემიურ ხარისხის მქონე მასწავლებლები და დოქტორანტები, დაბალია უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელთა სურვილი თავისი გამოცდილების განზოგადებისა.

ცხრილი №4

მასწავლებლის პროფესიული დონის ამაღლებისადმი ზოგადი ინტერესი

შეკითხვები	ნაკლებად	საშუალოდ	სავსებით
რამდენად უნდა იზრუნოს დეპარტამენტმა თქვენი პირადი გამოცდილების განზოგადოებაზე?	15%	40%	45%
რამდენად უნდა იყოს დაინტერესებული დეპარტამენტი იმით, რომ ასწავლოთ თანამედროვე მეთოდებით?	10%	15%	70%

ცხრილი №5

სწავლება / სწავლის მართვა

	ნაკლებად	საშუალოდ	სავსებით
რამდენად მიგანიათ, რომ საჭიროებთ სწავლება/სწავლის ახალი მიდგომების გაცნობას?	10%	15%	75%
რამდენად გჯერათ, რომ შეძლებს რეფორმის მოთხოვნების შესრულებას: ა)გამოცდილი მასწავლებელი	9%	23%	68%
ბ)ახალბედა მასწავლებელი	10%	22%	66%

მასწავლებლები თვლიან, რომ გამოცდილების განზოგადებისათვის უნდა იზრუნოს დეპარტამენტმა. დეპარტამენტი დაინტერესებული უნდა იყოს იმით, რომ მისმა წევრებმა ასწავლონ თანამედროვე მოთხოვნებით. საინტერესოა, რომ რეფორმის მოთხოვნების შესრულების შესაძლებლობაში დარწმუნებული გამოცდილი პედაგოგებისა და ახალბედა პედაგოგების რაოდენობა ერთმანეთს უახლოვდება. სწავლება/სწავლის მართვაში ახალი მიდგომების გაცნობის საჭიროების მანევრებელი მადალია, საჭიროდ მივიჩნიეთ დაგვედგინა მოტივაცია.

მასწავლებლის მიერ ახალი მიდგომებით სწავლების გაცნობიერება და სწრაფვა - გამოიყენოს იგი თავის საქმიანობაში, ამაღლებს სასწავლო პროცესის მართვის დაუფლების მოტივაციას. უმაღლესი სკოლის მასწავლებლის ახალი მიდგომებით სწავლება/სწავლის მოტივაციის შესასწავლად გამოვიყენეთ ცხრილები და ჩავატარეთ კვლევა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა უმაღლესი სკოლის 60 მასწავლებელი. მათ შორის 15 პროფესორი, 15 უფროსი მასწავლებელი, 15 მასწავლებელი, 15 დოქტორანტი. მუშაობის ხანგრძლივობის მიხედვით, 30-

პედაგოგს ჰქონდა 10 წელზე მეტი მუშაობის გამოცდილება, 30-ს კი - 5 წლამდე მუშაობის გამოცდილება.

განათლებისა და მუშაობის სტილით სხვადასხვა შემადგენლობის სამიზნე ჯგუფის შერჩევამ განაპირობა კვლევის შედეგების სანდოობის შესაბამისობა რეალურად არსებულ ვითარებასთან, რადგან სწავლება/სწავლის ახალი მიდგომები ხორციელდება სხვადასხვა განათლებისა და სამუშაო სტაჟის მქონე მასწავლებელთა მიერ. წარმოვადგენთ კვლევის შედეგებს:

ცხრილი №1
შინაგანი მოტივაცია

	სრულიად არა, ნაკლებად	საშუალოდ (ხან კი, ხან არა)	სავსებით
სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომების მოთხოვნები ჩემთვის მნიშვნელოვანია	13%	15%	72%
მინდა კარგად ავითვისო სწავლება/სწავლის ახალი მიდგომები	13%	15%	72%
ახალი მეთოდებით სწავლება ჩემთვის სახალისოა	10%	35%	55%
მსიამოვნებს ახალი მიდგომებით სწავლება	15%	20%	65%
არსებული ცოდნის გაღრმავებას შევძლებ	8%	28%	70%

ცხრილი №2
გარეგანი მოტივაცია

	სრულიად არა ნაკლებად.	საშუალოდ (ხან კი, ხან არა)	სავსებით
თუ არ ვასწავლი ახალი მეთოდებით, ხარისხის სამსახური შენიშვნას მომცემს	5%	20%	75%
ვღებულობ გარკვეულ წახალისებას	20%	25%	55%

ცხრილი №3

ინტრუქციული მოტივაცია - საქმიანობით შთაბეჭდილების მოხდენა

	სრულიად არა ნაკლებად	საშუალოდ (ხან კი, ხან არა)	სავსებით
მინდა დეპარტამენტის და ხარისხის სამსახურს ჩემზე კარგი შეხედულება ჰქონდეთ	8%	10%	82%
მინდა კოლეგებს ჩემზე კარგი შეხედულება ჰქონდეთ	11%	14%	76%

ცხრილი №4

ინტრუქციული მოტივაცია - შინაგანი სტანდარტების გაცნობიერება

	სრულიად არა ნაკლებად	საშუალოდ (ხან კი, ხან არა)	სავსებით
მინდა სტუდენტებს კარგი შთაბეჭდილება და შეხედულება ჰქონდეთ ჩემზე	5%	9%	86%
თუ არ შევასრულებ ახალი მიდგომების მოთხოვნებს, თავს ცუდად ვიგრძნობ	7%	33%	60%
მინდა ნოვატორ, წარმატებულ ლექტორად ვითვლებოდე	3%	13%	84%
მინდა სტუდენტებს ჩემთან შეხვედრა უხაროდეთ	13%	20%	67%

საინტერესო იყო საკუთარი სასწავლო წარმატება/წარუმატებლობის მიზეზების შესწავლისადმი ინტერესის კვლევის შედეგები.

	დიახ	არა	ნაწილობრივ
შეგიძლიათ თუ არა თვითონ იპოვოთ თქვენს საქმიანობაში შეცდომა და გაასწოროთ იგი?	*		
განიცდით თქვენს პროფესიულ წარმატება/წარუმატებლობას?	*		
ამ ხელფასით მეტის გაკეთება გიღირთ?		*	
დავიცავ საკუთარ პოზიციას ნებისმიერ შემთხვევაში?	*		
ხართ დაინტერესებული მიღებული შენიშვნის გასწორებაში?	*		
იცით, როგორ შესძლებთ სასწავლო საქმიანობაში წარმატებას?	*		*

კვლევების შედეგები ადასტურებს, რომ უმაღლესი სკოლის მასწავლებლებს:

- გაცნობიერებული აქვთ სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომების მიხედვით ცვლილებების აუცილებლობა,
- ხელავენ თავიანთ როლს ახალი მიდგომების განხორციელების შედეგებში,
- აქვთ მოტივაცია იყვნენ წარმატებული თავიანთ საქმიანობაში,
- ამუღავნებდნენ კვალიფიკაციის ამაღლებისადმი ინტერესს.
- სწავლება/სწავლის მართვის ახალი მიდგომები მიაჩნიათ თვითეფექტურობის, კომპეტენტურობის ამაღლების განმსაზღვრელად, მაგრამ ნაკლებად იციან, როგორ და რა გზით მიაღწევენ წარმატებულ შედეგებს.


კვლევის შედეგებმა განაპირობა მოგვეძებნა თვითფექტურობის ამაღლების საშუალებები, რაც შემდგომი პარაგრაფის ძირითადი მიმართულება გახდა.

§ 2. თვითფექტურობის ამაღლების საშუალებები

სასწავლო პროცესის მართვის ახალი მიდგომების გაცნობისა და დაუფლების ერთ-ერთი გზაა ტრენინგი. იგი ათ წელზე მეტია ადგილს იმკვიდრებს საგანმანათლებლო სივრცეში. ტრენინგი საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაცნობილი სიახლეები დაუკავშიროს საკუთარ გამოცდილებას და საინოვაციო საქმანობა უკეთ წარმართოს.

ტრენინგის საჭიროების შესახებ მასწავლებელთა დამოკიდებულების გასარკვევად გავესაუბრეთ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს. ორმოციდან 34-მა განაცხადა სურვილი იმ ტრენინგზე დასწრებისა, რომლის თემა შეეხებოდა მის წინაშე არსებულ სიძნელეს.

ტრენინგის სხვადასხვა ფორმა არსებობს. ერთ-ერთი ადაპტირებული ტრენინგის საჭიროების ანალიზი სქემა შემდეგია (Spilsdury M.1995. Measuring the Effectiveness of Training IES,Brighton,Figure 3.1.p.12):



ტრენინგი რომ შედეგიანი იყოს, საჭიროა გაირკვეს, რაში და როგორი დახმარება სჭირდება მასწავლებელს. საამისოდ ეფექტურად მივიჩნით დიაგნოსტიკებისა და პროგნოზირების მეთოდის გამოყენება, რომელიც საშუალებას იძლევა გაკეთდეს პირადი გამოცდილების ანალიზი, არსებული ვითარების დიაგნოსტიკა და სამომავლო საქმიანობის პროგნოზირება.

პრაქტიკული გამოყენებისათვის დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების მეთოდის (ი. ტურბოვსკოი, ზ. პროვოტარიოვა, ც. მეგრელაძე, ნ.გუგუნავა და სხვ.) მოდელზე დაყრდნობით შევიმუშავეთ დიაგნოსტიკის რუკა, რომელიც ასახავს როგორც რეალურ ვითარებას, ასევე კურსის სწავლების პერიოდში განხორციელებულ საქმიანობას. შესაბამისად, დაიგეგმება პროგნოზირების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამები.

ამგვარი მიდგომა თვითშეფასებას ობიექტურს, გამჭირვალეს ხდის, ხოლო გაწეული საქმიანობის გამოცდილებას - სხვებისათვის გასაზიარებელს.

დიაგნოსტიკური რუკის შედგენის პროცედურა შემდეგია: სილაბუსის მიხედვით განისაზღვრება მახასიათებლები, რომელიც უნდა განხორციელდეს წარმატებული შედეგის მისაღწევად. მახასიათებლების შესრულების მდგომარეობა აღინიშნება პირობით ნიშნებით:

●(გაფერადებული ბურთულა) - ვხედავ პრობლემას, მის გადაჭრისათვის მაქვს გარკვეული გამოცდილება.

○ (წრე)-ვხედავ პრობლემას, მისი გადაჭრისათვის ვმუშაობ.

) (ნახევარწრე) - ვხედავ პრობლემას, მისი გადაჭრისათვის ვსაჭიროებ დახმარებას.

საქმიანობის პროცესში მიღწეული შედეგების მიხედვით, წრე გაფერადდება განსხვავებული ფერით, ნახევარწრე შეიკრება წრედ.

ამგვარი მიდგომით შესაძლებელია დიაგნოსტიკის რუკის შედგენა დეპარტამენტის წევრების მიერ ინდივიდუალურად (საერთო მონაცემები წარმოდგენილი იქნება თვალსაჩინოდ ან გამოიცემა კრებულად). იგი ხელს უწყობს დეპარტამენტის წევრების მიერ განხორციელებული საქმიანობის თვითშეფასების სანდოობისა და გამჭირვალეობის ხარისხის ამაღლებას.

დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების რუკის ნიმუში:

ლექტორის სახელი, გვარი	საგანი, რომელსაც ასწავლის	კომპეტენციების პანიორამის შედგენა და გამოყენება სასწავლო პროცესში კომპეტენციების მიღწეული შედეგების გაზიარებისთვის ინდიკატორების განსახილვერა	მეცნიერული და მეთოდოლოგიური სიღაბუსის შედგენის მეთოდოკა	სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტივობების შეჩვევა და გამოყენება	აქტიური ღეცვის დაგეგმვა	სტუდენტთა კვლევიით, პროფესიული, სემინარული მეცადინეობის ორგანიზაცია, პრეზენტაციები	სწავლება/სწავლის ახალი მიღგომების გამოყენებაში აღიარებულიგამოცდილების დანერგვა	კვლევიითი საქმიანობა, რომელიც სასარგებლოა სტუდენტებისათვის, დარგისათვის	განმავითარებელი შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შეჩვევა გამოყენება	დამოუკლებელი კრედიტების ათვისებაში სტუდენტებისადმი დახმარება	საკომუნიკაციო ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება	რესურსების მოძიება, დახარისხება, გამოყენება	სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკა
თ.ნ	----	•	○	○)	•	○	○)	○	•	•	○
ე.მ	----	○	•)	○	○	•)	○	○	○	•	•
გ.ბ	----	○	○)	○	•	•))	○	•	○	•

ჩამონათვალი სავარაუდოა. სასურველია, წლის განმავლობაში შესასწავლი კურსების პედაგოგები კოლეგიალურად შეთახმდნენ თვითშეფასების ჩამონათვალის დასახელებაზე.

დიაგნოსტიკური პროგრამის შედგენის შემდეგ შედგება პროგნოზირების პროგრამა ჯგუფური ან ინდივიდუალური მუშაობისათვის.

პროგრამა მოიცავს ისეთ ფორმებს, როგორიცაა: ღია ლექცია, კონსულტაცია, შემოქმედებითი მივლინება, დიალოგი, დისკუსია, ტრენინგ-კურსები, გამოცდილების გაზიარება. მუშაობის ფორმები და თემა შეირჩევა ჯგუფური მუშაობით კვლევის სურვილის გათვალისწინებით. მაგალითად:

- კონსულტაცია

თემა: მეცნიერულად და მეთოდურად გამართული სიღაბუსის შედგენა.

შემსრულებელი: ე.მ.

- ღია ლექცია

თემა: „კულტურათა დიალოგის“ სწავლება/სწავლის სხვადასხვა საფეხურის კომპეტენციების პანორამის შედგენა, გამოყენება სასწავლო პროცესში.

შემსრულებელი: თ.ნ.

- **დიალოგი**

თემა: აქტიური ლექციის დაგეგმვა.

დიალოგს წარმართავს: მ.გ

- **დისკუსია**

თემა: „ენა, კულტურა, პიროვნება“ (დისკუსიას წარმართავს ე.მ.).

- **შემოქმედებითი მივლინება**

მიზანი: სხვა უნივერსიტეტებში ა) „კულტურათა დიალოგის“ სასწავლო პროცესის გაცნობა. ბ) დამოუკიდებელი კრედიტების ათვისებაში სტუდენტებისათვის დახმარების გამოცდილების გაცნობა.

- **ტრენინგ – კურსები**

თემა: სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტივობების შერჩევა და გამოყენება (კულტურათა დიალოგის სწავლება/სწავლის მაგალითზე).

(ტრენინგ-კურსების წამყვანი შეირჩევა შესაძლებლობების მიხედვით)

თვითეფექტურობის შეფასების ამაღლების კარგი საშუალებაა პროფესიული *პორტფოლიოს პრეზენტაცია*, სადაც პედაგოგი წარმოაჩენს თავისი გამოცდილებიდან ნამუშევრების კრებულს. პორტფოლიოში განთავსდება სავარჯიშოები, ამონარიდები, სქემები, გეგმის სცენარები, ვიდეორგოლები, სლაიდები, ვებგვერდების მასალები, აქტივობების ნიმუშები და სხვა მასალა, რომელსაც მასწავლებელი იყენებს სასწავლო პროცესში.

თვითეფექტურობის ხარისხის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო კვლევის შედეგების გაცნობა. კვლევები მოიპოვება, დახარისხდება და გამოიყენება სასწავლო მიზნის შესაბამისად. საქმიანობა შეიძლება განახორციელოს მასწავლებელმა ან სპეციალურად გამოყოფილმა პირმა. შემოგთავაზებთ ჩვენს მიერ მოპოვებულ ინტერნეტრესურსების მისამართებს:

- მასწავლებელთა რესურსების მრავალმხრივი

ჩამონათვალი(<http://www.nssl.noaa.gov/resources/>);<http://www.nssl.noaa>.

- Gov/edu/www.learnonline.org-საერთაშორისო საგანმანათლებლო რესურსების ქსელი 100-ზე მეტი ქვეყნისა და 5000-მდე სკოლის მონაწილეობით. ონლაინ ფორუმები, პროექტები, ბანკები, დისკუსიები სხვადასხვა ენაზე. თემების კატალოგები: ეკოლოგია, სოციალური მეცნიერებები, ხელოვნება, შემოქმედება, ისტორია, ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნოლოგიები, მათემატიკა, ლიტერატურა.
- თავისუფალი თემები. learn-kartuli (ელ. ფოსტა: learn-kartuli@us.learnonline.org) LEARN საერთაშორისო საგანმანათლებლო რესურსების ქსელის ქართული ონლაინ ფორუმი.

მასწავლებლის საქმიანობაში წარმატება დამოკიდებულია იმაზე, შეუძლია თუ არა მას საკუთარი საქმიანობის გაანალიზება. თვითეფექტურობის შეფასების ანალიზისათვის ერთ-ერთი საშუალებაა ესეის დაწერა და პრეზენტაცია ისეთ თემებზე, რომლებიც ეხება სასწავლო პროცესში ლექტორისა და სტუდენტის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს, კერძოდ: რა ტიპის სამუშაოები იწვევს ყველაზე მეტ პრობლემას სტუდენტებში, აქტივობის რომელი ფორმების გამოყენება განაპირობებს უკეთეს შედეგებს, თეორიული ცოდნის აქტიურად გამოყენების უნარის ფლობა, პროფესიული ეთიკა, შეფასების კომპონენტების მიზანშეწონილობა; რა ცოდნა, რა უნარები შესძინა კურსის გავლამ და ა.შ.

ამრიგად, ინოვაციური საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლების თვითეფექტურობის შეფასების ხარისხის ამაღლებას. იგი ხელს უწყობს „კულტურათა დიალოგის“ სასწავლო პროცესის მართვას ახალი მიდგომების მიხედვით, ცვლილებების განხორციელებაში საკუთარი როლისა და ადგილის გაცნობიერებას, წარმატებული საქმიანობის მოტივაციას, კვალიფიკაციას, აკადემიური დონის ამაღლებისადმი ინტერესის განსაზღვრას.

დასკვნები

ევროპის ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნისათვის უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების გადამუშავების, განახლების, შექმნის რთულ პროცესში სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევაში თითოეული სასწავლო ერთეულის (კურსის/მოდულის) წვლილის განსაზღვრა აუცილებელი საჭიროება გახდა.

- უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსში ასახვის მიზანშეწონილობას (იმ სპეციალობებისათვის, სადაც უცხო ენა მეორე ენაა) განპირობებულია შემდეგი ვითარებით:
 - ა) ერთა და კულტურათა თანაარსებობის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, პლურალიზმის განვითარებამ, სოციალური და საგანმანათლებლო პარტნიორული ურთიერთობების დაახლოებამ უცხოური ენის სწავლება/სწავლის აქცენტი გააძლიერა კულტურათა დიალოგის მიმართულებით.
 - ბ) ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (2001) მოთხოვნებით გათვალისწინებულია სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ შესწავლა.
 - ა) საშუალო განათლების საფეხურზე უცხოური ენების სასწავლო გეგმის მიხედვით „კულტურათა დიალოგის“ მიღწეული დონე განათლების მომდევნო საფეხურზე საჭიროებს განვითარებას.
 - დ) საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში უცხოელ სტუდენტთა მიზიდვის ხელშეწყობისათვის მიმდინარე საქმიანობა.
 - ე) საბაზრო საკონკურსო მოთხოვნების ზრდა ისეთ სპეციალობებზე, რომლებიც უცხოური ენის ცოდნასთან ერთად საჭიროებს „კულტურათა დიალოგის“ კომპეტენციების მიღწევას. (ტურიზმი, საზღვაო საქმე, საბანკო საქმე, უცხოური ოფისები, გაერთიანებები)
 - ვ) დასაქმებისათვის მზაობის ხარისხის ამაღლების აუცილებლობა.
- უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ საგანმანათლებლო პროგრამებში ასახვა შესაძლებელია სასწავლო კურსის ან მოდულის სახით. (ძირითადი, დამატებითი, არჩევითი) ძირითადი სასწავლო კურსი სასურველია ისეთ სპეციალობებზე, სადაც

დასაქმების ბაზარი ამ მიმართულებით სპეციფიკურ ცოდნას და კომპეტენციების ფლობის მაღალ ხარისხს მოითხოვს. მოდულში შეიძლება გაერთიანდეს როგორც უცხოური ენის სხვადასხვა მიმართულება, ასევე კვალიფიკაციის სხვა სასწავლო საგანი.

- საქართველოს უმაღლეს სკოლებში, კომპეტენციებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამებში. კვალიფიკაციის კომპეტენციების მიღწევაში უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ როგორც სასწავლო კურსის/მოდულის წვლილის განსაზღვრისათვის შემუშავებულია ზოგადი (ტრანსფერული), დარგობრივი და ორიგინალური კომპეტენციების ჩამონათვალი განათლების სხვადასხვა საფეხურის მიხედვით (პროფესიული სკოლა, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა). რომელიც განთავსდება საგანმანათლებლო პროგრამის კომპეტენციათა რუკაზე.
- უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ კომპეტენციების მიღწევისათვის სასწავლო პროცესის მართვის ეფექტური შედეგის მიღწევის აუცილებელი ფაქტორებია:
 - ა) მისაღწევი შედეგებისა და კომპეტენციების განსაზღვრა კვალიფიკაციის მიხედვით
 - ბ) ტრადიციული და ინოვაციური საქმიანობის შეხამება
 - გ) სასარგებლო გამოცდილების გაზიარება.
 - დ) უცხოური მეცნიერული კვლევებისა და შეხედულებების მიხედვით ჩამოყალიბებული რჩევებისა და რეკომენდაციების შესწავლა, გამოყენება
 - ე) პირადი კვლევებით მიღწეული შედეგების შემოწმება პრაქტიკულ საქმიანობაში.
 - ფ) თანამშრომლობა კოლეგებთან, სტუდენტებთან.
- უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ სტუდენტებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მართვისათვის სასურველადაა მიჩნეული სწავლების ორგანიზაციის ისეთი ფორმების გამოყენება, როგორცაა: აქტიური ლექცია, სემინარი-კონსულტაცია, ტუტორიალი, ვიზიტი, ინსტრუქტაჟი, კვლევითი სემინარი, პრაქტიკული სავარჯიშოების კურსი, აუდიტორიაში მიმდინარე პრაქტიკული საქმიანობა (ვორკშოფი), პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული

სხდომები, სადემონსტრაციო საქმიანობა, პრაქტიკა, სამუშაო პრაქტიკა, დისტანციური სწავლება, „ონლაინ“ გვერდის გამოყენებით სწავლება, კვლევითი ლექცია.

- „კულტურათა დიალოგის“ (კურსის/მოდულის) სწავლება/სწავლის ფორმების, მეთოდების, სტრატეგიების შერჩევის პრინციპები:
 - ა) სწავლების ორგანიზაციის ფორმების, სწავლის სტრატეგიების, მეთოდების შესაბამისობა სასწავლო მიზანთან, მისაღწევ კომპეტენციებთან.
 - ბ) სტუდენტთა მოტივაციისა და ინტერესის ამაღლების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა სასწავლო პროცესში.
 - გ) სტუდენტთა შესაძლებლობებისა და სასწავლო ბაზის (რესურსების) რეალური ვითარების გათვალისწინება.
 - დ) სტუდენტის მიერ გაცნობიერება რა გააკეთოს; როგორ გააკეთოს; სად და როგორ გამოიყენოს კონკრეტული ცოდნა.
- ინოვაციური აქტიური მეთოდების შერჩევასთან ერთად სასარგებლოა სპეციალობასთან დაკავშირებული სპეციფიკური ფორმებისა და მეთოდების გამოყენება, მაგალითად, სპეციალობასთან დაკავშირებით ანგარიშის შედგენა, ნაშრომის წაკითხვა, სხვისი პროექტის კრიტიკა, საქმიანი შესხვედრების ხელმძღვანელობა, დამსაქმებლის მონაწილეობით ერთობლივი პროექტის, ნაშრომის, მოდულის, სქემების მომზადება, მცირე კვლევების დია პრეზენტაცია.
- სტუდენტის მიერ უცხოური ენების სწავლება/სწავლის მიმართულების „კულტურათა დიალოგის“ მიღწეული დონის შეფასებისათვის განისაზღვრა ძირითადი პრინციპი სწავლის შედეგების, კომპეტენციებისა და კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის კრედიტების დაკავშირება, რომლის საფუძველზე შერჩეული იქნა შეფასების შემდეგი ფორმები: ზეპირი, ან წერილი გამოცდა, მოხსენებით გამოსვლა, დიალოგში მონაწილეობა, ტესტირება, თეზისები, ანგარიშის შედგენა, შეფასების რუბრიკა, კომენტარი (გამოხმაურება), პროექტი, კოლოკვიუმი, ანალიტიკური და პოლისტიკური სქემები, პრობლემის გადაჭრა დროში. პორტფოლიოს პრეზენტაცია. განსაკუთრებით ეფექტურობით გამოირჩევა კვალიფიკაციის მიღწეული დონის დიაგნოსტიკებისათვის თვითშეფასების მატრიცის გამოყენება.

სტუდენტის წახალისებისათვის უკეთესი შედეგების მისაღწევად, უპირატესობა მიენიჭა განმავითარებელ შეფასებას. გამოიყენება ვებზე დაფუძნებული შეფასებაც.

- მკაფიოდ განსაზღვრულმა შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების სტუდენტებისათვის წინასწარ გაცნობა, განაპირობა შეფასების ისეთი პრინციპების დაცვა, როგორცაა: გამჭვირვალობა, ვალიდობა, ობიექტურობა, სანდობა.
- ინოვაციური საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის „კულტურათა დიალოგის“ მასწავლებლის თვითეფექტურობის შეფასების ხარისხის ამაღლებამ ხელი შეუწყო სწავლება/სწავლის ახალი მიდგომების მიხედვით ცვლილებების განხორციელებაში საკუთარი როლისა და ადგილის გაცნობიერებას, წარმატებული საქმიანობის მოტივაციას, გაზარდა კვალიფიკაციის, ამაღლებისადმი ინტერესი.
- მასწავლებლის თვითეფექტურობის ამაღლების საშუალებებია: ზრუნვა საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მიზნობრივი ტრენინგები, დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების მეთოდზე დაფუძნებული საქმიანობა, პროფესიული პორტფოლიოს შედგენა, უახლესი კვლევების გაცნობა, გამოცდილების შესწავლა, ინტერნეტრესურსების მოძიება, დახარისხება, გამოყენება.

ლიტერატურა

1. ამონაშვილი 1988: ამონაშვილი შ, თანამშრომლობის პედაგოგიკა. ექსპერიმენტული სამეცნიერო საწარმოო პედაგოგთიანება. თბილისი, 1988
2. აუერნჰეიმერი 1990: Auernheimer, G.: Einführung in die interkulturelle Erziehung. Darmstadt,1990
3. ბაოსი 1940: France Baos, “Race, language and culture”, Columbia University, New York, The Macmillan Company,1940
4. ბარამიძე 1995: ბარამიძე ნ, ნებისყოფა, მოთხოვნილება, სწავლა, გამომცემლობა „აჭარა“ ბათუმი,1995
5. ბარამიძე 1986: ბარამიძე ნ. სწავლის ფსიქოლოგიური საკითხები, ათუმი, აჭარა 1986
6. ბასილაძე 2006: ბასილაძე, ი. სწავლებისა და სწავლის ტექნოლოგიები და მათი პედაგოგიური დახასიათება, ქუთაისი, 2006
7. ბარგესი 2004: Burgess, R., Measuring and recording student achievement,Universities UK, Report Scoping Group (chair: Prof. R. Burgess) <http://bookshop.universitiesuk.ac.uk/downloads/measuringachievement>, 2004
8. ბაუმრინდი 1971: Baumrind, D. (1971). Current patterns of parental authority. Developmental Psychology Monograph, 4, 1-103.
9. ბაუმრინდი 1996: Baumrind, D. (1996). The discipline controversy revisited. Family Relations, 45, 405–414.
10. ბენერი 1984: Benner, p. From Novice to expert. Addison- Wesley published, 1984
11. ბერმანი 2010: Berman M. “In a Fraway Land” Winchester,UK, Washington,USA, published by O Books, 2010
12. ბიბილეიშვილი... 2011 : ბიბილეიშვილი, ი; თავდგირიძე, ლ; სტუდენტთა საუნივერსიტეტო სწავლებისა და არზრდის საკითხები, თბილისი, 2011
13. ბიბილეიშვილი 2008: ბიბილეიშვილი, ი., „სწავლების ფუნქციები“, რსუ შრომები ბათუმი, 2008

14. ბირამ 1997: Byram, M. "Cultural awareness' in vocabulary learning". *Language Learning Journal* 16. 1997, 51-57.
15. ბირამ 1997: Byram, M. "Cultural studies and foreign language teaching". In Bassnett, S. (ed.). 1997. 53-65.
16. ბირამ 2000 : Byram, M. "Intercultural communicative competence: the challenge for language teacher training". In Mountford, A. and Wadham-Smith, N. (eds). 2000. 95-102.
17. ბირამ... 1991: Byram, M. & Esarte-Sarries, V. Investigating Cultural Studies in Foreign Language Teaching. A Book for Teachers. Clevedon: Multilingual Matters Ltd. 1991
18. ბირამ 1994: Byram, M. Culture and Language Learning in Higher Education. Clevedon: Multilingual Matters Ltd(1994a).
19. ბლუმი ...1956: Bloom, B., Englehart, M., Furst,E., Hill,W., and Krathwohl,D. Taxonomy of educational objectives: The classification of educational goals. Hand book I: Cognitive domain. New York, Toronto: Longmans,Green ,1956
20. ბოლონიის ...1999: ბოლონიის დეკლარაცია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე ბოლონია,1999, 19 ივნისი
[http://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/1% 20boloniis % 20deklaracia.pdf](http://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/1%20boloniis%20deklaracia.pdf)
<http://www.dfes.gov.uk/bologna>
www.ond.vlanderen.be
21. ბომი 1990: Bohm, D.: Handbuch Interkulturelles Lernen. Freiburg, 1990.
22. გაგუა 2010: გაგუა მ, სამშობლოს ცნება წმინდა წერილში, გაზეთი საპატრიარქოს უწყებანი, №32, 2010
23. გაზეთი ახალი ...2007: გაზეთი „ახალი განათლება“, 2007–2009 წლის ნომრები
24. განმარტებითი ...2007: განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის, თბილისი, 2007
25. განდი 2001: არტურ ვან განდი, „კრეატიულობის იდეა“ 2001 ოკლაჰამას უნივერსიტეტი
26. გარდნერი 2006: Gardner, H. Multiple intelligences: New horizons (Rev. ed.). New York: Basic Books, 2006

27. გობრონიძე 1984: გობრონიძე ა. „მომავალ მასწავლებელთა მომზადება ზნეობრივი აღზრდისათვის“ გამომცემლობა „აჭარა“ ბათუმი, 1984
28. გობრონიძე 1965: გობრონიძე ა, „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის პრობლემა ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მოძღვრებაში“, თბილისი 1965, „განათლება“.
29. გობრონიძე 2000: გობრონიძე ა, პედაგოგიკა, ბათუმი, 2000
30. გობრონიძე ... 2001: გობრონიძე, ა. ბიბლიეოფილი, ი. უმაღლესი პედაგოგიკის საკითხები, 2001
31. გომელაური ... 2003: გომელაური ბ, თავხელიძე მ, „ევროპული დიდაქტიკა“ გრ. რობაქიძის უნივერსიტეტი ,თბილისი, 2003
32. გონსალესი 2003: Gonzalez, J. “Motivations for planning integrated curricula”, Integrated Curricula Implications and Prospects. Bologna Follow-up Seminar. Mantova 11-12 April 2003, pp27-29
33. გოშხეთელიანი 2011: Goshkheteliani Irine “ Cultural Implications in English and Georgian Proverbs”, Paremiologia y Herencia Cultural, Coleccion Granada Lingvistica, 2011
34. დიდაქტიკის...1967: დიდაქტიკის საფუძვლები, მ. ესიპოვის რედაქტირებით. მოსკოვი, განათლება, 1967
35. დრუჟინინა 2000: დრუჟინინა გ. უცხო ენის სწავლების სოციალური კონტექსტი, მოსკოვი 2000
36. ენების ერთიანი...2001: ენების ერთიანი სარეკომენდაციო ჩარჩო ,2001 [www.ganatileba.ge/index.php%3F module %3](http://www.ganatileba.ge/index.php%3Fmodule%3)
37. ეროვნული2007;2011: ეროვნული სასწავლო გეგმა „უცხოური ენები“– ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი, 2007;2011 http://europa.eu.int/comm/education/programmes/Socrates/ects/index_en.html www.mes.gov.ge
38. ეროვნული... 1996: National Standards in foreign Language Education Project, 1996, p.27

39. ეჭკარტი 2000: ეჭკარტი ქრ. „ კულტურა როგორც განვითარების შესაძლებლობა”, გამომცემლობა „ენა და კულტურა”, 2000
40. ვაგენაარი 2003: Wagenaar,R, <„A Methodology for desining and implementing integrated curricula”, Integrated Curricula Implications and Prospects. Bologna Follow-up Seminar.Mantova 11-12 April 2003, pp.24-26.
41. ვიგოტსკი 1981: Vigotsky, L.S.The Genesis of Higher mental functions, 1981
42. ვიგოტსკი 1962: Vigotsky L, S. Thought and Language, MIT Press, 1962
43. ვისოცკაია 1981: ვისოცკაია ს.– ჰუმანიტარული სასწავლო საგნებში უნარისა და ჩვევების სისტემის განსაზღვრის დიდაქტიკური საფუძვლები. წიგნი „ახალი გამოკვლევები პედმეცნიერებაში”, მოსკოვი, №16,
44. ზანასოულას 2001: Thanasoulas, D. (2001). The Importance of Teaching Culture in Foreign Language Classroom. Online documents at URL http://radicalpedagogy.icaap.org/content/issue3_3/7-thanasoulas.html.
45. ზგაგა 2003: Zgaga, Pavel, “Bologna Process between Prague and Berlin. Report to the Ministers of Education of the signatory countries”, Realizing the European higher education Area. Conference of European Ministers Responsible for Higher Education, Berlin, 18-19 September. 2003
46. თავდგირიძე 2007: თავდგირიძე ლ. სწავლების თავისებურებანი უმაღლეს სკოლაში. ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის შრომები „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები,” 2007, 42
47. თელეზიშვილი 2007: თელეზიშვილი ს, „ უცხო სიტყვათა ლექსიკონი” გამ-ბა „მერიდიანი”, თბილისი, 2007
48. თუნინგი...2005: „თუნინგის“ შედეგები „საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში“, თბილისი, 2005
49. თუნინგი...2009: „თუნინგის” შედეგები „უნივერსიტეტების წვლილი ბოლონის პროცესში“, თბილისი, 2009

50. ირვინი 2007: Irwin Rachel “Culture shock: negotiating feelings in the field”, Anthropology Matters Journal 2007, Vol 9 (1) www.anthropologymatters.com
51. იული 1996: Yule, G.1996, The Study of Language, second edition, Cambridge University Press.
52. კომპეტენციების... 2010: Competence Profile AAP-BAP-K.U.Leuven,2010
53. კრამში 1988: Kramersch, C. (1988). The cultural discourse of foreign language textbooks. In A. Singerman (Ed.), Towards a new integration of language and culture (pp. 63-68).
54. კრამში 1991: Middlebury, VT: Northeast Conference.
http://www.spz.tu-darmstadt.de/project_enjournal/jg_01_02/beitrag/kramersch2.htm
55. კრამში 1993: Kramersch, C. (1993). Context and culture in language teaching. Oxford: Oxford University Press.
56. კრამში ...1996: Kramersch, C., Cain, A., & Murphy-Lejeune, E. (1996). Why should language teachers teach culture? Language, Culture and Curriculum, 9(1), 99-107.
57. კრამში 2001: Kramersch, C. (2001). Language and Culture. Oxford: Oxford University Press.
58. კროებერ . . .1952: Kroeber A.L. and Kluckhohn Clyde, “Culture: A Critical Review of Concepts and definitions”, Cambridge, Massachusetts,USA, Published by the museum,1952
59. კრისტალი 1989: Crystal David “ The Cambridge Encyclopedia of Languages”, Cambridge university press, Cambridge,1989
60. კროუფორდი 1996: Crowford, K. Vygotskian approaches to human development in the information era. 1996 www.learning-theories.com/vygotskys-social-learning-theory.html
61. კროზეტი 2007: Crozet C. Discussion Paper, “Culture knowledge and international learning”,2007 <http://www.docin.com/p-96463557.html>
62. ლორთქიფანიძე 1957: ლორთქიფანიძე დ. სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია, მეთოდები. პედაგოგთა კავშირი, 1957

63. მარლენ 2004: მარლენ დი ლეფერი– რეალური სასწავლო მეთოდები,2004
64. მაკმილანი 2001: მაკმილანი ვ. „რადიკალური პედაგოგიკა“, 2001
65. მაკეი 2003: McKay, S. L. (2003). The Cultural Basis of Teaching English as an International Language. Online Documents at URL <http://www.tesol.org/pubs/articles/>
66. მეგრელაძე 1989: მეგრელაძე ც. პედაგოგიკური გამოცდილების დიაგნოსტიკურ მეთოდის გამოყენება პედაგოგიური კადრების შემოქმედებითი მუშაობისათვის. წიგნი „სახალხო განათლების მეთოდური მუშაობის გარდაქმნა. პედაგოგიური გამოცდილების დიაგნოსტიკის საფუძველზე“, მოსკოვი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემია, 1989 წ.
67. მეგრელაძე ...2008: მეგრელაძე ც, მახარაშვილი გ. სასწავლო კურსის შედეგები, ანუ სტუდენტის მიერ კომპეტენციის მიღწევის დონის განსაზღვრა, ქუთაისი აწსუ შრომები, 2008
68. მეგრელაძე 2009: მეგრელაძე ც. ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის, გაგების სტრატეგიები– სახელმძღვანელო, რსუ, 2009
69. ნაკადულიშვილი 2000: ნაკადულიშვილი ნ. „კულტურის დიდაქტიკის პედაგოგიური ამოცანები“. აქტიური პედაგოგიკა და კულტურის დიდაქტიკა. (საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები). გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 2000
70. პაპავა 2005: პაპავა პ, სკოლის პორტფოლიო– წიგნში „სკოლების განახლება საქართველოში“ ასოციაცია „სკოლა, ოჯახი, საზოგადოება“,თბილისი, 2005
71. პედაგოგიკა... 1969: ლორთქიფანიძე დ, სარიშვილი ტ, სიგუა ს, რედაქტორობით თბილისი, განათლება, 1969
72. პედაგოგიური 2005: პედაგოგიური ენციკლოპედიური ლექსიკონი, ლონდონი, 2005
73. პერკინსი 2007: Perkins, D. Cognition and the art of instruction. Week 1-2 lecture notes. . 2007, T 540:
74. პეტერსონი...2003: Peterson,E., Coltrance, B., „Culture in language teaching“, center for applied linguistics,Eric Digest, December,2003

75. პულვერნესი 2003: Pulverness, A. (2003). Distinctions & Dichotomies: Culture-free, Culture-bound. Online documents at URL <http://elt.britcoun.org.pl/forum/distanddich.htm>.
76. ჟურნალი
...2000/2001: ჟურნ. "The Reading Teacher N 54 2000/2001
77. როსენელუმ 2000: Rosenelum- Lownder R. "You must go to School you are a teacher". (250 strategies) p. 115,116. 2000.
78. როგორ
მოვემზადოთ 2009: როგორ მოვემზადოთ სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის, (უცხო ენები, გამოცდების ეროვნული ცენტრი. თბილისი 2009
79. საქართველოს 2010: უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ქადაგება, 3 ოქტომბერი, 2010
80. საგანმანათლებლო
..2002: საგანმანათლებლო პოლიტიკა ევროსაბჭო, 2002
81. საქართველოს
...2004: საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2004
<http://www.lingua.ge/kanoni.html>
www.mes.gov.ge.
82. საქართველოს
...2005: საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2005
83. საქართველოს
...2010: საქართველოს აკადემიური უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო, 2010
[www.ganatileba.ge/index.php%3F module %3](http://www.ganatileba.ge/index.php%3Fmodule%3)
84. საშუალო 1975: საშუალო სკოლის დიდაქტიკა, მიხეილ სკატკინის რედაქტორობით, თბილისი, 1975
85. სენჯი 2001: Peter Sange the theory and Practice of the learning organization, 2001
www.infed.org/thinkers/senge/htm
86. სეპირი 1962: Sapir, E. Culture, Language and Personality. University of California. (1962).

87. სეპირი 2005: სეპირი ე, კულტურა, ენა და პიროვნება, ინგლისურიდან თარგმნა თამილა ებანოიძემ, თბილისი, 2005
88. სერაფიმი 2000/2001: სერაფიმი ფ, შეფასების სამი პარადიგმა, ჟურნალი, „The reading Teacher” N54 2000/2001
89. სიგუა 2010: სიგუა ს, „კულტუროლოგიის საფუძვლები”, მწერლის გაზეთი, თბილისი, 2010
90. სილი 1987: Seelye H.N. “Teaching culture” (Strategies for Intercultural Communication), National Textbook Company, Lincolnwood, Illinois U.S.A., 1987
91. ტაილორ 1891: Tylor E.B., (1871), “Primitive Culture”, Vol 1, London: John Murray, Albemarle street, 1891
92. ტარანტი 1983: ტარანტი ვ, სწავლის ხარისხის ამაღლება ჯგუფური (კოლექტიური) მუშაობის დროს, მოსკოვი ზოგადი პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, 1983
93. ტემპლი 2002: სტრატეგიები სხვადასხვა საგანში, თბილისი, 2002
94. ტურბოვსკოი... 1988: ტურბოვსკოი ი. პროვოტაროვა ზ. – თემატური გეგმა და პროგრამა, კურსის პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა და განზოგადება დიაგნოსტიკის საფუძველზე, მოსკოვი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემია 1988 წ.
95. ტყემალაძე... 2008: ტყემალაძე რ. დალაქიშვილი ნ. ფოფხაძე ქ. პაჭკორია თ. ბუნაშვილი თ. სახელმძღვანელო, „სწავლება და შეფასება”, გამომცემლობა საქართველოს მაცნე, თბილისი, 2008
96. უზნაძე 1956: უზნაძე დ. რჩეული I, II, თბილისი, 1956
97. უმაღლესი... 1971: სარიშვილი, ტ. და სხვები უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, თბილისი, 1971
98. უმაღლესი...2003: უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა, ბერლინის სამიტი, 2003 წლის 19 სექტემბერი www.bologna-berlin2003.de -2003 Berlin Summit on Higher Education <http://www.bologna-berlin2003.de>

99. უმაღლესი...2007: უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისაკენ: მზადება გლობალიზაციის გამოწვევისათვის, ლონდონის კომუნიკე, 8 მაისი 2007წ. <http://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/5%20London%20Communique.Pdf>. Pdf. www.bologna-London 2007
- 100 ფორუმს 1993: Forums, „Schule fur eine Welt“: Globales Lernen. Zurich, 1993
- 101 ქიმერიძე 2009: ქიმერიძე ნინო „ტექსტის სახეობა– კულტურით განპირობებული ენობრივი წარმონაქმნი (გერმანული და ქართული ტექსტის სახეობათა ანალიზის საფუძველზე)“, ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი, „ცივილიზაციური ძიებანი“, N 7, 2009
- 102 ყიფიანი 2007: ყიფიანი ი. უცხოური ენის სწავლება და ინტერდიდაქტიკის საფუძვლები.ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის შრომები „ სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები,“ 2007, 80
103. შილერი 2000: შილერი ჰ. (შტუტგარტის თავისუფალი უმაღლესი სკოლა გერმანია) პედაგოგიკა – კულტურის ფაქტორები და კულტურის პროდუქტი. აქტიური პედაგოგიკა და კულტურული დიდაქტიკა (საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები) გამომცემლობა „ ენა და კულტურა“ 2000
104. შავშიშვილი 2005: შავშიშვილი ტ. „ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული პლურალიზაციის ალზრდის პედაგოგიური ამოცანა“,ჭურ. „წიგნიერი“,№1,2005
105. შტაინეკერი... 1979: Steinaker,n and Bell, The Experiential Taxonomy: Anew Approach to teaching and learning, London Academic press, 1979
106. ჩინჩალაძე 2000: ჩინჩალაძე ლ, უცხოური ენების სწავლების საკითხისათვის, გაზეთი „ახალი განათლება“ 12–25 ოქტომბერი, 2000 წელი
107. ცუცქერიძე ...2005: ცუცქერიძე ზ, ორჯონიკიძე ნ.–„განათლების თანამედროვე თეორიები ი. გოგებაშვილის პედმეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი, თბილისი, 2005
108. ციციშვილი..200: Tsitsisvili R, Nijaradze N, Darchia M, Tevzaia M, Tkavashvili E, “Theory and Practice of Teaching English in Georgia”,2008

109. ჭკუასელი 2001: ჭკუასელი ქეთევან მასწავლებლის პროფესიული მომზადების სირთულეები და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები. ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი, კონფერენცია, ნოემბერი, 2001
110. ხომსკი 1965: Chomsky, N. Aspects of the Theory of Syntax. Cambridge, Mass.: MIT Press. (1965)
111. ჯანაშია... 2008: ჯანაშია ნ., იმედაძე ნ., გორგაძე ს.. „განვითარებისა და სწავლის თეორიები“ გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2008
112. ჯობაძე 2000: ჯობაძე ლ. „ინტერკულტურული კომუნიკაცია და უცხო ენის სიტყვა-კონცეპტთა დიდაქტიკა.“ აქტიური პედაგოგიკა და კულტურის დიდაქტიკა (საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები), გამომცემლობა „ენა და კულტურა“ 2000.
113. ჰეჯი 2000: Hedge, T,2000 Teaching and Learning in the Language Classroom, Oxford University Press
114. ჰერიოტ-ვათი 2004: Heriot-Watt, Using Learning Outcomes Seminar presentations at the UK Bologna Seminar, University Edinburgh (UK)
<http://www.bologna-edinburgh> 2004.org.uk/conference-presentations-g.asp

www.geert-hofstede.com/
http://rhetoric.sdsu.edu/lore/1_3/progress_culture.htm .
www.archive.org

www.bsuedu.ge
www.atsu.edu.ge
www.tsu.edu.ge
www.deusto.es
<http://www.rug.nl/corporate/index>
www.umb.sk
http://en.wikipedia.org/wiki/Semmelweis_University
<http://www.helsinki.fi/university/>